UNESCO
გაერთიანებული
ერების განათლების,
მეცნიერებისა და
კულტურის ორგანიზაცია

ტერორიზმი და მედია

სახელმძღვანელო ჟურნალისტებისთვის

პასუხისმგებლიანი, პროპორციული და სტიგმისა და სენსაციისგან თავისუფალი გაშუქების სტრუქტურა.

„ახალი ამბები თავისუფლების სასიცოცხლო ელემენტია“. *ქეთრინ გრაჰამი*

ეს სახელმძღვანელო, რომელიც ჟურნალისტებისა და მედია პროფესიონალებისთვის შეიქმნა, გვაწვდის უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას და გვიბიძგებს, დავფიქრდეთ იმაზე, თუ როგორ აშუქებს ტერორიზმს მედია.

ეს სახელმძღვანელო, რომელიც შემუშავდა წამყვანი ინსტიტუტებისა და ექსპერტების რჩევებზე დაყრდნობით და მდიდარია მაგალითებით, იკვლევს იმ პროფესიულ გამოწვევებსა და ეთიკურ დილემებს, რომლებიც ტერორიზმის გაშუქებისთვის არის დამახასიათებელი და სვამს ფუნდამენტურ კითხვებს, თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს გაშუქებამ სოციალურ ერთიანობასა და საზოგადოებაში შიშის გაღრმავებაზე.

განხილული საკითხები:

ტერორიზმის ჟურნალისტური „ჩარჩოს განსაზღვრა“

ბალანსი თავისუფლებას, უსაფრთხოებასა და პასუხისმგებლობას შორის

ეთიკური საკითხები

შიშის, სიძულვილის და განზოგადების გამოწვევები

თავდასხმების და მძევლად აყვანის გაშუქება

სოციალური მედიის მართვა

დაზარალებულებთან, ხელისუფლებასა და ტერორისტებთან ურთიერთობა

ჟურნალისტთა უსაფრთხოება

სპეციალური ქვეთავები:

„კულტურული მემკვიდრეობის განადგურება“ და „კულტურული ფასეულობებით უკანონო ვაჭრობა“

ავტორის შესახებ

ჟან-პოლ მარსოზი ჟურნალისტი და ესეისტია. ბელგიური გაზეთის Le Soir საავტორო სვეტის ავტორი და ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ჟურნალისტიკის პროფესორი. ის რამდენიმე წიგნის ავტორიცაა ჟურნალისტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებზე. სხვადასხვა დროს იყო პროგრამის „მედია დემოკრატიისთვის“ დირექტორი ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციაში (ICJ), Human Rights Watch-ის ევროპის რეგიონის საინფორმაციო დირექტორი და ევროკავშირის ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტის კორესპონდენტი (CPJ, ნიუ-იორკი).

UNESCO
გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია

კომუნიკაციისა და ინფორმაციის სექტორი

MDF
მედიის განვითარების ფონდი
MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION

Hedayah
countering violent extremism

ISBN 978-92-3-000109-4

UNESCO
გაერთიანებული
ერების განათლების,
მეცნიერებისა და
კულტურის ორგანიზაცია

ტერორიზმი და მედია

სახელმძღვანელო ჟურნალისტებისთვის

ქართული გამოცემა

MDF
მედიის განვითარების ფონდი
MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION
Hedayah
countering violent extremism

ქართული ვერსია თარგმნილია და გამოცემულია მედიის განვითარების ფონდის (MDF) მიერ ფონდ ჰიდაიას და ევროკავშირის გრანტით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები, მიგნებები და რეკომენდაციები ეკუთვნით ავტორებს და არ უნდა აღიქმებოდეს ჰიდაიას და ევროკავშირის პოზიციად.

გამოცემულია 2020 წელს გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (იუნესკო) მიერ.

7, place de Fontenoy, 75352 პარიზი 07 SP, საფრანგეთი

და მედიის განვითარების ფონდის მიერ
34/36 ქობულეთის ქ, 0179 თბილისი, საქართველო

© UNESCO და თანაგამომცემელი 2020

UNESCO's ISBN 978-92-3-000109-4

წინამდებარე სახელმძღვანელოს ტექსტი Attribution-ShareAlike 3.0 IGO (CC-BY-SA 3.0 IGO) ლიცენზიის (http://creativecommons.org/licenses/by-sa/3.0/igo/) თანახმად ელექტრონულად უფასოდ არის ხელმისაწვდომი. ამ სახელმძღვანელოს გამოყენებით მომხმარებელი ეთანხმება იუნესკოს ღია არქივის გამოყენების სავალდებულო პირობებს (http://www.unesco.org/openaccess/terms-use-ccbysa-en).

ზემოაღნიშნული ლიცენზია ექსკლუზიურად ვრცელდება წინამდებარე სახელმძღვანელოს ტექსტზე. ნებისმიერი იმ მასალის გამოყენებისთვის, რომელიც მკაფიოდ არ არის იდენტიფიცირებული, როგორც იუნესკოს მასალა, საჭიროა წინასწარი ნებართვა. ნებართვისთვის მიმართეთ: publication.copyright@unesco.org ან UNESCO Publishing, 7, place de Fontenoy, 75352 Paris 07 SP France.

ორიგინალი სათაური: Les médias face au terrorisme: manuel pour les journalistes

გამოქვეყნებულია 2017 წელს გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (იუნესკო) მიერ

განახლებული გამოცემა

ამ გამოცემაში გამოყენებული დასახელებები და წარმოდგენილი მასალა არ გულისხმობს იუნესკოს მხრიდან რაიმე მოსაზრების გამოხატვას რომელიმე ქვეყნის, ტერიტორიის, ქალაქისა თუ რეგიონის ან მისი ხელისუფლების იურიდიული სტატუსის ან მისი საზღვრების შესახებ.

ამ გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და შეხედულებები ეკუთვნით მხოლოდ და მხოლოდ ავტორებს; ისინი არ გამოხატავენ იუნესკოს მოსაზრებებს და შეხედულებებს და ორგანიზაციის პასუხისმგებლობას არ წარმოადგენს.

ავტორი: ჟან-პოლ მარტოზი

რედაქტორი: მირტა ლურენსო

ასისტენტი: ტიმ ფრანსისი

ყდის ფოტო: © Aija Lehtonen / Shutterstock, Inc.

წინათქმა

ძნელია, გააზვიადო ტერორიზმის და მედიის ურთიერთმიმართების სირთულე.

ალბათ, არცერთი სხვა თემა ასე ვრცლად და ინტენსიურად არ გაშუქებულა ბოლო წლებში და ალბათ, არცერთ სხვა საკითხს არ გამოუცდია მედიის სფეროს პროფესიონალები ასე მკაცრად ჟურნალისტური ეთიკის და ბალანსის დაცვის მხრივ.

იმ ძალადობრივი თავდასხმების უმეტესობა, რასაც ბოლო ხანებში ვხედავთ, ნაწილობრივ მაინც, მედიის ყურადღების მიქცევის მიზნით არის ჩაფიქრებული და მისი სამიზნე არა მხოლოდ რეალური მსხვერპლი, არამედ მილიონობით შოკირებული და შეშინებული მაყურებელია მთელ მსოფლიოში.

ამავე დროს, დაჩქარებული ტექნოლოგიური და ფინანსური ტრანსფორმაციის პირობებში, აუდიტორიის მოზიდვის გაზრდილი წნეხი მედია საშუალებებს ძლიერი ცდუნების წინაშე აყენებს, ძალადობასა და სენსაციურობაზე ორიენტირდნენ და ინფორმაციისა და ჭორების გავრცელებაში პირველობა ისე იჩქარონ, რომ მათი სიზუსტე არც კი დაადგინონ.

ამ ვითარებამ უკარნახა იუნესკოს, წინამდებარე სახელმძღვანელოს მომზადება დაეკვეთა, რათა მოხდეს ტერორიზმის გაშუქებაში ეთიკური დილემების გააზრება და დაიწყოს მედიის პროფესიონალებთან დიალოგი იმის თაობაზე, თუ როგორ მოხდეს სათანადო და პროპორციული რეაგირება.

ეს, რასაკვირველია, არ არის მოწოდება, გავრცელდეს ნაკლები ინ-ფორმაცია. ჟურნალისტიკის ფუნქციაა, საზოგადოებას გადამოწმებუ-ლი ინფორმაცია მიაწოდოს, ხოლო საზოგადოების ფუნდამენტური უფლებაა, ხელი მიუწვდებოდეს ზუსტ და დაბალანსებულ ინფორმა-ციაზე, განსაკუთრებით როდესაც საქმე მის უსაფრთხოებას თუ თავი-სუფლებას ეხება. თუმცა, არის კი ამის მიღწევის გზა ისეთი მოვლენე-ბის ინტენსიური გაშუქება, რომელთა მიზანიც შიშის დათესვაა? ანდა ასეთ მოვლენებზე ინფორმაციის უწყვეტ რეჟიმში გავრცელება და ერთი და იმავე ამბის ხშირად გამეორება?

2017 წელს ჩატარებულ კვლევაში, რომელშიც მსოფლიო მასშტაბით 20,000 ახალგაზრდა გამოიკითხა, რესპონდენტთა 83%-მა თქვა, რომ მომავალს საფრთხეს ტერორიზმი მეტად უქმნის, ვიდრე ნებისმიერ სხვა ფაქტორი, მათ შორის კლიმატის ცვლილება, ომი თუ შემოსავ-ლების უთანასწორობა.[1]

რამდენად უწყობს ხელს გაშუქება შიშის მთესველთა ინტერესებს? რამდენად იხრება გაშუქება რომელიმე ნარატივის ან გავრცელებუ-ლი მოსაზრებისკენ იმის შესახებ, თუ „ვინ არის ტერორისტი“? უდა-ვოა, რომ სიტყვები, რომლებსაც მედია იყენებს, მაგალითები, რომ-ლებიც მოჰყავს და გამოსახულება, რომელსაც უჩვენებს, უნდა ემსა-ხურებოდეს ინფორმირებას და არა სენსაციის გამოწვევას.

ზოგი კვლევის თანახმად, მუსლიმების მიერ განხორციელებული თავდასხმა ბევრად უფრო ხშირად შუქდება, ვიდრე სხვა ტერორის-ტული აქტები.[2] ასევე, ბევრად ვრცელი ყურადღება ეთმობა თავდასხ-მებს დასავლეთის ქვეყნებში, მიუხედავად იმისა, რომ 2016 წელს ტე-რორიზმის მსხვერპლთა 96% აფრიკის, ახლო აღმოსავლეთისა თუ სამხრეთ აზიის ქვეყნებში აღირიცხა.[3]

1 “Generation Z: Global Citizenship Survey”, Varkey Foundation, 2017.
2 Kearns, E.M., Betus, A. & Lemieux, A. “Why Do Some Terrorist Attacks Receive More Media Attention Than Others?”, Justice Quarterly, 2018. 9, 2018.
3 გლობალური ტერორიზმის მონაცემთა ბაზა, მერილენდის უნივერსიტეტი, 2016.

ვითარების ასე წარმოჩენა ახალისებს სტერეოტიპებს და ხელს უწყობს საზოგადოების გახლეჩას, ასევე, იწვევს უკურეაქციას და ძალადობას. ეს რისკები რეალურია. სიძულვილით მოტივირებული თავდასხმები იმ შედარებით ფართო ჯგუფებზე, რომლებიც, საზოგადოების აღქმაში, ძალადობრივ თავდასხმებთან ასოცირდებიან, დრამატულად იზრდება და ზოგჯერ, წლების განმავლობაში გრძელდება.[4]

ამ საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იუნესკოსთვის, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციისთვის, რომელიც ყველა ადამიანისთვის მშვიდობის დამკვიდრებისკენ ისწრაფვის. ჩვენ აქტიურად ვართ ჩართული ყველა ფორმის ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციაში, რასაც ახალგაზრდების განათლებით და გაძლიერებით, კულტურული მრავალფეროვნების დაცვისა და პატივისცემის გზით ვახორციელებთ.

ჩვენი მანდატის ფარგლებში, ხელი შევუწყოთ გამოხატვის თავისუფლებას და ინფორმაციის შეუფერხებელ წვდომას მედიასა და ინტერნეტში, ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ მედია ორგანიზაციებთან, ვეხმარებით მათ ტრენინგებით და შესაძლებლობების გაძლიერებით, წინამდებარე სახელმძღვანელოში მოცემულ რეკომენდაციებზე დაყრდნობით, რათა მათ ამ გამოწვევების გააზრება უფრო სიღრმისეულად შეძლონ და ამ თემაზე მომუშავე ჟურნალისტებს უკეთესი მხარდაჭერა აღმოუჩინონ.

ჩვენი ექსპერტიზითა და გამოცდილებით წვლილი შეგვაქვს გაეროს გენერალური მდივნის „ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციის სამოქმედო გეგმაში“, მჭიდროდ ვთანამშრომლობთ გაეროს კონტრტერორისტულ ცენტრთან, ეროვნულ მთავრობებთან და სხვა საკვანძო

4 Comité contre l'islamophobie en France (CCIF), 2015 ; E Hanes, "Hate Crime in the Wake of Terror Attacks: Evidence from 7/7 and 9/11", Journal of Contemporary Criminal Justice, Vol 30, Issue 3, 2014.; Brian H Levin, "Responses to the Increase in Religious Hate Crimes", United States Senate: Committee on the Judiciary, May 2 2017.

უწყებებთან, რათა ძალადობრივ ექსტრემიზმზე გლობალური რეაგირება კოორდინირებული, ერთიანი და ეფექტიანი იყოს.

ტერორიზმი, მისი ჩამდენის თუ სპონსორის მიუხედავად, არის ის ჭირი, რომელიც უნდა დაიძლიოს ყველგან, სადაც კი თავს იჩენს; მისგან დაზარალებულს დახმარება უნდა გაეწიოს და მის მსხვერპლს პატივი მიეგოს, ხოლო მისი ჩამდენები გასამართლდნენ. მედიას შეუძლია, ეს განზომილებები გააშუქოს და ამავე დროს, ხაზი გაუსვას დიალოგს და დისკუსიას, როგორც ძალადობისა და სისხლისღვრის რეალურ ალტერნატივებს.

ჩვენ შესაძლოა ყოველთვის ვერ შევძლოთ ტერორიზმის პრევენცია, მაგრამ ნამდვილად შეგვიძლია ჩვენი რეაქციები გავაკონტროლოთ. არ მივცეთ ტერორიზმს საშუალება, შიშში გვაცხოვროს, წინასწარგანწყობები და სიძულვილი გაგვიმძლავროს ან ლეგიტიმური მოსაზრებები ჩაგვიხშოს. სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, არ დავუშვათ, რომ ტერორმა მთელი ის პროგრესი შეარყიოს, რასაც დემოკრატიის, გამოხატვის თავისუფლებისა და ადამიანის უფლებების დაცვაში მივაღწიეთ.

სხვაგვარად მოქცევა ნიშნავს წყლის დასხმას იმ ადამიანთა წისქვილზე, ვინც ტერორს ახორციელებს, ასევე იმ ადამიანთა წისქვილზე, ვინც თავდასხმებს ეჭვების გამყარებისთვის, პოლარიზაციის გაღრმავებისთვისა და უფლებების დარღვევის გამართლებისთვის იყენებს.

მედიას მეტის და უკეთ გაკეთება შეუძლია.

მოეზ ჩაკჩუკი
იუნესკოს გენერალური დირექტორის ასისენტი
კომუნიკაციისა და ინფორმაციის საკითხებში

სარჩევი

შესავალი **9**

1. ტერორიზმის გაშუქების ძირითადი საკითხები **25**

1.1 „სახელმწიფო ტერორიზმის“ ცნება 28

1.2 განდიდების თავიდან აცილება 29

1.3 ტერორიზმის სხვადასხვა ფორმის გაშუქება 30

1.4 ტერორისტული ორგანიზაციების სიები 35

2. მედია ფრონტის წინა ხაზზე **39**

2.1 საწყისი წერტილი 39

2.2 ეთიკა და პრინციპები 40

1. სიმართლის დადგენა 40
2. დამოუკიდებლობა 41
3. პასუხისმგებლობა სხვების წინაშე 44
4. გამჭვირვალობა 45

2.3 ცოდნის ვალდებულება 45

2.4 კანონის გათვალისწინება 47

2.5 ხელისუფლებასთან ურთიერთობები 48

2.6 ტერორიზმის „ჩარჩოს ჩამოყალიბება“ 51

2.7 კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების გარანტიები 58

2.8 შიშთან გამკლავება 60

2.9 ინკლუზიური ჟურნალისტიკა 61

2.10 გლობალურად ფიქრი 63

3. ძირითადი წესები **71**

3.1 სიფრთხილის და დაეჭვების დისციპლინა 71

3.2 პატივისცემაზე დამყარებული ეთიკა 80

3.3 მსხვერპლი: უბრალოდ სახელებზე მეტი 83

3.4 სიტყვები 84

3.5 ციფრები 95

3.6 გამოსახულება 98

ბავშვების გამოსახულება 104

„მოქალაქე“ ჟურნალისტების ფოტო და ვიდეომასალა 105

3.7 განზოგადება 108

3.8 სიძულვილის ენა 111

3.9 ჭორები 112

4. თავდასხმის გაშუქება **117**

4.1 თავდაპირველი გაუგებრობა 117

4.2 მზადება 119

4.3 პირდაპირი ტრანსლირება 122

5. ინტერაქცია ტერორისტულ დაჯგუფებებთან **131**

5.1 ტერორისტული დაჯგუფებების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე შესვლა 131

5.2 მათი პრესრელიზების გამოქვეყნება 135

5.3 ტერორისტებისგან ინტერვიუს აღება 137

5.4 მიმდინარე გამოძიების გაშუქება 141

5.5 ტერორიზმის საქმეზე სასამართლო პროცესის გაშუქება 142

6. ჟურნალისტების უსაფრთხოება **147**

6.1 მზარდი რისკები 147

6.2 წყაროების დაცვა და თვალთვალი 151

6.3 ჟურნალისტის გატაცების შემთხვევაში 153

6.4 ტერორიზმი და ტრავმა 155

7. როცა სიმშვიდე ისევ დაისადგურებს: განვლილის გაანალიზება **159**

7.1 ფუნდამენტური კითხვები შოკის გადავლის შემდეგ 159

7.2 მედიის კრიტიკული ანალიზი 162

ფოკუსი: კულტურული მემკვიდრეობის განადგურება **166**

ფოკუსი: კულტურული ფასეულობებით უკანონო ვაჭრობა **170**

სასარგებლო რესურსები **174**

მთავრობათაშორისი ინსტიტუტები 174

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციები 174

ძირითადი ლიტერატურა ტერორიზმისა და მედიის საკითხებზე 175

© SMILEUS / SHUTTERSTOCK, INC.

შესავალი

ტერორიზმი და ტერორიზმთან ბრძოლა ეროვნული და საერთაშორისო პოლიტიკის საკვანძო ელემენტებად იქცა. მედია ამ ბრძოლის წინა ხაზზე დგას, განსაკუთრებით, როდესაც თავდასხმების სამიზნე მშვიდობიანი მოსახლეობაა.

დილემები და გამოწვევები, რომლებიც ტერორიზმის შედეგად წარმოიქმნება, თავიდანვე ნათელია. მოქალაქეები მედიისგან შეძლებისდაგვარად სრულყოფილ ინფორმაციას მოელიან, ყოველგვარი გადამლაშების თუ სენსაციურობის გარეშე. მთავრობები მედიას თავშეკავებისკენ მოუწოდებენ და იმ რისკებზე მიუთითებენ, რასაც გადაჭარბებული გაშუქება კონტრტერორისტულ ოპერაციებს თუ მოსახლეობის სიმშვიდეს უქმნის. ბრალდებები, რომ აუდიტორიის მოსაზიდად მედია ტერორიზმის მეგაფონად იქცა, მუდმივად ისმის მედიის მისამართით, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, თავდაუზოგავად მუშაობს.

ტერორისტული აქტების სერიოზულობისა და განმეორებადობის მიუხედავად, ამ საკითხში სიმყარე მედიას მაინც აკლია. „კითხვების დასმა და საკითხში გარკვევა, ხშირად, საგანგებო ვითარების დროს

ხდება, რაც გაუგებრობისა და შეცდომების საფრთხეს ქმნის“, ამბობს Le Monde-ის ახლო აღმოსავლეთის საკითხების კორესპონდენტი კრისტოფ ეიადი. „ყველა დაბნეულია და გარკვევას შემთხვევიდან შემთხვევისას ცდილობს.“[1]

ტერორიზმის გაშუქების ხარისხი მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. სხვა ფაქტორებთან ერთად მას თითოეულ ქვეყანაში მედიის თავისუფლების ხარისხი, მედიისთვის ხელმისაწვდომი ეკონომიკური რესურსები, კულტურული ფაქტორები, ეთიკის შესახებ წარმოდგენები და მედიის სოციალური როლის აღქმა განაპირობებს, აღნიშნავს პროფესორი შიამ ტეკვანი აზიაში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით.[2]

ეს უმნიშვნელოვანესი საკითხია, რადგან ტერორიზმის გაშუქება აჩვენებს, რა ადგილი უკავია მედიას საზოგადოებაში. „რეპორტიორის უნარს, პასუხისმგებლიანად გააშუქოს სათანადოდ შესწავლილი საკითხი ისეთი სისწრაფით, რასაც ციფრული ეპოქა მოითხოვს, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ სამოქალაქო ვალდებულების შესრულებაში, რაც ჟურნალისტებს მთელ მსოფლიოში აკისრიათ,“ თქვა სომალელი წარმოშობის ამერიკელმა ჟურნალისტმა, მუხტარ იბრაჰიმმა , 2013 წელს ნაირობის „უესტგეიტ მოლში“ მომხდარი თავდასხმის შემდეგ.[3]

მედიის რეაქციაზეა დამოკიდებული ტერორიზმის ზეგავლენა საზოგადოებაზეც. „მედია ჯოჯოხეთური დილემის წინაშე დგას,“ წერს ფრანგი ადვოკატი ანტუან გარაპონი. „ერთი მხრივ, მედიის რეზონანსმა შესაძლოა მსხვერპლი მისი მკვლელის სურვილის – გაითქვას სახელი – უნებლიე გამხმოვანებლად აქციოს; მეორე მხრივ, თვითცენზურა

1 http://www.lemonde.fr/actualite-medias/article/2014/09/25/les-medias-face-a-l-etatislamique_4494681_3236.html

2 Shyam Tekwani (Ed.), Media & Conflict Reporting in Asia, Asian Media Information & Communication Centre (AMIC), 2008, p. 2.

3 http://sahanjournal.com/westgate-attack-nairobi-al-shabaab-twitter/

შეიძლება კაპიტულაციად ჩაითვალოს. შიშმა შეიძლება დიდი ბრძოლით მოპოვებული თავისუფლებების გადასინჯვისკენ გვიბიძგოს, რაც, საბოლოო ჯამში, შეამცირებს განსხვავებას დემოკრატიულ სახელმწიფოებსა და ავტორიტარულ რეჟიმებს შორის – ეს არის ზუსტად ის, რის მიღწევასაც ტერორისტები ცდილობენ".[4]

ყოველი თავდასხმის შემდეგ ექსპერტები მედია გაშუქების ინტენსიობასა და ტონს ეჭვქვეშ აყენებენ. ისინი ტერორიზმის შედეგად დაღუპულთა რიცხვს ბუნებრივი კატასტროფების, ომის ან საგზაო შემთხვევების შედეგად გარდაცვლილთა რაოდენობას ადარებენ და მედიას მეტი თავშეკავებისკენ მოუწოდებენ. თუმცა, ეს შედარება ტერორისტული აქტების უკიდურესად პოლიტიკური თუ სოციალური ხასიათის გამო ხშირად არათანაზომადია: „2014 წელს მკვლელობის საშუალო მსოფლიო მაჩვენებელი 100,000 ადამიანზე 6.24-ს შეადგენდა, ხოლო ტერორიზმის შედეგად დაღუპულთა რაოდენობა 100,000 ადამიანზე მხოლოდ 0.47 იყო; მართალია, ეს ციფრი სხვა მიზეზებით სიკვდილიანობის მაჩვენებელს ბევრად ჩამოუვარდება, მაგრამ ტერორიზმის შედეგები განუზომელია," წერს ვენესუელელი პოლიტიკის მკვლევარი მოისეს ნაიმი. „ტერორიზმი 21-ე საუკუნის მომაკვდინებელი საფრთხე არ არის, მაგრამ ფაქტია, რომ მან მსოფლიო შეცვალა." და მაინც, პროპორციულია გაშუქების ის მოცულობა, რაც მედიაში ტერორიზმს ეთმობა?

ეს სახელმძღვანელო სწორედ ამ საკითხების და გამოწვევების გასაანალიზებლად შეიქმნა. ის ეფუძნება უმნიშვნელოვანეს და უნივერსალურ პრინციპებს: სიმართლის ძიებას, დამოუკიდებლობას და პასუხისმგებლობის გრძნობას, რომლებიც პლურალისტული და ურთიერთდაკავშირებული მსოფლიოს რთულ კონტექსტშია განხილული. სახელმძღვანელოს მიზანია, დაეხმაროს მედიას, მოძებნოს სწორი ბალანსი ინფორმაციის თავისუფლებასა და ინფორმირების მოვალეობას შორის, ინფორმაციის მიღების უფლებასა და დაცვის

4 Antoine Garapon, "Que nous est-il arrivé?", Esprit, February 2015, Paris, p. 6.

ვალდებულებას შორის ისე, რომ ჟურნალისტიკის ფუნდამენტური ნორმები და ღირებულებები არ შეილახოს.

კრიტიკული საკითხი

ბოლო წლებში ნიუ-იორკსა თუ მოსკოვში, პარიზსა თუ სტამბოლში, ბუენოს-აირესსა თუ მუმბაიში ტერორისტული აქტების შესახებ ვრცელი რეპორტაჟები ხშირად გვინახავს. თუმცა, ეს ხმაურიანი მოვლენები გლობალური ტერორიზმის სრულ სურათს არ ასახავს. ჩრდილოეთ ნიგერიის, კამერუნისა თუ ლათინური ამერიკის იმ რეგიონების მოსახლეობაც, რომლებსაც ნარკოკარტელები აკონტროლებენ, განიცდის ტერორს და შიშით ხმის ამოღებას ვერ ბედავს. საზღვაო ტერორიზმი სერიოზულ საფრთხედ რჩება, განსაკუთრებით სომალის და იემენის ნაპირებთან თუ გვინეის ყურეში. სირიიდან ფილიპინებამდე ადამიანთა გატაცების და მძევლად აყვანის შემთხვევები გახშირდა, რამაც პლანეტის გარკვეული ტერიტორიები აკრძალულ ზონებად აქცია. ძალადობა ინტერნეტსაც მისწვდა და ის ისეთი კიბერშეტევების სამიზნედ აქცია, რაც ვირტუალური სამყაროს ფარგლებს სცდება.

ყველაზე ვრცელი გაშუქება იმ ძალადობას ეთმობა, რომელიც, სავარაუდოდ, რელიგიური მოტივით არის ჩადენილი. თუმცა, ტერორისტულ აქტებს ასევე კვებავს ულტრამემარჯვენე ნაციონალიზმი თუ სუპრემასიზმი – თეთრკანიანთა უპირატესობის იდეოლოგია. ამის მაგალითია აფეთქებები ოსლოში და მასობრივი მკვლელობა ნორვეგიის კუნძულ უტოიაზე 2011 წელს, რომლებიც ანდრეს ბერინგ ბრეივიკმა ჩაიდინა; ასევე, აფროამერიკელების მკვლელობა ჩარლსტონის (აშშ) ბაპტისტურ ეკლესიაში 2015 წელს და ბრიტანელი ლეიბორისტი პარლამენტარის ჯო კოქსის მკვლელობა 2016 წელს.

რა თქმა უნდა, მედია ამ მოვლენების ცენტრშია, რომელსაც ხშირად, ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის მარგარეტ თეტჩერის სიტყვებით თუ ვიტყვით, „ტერორიზმის ჟანგბადს“ უწოდებენ. „ტერორის-

ტული თავდასხმები, ხშირად, ისეა დაგეგმილი, რომ ელექტრონული მედიის და საერთაშორისო პრესის ყურადღება მიიპყროს," წერდა ბრაიან ჯენკინი 1995 წელს. „ტერორიზმის სამიზნე აუდიტორიაა და არა რეალური მსხვერპლი".[5]

მედიის ასეთი დახასიათება იმას კი არ გულისხმობს, რომ მედია სიმპათიას განიცდის ან გამოხატავს ტერორისტული დაჯგუფებების მიმართ, არამედ გულისხმობს საჯაროობას, რომლის უზრუნველყოფითაც მედია ტერორისტულ დაჯგუფებებს უსიამოვნების გამომწვევ ძალას ანიჭებს. მედიის ეკონომიკა, რომელიც მეტწილად აუდიტორიის მოზიდვაში კონკურენციას ეფუძნება, ტერორისტებისა და მედიის ურთიერთობის ასეთ სიმბიოზს უწყობს ხელს.

„ტერორისტული თავდასხმები, ხშირად, ისეა დაგეგმილი, რომ ელექტრონული მედიის და საერთაშორისო პრესის ყურადღება მიიპყროს. ტერორიზმის სამიზნე აუდიტორიაა და არა რეალური მსხვერპლი".

ტერორისტები დრამატული, ძალადობრივი და მოულოდნელი მოვლენების მიმართ მედიის და განსაკუთრებით, სამაუწყებლო მედიის ტრადიციული ინტერესის იმედად არიან. თუმცა, ინტერნეტის და სოციალური ქსელების სწრაფ განვითარებასთან ერთად, გამოსახულებითა და სიტყვებით ბრძოლამ უპრეცედენტო მასშტაბებს მიაღწია. გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს ანგარიშში[6] აღნიშნულია, რომ ტერორისტული დაჯგუფებები პროპაგანდის, კონტაქტების დამყარების, ადამიანების გადაბირებისა

5 https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/papers/2008/P5261.pdf
6 https://www.unodc.org/documents/frontpage/Use_of_Internet_for_Terrorist_Purposes.pdf

და დაფინანსების საშუალებებად იყენებენ ლეგალურ ქსელს, განსაკუთრებით სოციალურ ქსელებს, როგორებიცაა Facebook, YouTube და Twitter,[7] ასევე, Deep Web და Dark Web-ს. „საკუთარი გზავნილების გავრცელებისთვის ტერორისტები სხვა ადამიანებზე დამოკიდებულნი აღარ არიან,"[8] წერს სინგაპურის ინტერნეტის კვლევითი ცენტრის მკვლევარი შიამ ტეკვანი აზიაში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით. „ერთმანეთთან კომუნიკაციისთვის და გზავნილების გასავრცელებლად დაჯგუფებები, როგორიც არის მოროს ისლამური გათავისუფლების ფრონტი ანდა აბუ საიფის დაჯგუფება, საკუთარი ვებ-გვერდების გარდა, ისეთ ტექნოლოგიებს იყენებენ, როგორებიცაა ელექტრონული ფოსტა, მობილური ტელეფონები, მოკლე ტექსტური შეტყობინებები და რადიო და ვიდეო ტექნოლოგიები". მკვლევარის თქმით, ეს მათ შესაძლებლობას აძლევს, „მთავრობის ან მედიაცენზურის გვერდის ავლით საკუთარი ქმედებები და იდეოლოგია ისეთი კუთხით წარმოაჩინონ, როგორც მოესურვებათ". „ტერორიზმის ჟანგბადის" ინტერნეტ სივრცისკენ გადანაცვლებამ ზოგ ორგანიზაციას, მათ შორის მთავრობას, უბიძგა, ბრძოლა ექსტრემისტული ვებ-გვერდების წინააღმდეგ წარემართა და წამყვანი ვებ-პლატფორმებისგან ინტერნეტის მუდმივი მონიტორინგი და „გაწმენდა" მოეთხოვა.

ისლამური სახელმწიფოს დაჯგუფების აღმოცენებამ (იხილეთ, „სიტყვები", გვ. 84) ეს პრობლემა გაამწვავა, რადგან მან გლობალური სტრატეგიული პროპაგანდის უფრო დახვეწილი სისტემა შექმნა, ვიდრე ალ-ქაიდას ჰქონდა. ამ ჯგუფის გზავნილები როგორ ფსიქოლოგიურ, ასევე რელიგიურ ასპექტებს იყენებს[9] და ნაწილობრივ (ოღონდ, მხოლოდ ნაწილობრივ) გვერდს უვლის ტრადიციულ მედიას. სამიზნე მოსახლეობაზე თავდასხმების მედია ეფექტს, რაც შიშის გამოსაწვევად არის ჩაფიქრებული, ახალი მხარდამჭერების მოსაზიდადაც იყე-

7 http://www.brookings.edu/research/papers/2015/03/isis-twitter-census-berger-morgan

8 Paul Smith, Terrorism and Violence in South East Asia, Eastgate Books, 2005, p. 228.

9 http: //icct.nl/wp-content/uploads/2016/03/ICCT-Gartenstein-Ross-IS-Global-Propaganda-Strategy-March2016.pdf

ნებენ. ისლამური სახელმწიფოს დაჯგუფება კარგად ფლობს საკომუ-ნიკაციო მეთოდებს და სოციალურ ქსელებს და აუდიტორიას გმირობისა და სიძლიერის მაცდუნებელ „ნარატივს“ სთავაზობს, რომელსაც ტრადიციული მედია, ზოგჯერ, დაუფიქრებლად აშუქებს.

ამ ახალი ონლაინ ბრძოლების მიუხედავად, ტრადიციული მედია მნიშვნელოვან მოთამაშედ რჩება, რადგან ბევრ ქვეყანაში საზოგადოებრივ აზრს კვლავ ტრადიციული მედიით მოწოდებული ინფორმაცია და ანალიზი აყალიბებს – იმ საზოგადოებრივ აზრს, რომელზეც ტერორიზმი გავლენის მოხდენას ცდილობს. ამ დიდ პროპაგანდისტულ თამაშში ტრადიციული მედია თავის პასუხისმგებლობას ყოველთვის ვერ იაზრებს; ინფორმაციის თეატრალიზებით ის ტერორის ამ სასიკვდილო ფერხულში ერთვება, რითიც ტერორისტებს შესაძლებლობას აძლევს, დადგან და წარუძღვნენ მას. ისეთი ვიდეოკადრების ხშირი ჩვენება, რომლებიც ქალაქ რაკაში ჯარისკაცთა კოლონების მარშირებას ანდა სამხედრო ჯიპებზე ამხედრებული ეგზალტირებული „უცხოელი მებრძოლების“ საომარ სიმამაცეს ასახავს, ამ დაჯგუფების „ჰეროიზაციას“ ემსახურება, ამბობს მედიის სოციოლოგი ჰასნა ჰუსეინი.[10]

როგორც აშშ-ის „სამხრეთის უნივერსიტეტის“ სამართლის პროფესორი მიშელ უორდ გეტი ამბობს, „თანამედროვე ტერორისტს, რაღაც თვალსაზრისით, მედია ქმნის. მედია ტერორისტს ბევრად უფრო ძლევამოსილად წარმოაჩენს, ვიდრე ის რეალურად არის. დანაშაულის ადგილზე მყოფნი ტელევიზიით უსუსურ ადამიანებად ჩანან, რომლებსაც არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ, ეს საზოგადოებაში შფოთვის და შიშის განცდას აჩენს, რაც ტერორისტის ხელში დაშინების ინსტრუმენტია. საზოგადოების შფოთვა ტერორისტის წარმოსახვით შესაძლებლობებს არა მარტო თავად ტერორისტის, არამედ მისი თანამებრძოლი ჯგუფების და სხვების თვალში აძლიერებს. ასეთი

10 http://www.lemonde.fr/idees/article/2016/06/18/terrorisme-assez-ave-les-scoops-de-lepouvante_4953153_3232.html

წარმოსახვითი ძლევამოსილება კი, ხშირად გამეორების ბიძგია და ეს ციკლიც მეორდება“.[11]

თუმცა, ტერორიზმისა და მედიის ასეთ გათანაბრებას ყველა არ ეთანხმება. ჯერ ერთი, როგორც ბრიჯიტ ნაკოსი[12] (კოლუმბიის უნივერსიტეტი, ნიუ-იორკი) ამტკიცებს, ტერორისტული აქტების უმეტესობა „მედია გაშუქების განზრახვით“ არ ხორციელდება და „თვითკმარია“. ერაყში ჩადენილი თავდასხმების კასკადი ამ კატეგორიაში ხვდება. ასევე არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც ცხადყოფს, რომ ტერორისტულ აქტებზე გაჩუმება „ჟანგბადის“ გადასაკეტად საკმარისია. პირიქით, ზოგის აზრით, „სრულმა სიჩუმემ“ შეიძლება ტერორისტულ დაჯგუფებებს თავდასხმების ესკალაციისა და მეტი ძალადობისკენ უბიძგოს, რომ მათი უგულებელყოფა ვერავინ შეძლოს. და ბოლოს, ტერორისტული დანაშაულების კვლევა აჩვენებს, რომ მედია შეიძლება ტერორიზმის „მახრჩობელა“ უფრო იყოს, ვიდრე მისი „ჟანგბადი“. 1972 წლის მიუნჰენის ოლიმპიადაზე ისრაელის სპორტსმენთა გუნდზე ტერორისტული თავდასხმის გახსენებისას საფრანგეთის სამეცნიერო კვლევის ეროვნული ცენტრის მკვლევარმა ჟაკ ტარნერომ თქვა, რომ მისთვის „პალესტინელთა ბრძოლას დიდხანს ექნება კაპიუშონიანი მკვლელის სახე. პალესტინელთა მცდელობამ, პოლიტიკური თანაგრძნობა მოეპოვებინათ, სრულიად საპირისპირო შედეგი გამოიღო.“[13] თუმცა, სხვები ამტკიცებენ, რომ ისეთ დაჯგუფებებს, როგორიც ისლამური სახელმწიფოა, თანაგრძნობა თუ პატივისცემის მოპოვება, რაც ძალაუფლებისთვის ბრძოლის საბოლოო მიზანია, ნაკლებად ანაღვლებთ; მათთვის უფრო მნიშვნელოვანი დაშინება და ძალმოსილებით თავის მოწონებაა, რასაც ძირითადად მედია გაშუქების მეშვეობით ახერხებენ.

---

11 Michelle Ward Ghetti, “The Terrorist Is A Star! Regulating Media Coverage of Publicity Seeking Crimes”, Federal Communications Law Journal, Volume 60/Issue 3, 2008, p. 495

12 Brigitte L. Nacos, Terrorism & the Media. From the Iran Hostage Crisis to the World Trade Center Bombing, Columbia University Press, New York, 1994, p. 53.

13 Jacques Tarnero, Les Terrorismes, Editions Milan, Toulouse, 1998, p. 46.

პარადოქსულია, მაგრამ იმ სახელმწიფოებს, რომლებიც ტერორიზმის სამიზნე გამხდარან, ეს ტრავმული მოვლენები აძლიერებს. ტერორისტულ თავდასხმაზე საზოგადოების მყისიერი რეაგირება, უდავოდ, კონსოლიდაციაა. სანამ მიზეზებსა თუ პასუხისმგებლობებზე კითხვების დასმას დაიწყებს, მედიაც, ამ „ეროვნული ერთობის“ პერიოდში, ამ ერთსულოვნებას მხარს უბამს. „როგორც სხვა შიდა კრიზისების დროს, მედია და ჟურნალისტები ერთი გუნდის წევრებივით იქცევიან, ხელისუფლებასთან ერთიანდებიან, რომ საზოგადოებრივი წესრიგი, უსაფრთხოება და სიმშვიდე აღადგინონ“, წერს ილინოისის უნივერსიტეტის პროფესორი დორის გრაბერი (აშშ).[14] თავდასხმის შემდგომ საათებსა და დღეებში მედია უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ როლს ასრულებს. აღელვებული და შეშინებული საზოგადოება მედიისგან უსაფრთხოების შესახებ ზუსტ ინფორმაციას, რჩევებსა და ანალიზს მოელის. „მედიის უპასუხისმგებლობის“ შესახებ გავრცელებული, ზოგჯერ პოლიტიკურად მავნებლური კლიშეს საპირისპიროდ, მედია მის ამ მოვალეობას ბოლო წლების მტკივნეული ისტორიის ბევრ მძიმე წუთებში ძალიან სერიოზულად მოჰკიდებია. არ არის სიმართლე, თითქოს სატელევიზიო ეკრანებზე, ვებ-გვერდებსა და სოციალურ ქსელებში მხოლოდ ძალადობას, შეცდომებსა და გაზვიადებას ვხედავთ.

თუმცა, ტერორიზმის გაშუქება არ შემოიფარგლება მხოლოდ იმ დრამატული მოვლენების ჩვენებით, რომლებიც ცხოვრების ჩვეულ რიტმს არღვევენ. ჟურნალისტიკის ხარისხს და საზოგადოებრივ სიკეთეს სხვა ფაქტორებიც განაპირობებს, კერძოდ, მისი კითხვები ტერორიზმის ფენომენის, მისი წარმოშობის და შედეგების თაობაზე. საგანგებო მოვლენების შესახებ ინფორმაციის სწრაფად გავრცელების გარდა ტერორიზმის გაშუქება მოითხოვს ისეთი ურთულესი თემების გამოძიებას და გაანალიზებას, რომლებიც საერთაშორისო პოლიტიკაზე, შიდა პოლიტიკურ ურთიერთობებზე, რელიგიასა და ტრანსნაციონალურ დანაშაულზე ახდენს გავლენას.

14 Doris A. Graber, Mass Media and American Politics, Congressional Quarterly Press, 1980, p. 239.

თავდასხმები ლაკმუსის ქაღალდია მედიისთვის, ააშკარავებს რა მისი ოპერირების სტილს, რეფლექსებსა და ყოველდღიურ პრაქტიკას, ასევე, მის პრინციპებსა და ღირებულებებს. „ტერორიზმი ერთ-ერთი ის თემაა, სადაც პროფესიული კომპეტენცია ყველაზე მეტად არის საჭირო," ამბობენ მაიკლ ვიევორკა და დომინიკ უოლტონი Front Page Terrorism-ში. „ჟურნალისტებს ტერორიზმი ხშირად სამი ფაქტორის გამო იზიდავთ, რომლებსაც უნდა უფრთხილდნენ: თავად მოვლენა, ერთგვარი ხაფანგი მედიის მოსაზიდად ამ პროფესიისთვის დამახასიათებელი ყველაზე სტერეოტიპული ქცევით; აქტორები, რომლებსაც ტერორისტულმა აქტმა მოუყარა თავი (რაც ინტერესს იწვევს); და ძალაუფლება (რომლისგანაც სწორი დისტანციის უშეცდომოდ განსაზღვრა არ არის ადვილი)".

ეს ეთიკური ხასიათის საკითხებია და განსაკუთრებით ეხება მედიის მიერ ძალადობის წარმოჩენას. თუმცა, მათ პოლიტიკური განზომილებაც აქვთ. თავდასხმა არ არის ის მოვლენა, რასაც ჩასვამ ახალი ამბების კლასიკურ ციკლში, სადაც ერთ ამბავს სწრაფად ენაცვლება მეორე. 2001 წლის 11 სექტემბრის თავდასხმების შემდეგ ჟურნალისტები მიხვდნენ, რომ ამ თავდასხმებით ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო. კეთრინ ე. ფინკელშტეინმა, რომელიც ამ მოვლენებს New York Times-ში აშუქებდა, თავისი მონათხრობი American Journalism Review-ში ამ ექვსი სიტყვით დაასრულა: „ეს საშინელი ამბის მხოლოდ დასაწყისი იყო".[15] ამ წინადადებას ეხმიანება ამ თავდასხმების შემდეგ New York Daily News-ში გამოქვეყნებული პიტ ჰამილის სტატიის ბოლო წინადადებაც: „გვქონდა განცდა, რომ სიკვდილი მხოლოდ ახლა დაიწყო".[16]

ტერორიზმი მიზნად არა მხოლოდ შეშინებას, არამედ გამწვავებას და პოლარიზებას ისახავს. ამას გულისხმობს ისლამური სახელმწიფოს

15 Katherine E. Finkelstein, "40 Hours in Hell", American Journalism Review, November 2001.

16 Pete Hamill, "Death Takes Hold Among the Living", New York Daily News, 12 September 2001.

დაჯგუფება, როდესაც საუბრობს „ნაცრისფერ ზონაზე“, „სადაც მრავალფეროვნება, შემწყნარებლობა, ურთიერთგაგება სუფევს, მსჯელობა და კამათი მიმდინარეობს. ეს ის სივრცეა, სადაც ხდება ურთიერთგაცვლა, კვლევა და დაინტერესება“, წერს ბრიტანული გაზეთის Guardian-ის ჟურნალისტი ჯეისონ ბერკი წიგნში „ახალი საფრთხე“.[17] 2015 წლის დასაწყისში, თავის ჟურნალში Dabiq, ისლამური სახელმწიფოს დაჯგუფება ამ ნაცრისფერი ზონის აღმოფხვრის საჭიროებაზე საუბრობდა, რომ პირისპირ მხოლოდ ორი ჯგუფი დარჩენილიყო: „ხალიფატი და ჯვაროსნები“. ამრიგად, ფსონები საკმაოდ მაღალია: მთავარია, ამ ფატალურ პოლარიზაციას არასრული ინფორმაციით, დაუფიქრებელი ფრაზებით, სტიგმატიზებით და განზოგადებით ხელი არ შევუწყოთ (იხილეთ, „განზოგადება“ გვ. 108). ჩეხი მწერლის მილან კუნდერას თქმით, მედიის მისიაა „ნათელი მოჰფინოს რეალობის სირთულეს“ და ის ისე არ გაამარტივოს, რომ რეალობას აღარ ასახავდეს.

ტერორიზმი გამოცდას მედიის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობასაც უწყობს, გარკვეულწილად, მძევლადაც კი ჰყავს ეს ღირებულებები აყვანილი. მასობრივი თავდასხმების შემდეგ, პატრიოტიზმის, გათვლების თუ ზეწოლის გამო, მედია, ზოგადად, მთავრობის მითითებებს ან საზოგადოებრივ აზრს ემორჩილება, რაც მას ზედმეტი თვითცენზურის და სახელმწიფო ძალაუფლების მეგაფონად ქცევის საფრთხეს უქმნის. ეროვნული უსაფრთხოება, გეოპოლიტიკური ინტერესები ან ერთად ცხოვრების მოთხოვნები ის საკითხებია, რომლებსაც ლეგიტიმურად მოჰყვება მოწოდებები თავშეკავებისკენ და რაც უფრო პრობლემატურია, ცენზურისკენ.

საკმაოდ ხშირად ბევრი სახელმწიფო „ტერორიზმს“ მედიის გასაჩუმებლად და ურჩი ჟურნალისტების გასაკონტროლებელ არგუმენტად იყენებს. ისინი ამ ტერმინს ლეგიტიმური მოსაზრებების ან ქმედებების დადანაშაულების და კრიმინალიზებისთვის ბოროტადაც იყენე-

17 The New Threat From Islamic Militancy, The Bodley Head, London, 2015, p. 244.

ბენ. საზოგადოებაც ცენზორივით იქცევა და იმ მედია საშუალებებს აკრიტიკებს, რომლებიც, მათი აზრით, ოფიციალურ ხაზს მკვეთრად დაშორდნენ ან „მოწინააღმდეგე ბანაკის“ მიმართ ზედმეტ „თანაგრძნობას“ იჩენენ. 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ მედიის ქცევის გაანალიზებისას Christian Science Monitor-ის ჟურნალისტი კიმ კემპბელი დაინტერესდა, უნდა „ერითმებოდეს ჟურნალისტიკა პატრიოტიზმს“ თუ არა, ანდა ამერიკის დროშებით ეკრანის გადავსება ან სატელევიზიო წამყვანების მიერ ბაფთების ტარება პატრიოტიზმის ნიშნად, ხომ „არ უშლის ხელს (ჟურნალისტური) მისიის შესრულებას, დაუსვას რთული კითხვები პოლიტიკოსებს.“ ამ საკითხზე სხვებს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ და ამაში პრობლემას ვერ ხედავენ.

ძალადობის მიუხედავად ტერორიზმი მედიას ვერ გააჩუმებს. პირიქით. სწორედ ასეთი დაძაბულობის და მღელვარების დროს არის თავისუფალი და პლურალისტული ინფორმაცია მნიშვნელოვანი, რათა საზოგადოების მოსაზრებები ასახოს. როდესაც მიზანში მოსახლეობის უსაფრთხოებაა ამოღებული, მედიამ მოსახლეობაც და დემოკრატიაც თავისი უფლების და მოვალეობის შესრულებით უნდა დაიცვას. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეას მიაჩნია, რომ „ტერორიზმმა მედიაში გამოხატვის და ინფორმაციის თავისუფლება არ უნდა შეზღუდოს, რადგან ეს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი საფუძველია. ეს თავისუფლება მოიცავს უფლებას, მიიღო ინფორმაცია საერთო ინტერესის საკითხებზე, მათ შორის ტერორისტული აქტების, საფრთხის, მათზე სახელმწიფოს და საერთაშორისო ორგანიზაციების რეაგირების შესახებ“. ამ მიდგომას ეხმიანება გაეროს გენერალური მდივნის მოადგილის იან ელისონის სიტყვები, რომლებიც მან 2016 წლის 11 მაისს ნიუ-იორკში ტერორიზმის საკითხებზე გამართულ უშიშროების საბჭოს სესიაზე წარმოთქვა: „მედიის თავისუფლება ტერორისტული დისკურსისგან თავდაცვის საშუალებაა“.[18]

18 http://www.un.org/press/en/2016/sc12355.doc.htm

ინფორმაციის დამალვა საფრთხის შემცველია. „ეს ამცირებს მედიისადმი ნდობას („კიდევ რას გვიმალავს?“), ხელს უწყობს წარმოუდგენელი ჭორების გავრცელებას და აფერხებს ინფორმაციის აღქმას,“ წერია აშშ-ის ტელეარხის CBS-ის ქცევის კოდექსში. მნიშვნელოვანია, რომ დემოკრატიამ რისკით ცხოვრება ისწავლოს და შეძლოს ამ რისკის მართვა იმ საფუძვლებისა და ღირებულებების შეულახავად, რაზეც ის დგას. „თუ ვერ ვეწინააღმდეგებით შიშს, რასაც საინფორმაციო პროგრამაში ნაჩვენები სისასტიკე ან უაზროდ აფეთქებულ ბომბი გვგვრის, ტირანების მეთოდების გამოყენების გარეშე, მაშინ ჩვენ თავისუფლებას არ ვიმსახურებთ,“ თქვა ნიუ-იორკელმა ტერორიზმის ისტორიკოსმა ჯონ ბოუელ ბელმა.[19]

მედია დიდი გამოწვევის წინაშე დგას. ტერორიზმი ის თემაა, რომელიც კონკრეტული და ხშირად ძალიან რთული გადაწყვეტილებების მთელ კასკადს მოიცავს, მათ შორის ისეთ საკითხებზე, რომლებიც მძევლების სიცოცხლეს, უსაფრთხოების ძალების რეაგირების შესაძლებლობას, ხელისუფლების ლეგიტიმურობას და პოლიტიკური სისტემის გადარჩენასაც კი ეხება. მართალია, ჟურნალისტიკის კლასიკური წესები აქაც გამოიყენება, მაგრამ ისინი უფრო დიდ განზომილებებს იძენენ, ვინაიდან საქმე ძალადობას ეხება და ფსონზე ჟურნალისტური ეთიკა დევს.[20]

ამ გადაწყვეტილებებს სოციალური ქსელებიც ართულებს, რომლებმაც ინფორმაციის მოძრაობის ციკლი შეცვალა. ტერორისტული დაჯგუფებები თავად ამზადებენ ვიდეო მასალებს, ხოლო საკუთარ ამბავს უშუალოდ საზოგადოებას უყვებიან, ჟურნალისტების მხრიდან გაფილტვრისა და მედიაციის გარეშე. გარდა ამისა, მილიონობით მოქალაქე ქმნის და ავრცელებს ინფორმაციას ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დაუცველად. მედიის ეს ახალი ფორმები ტრადიციულ მედიას ახალ მოთხოვნებს უყენებს. „ჩვენ საფრთხის წინაშე ვდგე-

19 The Roots of Terrorism, Richardson, Louise (Ed.), Routledge, New York, 2006, p. 61.
20 http://www.icfj.org/sites/default/files/Journalism%20Ethics_Global%20Debate.pdf

ბით, როდესაც ინფორმაციის მოცულობა იმდენად იზრდება, რომ არ ვიცით, ის როგორ დავამუშაოთ," ამბობს სტატისტიკის ჟურნალისტი ნეიტ სილვერი (აშშ) თავის ბესტსელერში „ნიშანი და ხმაური". ინ-ფორმაციის დამუშავების ეთიკური და პროფესიული სტანდარტე-ბი არასდროს არ ყოფილა ისე მნიშვნელოვანი, როგორც ახლაა: ფაქტების გადამოწმება, კონტექსტის გარკვევა და აზრის გამოტანა, გარკვევა იმ ქაოსში, გაუგებრობასა და შიშში, რაც ტერორისტული ძალადობის შედეგად შეიქმნა. „საჯაროობა შესაძლოა იყოს ტერო-რისტების ჟანგბადი," აღნიშნა ქეთრინ გრაჰამმა, Washington Post-ის დირექტორმა „უოტერგეიტის" და „პენტაგონის დოკუმენტების" სკან-დალების დროს, მაგრამ „ახალი ამბები თავისუფლების სასიცოცხლო ელემენტია".

მგზავრები ტოკიოს მეტროში, სარინის გაზით თავდასხმის შემდეგ, 1995 წლის მარტში სამედიცინო დახმარებას ელოდებიან.

© JIJI PRESS / AFP

1

მთავარი საკითხები

- → სახელის დარქმევა, გარკვეულწილად, მხარეებს შორის არჩევანის გაკეთებას ნიშნავს
- → ტერორიზმს ოფიციალური დეფინიცია არ აქვს
- → ტერორიზმი და წინააღმდეგობა: არსებითი განსხვავება
- → სახელმწიფო ტერორიზმი: „მმართველობის ფორმა“
- → „ტერორიზმის განდიდება“: ფრაზა, რომელიც სიფრთხილით უნდა განისაზღვროს
- → ყველა ტერორიზმი „რელიგიით მოტივირებული“ არ არის
- → დაადგინე და გადმოეცი ფაქტები სტერეოტიპიზაციის ან განზოგადების გარეშე
- → ტერორისტული ორგანიზაციების სიები: გამოსადეგი (თუმცა პოლიტიკურად საეჭვო) ინსტრუმენტი
- → „ის, ვინც ერთი ადამიანისთვის ტერორისტია, სხვისთვის არის თავისუფლებისთვის მებრძოლი“

© PROMETHEUS72 / SHUTTERSTOCK, INC.

თავი 1

ტერორიზმის გაშუქების ძირითადი საკითხები

ეს ფრაზები ყოველთვის ორაზროვანი და საკამათოა. „ის, ვინც ერთი ადამიანისთვის ტერორისტია, სხვისთვის არის თავისუფლებისთვის მებრძოლი“. „დღევანდელი ტერორისტი ხვალინდელი სახელმწიფო მოღვაწეა“. ეს განმეორებადი ფრაზები ჟურნალისტურ და პოლიტიკურ კომენტარებში კლიშეებად იქცა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათი გამოიყენება არასოდესაა ნეიტრალური. სახელის დარქმევა, გარკვეულწილად, მხარეებს შორის არჩევანის გაკეთება, რეალობის შენიღბვის ან რომელიმე „ნიუსმეიკერის“ მიერ თავსმოხვეული ინტერპრეტაციის მიღების საფრთხეს შეიცავს.

ტერორიზმი მრავლისმომცველი სიტყვაა. რას აღნიშნავს ის? ტაქტიკას თუ იდეოლოგიას? დანაშაულს თუ საომარ მოქმედებას? სიტყვა „ტერორიზმი“ ბევრნაირად განიმარტება და ამ განმარტებებში, ხშირად, ხაზგასმულია ესა თუ ის კონკრეტული ასპექტი, რომელიც პოლიტიკურ ან მორალურ მიდგომას ასახავს.

„ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რაც პოლიტიკური ტერორიზმის საყოველთაოდ მისაღები დეფინიციის შემუშავებას აფერხებს, ამ ტერ-

მინის ნეგატიური ემოციური დატვირთვაა," წერდა არიელ მერარი , თელ-ავივის უნივერსიტეტის კონტრტერორიზმის საერთაშორისო ინსტიტუტის პროფესორი. „ტერორიზმი, უბრალოდ, კიდევ ერთ დამაკნინებელ სიტყვად იქცა და არა კონკრეტული ტიპის საქმიანობის განმარტებად. ადამიანები ამ ტერმინს, როგორც წესი, იმ ფენომენის მთელი სპექტრის გასაკიცხ იარლიყად იყენებენ, რომელიც არ მოსწონთ და არც კი ცდილობენ, ზუსტად განსაზღვრონ, რას ნიშნავს ტერორისტული ქცევა".

„ნებისმიერი ქმედება [...], რომლის განზრახვაა მშვიდობიანი მოქალაქეების მოკვლა ან მათთვის მძიმე ფიზიკური დაზიანების მიყენება და თავისი ბუნებიდან და კონტექსტიდან გამომდინარე, მიზნად ისახავს მოსახლეობის დაშინებას ან ხელისუფლების თუ საერთაშორისო ორგანიზაციის იძულებას, შეასრულოს ან არ შეასრულოს რაიმე ქმედება".

მართალია, ეს ტერმინი ბევრ დოკუმენტსა და კონვენციაში გვხვდება, მაგრამ დღეისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში (UN) ერთიანი შეთანხმებული განმარტება არ არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ 1996 წლის დეკემბერში გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ეს მისია საგანგებო კომიტეტს დაავალა. 2003 წელს შექმნილმა „საფრთხეების, გამოწვევებისა და ცვლილებების შემსწავლელმა მაღალი დონის სპეციალისტთა ჯგუფმა" ერთ წელიწადში დეფინიციის თაობაზე ანგარიში წარადგინა. არსებულ დოკუმენტებზე, განსაკუთრებით, ჟენევის კონვენციაზე, რომელიც გმობს ომის და ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებს, ასევე ტერორიზმის წინააღმდეგ გაეროს 12 კონვენციაზე დაყრდნობით, ამ ანგარიშში შემოთავაზებული იყო სიტყვის „ტერორიზმი" გამოყენება შემდეგი ქმედების აღსაწერად: „ნებისმიერი ქმე-

დება [...], რომლის განზრახვაა მშვიდობიანი მოქალაქეების მოკვლა ან მათთვის მძიმე ფიზიკური დაზიანების მიყენება და თავისი ბუნებიდან და კონტექსტიდან გამომდინარე, მიზნად ისახავს მოსახლეობის დაშინებას ან ხელისუფლების თუ საერთაშორისო ორგანიზაციის იძულებას, შეასრულოს ან არ შეასრულოს რაიმე ქმედება“.

მნიშვნელოვანია ერთმანეთისგან განვასხვავოთ „ტერორიზმი“ და „წინააღმდეგობა“, რადგან ამ განსხვავებამ, რომელიც მედიაში ძალიან ხშირად გვხვდება, მრავალი მიდგომა და მოსაზრება წარმოქმნა. ამ განსხვავებაში ერთ-ერთი არსებითი საკითხი ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლაა, მაგრამ როგორც ფრანგი პოლიტიკური მეცნიერი ჟაკ ტარნერო აღნიშნავს, „წინააღმდეგობას ტერორიზმისგან ბრძოლის მეთოდები და სამიზნეების შერჩევა განასხვავებს“.[1] სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კამიკაძის თავდასხმა მშვიდობიან მოსახლეობაზე, ოკუპაციასთან ბრძოლის სახელით, წინააღმდეგობის აქტი კი არ არის, არამედ ტერორისტული აქტია.

წინამდებარე სახელმძღვანელოში, ისევე, როგორც ზოგადად მედია გაშუქების შემთხვევაში, თითქმის ყველა სიტყვა დაპირისპირებას და კამათს იწვევს. ასეთია ფრაზა „ძალადობრივი ექსტრემიზმი“, რომელიც სულ უფრო ხშირად გამოიყენება და რომლის „საყოველთაოდ შეთანხმებული დეფინიცია არ არსებობს,“ აღნიშნა გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა ადამიანის უფლებების დაცვის და კონტრტერორიზმის საკითხებზე ბენ ემერსონმა 2016 წლის თებერვალში. იგივე შეიძლება ითქვას ტერმინზე „პარტიზანი“, რომელსაც შეიარაღებული დაჯგუფებები ირქმევენ, ხოლო სამიზნე სახელმწიფოები მათ ტერორისტებს უწოდებს (*იხილეთ, „სიტყვები“ გვ. 84*).

1 Les Terrorismes, Editions Milan, 1998

1.1 „სახელმწიფო ტერორიზმის“ ცნება

რამე ქმედების „სახელმწიფო ტერორიზმად“ მოხსენიება ხშირად ცხარე კამათს იწვევს. რამდენად შეიძლება იმ ქვეყნებს, რომლებიც საერთაშორისო ჰუმანიტარულ კანონმდებლობას არღვევენ, ეწოდოთ „ტერორისტი“? პასუხები დიამეტრალურად ერთმანეთისგან განსხვავდება და ხშირად, სრული უთანხმოებაა იმ ადამიანებს შორის, ვინც „ტერორისტულ აქტებს“ მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლის გამო გმობს და ვინც ძალის „პროპორციულ“ გამოყენებას ამართლებს, თუმცა ამავე დროს აღიარებს, რომ ის „სამწუხარო თანმდევ დანაკარგს“ იწვევს.

სახელმწიფო ტერორიზმი, ჩვეულებრივ, არ ხვდება იმ მთავრობათაშორისი ორგანიზაციების მხედველობის არეში, რომლებიც ტერორიზმის ერთიანი საერთაშორისო განმარტების შემუშავებას ცდილობენ. მიუხედავად ამისა, სიტყვა „ტერორიზმი“ მომდინარეობს „ტერორის მმართველობიდან“, რომელიც რობესპიერმა მე-18 საუკუნის ბოლოს, საფრანგეთის რევოლუციის დროს მოაწყო.

მოგვიანებით, ამ სიტყვით პოლიტიკური მტრების წინააღმდეგ სახელმწიფოს დაუნდობელ ქმედებებს აღწერდნენ. როდის არის სახელმწიფო ტერორიზმზე საუბარი ლეგიტიმური? როდესაც ტერორი გამოიყენება „მმართველობის მეთოდად, რომელიც შესაძლებლობას აძლევს არსებულ ხელისუფლებას, მისი მოწინააღმდეგეები უკიდურესი ზომებითა და კოლექტიური შიშის გზით გაანადგუროს,“ ასე პასუხობს ამ კითხვას ჟერარ ჩალიანდი.[2]

ასეთ უკიდურეს ზომებს შორისაა წამება, იძულებითი გაუჩინარება, ოპონენტების შერჩევითი და მასობრივი მკვლელობები.

2 Encyclopedia Universalis, http://www.universalis.fr/encyclopedie/terrorisme/

შესაძლოა პარადოქსულად ჩანდეს, მაგრამ ამ „სახელმწიფო ტერორიზმმა“ შეიძლება ტერორიზმსა და დაუმორჩილებლობასთან ბრძოლის დროსაც კი იჩინოს თავი. ამის ისტორიული მაგალითები მრავლადაა და თითოეული მათგანი ხშირად ემოციებს, მოგონებებსა და კამათს იწვევს.

საქმე რთულდება, როდესაც „სახელმწიფო ტერორიზმი“ დემოკრატიულ ქვეყნებში ხდება. „სახელმწიფო ტერორიზმს“ ზოგჯერ „სახელმწიფოში სახელმწიფოს“ ცნებას უკავშირებენ, ანუ დემოკრატიის „ლეგალური ფასადის“ უკან მოქმედ ქსელს, რომელიც აერთიანებს უსაფრთხოების სამსახურებს, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალებს და კრიმინალურ დაჯგუფებებსაც კი. ამ ქსელის მიზანია, აღკვეთოს დამყარებული წყობის ნებისმიერი ცვლილება, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს ტერორისტული აქტების ჩადენას გულისხმობს.

1.2 განდიდების თავიდან აცილება

გავიმეორებთ, რომ ეს სიტყვები გამოწვევას წარმოადგენს, რადგან ტერორიზმის განდიდება კანონით დასჯადი ქმედებაა. და მაინც, როდის შეიძლება ითქვას, რომ მედია ტერორიზმს განადიდებს?

ეს კითხვა ცხადია, იმ მედიებს ეხება, რომლებიც ახლოს არიან „ტერორისტულ“ ორგანიზაციებთან: ემსახურებიან თუ არა ისინი არაოფიციალურად ამ ტერორისტულ ორგანიზაციებს? რა კანონები ვრცელდება იმ მედიებზე, რომელთა ჟურნალისტური სტატუსი საკამათოა? ზოგი ქვეყანა მათ დახურვას მოითხოვს; სხვა ქვეყნები მათი მონიტორინგით და ისეთი მასალების მოძიებით კმაყოფილდებიან, რომლებიც კანონმდებლობასთან შეუსაბამოა.[3] თუმცა, ტერორიზმის ქების თუ განდიდების ბრალდება არ იმოქმედებს მანამ, ვიდრე „ტე-

3 http://www.osce.org/fom/203926?download=true

რორისტულად“ წოდებული ორგანიზაციების თუნდაც ლეგიტიმური, ჟურნალისტური გაშუქება კრიმინალიზებულია ანდა მედიას ტერორიზმთან ბრძოლაში სახელმწიფოს უკანონო ქმედებების გამოვლენა ეკრძალება.

1.3 ტერორიზმის სხვადასხვა ფორმის გაშუქება

დროის სხვადასხვა პერიოდში, მედია (და პოლიტიკური სფერო) კონცენტრირებას ტერორიზმის სხვადასხვა ფორმაზე ახდენს ხოლმე. 1960-1980 წლებში საინფორმაციო სამსახურები ძირითადად ულტრამემარჯვენე, ულტრამემარცხენე და დამოუკიდებლობის მოძრაობებთან დაკავშირებულ ტერორიზმს აშუქებდნენ. მართალია, ამ ფორმის ტერორიზმი სრულად არ აღმოფხვრილა, მაგრამ დღეს ყველაზე დიდ ყურადღებას „რელიგიით მოტივირებული ტერორიზმი“ იპყრობს და განსაკუთრებით ფართოდ იმ ორგანიზაციების მიერ მოწყობილი თავდასხმები შუქდება, რომლებიც ისლამის მიმდევრებად აცხადებენ თავს.

მართალია, ბევრი მკვლევარი და რელიგიის მეცნიერი ამ მოცემულობას აანალიზებს და ხშირად წინააღმდეგობრივ თეორიებს აყალიბებს იმასთან დაკავშირებით, ემყარება თუ არა ტერორიზმი რელიგიას, მაგრამ ისლამის მითითება ცხარე კამათს იწვევს არა მარტო მუსლიმ თემში, არამედ იმ ქვეყნებში, სადაც ისლამი სახელმწიფო რელიგიაა. 2016 წლის 11 მაისს, გაეროს უშიშროების საბჭოს ერთ-ერთ შეხვედრაზე, კუვეიტის წარმომადგენელმა ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაციის სახელით განმარტა, რომ შეცდომა იყო გამოთქმა „რელიგიით მოტივირებული ტერორისტული დაჯგუფებები“, რადგან „არცერთი რელიგია არც იწონებს და არც ახალისებს ტერორიზმს,“ მიუხედავად იმისა, რომ არსებობენ „ტერორისტული დაჯგუფებები, რომლებიც რელიგიებს ბოროტად იყენებენ“.[4]

4 http://www.un.org/en/ga/search/view_doc.asp?symbol=S/PV.7690 p.61

საერთაშორისო მედია, როგორც წესი, აღნიშნავს, რომ ეს დაჯგუფებები ომს აწარმოებენ დასავლეთის წინააღმდეგ, მაგრამ ხშირად ავიწყდებათ დასძინონ, რომ ეს ძალადობრივი ქმედებები ხშირად მეტწილად მუსლიმ მოსახლეობას აყენებს პირდაპირ დარტყმას, როგორც ეს ერაყსა და სირიაში ხდება, ან ირიბ დარტყმას, როგორც ეს 2016 წლის 24 მარტს ბრუსელში და 2016 წლის 14 ივლისს ნიცაში თავდასხმების შემთხვევაში მოხდა, როდესაც მსხვერპლებს შორის მუსლიმებიც აღმოჩნდნენ.

თავდასხმების მთელი კასკადის შემდეგ, მედიაში ისლამის მითითებამ საყოველთაო ხასიათი მიიღო, როგორც ეს 2006 წელს მიუნჰენში ირანული წარმოშობის ახალგაზრდა გერმანელის მიერ მოწყობილი თავდასხმის შემდეგ ვიხილეთ. ირანის ხსენებამ კომენტარები არასწორი მიმართულებით წაიყვანა და მედიამ ისევ ისლამზე გაამახვილა ყურადღება, მიუხედავად იმისა, რომ როგორც ირანული წარმოშობის ამერიკელმა ჟურნალისტმა ალექს შამსმა აღნიშნა, ეს დანაშაული ინსპირირებული იყო ერთ-ერთი ულტრამემარჯვენე იდეოლოგიით, რომელიც არიულ თეორიებზე დაყრდნობით ირანელთა ერთმა ჯგუფმა შეიმუშავა და ძალადობის კულტურით დასავლურ საზოგადოებებში.[5] ტერორიზმის რისკების შესახებ თავიანთ კვლევებსა და ანგარიშებში სახელმწიფოები და ინსტიტუტები რელიგიით მოტივირებული ჯგუფებით არ იფარგლებიან და ყველა ტიპის საფრთხეს განიხილავენ. მაგალითად, ევროპოლმა 2015 წლის ანგარიშში ულტრამემარჯვენე, ანარქისტული და ეთნონაციონალისტური ორგანიზაციებიც შეიყვანა.[6]

ექსტრემისტული ქმედებების ეროვნული მონაცემები გლობალური ტენდენციისგან განსხვავდება. მაგალითად, შეერთებულ შტატებში, 2001 წლის 11 სექტემბრის თავდასხმებიდან 2015 წლამდე, სუპრემასის-

5 http://www.huffingtonpost.com/alex-shams/why-did-the-munich-killer_b_11154486.html

6 https://www.europol.europa.eu/content/european-union-terrorism-situation-and-trend-report-2015

ტების ან მთავრობის მოწინააღმდეგე ულტრამემარჯვენეების მიერ ჩადენილ ძალადობრივ აქტებს მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ვიდრე „ჯიჰადისტების“ მიერ ჩადენილს.[7] (*იხილეთ, „სიტყვები“, გვ. 84*).

მუსლიმური თემის წარმომადგენლები ამ ციფრებზე ამახვილებენ ყურადღებას და ინფორმაციის დამუშავების სტანდარტებსა და მეთოდებს ეჭვქვეშ აყენებენ. ისინი გმობენ იმ ფაქტს, რომ მედია ულტრამემარჯვენეთა თავდასხმებს ნაკლებად აშუქებს, დამნაშავეთა მოტივაციის დეპოლიტიზებას ახდენს და ხშირად დანაშაულს ფსიქიკის დარღვევებით ხსნის. ამ დამნაშავეთა თეთრი იდენტობა და რელიგიური რწმენა (ქრისტიანობა) განზოგადებას და მთელი ეთნიკური თუ რელიგიური თემის ტერორისტად წარმოჩენას არ ახდენს.[8]

მსგავსი კომენტარი გააკეთა Financial Times-მა, როდესაც 2016 წლის ივნისში ბრიტანელი ლეიბორისტი პარლამენტარი ჯო კოქსი მოკლეს. გაზეთმა აღნიშნა, რომ ის „სიფრთხილე“, რასაც ტაბლოიდები ამ პარლამენტარის მკვლელის ულტრამემარჯვენეებთან შესაძლო კავშირების თაობაზე იჩენენ, უნდა გამოიყენებოდეს ტერორისტული ძალადობის ყველა შემთხვევის მიმართ. „თვალშისაცემია, რომ როგორც Sun-მა, ასევე Daily Mail-მა, ამ ორმა არცთუ ფრთხილი და თავშეკავებული გაშუქებით ცნობილმა მედიამ, ხაზგასმით აღნიშნა, რომ სავარაუდო მკვლელი ‘შეშლილი მარტოსული’ ან ‘ფსიქიკური აშლილობის მქონე მარტოსული’ იყო,“ წერდა Financial Times-ი.[9] თუმცა, სხვა ჯგუფები „მემარჯვენე“ თუ „პოლიტკორექტულ“ მედიას ისლამისთვის იმ დაჯგუფებების მიერ ჩადენილ დანაშაულზე პასუხისმგებლობის არიდების მცდელობაში ადანაშაულებენ, რომლებიც

7 http://www.nytimes.com/2015/06/25/us/tally-of-attacks-in-us-challenges-perceptions-oftop-terror-threat.html

8 http://mediamatters.org/blog/2015/11/30/the-planned-parenthood-attack-and-howhomegrown/207105

9 https://www.ft.com/content/5fd5a4e8-3480-11e6-ad39-3fee5ffe5b5b

ისლამის მიმდევრებად აცხადებენ თავს. ყველა მხარის დაკვირვების ქვეშ მყოფ და ყველა მიერ ეჭვმიტანილ პრესის რეპუტაციას, რომელიც ცდილობს, თავიდან აიცილოს სტერეოტიპიზაცია და განზოგადება, მძიმე გამოცდას უწყობენ.

კიბერტერორიზმი: ტერორიზმის ეს ფორმა მორიგი დასტურია, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს სიტყვების განმარტებას. ფრანგული ლექსიკონის Larousse-ის თანახმად, კიბერტერორიზმი არის „ნებისმიერი სერიოზული, მასშტაბური შეტევა (ვირუსები, მეკობრეობა, სხვა) კომპანიის, ინსტიტუტის ან სახელმწიფოს კომპიუტერებზე, ქსელებსა და საინფორმაციო სისტემებზე, რომლის მიზანია, გამოიწვიოს საერთო შეფერხება, რასაც შეიძლება პანიკა მოჰყვეს"; სხვები, მაგალითად, ევროპის საბჭო, ამ ტერმინით აღნიშნავს ტერორისტული ჯგუფების ყველა ონლაინ ქმედებას, მათ შორის პროპაგანდას და რეკრუტირებას. განზოგადების თავიდან ასაცილებლად გაჩნდა ახალი სიტყვები, როგორებიცაა „კიბერ ჯიჰადი" ან „ელექტრონული ჯიჰადი", რომლებითაც ალ-ქაიდას ან ისლამური სახელმწიფოს დაჯგუფების მიერ ინტერნეტის გამოყენება აღინიშნება (*ამ სიტყვების შესაბამისობის თაობაზე იხილეთ „სიტყვები", გვ. 84*).

ზოგი ავტორი მიიჩნევს, რომ „კიბერტერორისტულ" შეტევად კვალიფიცირება დამოკიდებულია მის ზეგავლენასა და მოტივაციაზე. როგორც ალიქს დეფორჯისი საფრანგეთის თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტის გამოაქვეყნებულ ერთ-ერთ ვიდეოჩანაწერში აღნიშნავს, რომ ზოგიერთი სპეციალისტი, მაგალითად, დოროთი დენინგი, „ჰაკტივიზმს" და კიბერტერორიზმს ერთმანეთისგან მკაფიოდ განასხვავებს. **ჰაკტივიზმი** გულისხმობს „ოპერაციებს, რომლებშიც ჰაკერული მეთოდები სამიზნე ინტერნეტ-გვერდის წინააღმდეგ გამოიყენება და მიზნად ისახავს მუშაობის ნორმალური რიტმის დარღვევას, სერიოზული ზიანის მიყენების გარეშე".

ექსპერტების ვარაუდით, დღეს არ არსებობს დიდი საფრთხე იმისა, რომ ტერორისტული ორგანიზაციები კიბერტერორიზმს სახელმწიფოს დაშინების ან მისი რომელიმე სტრატეგიული ინსტიტუტის თუ ობიექტის ფუნქციონირების სერიოზული შეფერხებისთვის გამოიყენებენ. ექსპერტთა აზრით, ასეთი შეტევები, ამ ეტაპზე, უფრო სამთავრობო სტრატეგიები შეიძლება იყოს. თუმცა, სულ უფრო მეტად ხდება სახელმწიფოების და მსხვილი კომპანიების მოწყვლადობისა და საინფორმაციო სისტემებზე მათი დამოკიდებულების გააზრება. განსაკუთრებით საშიშია კიბერშეტევის და კონვენციური შეტევის კომბინაცია, რომელიც უსაფრთხოების სამსახურების და საავადმყოფოების რეაგირებას შეაფერხებს.

გაეროს წყარო: ინტერნეტის გამოყენება ტერორისტული მიზნებით[10]

განგსტერული ტერორიზმი: ამ ტერმინის, რომელიც კრიმინალის და ტერორიზმის თანაარსებობას აღნიშნავს, ახლა ძირითადად ისეთი ექსტრემისტების მიმართ იყენებენ, რომლებიც თავიანთი „კარიერის“ დასაწყისში კანონდამრღვევები იყვნენ, ასევე, კრიმინალური აქტივობების (იარაღით, ნარკოტიკებით და ადამიანებით ვაჭრობა, ფულის გათეთრება, სხვა) და ტერორისტული აქტივობების ჰიბრიდს ქმნიან. ამ ტერმინით ზოგჯერ მოიხსენიებენ მაფიას, რომელმაც იტალიის სახელმწიფოს სერიოზული დარტყმა მიაყენა, განსაკუთრებით 1982 წელს გენერალ დალა კიეზას და 1992 წელს მოსამართლე ჯოვანი ფალკონის მკვლელობებით.

ნარკოტერორიზმი: ეს ტერმინი აღნიშნავს ნარკოტიკებით ვაჭრობაში შეიარაღებული, პოლიტიკური ჯგუფების უშუალო მონაწილეობას; თანამშრომლობას ნარკოტრაფიკით დაკავებულ კრიმინალურ ჯგუ-

10 http://www.unodc.org/documents/frontpage/Use_of_Internet_for_Terrorist_Purposes.pdf

ფებსა და შეიარაღებულ დაჯგუფებებს (პარტიზანები) შორის; შეიარაღებული ჯგუფების მიერ ნარკოტიკებზე გადასახადის დაწესებას და ნარკოტიკებით მოვაჭრეების მიერ ჩადენილ ტერორისტულ აქტებს.

1.4 ტერორისტული ორგანიზაციების სიები

გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ყველა ტერორისტული ორგანიზაციის გლობალური სია შედგენილი არ აქვს, მაგრამ აქვს კონკრეტული სიები, როგორებიცაა გაეროს „სანქციების რეჟიმის სია“, რომელიც ამ ორგანიზაციამ 1999 წელს 1267 რეზოლუციით მიიღო.

ამ სიაში შედიან ალ-ქაიდასთან, თალიბანთან და მათ თანამზრახველებთან დაკავშირებული ინდივიდები და დაჯგუფებები. 2011 წელს სანქციების კომიტეტი, რომელიც 1267 რეზოლუციით შეიქმნა, დაიყო და ის მხოლოდ ალ-ქაიდასა და მის თანამზრახველებზეა ფოკუსირებული. „რეჟიმი 1988 (2011)“, რომელიც იმავე წელს შეიქმნა, კონკრეტულად თალიბანს ეხება.

2015 წელს 2253 რეზოლუციით შეიქმნა „სანქციების სია ისლამური სახელმწიფოს/დაეშის და ალ-ქაიდას წინააღმდეგ“.[11]

გაეროს ეს სიები გაერთიანებული ერების ქარტიის მე-7 თავთან არის შესაბამისობაში და შესაბამისად, მათში გათვალისწინებული სანქციები ყველა წევრი ქვეყნისთვის სავალდებულოა. ისლამური სახელმწიფოს/დაეშის წინააღმდეგ სანქციების სიას მართავს სანქციების კომიტეტი, რომელიც კომიტეტი 1267-ის სახელითაა ცნობილი და რომლის შემადგენლობაში უშიშროების საბჭოს 15-ვე წევრი შედის. ეს სიები შეზღუდვებს აწესებს იმ ორგანიზაციებსა და ინდივიდებზე, რომლებიც ამ დაჯგუფებების წევრები არიან ანდა ასეთებად მიიჩნე-

11 https://www.un.org/sc/suborg/en/sanctions/1267/aq_sanctions_list

ვიან (მგზავრობის აკრძალვა, საბანკო ანგარიშების გაყინვა, ქონების დაყადაღება და სხვა).

ზოგი ამ სიებში შეყვანის კრიტერიუმებს მათი პოლიტიზებისა და შერჩევითობის გამო აკრიტიკებს. კონკრეტულად ამ სიების ნაკლოვანებებზე მარტინ შეინინმა ისაუბრა, რომელიც 2011 წლამდე ადამიანის უფლებების დაცვისა და კონტრტერორიზმის საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებელი იყო.[12]

ექსპერტების ვარაუდით, დღეს არ არსებობს დიდი საფრთხე იმისა, რომ ტერორისტული ორგანიზაციები კიბერტერორიზმს სახელმწიფოს დაშინების ან მისი რომელიმე სტრატეგიული ინსტიტუტის თუ ობიექტის ფუნქციონირების სერიოზული შეფერხებისთვის გამოიყენებენ.

რამდენიმე ქვეყანამ, მათ შორის შეერთებულმა შტატებმა, საფრანგეთმა, კანადამ,[13] ინდოეთმა და ჩინეთმა, ასევე მთავრობათაშორისმა ინსტიტუტებმა, კერძოდ კი, ევროკავშირმა შეადგინა იმ ორგანიზაციების სიები, რომლებსაც ტერორისტულად მიიჩნევენ. ეს სიები ასახავს საერთაშორისო პოლიტიკის მიდგომებსა და პრიორიტეტებს, რომლებიც ამ ქვეყნებმა და ინსტიტუტებმა განსაზღვრეს. ამ სიებით შეიძლება აიხსნას ასევე სანქციები და შეზღუდვები, რომლებიც ხორციელდება.

ფრაზა „ტერორისტული სახელმწიფო“ ხშირად გამოიყენება და აღნიშნავს სახელმწიფოებს, რომლებიც ტერორიზმს საერთაშორისო

12 http://www2.ohchr.org/english/bodies/hrcouncil/docs/16session/A-HRC-16-51.pdf
13 http://www.securitepublique.gc.ca/cnt/ntnl-scrt/cntr-trrrsm/lstd-ntts/crrnt-lstd-ntts-fra.aspx

გავლენის მოხდენის ინსტრუმენტად იყენებენ. ეს ტერმინიც კამათს იწვევს, რადგან ქმედებები, რომლებსაც ერთი სახელმწიფო კონტრერორისტულ ზომებად მიიჩნევს, შეიძლება მეორე სახელმწიფომ, რომელიც ამ ქმედებებს ეწინააღმდეგება ან მათგან ზარალდება, როგორც ტერორისტული ქმედებები დაგმოს. თუმცა, საერთაშორისო პოლიტიკაში ეს რეალობაა. ისტორია სავსეა საიდუმლო დოკუმენტებით, რომლებიც აჩენს ეჭვს (მართალია, ხშირად მკაფიო მტკიცებულებების გარეშე) სახელმწიფოების ტერორისტულ აქტებში მონაწილეობის შესახებ; ეს კი ცდუნებას აჩენს, რომ ყოველი თავდასხმის უკან „დიადი კოორდინატორი“ და შენიღბული დირიჟორი დავინახოთ.

წყაროები:

გაეროს სანქციების კომიტეტის სია
https://www.un.org/sc/suborg/en/sanctions/un-sc-consolidated-list#composition%20list

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის კონტრტერორიზმის ბიუროს მიერ შედგენილი უცხო ქვეყნების ტერორისტული ორგანიზაციების სია
http://www.state.gov/j/ct/rls/other/des/123085.htm

ევროკავშირის სია
http://eur-lex.europa.eu/legal-content/FR/TXT/HTML/?uri=URISERV:l33208&from=FR
http://www.consilium.europa.eu/fr/policies/fight-against-terrorism/terrorist-list/

2

მთავარი საკითხები

- → უზრუნველყავით მკაფიო, ზუსტი, ოპერატიული და პასუხისმგებლიანი ინფორმაციის მიწოდება
- → დაამტკიცეთ, რომ თქვენი მოვალეობა ინფორმირებაა
- → ახსნა არ ნიშნავს გამართლებას
- → დაიცავით სათანადო დისტანცია
- → გაითვალისწინეთ ინფორმაციის ზეგავლენა ღირსებასა და უსაფრთხოებაზე
- → იყავით გათვითცნობიერებული ტერორიზმის, კონტრტერორიზმის, კანონმდებლობის საკითხებში
- → სიფრთხილით მოეკიდეთ ხელისუფლებასთან ურთიერთობებს
- → გააკონტროლეთ ტერორიზმის „ჩარჩოს ფორმირება“
- → სიფრთხილით მოეკიდეთ დაუსაბუთებელ თეორიებს, კატეგორიულ შეფასებებს და წინასწარგანწყობებს
- → შეაფასეთ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კანონმდებლობის კონტექსტში
- → თავი შეიკავეთ შიშის დათესვისგან
- → გამოიყენეთ პლურალისტული, დაბალანსებული და ინკლუზიური საინფორმაციო ხედვა
- → განიხილეთ ტერორიზმი, მისი სამიზნის მიუხედევად, შეტევად ყველას წინააღმდეგ
- → იფიქრეთ გლობალურად და თავიდან აიცილეთ „საინფორმაციო ნაციონალიზმი“

თავი 2
მედია ფრონტის წინა ხაზზე

2.1 საწყისი წერტილი

ტერორისტული აქტის პირველივე წუთებში მედია ხშირად ინფორმაციის პირველწყაროა და მოქალაქეებს ბევრად ადრე აწვდის ცნობებს, ვიდრე სახელმწიფო სტრუქტურები შეძლებენ კომუნიკაციას.

შესაბამისად, მედიას უმნიშვნელოვანესი მისია აკისრია: უზრინველყოს „მკაფიო, ზუსტი, ოპერატიული და პასუხისმგებლიანი ინფორმაციის“ მიწოდება, როგორც ეს აშშ-ის ჯორჯ მეისონის უნივერსტიტეტის სპეციალისტმა ფრენკ სესნომ თქვა.[1] მიზანი არის, ოფიციალურ სამსახურებთან (პოლიცია, კრიზისის ცენტრი, სხვა) ერთად ან მათ პარალელურად, მოქალაქეების საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფაში დახმარება.

ინფორმაციის სათანადო დამუშავებით, კრიზისის სიმბოლური მართვით, თვითკონტროლით, თავშეკავებულობითა და ემპათიით მედიას

1 U.S. House of Representatives, Combating Terrorism: The Role of the American Media, September 15, 2004, p. 8.

და განსაკუთრებით, საინფორმაციო ტელეპროგრამების წამყვანებსა და რეპორტიორებს საზოგადოების დამშვიდებაც შეუძლიათ. საუბრის ტონით და სიტყვებისა თუ გამოსახულებების შერჩევით მედია არა მარტო ხელს უწყობს პანიკის აცილებას, არამედ აჩერებს შურისძიებას იმ ადამიანების ან ჯგუფების მიმართ, რომლებიც, საზოგადოების აზრით, თავდასხმის ჩამდენებთან ასოცირდებიან.

მედიამ საკომუნიკაციო სფეროს შუქურის როლი უნდა შეასრულოს. ეგრეთ წოდებული „სამოქალაქო ჟურნალისტიკის“ მომძლავრებამ (სოციალური ქსელებით, მობილური ტელეფონებით და ბლოგებით) და ინფორმაციის უწყვეტმა დინებამ სრულიად აუცილებელი გახადა იმ საინფორმაციო ნაკადების გადამოწმება, გაფილტვრა და ინტერპრეტირება, რომლებიც ჭორების, არასწორი პროგნოზების, სპეკულაციისა და „ტროლინგის“ ქაოტურ მორევში ცირკულირებს. თავდასხმით გამოწვეული დაბნეულობისა და ღელვის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება „ჟურნალისტიკის აქტებს“, რაც ამერიკელი ჟურნალისტისა და პედაგოგის ჯოშ სტერნზის განსაზღვრის თანახმად ნიშნავს ქმედებებს, რომლებშიც ჟურნალისტიკის პროფესიული და ეთიკური პრინციპები დაცულია.[2]

2.2 ეთიკა და პრინციპები

ტერორიზმი ჟურნალისტური ეთიკის კლასიკურ პრინციპებს განსაკუთრებულ გამოცდას უწყობს:

1. სიმართლის დადგენა

ჟურნალისტიკის ერთ-ერთი ძირეული პრინციპი – სიმართლის დადგენა, იმპერატიულია ტერორისტული აქტების კონტექსტში. თავდაპირველად დაბნეულობა და სპეკულაციები სჭარბობს. შესაბამისად, აუცილებელია ფაქტების ზედმიწევნით ზუსტი დადგენა და ბუნდოვა-

2 Acts of Journalism, 17 October 2013, https://www.freepress.net/resource/105079/actsjournalism-defining-press-freedom-digital-age

ნების თავიდან აცილება. სავალდებულოა ფაქტების გადამოწმებაც. სიმართლის დადგენა გულისხმობს ასევე უფლებას და მოვალეობას ახსნა, რა და რატომ მოხდა, მიუხედავად იმისა, რომ ამას ზოგჯერ ტერორისტული აქტების გამართლებად აღიქვამენ ან აკრიტიკებენ. თუმცა, აუცილებელია, სცადო, გაშიფრო „უგუნურების მიზეზები", განიხილო ტერორისტული აქტების საწყისები და ტერორისტთა მოთხოვნები. ძალადობრივი აქტის სისასტიკე ვერ იქნება მისი მიზეზების გაანალიზებაზე უარის თქმის წინაპირობა.

ჟურნალისტიკის ერთ-ერთი მოვალეობაა, ახსნას რთული რეალობა. ის არ უნდა შემოიფარგლოს მტკიცებებით, რომ „აქ არაფერია ასახსნელი", რადგან ტერორისტები „ბარბაროსები არიან და მეტი არაფერი". ჟურნალისტური ეთიკის ძირითადი წესები ამ ვალდებულებას სიმართლის დამოუკიდებელი ძიების ელემენტად განიხილავს. New York Times-ის ჟურნალისტი რუკმინი კალიმანჩი 2013 წელს მალიში ტერორისტულ დაჯგუფებებზე საგამოძიებო რეპორტაჟის მომზადების გამო მკაცრად გააკრიტიკეს. მას ჰკითხეს: „როგორ ბედავ, ამ ხალხს საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობას რომ აძლევ? როგორ ბედავ, წარმოაჩინო ისინი სხვა არსებებად, გარდა ცოფიანი ძაღლებისა, როგორებიც ისინი არიან?"

ამ კრიტიკას მან ასე უპასუხა: „ჩემი რეპორტაჟი არ უარყოფს, რომ ისინი ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულებს ჩადიან. თუმცა, ჩემი აზრით, ჩვენი, როგორც ჟურნალისტების მოვალეობაა, გავერკვეთ საკითხში და იქ, სადაც მხოლოდ შავ-თეთრი ფერებია, ნაცრისფერი შემოვიტანოთ, რადგან ყველა საკითხს ყოველთვის აქვს ნაცრისფერი შეფერილობა".[3]

2. დამოუკიდებლობა

ტერორიზმი გამოცდას უწყობს მედიის უფლებას, დამოუკიდებლად გააშუქოს მოვლენები. კრიზისების დროს, როდესაც საფრთხე ექმნება

3 http://www.wired.com/2016/08/rukmini-callimachi-new-york-times-isis/

მოქალაქეთა მშვიდობასა და ეროვნულ უსაფრთხოებას, ადამიანები წნეხის ქვეშ არიან, იყვნენ მობილიზებული. პატრიოტიზმისკენ მოწოდებები, რომლებიც მიდრეკილია ცალსახად ამტკიცოს თავდასხმის დაუნდობლობა, ამავდროულად ცენზურის დაწესებაზე მოწოდებებში გადაზრდის საფრთხეს ქმნის.

ზოგ ქვეყანაში კანონმდებლობა მედიას ძალიან მცირე თავისუფლებას აძლევს და მის მოქმედებას მკაცრად ზღუდავს. კვლევაში, რომელიც ინდოეთსა და შრი-ლანკაში ტერორიზმის გაშუქების საკითხებს სწავლობდა, შაკუნტალა რაომ (ნიუ-იორკის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პლატსბერგი) და პრადიპ ნვერასინგმა (კოლომბოს უნივერსიტეტი, შრი-ლანკა) დაადგინეს, რომ მედიის დამოუკიდებლობა იზღუდებოდა. მათ განსაკუთრებით ხაზი გაუსვეს „ხელისუფლების მხრიდან ახალი ამბების მანიპულირებას; ზეწოლას, მედია დაჰყოლოდა ბაზრის მოთხოვნებს; ზეწოლას, მედიას მოეგო საზოგადოების გული, რომელიც ინდოქტრინირებული იყო 'პატრიოტიზმის' სახელისუფლო და კორპორაციული განსაზღვრებით" და ასევე, „ფიზიკური შურისძიების შიშით".[4]

ბუნებრივია, მედია სოლიდარულია თავის ხალხთან, როდესაც ეს უკანასკნელი ტერორიზმის სამიზნეა, განსაკუთრებით, თავდასხმის შემდგომ პერიოდში და თავს იკავებს ისეთი კითხვების დასმისგან, რომლებმაც შეიძლება შეარყიოს ეროვნული ერთობა ან გული ატკინოს დაზარალებულებს. მასშტაბური ტერორისტული აქტის დროს მედია ხელისუფლების მიმართ კრიტიკული მიდგმოსგან დროებით თავს იკავებს. საგანგებო მდგომარეობების დროს ერთგვარად ხელისუფლებასთან შერწყმულ ჟურნალისტიკას ვიღებთ, თუ, რა თქმა უნდა, ჟურნალისტები არ გადაწყვეტენ, კავშირი გაწყვიტონ საზოგადოებასთან, რომელიც შოკურ მდგომარეობაშია და დამშვიდება

4 Shakuntala Rao and Pradeep N'Weerasinghe. "Covering Terrorism: Examining Social Responsibility in South Asian Journalism" Journalism Practice Vol. 5 Iss. 4 (2011). ხელმისაწვდომია: http://works.bepress.com/shakuntala_rao/3/

სჭირდება. თუმცა, ეს სრულებითაც არ ნიშნავს სამთავრობო რეპორტიორებად გადაქცევას. ბრიჯიტ ლ. ნაკოსის სიტყვებით, „ჩვეული დროისთვის დამახასიათებელი კრიტიკული მიდგომის დროებით შეჩერება ერთია, ერთგულ მომხრეთა რიგებში გაერთიანება კი სულ სხვა რამე“.[5]

ინფორმირების ვალდებულება მოითხოვს კრიტიკული დისტანციის დაცვას ერთი მხრივ მედიას, და მეორე მხრივ, საზოგადოების რეაქციას, ხელისუფლების განცხადებებსა და ქმედებებს და სხვა საინფორმაციო არხებს შორის, იქნება ეს ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ან გაერთიანებების თუ საჯარო დისკუსიაში მონაწილე ცნობილი ადამიანების არხები. ასეთი მიდგომა, ცხადია, რთულია, რადგან მედია, საერთო საფრთხის პირობებში, საზოგადოებამ და ხელისუფლებამ შეიძლება ღალატში დაადანაშაულოს. თუმცა, ასეთი მიდგომით მედია ინარჩუნებს პროფესიულ კეთილსინდისიერებას და გრძელვადიან პერსპექტივაში დემოკრატიულ ფუნქციას. თავდასხმებით განცდილი პირველი შოკის შემდეგ, არასასიამოვნო კითხვების დასმის დრო დგება, რათა გაირკვეს, რამდენად ელოდა ხელისუფლება ასეთ თავდასხმებს და როგორი იყო მისი მზადყოფნა, რამდენად ეფექტიანი იყო რეაგირება და საპასუხო ქმედებები. სხვა ინსტიტუტების მსგავსად, მედიას აქვს მოვლენების კრიტიკულად შეფასების ლეგიტიმური უფლება.

უნდა გამოხატოს თუ არა მედიამ საკუთარი პოზიცია ტერორიზმის წინააღმდეგ და აირჩიოს მხარე? ჟურნალისტთა უმეტესობას მშვიდობიან მოსახლეობაზე ძალადობა ზარავს და სარედაქციო მასალებში ამ აღშფოთებას ხშირად გამოხატავს. და მაინც, ტერორის მიუღებლობამ ჟურნალისტიკის ფუნდამენტური ღირებულებების დარღვევისკენ და განსაკუთრებით, სიმართლის მსახურების ვალდებულების ხელყოფისკენ არ უნდა უბიძგოს. როგორც BBC-ის ახლო აღმოსავლეთის

5 Terrorism & the Media, p. 172.

სპეციალისტმა პოლ ვუდმა[6] აღნიშნა, ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს ჯორჯ ორუელმა არჩევანი გააკეთა, მაგრამ „მას თავში აზრადაც არ მოუვიდოდა, შეეცვალა ფაქტები საკუთარი არგუმენტის გასამყარებლად."

„ჟურნალისტის ბუნებრივი ფუნქციაა, ემსახუროს მოსახლეობას და არა ხელისუფლებას," წერდა ჟურნალისტური ეთიკის კოლუმბიელი პროფესორი ხავიერ დარიო რესტრეპო.[7] ამ დამოუკიდებლობის გამოცდაა, ერთი მხრივ, უარის თქმა, გაავრცელო ყალბი ინფორმაცია ხელისუფლების მოთხოვნით და მეორე მხრივ, გაჩუმდე სახელმწიფო ინსტიტუტების იმ ქმედებებზე, რომლებიც კანონის უზენაესობას ან საერთაშორისო სამართალს ეწინააღმდეგება, მაგალითად, როგორიცაა წამება.

3. პასუხისმგებლობა სხვების წინაშე

თავისი ქმედებით თუ უმოქმედობით მედია ზეგავლენას ახდენს ხალხზე, ინსტიტუტებზე, კომპანიებსა და სხვებზე. მედია ამით აბალანსებს ინფორმაციის მიწოდების უფლებას და ვალდებულებას, რომ მინიმუმამდე შეამციროს ინფორმაციის გავრცელების უარყოფითი გავლენა დაზარალებულთა ღირსებაზე, განსაკუთრებით მძევლების დაცვის ან უსაფრთხოების ძალების ოპერაციების დროს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტური ეთიკა „ჰუმანურობისკენ" მოგვიწოდებს, ამან არ უნდა დააზარალოს ჟურნალისტიკის მთავარი ფუნქცია, რაც საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე, საზოგადოების განწყობების ან ხელისუფლების ბრძანებების შიშის გარეშე, მოქალაქეების ინფორმირებას გულისხმობს. დგება მომენტები, როდესაც ინფორმირების შედეგებზე დაეჭვება მკაცრ თვითცენზურაში გადაიზრდება, რაც დააზარალებს მოქალაქეთა უფლებას, იყვნენ ინფორმირებულნი.

6 Paul Wood, The Pen and The Sword: Reporting ISIS, Shorenstein Center on Media, Politics and Public Policy, Harvard, July 2016, p. 15.

7 Javier Dario Restrepo, El Zumbido y el Moscardon, EFE/FNPI, 2004, p. 112.

4. გამჭვირვალობა

ტერორიზმი გარდაუვლად აღძრავს ეჭვებს მედიის სარედაქციო გადაწყვეტილებებზე. მაგალითად, რატომ უნდა გაშუქდეს ტერორისტული ორგანიზაციის პრესრელიზი ან ვიდეოკადრები, სადაც მძევლების სიკვდილით დასჯაა ასახული? (*იხილეთ: „ტერორისტული პროპაგანდის გამოქვეყნება“, გვ. 135*). ზოგი მედია საშუალება იქვე საჯაროდ განმარტავს თავის გადაწყვეტილებებს, სხვები კი მხოლოდ მაშინ აკეთებენ განმარტებებს, როდესაც მათ მიმართ კითხვები ჩნდება.

გამჭვირვალობა გულისხმობს შეცდომების დაუყოვნებლივ, მკაფიოდ და კეთილსინდისიერად შესწორებას. ეს შეიძლება ასევე გამოიხატოს ინციდენტის შემდგომ საჯარო განხილვებში, რაც მედია გაშუქების ანალიზს და დაშვებული შეცდომებისა და გადახვევების იდენტიფიცირებას გულისხმობს. მაგალითად, 2004 წლის 24 მაისს New York Times-მა გამოაქვეყნა ანგარიში 2003 წელს ერაყში შეჭრის გაშუქებაზე, რომელშიც მკაფიოდ იყო ხაზგასმული ამ გაშუქების ნაკლოვანებები.[8] გამჭვირვალობა მედიის გრძელვადიანი სანდოობის საწინდარია.

2.3 ცოდნის ვალდებულება

„მედიამ იცის, როგორ გააშუქოს კრიზისი, მაგრამ მან შეიძლება არაფერი არ იცოდეს იმ კრიზისზე, რომელსაც აშუქებს“. ეს გამოთქმა ხაზს უსვამს, რომ საჭიროა ჟურნალისტების მომზადება რთული და ბობოქარი მსოფლიოს გაშუქებისთვის, როგორც ეს 2004 წელს ერაყის შესახებ საუბრის დროს ჟურნალისტიკის პროფესორმა ფილიპ სეიბმა განაცხადა.

ჟურნალისტურ უნარ-ჩვევებსა და ტექნიკაზე უფრო მნიშვნელოვანი, „იმ მოვლენების არსის და ინსტიტუტების ცოდნაა, რომლებიც ჟურნალისტებმა უნდა გააშუქონ“.[9]

---

8 http://www.nytimes.com/2004/05/26/world/from-the-editors-the-times-and-iraq.html

9 Philip Seib, Beyond the Front Lines: How the News Media Cover a World Shaped by War, Palgrave Macmilan, New York, 2004,

მედია საშუალებების უმეტესობაში სპეციალიზაცია დამკვიდრებული არ არის. ჟურნალისტები ხან ერთ საკითხს აშუქებენ, ხან მეორეს და მხოლოდ ზერელედ ეხებიან იშვიათი სირთულის ასპექტებს. ცოდნა გარანტიაა, არ გამოტოვო რაიმე მნიშვნელოვანი, თავიდან აიცილო შეცდომები და ექსტრაპოლაცია. როდესაც 1995 წლის 19 აპრილს, აშშ-ში, ოკლაჰომა-სიტიზე თავდასხმა მოხდა, ვინც იცოდა, რომ ეს თარიღი ტეხასის შტატის ქალაქ ვაკოში მომხდარი იმ ტრაგედიის მეორე წლისთავი იყო, რომელშიც „დავითის შტოს“ სექტის რამდენიმე ათეული ადამიანი აშშ-ის უსაფრთხოების ძალებთან დაპირისპირებას შეეწირა, მან „ახლო აღმოსავლური კავშირის“ შესახებ ვარაუდის გამოთქმა მაშინვე შეძლო. ამრიგად, მათ შეძლეს გაეთვალისწინებინათ ულტრამემარჯვენეთა ფაქტორი, რომლებმაც იმ ტრაგიკულ მოვლენაში „ამერიკის ფედერალური სახელმწიფოს ტოქსიკურობის“ განსახიერება დაინახეს.

2008 წელს ყირგიზეთის „ჟურნალისტთა საზოგადოებრივმა ასოციაციამ“ სპეციალიზაციის მნიშვნელობა განსაკუთრებით გამოყო. თავიანთ ანგარიშში ასოციაციის წევრები წერდნენ: „ყირგიზეთში ჟურნალისტებმა ცოტა რამ იციან პოლიტიკური ექსტრემიზმისა და ტერორიზმის შესახებ. მათ არა აქვთ კრიზისულ სიტუაციებში ასეთი საკითხების მართვის უნარები. ამიტომ ისინი, ჩვეულებრივ, ოფიციალურ განცხადებებს ავრცელებენ და არ ცდილობენ ოფიციალური ვერსია საკუთარი გამოძიებებით ან მესამე მხარის ანალიზითა და კომენტარებით შეავსონ“.[10] ეს დაბნეულობას ქმნის საზოგადოებაში და ვითარების მოგვარების ნაცვლად, მის გაუარესებას იწვევს.

ტერორიზმის გაშუქება ასევე ტერორიზმთან ბრძოლის საფუძვლიან ცოდნას მოითხოვს. უამრავი ინსტიტუტი, სამინისტრო, სამსახური და განყოფილება არის ჩართული ტერორიზმთან ბრძოლაში. მათ სხვადასხვა მისია და სპეციფიური ფუნქცია აკისრიათ. ტერორიზმთან ბრძოლა მრავალ სპეციალიზაციას და თვალთვალის და ჩარევის დახვეწილ

10 Public Association “Journalists”/IMS, Political extremism, terrorism and the media in Central Asia, 2008, Bishek/Copenhagen.

მეთოდებს გულისხმობს. მასში ხელისუფლების ყველა შტო მონაწილეობს: აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება და ასევე, საკანონმდებლო ხელისუფლება დაზვერვის და უსაფრთხოების საპარლამენტო კომიტეტით და სპეციალური საგამოძიებო კომისიებით.

კიდევ უფრო რთულია საერთაშორისო ანტიტერორისტული თანამშრომლობის მექანიზმში გარკვევა, რადგან ის მოიცავს ისეთ ინსტიტუტებს, როგორებიცაა გაერო, ევროპის საბჭო, ევროკავშირი, ნატო ან ინტერპოლი, რომლებსაც იშვიათად ან არაკვალიფიციურად აშუქებენ და რომელთა მანდატები და შესაძლებლობები, ხშირად, ერთმანეთს ფარავს ან წინააღმდეგობრივია. ანტიტერორისტული სისტემის ცოდნა უმნიშვნელოვანესია არამარტო ტერორიზმთან ბრძოლის ეფექტიანობის, არამედ ამ ბრძოლის კანონმდებლობასთან და კანონის უზენაესობასთან შესაბამისობის შესაფასებლად. ასეთი ცოდნა მზაობის შესახებ სახელმწიფოს კატეგორიული განცხადებების გაანალიზებას და მთავრობის ან ოპოზიციის მიერ შეთავაზებული რეაგირების უფრო კომპეტენტურად შეფასებას აადვილებს.

2.4. კანონმდებლობის გათვალისწინება

საზოგადოებრივი ინტერესის სახელით ინფორმირების უფლება და ვალდებულება მედიას რიგი კანონების დაცვისგან არ ათავისუფლებს. მედია საკუთარი ქვეყნის, ასევე იმ ქვეყნების კანონმდებლობას უნდა იცნობდეს, სადაც რეპორტიორებს აგზავნის.

თავდასხმის შემდეგ ხელისუფლებას შეუძლია საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნების ან ეროვნული უსაფრთხოების საფუძვლით მცირე ხნით გაშუქება შეზღუდოს (*იხილეთ, „პირდაპირი ტრანსლირება“, გვ. 122*). ინფორმაციის გავრცელების აკრძალვას შეიძლება ჰქონდეს შესაბამისი მიზეზები, მაგრამ აკრძალვა შეიძლება ასევე გამოიყენონ ინფორმაციის გაკონტროლების და ხელისუფლების შესაძლო კრიტიკისგან დაცვის მიზნით.

ტერორიზმი, მისგან მომდინარე საფრთხეებისა და მნიშვნელოვანი პოლიტიკური მგრძნობელობის გამო, მკაცრ საკანონმდებლო რეგულირებას ექვემდებარება. მაგალითად, რამდენად კანონიერია ტერორისტთა ვებ-გვერდებზე შესვლა ან ტერორისტული ორგანიზაციის წევრებთან დაკავშირების მცდელობა? შეუძლია ჟურნალისტს უსაფრთხოების სამსახურის მიმდინარე ოპერაციები გადაიღოს? რამდენად შეუძლია მედიას, სიტყვის თავისუფლების მოშველიებით, დაიცვას მისი წყაროების კონფიდენციალობა, როდესაც საპოლიციო ძალები ეროვნული უსაფრთხოების მიზნებისთვის მათ გამჟღავნებას ითხოვენ? როგორ აისახება საგანგებო მდგომარეობა მედიაზე? სხვადასხვა ქვეყანას სხვადასხვა წესი აქვს და სიტყვის თავისუფლების მოხმობა, კანონის მკაცრი ხელისგან მედიის დასაცავად, შესაძლოა საკმარისი არ აღმოჩნდეს.

კანონი ჟურნალისტურ პრაქტიკას და რუტინასაც ეხება. ძალადობრივი ექსტრემიზმის საყოველთაო დაგმობის ანდა ინფორმაციის ოპერატიულად მიწოდების წნეხის გამო, მედიამ ტერორისტულ აქტში ეჭვმიტანილი პირის მოხსენიებისას შეიძლება სიფრთხილე არ გამოიჩინოს. ასეთ შემთხვევაში მედია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და უდანაშაულობის პრეზუმფციის შესახებ კანონმდებლობის უგულებელყოფის საფრთხის წინაშე დგება.

ყოველი სარედაქციო გადაწყვეტილება იურიდიული რისკების მკაცრ შეფასებას და კონკრეტული ქმედებების პოტენციურ შედეგებზე პასუხისმგებლობას გულისხმობს. მაგალითად, უნდა იყოს თუ არა მზად მედია საშუალება, უარი თქვას წყაროს გამჟღავნებაზე და ამით დაპატიმრების საფრთხე შეუქმნას მის ჟურნალისტს ან მენეჯერს?

2.5 ხელისუფლებასთან ურთიერთობები

მედია საჯარო ინტერესის დაკმაყოფილების ფუნქციას ვერ შეასრულებს, თუ მას ინფორმირების თავისუფლება არ ექნა. ეს თავისუფლება შეიძლება კონკრეტულ შემთხვევებში გარკვეული დროით შეიზღუდოს, როდესაც უსაფრთხოების რისკები რეალურია.

თუმცა, ეს შეზღუდვები ზოგჯერ შეიძლება გადაჭარბებული იყოს. მაგალითად, 2016 წლის ივლისში, „კენიის მედიის საბჭომ“ (MCK) ხელისუფლებას სთხოვა, ტერორიზმისა და ანტიტერორისტული ქმედებების შესახებ მეტი ინფორმაცია გაემჟღავნებინა. საბჭოს აღმასრულებელი დირექტორის ვიკტორ ბვაირის თქმით, ხელისუფლების მიერ გასაჯაროებული ფაქტები არასაკმარისი იყო, რამაც ჟურნალისტებს უბიძგა, დამატებითი ინფორმაცია საერთაშორისო მედიიდან და იმ სოციალური ქსელებიდან მოეპოვებინათ, რომლებიც მასალებს ტერორისტული ვებ-გვერდებიდან აქვეყნებდნენ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ისინი შეიძლება პროპაგანდის გავრცელებაში დაედანაშაულებინათ.[11]

ხელისუფლება „განსაკუთრებულ ყურადღებას“ აქცევს იმ ჟურნალისტებს, რომლებიც ტერორიზმს აშუქებენ და შესაბამისად, ეროვნულ უსაფრთხოებას და უსაფრთხოების ძალებისა და პოლიტიკური ხელისუფლების რეპუტაციას ეხებიან. ასეთ ჟურნალისტებზე შესაძლოა დაწესდეს თვალთვალი, მათ შესაძლოა შეიარაღებული დაჯგუფებების კონტროლქვეშ არსებულ ზონებში გამოძიების ჩატარებაში ხელი შეუშალონ, ისინი შესაძლოა თანამზრახველობაშიც კი დაადანაშაულონ ანდა დააპატიმრონ და დამნაშავედ სცნონ.

2014 წელს ნიგერიელმა ჟურნალისტმა პიტერ ნკანგამ თქვა, რომ „ჟურნალისტის შევიწროება იმისთვის, რომ ის საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებს აშუქებს ნიშნავს შეგნებულად ჩამოართვა საზოგადოებას უფლება, სათანადოდ იყოს ინფორმირებული იმ საკითხებზე, რომლებიც მის ქვეყანას ეხება. ეს არის შეტევა საზოგადოებაზე“.[12] ტერორისტული თავდასხმის დროს ჟურნალისტებმა, როგორც არასდროს ისე უნდა გააგრძელონ ინფორმაციის მიმწოდებლებისა და ძალაუფლების დამბალანსებლის როლის შესრულება. ისინი მონური მორჩილებით არ უნდა დაელოდნონ ოფიციალურ

11 http://www.standardmedia.co.ke/article/2000206898/media-council-pushes-for-accessto-information-on-terrorism-cases

12 https://www.indexoncensorship.org/2014/06/nigeria-targeting-journalists-boko-haram/

განცხადებებს, არამედ პირადად მოიძიონ ინფორმაცია, გავრცელებამდე გადაამოწმონ ამ ინფორმაციის სიზუსტე და გაშუქებამდე ყურადღებით მოეკიდონ საკუთარ პასუხისმგებლობებს.

უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურებთან ურთიერთობები მკაფიოდ განსაზღვრული უნდა იყოს. მართალია, ტერორისტული თავდასხმები ხელს უწყობს ერთგვარი „წმინდა კავშირის“ ჩამოყალიბებას ხელისუფლებასა და საზოგადოებასთან, რომლებიც პატრიოტიზმის მოწოდებებით გამოდიან, მაგრამ მედია არ არის ხელისუფლების კონსულტანტი. ის ინარჩუნებს თავის ფუნქციას, იყოს ხელისუფლების მეთვალყურე და მიაწოდოს მოქალაქეებს დამოუკიდებელი ინფორმაცია.

მედიის უფლებები დემოკრატიულ ქვეყანაში

2005 წელს, „თავისუფალი პრესის მსოფლიო დღის“ წინა დღეს, „გაზეთების მსოფლიო ასოციაციამ“ (WAN) მოკლედ ჩამოაყალიბა უფლებები, რომლებიც ყველა დემოკრატიულმა ქვეყანამ მედიას უნდა მიანიჭოს:

1. **ოფიციალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება,** როგორც ეს „ინფორმაციის თავისუფლების“ კანონმდებლობითაა განსაზღვრული. უსაფრთხოების უფრო მკაცრი კლასიფიკაცია შეიძლება დაწესდეს სამხედრო ან დაზვერვის მგრძნობიარე საკითხებზე, თუმცა ისინი მკაცრ კონტროლს უნდა დაექვემდებაროს, რათა თავიდან იქნეს აცილებული საზოგადოების ინფორმირებულობის შეზღუდვის გაუმართლებელი მცდელობები, განსაკუთრებით პოლიტიკურ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით;
2. **ჟურნალისტთა უფლება, დაიცვან თავიანთი წყაროების კონფიდენციალობა** და შესაბამისად, დაცული იყვნენ დაუსაბუთებელი ჩხრეკის და მათი კომუნიკაციის მონიტორინგისგან სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე;
3. **ჟურნალისტთა უფლება, გააშუქონ კონფლიქტში მონაწილე ყველა ადამიანი,** მათ შორის ტერორისტები;
4. **გარანტია, რომ ჟურნალისტების წინააღმდეგ არ დაიწყება სისხლისსამართლებრივი დევნა** საიდუმლო ინფორმაციის გამოქვეყნების გამო;
5. **„შავი პროპაგანდის“ აკრძალვა** ანუ ჟურნალისტიკის საფარქვეშ ყალბი ან საზიანო სტატიების გამოქვეყნების აკრძალვა; ასევე, ხელისუფლების მხრიდან ჟურნალისტების გაცურების უგულებელყოფა.

2016 წლის აპრილში, ლონდონის სიტის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის პროფესორი ჯეიმს როჯერსი დაინტერესდა: „რამდენად სერიოზულად უნდა მოეკიდონ რედაქტორები 'უსაფრთხოების სამსახურიდან ანონიმური წყაროების' გაფრთხილებას [ტერორისტული] საფრთხის შესახებ? ეს საზოგადოებრივ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაციაა თუ პოლიტტექნოლოგიური ხრიკი, რომლის მიზანიც დამატებითი დაფინანსების მოპოვებაა?"[13]

ეს გულისხმობს ხელისუფლების მოთხოვნის ლეგიტიმურობის შესწავლას გარკვეული ინფორმაციის გასაიდუმლოებასთან დაკავშირებით. ცხადია, პასუხისმგებლობის თამასა ძალიან მაღალი უნდა იყოს, რათა ტერორისტების წისქვილზე არ დავასხათ წყალი, მაგრამ ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა სახელმწიფო საიდუმლოების ან პატრიოტიზმის საბაბით მიუღებელია, თუ მიზანი ხელისუფლების მიერ ჩადენილი უკანონო ან უაზრო ქმედებების დაფარვაა. ზღვარი იმას შორის, რა არ უნდა გასაიდუმლდეს და რა გასაჯაროვდეს ყოველთვის მკაფიო არ არის, მაგრამ კითხვა ყოველთვის უნდა დაისვას, ხოლო ხელისუფლების არგუმენტები სისტემატურ ანალიზს დაექვემდებაროს.

2.6 ტერორიზმის „ჩარჩოს ჩამოყალიბება"

ტერორიზმის გაშუქებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს „ამბის მიწოდების ჩარჩოს". პიპა ნორისი, მონტაგიუ კერნი და მარიან ჯასტი ამბის მიწოდების ჩარჩოს განმარტავენ, როგორც „ინტერპრეტაციულ სტრუქტურას, რომელსაც ჟურნალისტები კონკრეტული მოვლენის ფართო კონტექსტში ჩასასმელად იყენებენ".[14]

13 http://www.city.ac.uk/news/2016/april/terror-attacks-put-journalists-ethics-on-the-frontline

14 Framing Terrorism: The News Media, the Government, and the Public, Routledge, 2003, p. 10.

„ჩარჩოში ჩამოყალიბება“ გულისხმობს გასაშუქებელი საკითხის აღწერისას, განმარტებისას, ინტერპრეტირებისა და მორალური შეფასების დროს რეალობის კონკრეტული ასპექტების და კუთხეების შერჩევას და მათ გამოკვეთას.

მედიის მიერ გაკეთებული არჩევანი ყოველთვის გაცნობიერებული არ არის და შეიძლება ასახავდეს ამბის მიწოდების ჩარჩოებს, რომლებიც სხვებმა, მაგალითად, ხელისუფლებამ, ასევე, საჯარო პირებმა, კვლევითმა ცენტრებმა ჩამოაყალიბეს ანდა თავად ჟურნალისტური რუტინით არის ნაკარნახევი, როგორიცაა უპირატესობის მინიჭება სიახლოვის ან ემოციის ანდა იდეოლოგიური მიკერძოების გამო. და მაინც, ჩარჩოს შერჩევა უმნიშვნელოვანესია. ის ზეგავლენას ახდენს საზოგადოების და ხელისუფლების რეაგირებაზე. ბრუკ ბარნეტმა და ემი რეინოლდსმა აღნიშნეს, რომ ის ჩარჩო, როგორითაც აშშ-ის მედიამ გააშუქა 2001 წლის ტერორისტული თავდასხმები, გარკვეულწილად, მოწოდება იყო უპირობო შურისძიებისკენ.[15] პრესა ვრცლად ციტირებდა პოლიტიკოსების განცხადებებს სამხედრო რეაგირების საჭიროების შესახებ, ასევე, რიგითი ამერიკელების განცხადებებს, რომლებიც ხელისუფლებას საპასუხო ქმედებებისკენ მოუწოდებდნენ.

ზოგი ინფორმაციას ფილტრავს, რათა იპოვოს ის, რაც საზოგადოების დაყოფას უწყობს ხელს, სხვები კი ისეთ ფაქტებს ირჩევენ, რომლებიც თანაცხოვრების საჭიროებას და შესაძლებლობას აჩვენებს.

ცივი ომის დროს ტერორისტული აქტების უმეტესობის ინტერპრეტირება აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის იდეოლოგიური და გეოპოლიტიკურ კონფრონტაციის კონტექსტში ხდებოდა. ბერლინის კედლის დანგრევის და „ისლამით ინსპირირებული“ ტერორიზმის

15 Terrorism and the Press. An Uneasy Relationship, p. 129.

(*იხილეთ, „სიტყვები“, გვ. 84*) აღმოცენების შემდეგ, ტერორისტული აქტები ხშირად შუქდება „ცივილიზაციათა შეჯახების“ თეორიის მსგავსი პერსპექტივიდან, რომელიც ჰარვარდის ყოფილმა პროფესორმა სემუელ ჰანტინგტონმა შეიმუშავა. ორივე შემთხვევაში მოდელი იდენტურია და მოტივირებულია ინფორმაციის ბინარული კონცეფციით: ჩვენ მათ საპირწონედ, „ცუდი ბიჭები“ „კარგი ბიჭების“ წინააღმდეგ.

ამრიგად, ერთი და იგივე მოვლენა შეიძლება რადიკალურად განსხვავებული კუთხით გაშუქდეს იმისდა მიხედვით, თუ რა არის მედია ორგანიზაციის ჩანაფიქრი. ზოგი ინფორმაციას ფილტრავს, რათა იპოვოს ის, რაც საზოგადოების დაყოფას უწყობს ხელს, სხვები კი ისეთ ფაქტებს ირჩევენ, რომლებიც თანაცხოვრების საჭიროებას და შესაძლებლობას აჩვენებს. 11 სექტემბრის შემდეგ ზოგიერთმა ამერიკულმა მედია ორგანიზაციამ არაბული წარმოშობის ამერიკელების ან მუსლიმი მოქალაქეების შესახებ გაცილებით მეტი პოზიტიური სტატიები გამოაქვეყნეს.[16] ამ ჩარჩოს მიზანი იყო, თავიდან აეცილებინა აშშ-ში კონკრეტული თემის მიმართ შურისძიება და ხაზი გაესვა იმისთვის, რომ ალ-ქაიდას გამოწვევაზე რეაგირება აუცილებლად კანონის შესაბამისად უნდა მომხდარიყო და არა დისკრიმინაციის გზით. ჩარჩოზე ფიქრი აუცილებელია, რადგან ეს ჟურნალისტებს შეაძლებინებს, გასცდნენ ჟურნალისტიკის ჯოგურ რეფლექსებს, მის წინასწარ განსაზღვრულ შეთანხმებებს, აუდიტორიის მოზიდვის თავისთავად „ცხად“ ინტერესებს და საზოგადოებას განსხვავებული, პლურალისტული, კრიტიკული ხედვები შესთავაზონ.[17]

ტერორისტული აქტის გაშუქების ჩარჩო შეიძლება დროთა განმავლობაში შეიცვალოს. გარკვეული დროის შემდეგ, როდესაც თავდასხმის შოკი გაივლის, მედია ცვლის გამაერთიანებელ და პატრიოტულ

16 Brigitte L. Nacos, Oscar Torres-Reyna, “Framing Muslim-Americans Before and After 9/11”, in Framing Terrorism

17 http://www.au.af.mil/au/awc/awcgate/state/crs-terror-media.htm

ჩარჩოს, რომელიც ჩამოაყალიბა და ხედვებისა და მოსაზრებების მეტ მრავალფეროვნებას გვთავაზობს. როგორც Guardian-ის მკითხველთა ყოფილმა რედაქტორმა კრის ელიოტმა 2015 წლის ნოემბრის პარიზის თავდასხმის შემდეგ თქვა, „მოსაზრებამ, რომ ამ საშინელ თავდასხმებს თავისი მიზეზები აქვს და ერთ-ერთი ასეთი მიზეზი შეიძლება დასავლეთის პოლიტიკა იყოს, შესაძლოა მყისიერად, თავდასხმის მომდევნო წუთებში ბრაზი გამოიწვიოს. თუმცა, სამი დღის შემდეგ ეს არის მოსაზრება, რომელიც უნდა გამოითქვას“.[18]

ჩარჩო გამოიხატება თემების შერჩევის ან უარყოფის, მათი პრიორიტეტულობის განსაზღვრის, განთავსების, რესპონდენტების და გამოსახულების შერჩევის გზით. ჩარჩო ასევე გამოიხატება გარკვეული სიტყვების და ეპითეტების გამოყენებაში. ბეირუთში 2015 წლის 12 ნოემბერს და პარიზში 2015 წლის 13 ნოემბერს მომხდარი თავდასხმების შედარებისას, ლიბანელი წარმოშობის ამერიკელმა ჟურნალისტმა ნადინ აიაკამ აჩვენა, თუ როგორ არის საკმარისი რამდენიმე სიტყვა ისეთი ჩარჩოს ჩამოსაყალიბებლად, რომელიც საზოგადოების გრძნობებზე გავლენას მოახდენს. საინფორმაციო სააგენტოებმა ბეირუთის თავდასხმა აღწერეს, როგორც „ჰეზბოლას მთავარ დასაყრდენ პუნქტზე, შიიტურ შეიარაღებულ დაჯგუფებაზე“ შეტევა. აღნიშნული ტერიტორიის სათემო და გეოპოლიტიკური ინტერპრეტაციის ჩარჩოში მოქცევით და შესაბამისად, მრავალფეროვანი იდენტობების გამსხვილებით, ამ საინფორმაციო სააგენტოებმა, გარკვეულწილად, იგულისხმეს, რომ ეს თავდასხმა სავსებით მოსალოდნელი იყო, რადგან ლიბანის შიიტური შეიარაღებული დაჯგუფება ისლამური სახელმწიფოს მტერია. პარიზის თავდასხმა ამ მახასიათებლით არ გაშუქებულა და მხოლოდ გაკვრით იქნა ნახსენები საფრანგეთის სამხედრო ინტერვენციები ისლამური სახელმწიფოს დაჯგუფების წინააღმდეგ.[19]

---

18 https://www.theguardian.com/commentisfree/2015/nov/23/what-we-got-right-andwrong-in-coverage-of-the-paris-attacks

19 http://www.theatlantic.com/international/archive/2015/11/paris-beirut-media-coverage/416457/

უფრო ფუნდამენტალურად კი, „ჩარჩოს ჩამოყალიბება“ ჟურნალისტიკის ფილოსოფიაა. ამასთან დაკავშირებით ჟურნალისტური ეთიკის ცნობილი სპეციალისტი, კოლუმბიელი პროფესორი ხავიერ დარიო რესტრეპო ძალიან ნიშანდობლივ ამბავს იხსენებს. „ბოგოტაში ჩასვლისას ყველაზე ცნობილმა ომის კორესპონდენტმა რიშად კაპუჩინსკიმ ერთ-ერთ ჟურნალისტს უთხრა, რომ ომში მან ნახა სიკეთე, სოლიდარობა და შემწყნარებლობა, ხოლო ომის პერსონაჟები იყვნენ ბავშვები, მოხუცები და ორსული ქალები. კაპუჩინსკის ბევრი სხვა კორესპონდენტივით შეეძლო ეთქვა, რომ ომში მიდიხარ იმისთვის, რომ შეხვდე გმირებს, რემბოებს, ხალხს, ვისაც ძალა და დაუნდობლობა მოსწონს. თუმცა, პოლონელი ჟურნალისტისთვის ომი – ისტორიის ეს კლოაკა და ადგილი, სადაც ადამიანების მიმართ ყველანაირი ნდობა გეკარგება – გამოწვევა ხდება, როცა იმ ადამიანების მსგავსად, რომლებიც შავ ღრუბლებში მზის სხივს ამჩნევენ, ცდილობ, დაინახო შემორჩენილი ადამიანურობა და ის მიზეზები, რაც ადამიანურობისადმი ნდობას შეგანარჩუნებინებს.“[20]

საზოგადოების დიდი ნაწილის და ხელისუფლების მსგავსად, რომელიც შოკირებულია თავდასხმების შემდეგ, ზოგიერთი მედია ორგანიზაცია ვერ უძლებს ცდუნებას და ირჩევს ბრძოლის ჩარჩოს, აკრიტიკებს „მშვიდობის მტრედებს“ და ტერორისტულ საფრთხეზე რეაგირების „ყველაზე ეფექტიან“ გზებს ემხრობა. ამ დროს საფრთხე ექმნება ყველაფერს, რაც საზოგადოების ეთიკას და ადამიანის უფლებების და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წინაშე ვალდებულებებს განსაზღვრავს.

ჟილ ბერტრანმა და მათიას დელორიმ დაწერეს, რომ „‘ტერორიზმთან’ ომს ამყარებს ჰუმანისტური დისკურსი, რომლის სიბრმავეს საკუთარი ძალადობის მიმართ მისივე დეფინიცია განსაზღვრავს. სათე-

20 http://www.redalyc.org/pdf/160/16008104.pdf

მო თუ რასისტული დისკურსი იმით არის უნიკალური, რომ ხმამაღლა გამოხატავს იმ ძალადობას, რომელსაც თავად გმობს. ამის საპირისპიროდ, 'თანამედროვე', 'ლიბერალური' და 'ჰუმანისტური' დისკურსი საკუთარ ძალადობას" არ გამოხატავს.[21] ეს ნამდვილად არის ის, რაზეც დაფიქრება ღირს.

ჩარჩოს ჩამოყალიბება მედიის პროფესიულ და ფაქტობრივ მუშაობაზე გავლენას უდაოდ ახდენს. მან, მაგალითად, შეიძლება უბიძგოს მედიას, უგულებელყოს ტერორისტულ აქტებზე შურისძიების შედეგად დაღუპული მშვიდობიანი მოქალაქეები ანდა მიჩქმალოს მისი მხარის მიერ ჩადენილი ძალადობა; ეს კი აჩენს კითხვებს ჟურნალისტური პრაქტიკის (თანასწორობა, მიუკერძოებლობა, სიმართლე) და ჰუმანისტური ეთიკის (ჰუმანურობის განცდა) თაობაზე. 2001 წლის ოქტომბერში, CNN-მა პროდიუსერებისთვის გაგზავნილ მემორანდუმში ხაზი გაუსვა, რომ „უდანაშაულო ადამიანთა იმ უდიდესი დანაკარგის გათვალისწინებით, რაც აშშ-მა განიცადა, უნდა გამოვიჩინოთ სიფრთხილე, რომ ზედმეტი ფოკუსირება არ მოვახდინოთ მსხვერპლსა და სიძნელეებზე ავღანეთში, რაც აუცილებლად იქნება ამ ომის შემადგენელი ნაწილი".[22]

ერთ-ერთ ჟურნალისტს უთხრა, რომ ომში მან ნახა სიკეთე, სოლიდარობა და შემწყნარებლობა, ხოლო ომის პერსონაჟები იყვნენ ბავშვები, მოხუცები და ორსული ქალები.

აშშ-ის პრესამ ბაგრამის თუ აბუ გრაიბის ამერიკულ ციხეებში წამების გამოყენების შესახებ მკითხველთა სათანადო ინფორმირება მხო-

21 Terrorisme, émotions et relations internationales, Myriapode, 2015, p. 74.
22 https://www.theguardian.com/media/2001/nov/01/warinafghanistan2001.september112001; Quoted in Susan Moeller, Packaging Terrorism, p. 5.

ლოდ 2004 წელს დაიწყო, მიუხედავად იმისა, რომ ამ პრაქტიკას ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციები მანამდეც გმობდნენ.[23]

პაკისტანის მშვიდობიან მოსახლეობაზე დრონებით ომის შედეგებს მედია ასევე დიდხან სათანადოდ არ აშუქებდა, ვინაიდან ამ შეტევებს ლეგიტიმურად მიიჩნევდნენ ის მედია საშუალებები, ვინც ტერორისტულ ორგანიზაციებთან დაუნდობელი ბრძოლის აუცილებლობაში დარწმუნებული იყო. ჟურნალისტმა ტარა მაკკელვიმ აღნიშნა, რომ „როდესაც დრონებით შეტევა ხდება, მთავარი კითხვები დაუსმელი და უპასუხო რჩება“.[24] მართალია, ასეთი ჩარჩოს ჩამოყალიბების მიზეზები არსებობს, მაგრამ ამან არ უნდა მიგვიყვანოს ჟურნალისტიკის ფორმების გამიზნულ მიკერძოებამდე.

ჩარჩო ასევე მოიცავს ტერორიზმის ძირეული მიზეზების ახსნას. ჟურნალისტები განსაკუთრებით უნდა უფრთხილდნენ ცალსახა თეორიებს და კატეგორიულ მტკიცებებს. ბევრი განმარტება, რომელთაც ზოგჯერ ექსპერტებიც იზიარებენ, იდეოლოგიური მიკერძოებით არის განპირობებული და ისეთი მძლავრია, რომ მოვლენისადმი დამოუკიდებელი მიდგომის შემუშავებას უშლის ხელს.

წარმოშობს თუ არა ტერორიზმს სოციალური სიდუხჭირე? თუ ის საერთაშორისო ჩარევის შედეგია? რა ისტორიული ეპიზოდებით არის ის ინსპირირებული? რეალურად რა როლს თამაშობს მასში რელიგია? „ჯიჰადიზმი“ ისლამის რადიკალიზაციის შედეგია თუ, როგორც ფრანგ მკვლევარს ოლივიე როის მიაჩნია, რადიკალიზმის ისლამიზაციის შედეგი? (*იხილეთ, „სიტყვები“, გვ. 84*). ამ კითხვებზე პასუხები არა მარტო მედია საშუალებების სარედაქციო ხაზს, არამედ, ხშირად, ჟურნალისტური გაშუქების არჩევანსაც განსაზღვრავს.

23 http://www.cjr.org/feature/failures_of_imagination.php.
24 http://www.cjr.org/feature/covering_obamas_secret_war.php

2.7. კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების გარანტიები

მოქალაქეთა უსაფრთხოება და სიცოცხლის უფლება ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა და სახელმწიფოები ვალდებული არიან, მიიღონ ზომები ამ უფლების უზრუნველსაყოფად. ამისთვის, მათ გარკვეული უფლებები და თავისუფლებები დროებით და მკაცრად განსაზღვრული ჩარჩოების ფარგლებში შეიძლება შეზღუდონ.

თუმცა, გადამეტებული რეაგირებით ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის დარღვევის საფრთხე მუდამ არსებობს. გამოხატვის თავისუფლებაზე დაწესებული შეზღუდვები შეიძლება იყოს გადაჭარბებული, თვალთვალის მეთოდები არაპროპორციული, ჩხრეკა და დაკავებები თვითნებური. „ტერორისტული აქტის“ განმარტება შეიძლება ბოროტად იქნეს გამოყენებული დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური მოსაზრებების კრიმინალიზებისთვის. ტერორიზმთან ბრძოლაში საერთაშორისო თანამშრომლობამ ასევე შესაძლოა შედეგად სახიფათო პრაქტიკა მოიტანოს. მაგალითად, როგორ ვიმუშაოთ დიქტატორული რეჟიმების სადაზვერვო სამსახურებთან ისე, რომ არ ვუღალატოთ საკუთარ პრინციპებს? პრესა სათანადოდ არ აშუქებს ამ ნაცრისფერ ზონებს, სადაც დემოკრატიულმა ქვეყნებმა, ძალადობრივ სამყაროში რეალისტური ხედვის საბაბით, ნებისმიერ დროს საკუთარ თავს შეიძლება უღალატონ.

გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი[25] და კერძოდ, გაეროს სპეციალური მომხსენებელი ადამიანის უფლებების დაცვის და კონტრტერორიზმის საკითხებზე (ამ პოზიციას 2011 წლის აგვისტოდან ადვოკატი ბენ ემერსონი იკავებდა), მნიშვნელო-

25 http://www.ohchr.org/Documents/Publications/Factsheet32EN.pdf; http://www.ohchr.org/EN/Pages/Home.aspx

ვანი წყაროებია კონტრტერორისტული ზომების კანონიერებისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალთან მათი შესაბამისობის შესაფასებლად. ადამიანის უფლებათა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებს, როგორებიცაა Human Rights Watch,[26] Amnesty International,[27] International Federation for Human Rights (FIHR)[28] და International Commission of Jurists (ICJ)[29] ტერორიზმისა და კონტრტერორიზმის მონიტორინგის კარგად შემუშავებული სისტემა აქვთ.

ზოგიერთი მედია ასევე აკვირდება კონტრტერორისტული ზომების შესაბამისობას ეროვნულ კანონმდებლობასა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალთან. მაგალითად, 2015 წლის 13 ნოემბრის პარიზის ტერორისტული აქტის შემდეგ ფრანგულმა გაზეთმა Le Monde-მა შექმნა ქვეყანაში საგანგებო სიტუაციის მონიტორინგის პლატფორმა.[30]

ტერორიზმთან ბრძოლამ შეიძლება შელახოს მოქალაქეთა თანასწორობა კანონის წინაშე, რაც დისკრიმინაციას წარმოადგენს და გამოიხატება, მაგალითად, მოქალაქეთა ეთნიკური წარმომავლობის, გარეგნობის და სხვა ნიშნებით შეფასებაში. ეთნიკური და რელიგიური მახასიათებლების მიხედვით ადამიანთა კლასიფიკაცია კიდევ უფრო თვალშისაცემია მას შემდეგ, რაც ბევრმა ექსპერტმა ის არაეფექტიანად მიიჩნია. ამ პოლიტიკამ შეიძლება ღრმა უკმაყოფილება წარმოქმნას იმ თემებში, რომლებსაც უშიშროების სამსახურებთან თანამშრომლობას სთხოვენ.

26 https://www.hrw.org/topic/terrorism-counterterrorism
27 http://www.amnesty.eu/en/news/press-releases/eu/human-rights-in-the-eu/humanrights-and-counter-terrorism/
28 https://www.fidh.org/en/issues/terrorism-surveillance-and-human-rights/fighting-terrorism-and-protecting-human-rights-analyses-from-fidh
29 http://www.icj.org/
30 http://delinquance.blog.lemonde.fr/2015/11/23/observons-letat-durgence/

2.8 შიშთან გამკლავება

ტერორიზმის ერთ-ერთი მიზანია, დათესოს შიში და შფოთვა, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება მოქალაქეებს უბიძგოს, ხელისუფლებას ავტორიტარული ზომების გატარება მოსთხოვონ და რომელიმე კონკრეტული თემი თავდასხმაში კოლექტიურად დაადანაშაულონ. ეს კი ტერორისტთა წისქვილზე ასხამს წყალს.

ტერორიზმი ცდილობს, გამოამჟღავნოს „დემოკრატიული ქვეყნების თვალთმაქცობა“ და საზოგადოებების პოლარიზება მოახდინოს. ჰარვარდის უნივერსიტეტის მკვლევარი ჯესიკა სტერნი მიიჩნევს, რომ „ტერორიზმის მთავარი მიზანია, გვიბიძგოს გადაჭარბებული რეაგირებისკენ“.

იუნესკო, როგორც კაცთა და ქალთა შორის „მშვიდობის ხელშეწყობაზე“ პასუხისმგებელი გაეროს სააგენტო, განსაკუთრებით შეშფოთებულია, რომ რამდენიმე მარგინალური ექსტრემისტის მიერ ჩადენილმა აქტმა შეიძლება საყოველთაო აღშფოთება და ეჭვი უფრო ფართო ჯგუფის მიმართ გამოიწვიოს. შიში ერთ-ერთი უძლიერესი, ყველაზე პრიმიტიული ემოციაა, რომელიც სხვა მხრივ ღია და შემწყნარებელ ადამიანებს მცდარი წარმოდგენებისა და დისკრიმინაციისკენ უბიძგებს. ეს შიში შეიძლება იმდენად ძლიერი იყოს, რომ არჩევნების შედეგები განსაზღვროს და საზოგადოების ყველაზე დაუცველი თემის მიმართ დრაკონულ პოლიტიკაში გამოიხატოს.

ტერორისტული აქტების გაშუქების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს გაშუქების ტონს იმისთვის, რომ მოსახლეობის რეაქციები ზომიერების ფარგლებს არ გასცდეს და შიშმა საზოგადოება არ გახლიჩოს. ინფორმაციის ნაკადის მართვა და მისი უტყუარობის და სიზუსტის უზრუნველყოფა ჟურნალისტური საქმიანობის ის ელემენტებია, რომ-

ლებიც შიშის პანიკასა ან პარანოიაში გადაზრდის თავიდან აცილებას შესაძლებელს ხდის. მედიას უნდა ახსოვდეს, რომ მართლია, ტერორიზმს ხალხის შოკში ჩაგდების და შეშინების უნიკალური უნარი აქვს, მაგრამ ინდივიდუალური მოქალაქისთვის რისკის ხარისხი რეალურად გაცილებით მცირეა, განსაკუთრებით უამრავ იმ სხვა ფაქტორთან შედარებით, რომლებიც ნაკლებ ემოციურია.

შიში ერთ-ერთი უძლიერესი, ყველაზე პრიმიტიული ემოციაა, რომელიც სხვა მხრივ ღია და შემწყნარებელ ადამიანებს მცდარი წარმოდგენებისა და დისკრიმინაციისკენ უბიძგებს.

თუმცა, არის კი გასაკვირი, რომ რიგითმა მოქალაქემ, რომელიც ყოველდღიურად უყურებს თავდასხმების შესახებ რეპორტაჟებს, ჩათვალოს, რომ მყისიერი და გარდაუვალი საფრთხის წინაშე დგას? იმ საფრთხისა და გამოწვევების შესახებ ინფორმაცია, რომელთა წინაშეც ხელისუფლება და საზოგადოება დგანან, მოსახლეობას მშვიდად, გაზვიადებისა და სენსაციურობის გარეშე უნდა მიეწოდოს, ასევე იმ წნეხის გარეშე, რომელიც პოლიტიკური სამყაროს იმ ნაწილისგან მოდის (ანდა თავად მედია ორგანიზაციის ფინანსური მოგების ინტერესებიდან მომდინარეობს), რომელსაც დაუცველობისა და შფოთვის განცდა ხელს აძლევს.

2.9 ინკლუზიური ჟურნალისტიკა

ზოგადად, მედია კონკრეტულ აუდიტორიას სიახლოვის, ბაზრის ან პოლიტიკური, სოციალური, ეროვნული თუ რელიგიური იდენტობის მიხედვით ირჩევს. მედია ორგანიზაციებისთვის ასევე დამახასიათებელია, პირველ რიგში, „თავიანთ“ სამიზნე აუდიტორიაზე ზრუნვა. ტერორიზმმა შეიძლება რომელიმე თემის ერთგულება გამოაცხადოს ან სამიზნედ ერთი კონკრეტული თემი გაიხადოს.

მედია უნდა ისწრაფოდეს თავდასხმების სპეციფიკა ახსნას, მაგრამ ის ამას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს, თუ მზად იქნება გააშუქოს სხვა, „უცხო“ და აჩვენოს, რომ მრავალფეროვნებას ყურადღებით ეკიდება.

ეს მიდგომა უბრალოდ „პოლიტიკური“ ხასიათის არ არის. სინამდვილეში ის ჟურნალისტიკის ხარისხს განსაზღვრავს. მხოლოდ „ინკლუზიურ ჟურნალისტიკას“ შეუძლია ინფორმაციის მრავალფეროვანი წყაროების კულტივირება – იქნება ეს ინდივიდები, ასოციაციები თუ ინსტიტუტები. ეს არსებითია საგანგებო ამბის შესახებ პლურალისტული, დაბალანსებული ხედვის შეთავაზებისთვის. უნარი, რეაგირება მოახდინო მოულოდნელ მოვლენებზე, დამოკიდებულია იმ დროზე, რაც მრავალფეროვნების მიმართ ღია სარედაქციო პოლიტიკის ჩამოყალიბებას სჭირდება. ეს გულისხმობს ჟურნალისტების დაქირავებას საზოგადოების ყველა თემიდან, შესაძლებლობის ქონას, ადვილად დაუკავშირდე ბევრ თვითმხილველს და ექსპერტს, თემების გაშუქებას მათი ჩვეული საქმიანობის ფარგლებში და არა მხოლოდ იმ დროს, როდესაც მათგან ინფორმაცია გჭირდება ისეთ მოვლენებთან დაკავშირებით, რომლებმაც, შესაძლოა, ეს თემები დამნაშავეთა ან მსხვერპლთა ჯგუფს გაუთანაბროს.

თუმცა, საზოგადოების მრავალფეროვნების შესახებ ინფორმირებაზე ზრუნვა არ უნდა გადაიზარდოს „ტრაიბალურ ჟურნალისტიკაში“ და არ უნდა დაგვავიწყდეს ის საფრთხე, რასაც ტერორიზმი მთელ საზოგადოებას და მის საერთო ღირებულებებს უქადის. 2016 წლის 12 ივნისს აშშ-ში, ორლანდოს ღამის გეი კლუბში სისხლისღვრაზე კომენტირებისას New York Times-ის ჟურნალისტმა ფრენკ ბრუნიმ თქვა: „ასეთი ადგილები შემთხვევითი არასდროს არ არის. [...] თუმცა, მოდით ვთქვათ მკაფიოდ: ეს თავდასხმა ისევე არ იყო თავდასხმა მხოლოდ ლგბტ ადამიანებზე, როგორც პარიზის „ჩარლი ებდოს“

ოფისებში სისხლისღვრა არ ყოფილა თავდასხმა მხოლოდ სატირიკოსებზე. ორივე თავდასხმა იყო შეტევა თავისუფლებაზე. ორივეს სამიზნე ის საზოგადოებებია, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ განსხვავებული მოსაზრებების, რწმენის სისტემების მრავალფეროვნების, სიყვარულის მრავალფეროვნების მისაღებად და დასაფასებლად. და ამ ორი სისხლისღვრიდან რომელიმეს უფრო ვიწრო მნიშვნელობით განხილვა უფრო დიდი გზავნილის, უფრო დიდი საფრთხის და ნამდვილი მიზნის უგულებელყოფას ნიშნავს“.[31]

2.10 ფიქრი გლობალურად

ჟურნალისტიკას თავისი კანონები აქვს. მას თავისი ჰორიზონტებიც აქვს, რომლებიც დადგენილია გეოგრაფიული, სოციალური თუ კულტურული სიახლოვის მიხედვით. ტერორისტების ძალადობრივი ქმედებები ყოველდღიურად რჩება საერთაშორისო მედიის რადარებს მიღმა, ვინაიდან ისინი ხდება ქვეყნებში, რომლებსაც „უმნიშვნელოდ“ მიიჩნევენ და შორს არიან იმ გლობალური მედია პლატფორმებისგან, რომლებიც საერთაშორისო ყურადღებას იზიდავს; ვინაიდან ასეთი ქმედებები ყოველდღიურობა გახდა იმ ქვეყნებში ანდა იმიტომ, რომ ისინი უშუალოდ უძლიერესი ქვეყნების მოქალაქეებსა თუ ინტერესებს არ ეხება.

მართალია, ტერორისტული აქტი ერთ კონკრეტულ ადგილას ხდება, მაგრამ ის თითქმის ყოველთვის გულისხმობს გლობალური საინფორმაციო მიდგომის გამოყენებას. მართალია, პარიზსა და ბრიუსელში ტერორისტული აქტების ჩამდენები სირიასა და ერაყში შექმნილი ისლამური სახელმწიფოს დაჯგუფების მიმდევრებად აცხადებდნენ თავს, მაგრამ ისინი არც შორს იყვნენ და არც „სადღაც“. სინამდვილეში, ისინი ბრიუსელსა და პარიზში იყვნენ. კავშირები უნდა დამყარდეს იმ ქვეყ-

31 http://www.nytimes.com/2016/06/13/opinion/the-scope-of-the-orlando-carnage.html?ref=opinion

ნებთან, სადაც დამბომბველები და გამტაცებლები ოპერირებენ, იმ ქვეყნებთან, საიდანაც ისინი არიან, იმ ქვეყნებთან, რომელთა მოქალაქეებიც მიზანში ამოიღეს და იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც მათ ებრძვიან.

სინგაპურის გაზეთის Straits Times-ის რედაქტორის მოადგილემ ფელიქს სოჰმა აღნიშნა: „თუ ტერორიზმის კერებს ერთმანეთთან დაკავშირებთ, ნახავთ, რომ სამხრეთ აზიის თითქმის ყველა ქვეყანა ერთმანეთთან გადაჯაჭვულია. ჩვენ ყველა ერთ ნავში ვსხედვართ. მაგრამ რეგიონის ყველა მედია საშუალება კონფლიქტსა და ტერორიზმს თავისებურად აშუქებს. არ არსებობს ერთიანი მიდგომის ტრადიცია, რომელსაც ტერორიზმის უბედურების გასაშუქებლად გამოიყენებდი.“[32]

ტერორისტების ძალადობრივი ქმედებები ყოველდღიურად რჩება საერთაშორისო მედიის რადარებს მიღმა, ვინაიდან ისინი ხდება ქვეყნებში, რომლებსაც „უმნიშვნელოდ“ მიიჩნევენ.

ეს შენიშვნა ასევე ეხება ეროვნულ, ეთნიკურ ანდა რელიგიურ თემებს, რომლებიც თავიანთი დიასპორების მეშვეობით მთელ მსოფლიოში მიდი-მოდიან. მათზე გავლენას ახდენს ის მოვლენები, რომლებიც მათ მშობლიურ თუ მიმღებ ქვეყნებში ხდება. მათი ზოგიერთი წევრი შესაძლოა მხარსაც კი უჭერდეს ან, მინიმუმ, ამართლებდეს მოძალადე ორგანიზაციების ქმედებებს. სამშობლოსა და გადასახლების ქვეყანას შორის ინფორმაციის მიმოცვლა გლობალური მედია სივრცის გავლით ხდება.

32 Felix Soh, “The End of Objectivity”, in Shyam Tekwani (Ed.), Media & Conflict Reporting in Asia, Asian Media Information & Communication Centre (AMIC), 2008, p. 35.

ტერორიზმი თანმხვედრი ინტერესებისა და წარმოდგენების პირობებში ოპერირებს. მსოფლიო ერთ დიდ „ინტერნაციონალურ ქალაქად“ იქცა, დაწერა ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა ტიმოთი გარტონ ეშმა თავის წიგნში „სიტყვის თავისუფლება“. მან ასევე აღნიშნა, რომ „ელექტრონული კომუნიკაციის წყალობით, ის, რაც ბრედფორდში (გაერთიანებული სამეფო) იბეჭდება, ხშირად ხელმისაწვდომი ლაჰორშიც (პაკისტანი) იქნება და პირიქით. თუ ამ ორ ქალაქს გამოხატვის თავისუფლების რადიკალურად განსხვავებული ნორმები აქვს, მაგალითად, ერთ ქალაქში ისლამის გაკრიტიკება აბსოლუტურად მისაღებია, მეორეში კი – მიუღებელი, ძალადობრივი რეაქციები ერთ-ერთ ან ორივე ქვეყანაში იქნება მოსალოდნელი.“[33]

მედიამ უნდა გამოიჩინოს ინტერესი ამ „სადღაც სხვაგან“ მდებარე ქალაქების და რეგიონების მიმართ, რომლებიც დღის საინფორმაციო ამბების და საგანგებო მოვლენების მიღმა რჩება. ისინი ძალიან შორს და უმნიშვნელოდაც კი ჩანან მანამ, სანამ რაიმე ისეთი მოვლენა ან თავდასხმა არ მოხდება, რომელიც სტატუს კვოს დაარღვევს. კითხვა, რომელიც 1993 წლის პულიცერის პრემიის ლაურეატმა, ჟურნალისტმა როი გუტმანმა თავის წიგნში „როგორ გამოგვრჩა ეს ამბავი“ დასვა, აჩვენებს, რომ 1990-იან წლებში საბჭოთა ჯარის გამოსვლის შემდეგ, ავღანეთის თემის საფუძვლიანად არგაშუქებას („ძალიან შორსაა და ძალიან რთულია“) მოჰყვა ის, რომ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტულ აქტებამდე თალიბანის და ალ-ქაიდას აღზევება „ვერ შევნიშნეთ“. ანალოგიურად, წლების განმავლობაში წამყვანი საერთაშორისო პრესა ისლამური სახელმწიფოს/დაეშის თემას ძალიან მწირად ან საერთოდ არ აშუქებდა. მერე კი, თითქოს ურჩხული ყუთიდან მოულოდნელად ამოხტა, თუმცა წლების განმავლობაში ერაყის სუნიტურ რეგიონებში ის იზრდებოდა და ძლიერდებოდა. ჯობი უორიკმა

33 Timothy Garton Ash, Free Speech: Ten Principles for a Connected World, Atlantic Books, London, 2016, p. 19.

წიგნში „ისლამური სახელმწიფოს აღზევება“[34] და ჯეისონ ბერკმა წიგნში „ისლამური საბრძოლო განწყობიდან მომდინარე ახალი საფრთხე“[35] ეს ნათლად აჩვენეს. კავშირები სხვადასხვა სფეროებს შორის, რომლებშიც ტერორისტული ჯგუფები მოქმედებენ, ასევე არასაკმარისად შუქდება. ლიბია, ნიგერია და სირია ხშირად ერთმანეთისგან დამოუკიდებელ ერთეულებად შუქდება მაშინ, როდესაც მათ შორის მჭიდრო კავშირებია.

ამ მჭიდრო კავშირს საერთაშორისო და ადგილობრივ მოვლენებს შორის ძალადობის ურთიერთდაკავშირებული ფორმები კიდევ უფრო ართულებს. ტერორიზმი ყველანაირი კრიმინალის, ტრეფიკინგის და კორუფციის მიჯნაზე მთელი ძალით მოქმედებს. მას ცუდად კონტროლირებადი გლობალიზაციის და „ქვესახელმწიფოებრივი წარმონაქმნების“ აღზევების წნეხის ქვეშ სახელმწიფოების ფრაგმენტირება ასაზრდოებს.

საერთო მიდგომა, ანუ მიდგომა, რომელიც ურთიერთდაკავშირებული მსოფლიოს რეალობას ასახავს, ნიშნავს ისეთ გაშუქებას, რომელიც მხოლოდ „სადღაც შორს“ მომხდარი ტერორისტული აქტების ფაქტობრივი გაშუქებით არ შემოიფარგლება. მიუხედავად იმისა, რომ სიახლოვის კრიტერიუმს ჟურნალისტიკაში საკუთარი ლეგიტიმური წესები აქვს, მნიშვნელოვანია, დავინტერესდეთ ტერორისტული აქტების ზეგავლენით იმ „დაშორებულ“ საზოგადოებებზე, ადამიანური მსხვერპლით და პოლიტიკური შედეგებით, რაც მოცემულობაა სახლთან ახლოს მომხდარი თავდასხმების შემთხვევაში.

ამრიგად, ახალი მსოფლიო რეალობის გათვალისწინებით, საერთო მიდგომა გონებით გამართლებულია. მაგრამ შესაძლებელია მისი

34 Joby Warrick, Black Flags. The Rise of ISIS, Bantam Press, London, 2015.
35 Jason Burke, The New Threat from Islamic Militancy, The Bodley Head, London, 2015.

ემოციითაც გამართლება? მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ ჩადენილი თავდასხმებით აღშფოთების გამოხატვისას, ჟურნალისტიკა ხშირად სიახლოვის კრიტერიუმით ხელმძღვანელობს, მაგრამ არის კი ეს მიდგომა ეთიკურად და ადამიანურად მისაღები? ფრანგული გაზეთის Le Mond-ის ახლო აღმოსავლეთის ექსპერტი კრისტოფ ეია დი სვამს კითხვას: „ის წესები, რომლებსაც ჩვენ დასავლელი მძევლებისთვის ვაწესებთ, რამდენად ვალიდურია ერაყელი სამხედროებისა და მოქალაქეების მიმართ, რომლებსაც ჯიჰადისტები აწამებენ?“[36]

რატომ არ იწვევს ევროპის აღშფოთებას ის სისხლისღვრა, რომელიც ბოკო ჰარამმა ნიგერიაში და ჩრდილოეთ კამერუნში ჩაიდინა? საერთაშორისო თანამეგობრობის მობილიზება #BringBackOurGirls კამპანიის ირგვლივ მხოლოდ 2014 წლის აპრილში ჩიბოკში 200 სკოლის მოსწავლე გოგოს გატაცებას მოჰყვა. სხვა თავდასხმები კი, როგორიც იყო 2015 წლის იანვარში ბაგაში, ჩადთან საზღვარზე, რომელსაც 2,000 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, თითქმის არ გაშუქებულა იმ თავდასხმებთან შედარებით, რომლებიც იმავე პერიოდში პარიზში მოხდა. „მე ჩარლი ვარ, მაგრამ მე ასევე ბაგა ვარ“, დაწერა სამხრეთ აფრიკელმა ჟურნალისტმა სიმონ ალისონმა Daily Maverick-ში, მაგრამ ის, სამწუხაროდ, ერთი იმ იშვიათთაგანი იყო, ვინც ეს გააკეთა.[37]

ასევე, რატომ დაეთმო ამხელა ყურადღება პარიზში 2015 წლის 13 ნოემბერს მომხდარ თავდასხმებს, როდესაც წინა საღამოს ბეირუთში მომხდარი აფეთქების შედეგად დაღუპული 40 ლიბანელის შესახებ მხოლოდ მოკლე ცნობა გავრცელდა? 14 ნოემბერს მწერალმა და პოდკასტერმა მუჰამედ გილანმა ტვიტერზე დაწერა: „რა უფრო სამ-

36 http://www.lemonde.fr/actualite-medias/article/2014/09/25/les-medias-face-a-l-etatislamique_4494681_3236.html

37 http://www.dailymaverick.co.za/article/2015-01-12-i-am-charlie-but-i-am-baga-too-onnigerias-forgotten-massacre/

წუხაროა? #ParisAttacks თუ ის რომ #BeirutAttacks-ს იმ ყურადღების მეათასედიც არ დათმობია, რაც დღეს მსოფლიომ #Paris-ს დაუთმო?"[38]

რასთან გვქონდა საქმე – ჟურნალისტიკის მიერ სიახლოვის პრინციპის დაცვასთან თუ უხეშ დაუდევრობასთან? ეს დისპროპორცია ჟურნალისტურ გაშუქებაში ნაწილობრივ შეიარაღებული დაჯგუფებების მიერ კონტროლირებად ზონებში, მაგალითად, ნიგერიის ჩრდილოეთ რაიონში, უსაფრთხოების, წვდომის და კომუნიკაციის პრობლემებით აიხსნება, ასევე ადგილობრივი ხელისუფლებების დამოკიდებულებით, რომელთაც მათ ტერიტორიებზე ჩადენილი ტერორისტული აქტების შესახებ დიდი ხმაურის ატეხვა არ სურთ.[39] თუმცა, გაშუქების ასეთი განსხვავებული დონეების გამართლება, ძნელია.

ჟურნალისტური რუტინის შეცვლა ძალიან ძნელია, ნაწილობრივ საზოგადოების ზოგადი დამოკიდებულების გამო, რომელსაც არ აინტერესებს ის ქვეყნები, „რომლებიც [მათ] არ ჰგავს", თქვა ავსტრალიელმა პროფესორმა ფოლკერ ჰანუშმა.[40] ინტერესის დეფიციტის მეორე მიზეზი არის ის, რომ ამ ქვეყნებს საერთაშორისო არენაზე გავლენა არა აქვთ. „ეს პასუხისმგებლობა აუდიტორიამაც უნდა გაიზიაროს", დაამატა ფოკერ ჰანუშმა.

„ინფორმაციის ნაციონალიზმი, საზოგადოების სუსტი მობილიზება, როდესაც მოვლენები უშუალოდ მათ მოქალაქეებსა და ტერიტორიას არ ეხება, ბარიერს უქმნის ტერორიზმის წინააღმდეგ დემოკრატიების მობილიზების პროექტს," აღნიშნეს მიშელ ვიევორკამ და დომინიკ

38 https://twitter.com/mohamedghilan/status/665410198878711810
39 https://www.theguardian.com/world/2015/jan/12/-sp-boko-haram-attacks-nigeria-bagaignored-media
40 http://www.newstatesman.com/politics/media/2015/11/disproportionate-coverageparis-attacks-not-just-media-s-fault

ამრიგად, გლობალურად ფიქრი ტერორიზმთან ბრძოლაში უმნიშვნელოვანესია. ეს მხოლოდ ჰუმანურობის და ეფექტიანობის საკითხი არ არის, არამედ ჟურნალისტური ხარისხის საკითხია.

უოლტონმა 1987 წელს გამოცემულ წიგნში Terrorisme à la une[41] („ტერორიზმი პირველ გვერდზე“). ამრიგად, გლობალურად ფიქრი ტერორიზმთან ბრძოლაში უმნიშვნელოვანესია. ეს მხოლოდ ჰუმანურობის და ეფექტიანობის საკითხი არ არის, არამედ ჟურნალისტური ხარისხის საკითხია: ტერორიზმის რეალურად შეფასება მხოლოდ ასე შეიძლება.

ხოლო ჟურნალისტიკის ფუნქცია, ბრიტანელი მწერლის ჯორჯ ორუელის სიტყვების პერაფრაზს თუ გავაკეთებთ, ის კი არ არის, უთხრა ადამიანებს ის, რის მოსმენაც სურთ, არამედ უთხრა სიმართლე მაშინაც კი, თუ მისი მოსმენა არავის სურს.

41 Gallimard, 1987, p. 70.

3

მთავარი საკითხები

- → სიფრთხილე გამოიჩინეთ პირდაპირი ტრანსლირების დროს
- → გაითვალისწინეთ ინფორმაციის გავრცელებაზე აკრძალვა უსაფრთხოების ოპერაციების მიმდინარეობის დროს
- → მიუთითეთ ინფორმაციის წყარო და დაასახელეთ ინფორმაციის მომწოდებლები
- → დაუყოვნებლივ და თვალსაჩინოდ გაასწორეთ ნებისმიერი შეცდომა
- → სიფრთხილით მოეკიდეთ გამოჟონილ ინფორმაციას და კონფიდენციალურ წყაროებს
- → განმარტეთ, რატომ მიანიჭეთ წყაროს ანონიმურობა
- → გამოიყენეთ ექსპერტები, მაგრამ გამოიჩინეთ სიფრთხილე
- → არ დაკარგოთ პროპორციულობის განცდა
- → არ განადიდოთ ტერორისტები
- → პატივი ეცით დაზარალებულთა და განსაკუთრებით, ბავშვთა ღირსებას
- → პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის საბაბით არ გააბუნდოვანოთ სიმართლე
- → ნუ დაელოდებით სხვის მიერ აქტის ან ჯგუფის „კვალიფიცირებას“
- → თავი აარიდეთ მორალისტურ იდეოლოგიურ მიდგომას, რომელიც აბუნდოვანებს რეალობას
- → გახსოვდეთ, რომ ყველა სიტყვა – მაგალითად, ჯიჰადისტი, ომი – არ გამოყენება ობიექტურად
- → ციფრებსა და გამოკითხვების შედეგებს გარკვეული სკეფსისით მიუდექით
- → რა და როგორ ვაჩვენოთ? ბალანსი ინფორმირების ვალდებულებასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვას შორის
- → გამოაქვეყნეთ მნიშვნელოვანი ვიზუალი სენსაციურობის გარეშე
- → სიფრთხილით გამოაქვეყნეთ თვითმხილველების/ გამვლელების გამოსახულება
- → გადაამოწმეთ გამოსახულების ავთენტურობა გამოქვეყნებამდე
- → თავი შეიკავეთ განზოგადებისგან
- → გააკონტროლეთ სიძულვილის ენა და გამოავლინეთ ჭორები და შეთქმულების თეორიები

© GUILLAUME PAYEN / NURPHOTO

თავი 3
ძირითადი წესები

3.1 სიფრთხილისა და დაეჭვების დისციპლინა

ტერორიზმის გაშუქება მედიისთვის იშვიათი გამოწვევაა, ვინაიდან ის იწვევს დაბნეულობას და ღელვას, აჩენს ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების წყურვილს, მოიცავს პოლიტიკურ რისკებს და ყველა მოთამაშეს უჩენს სურვილს, გააკონტროლოს ნარატივი.

შესაბამისად, ეჭვი და სიფრთხილე მუდმივი მოთხოვნაა. „ჰო, და კიდევ ერთი საკითხი“ – პოპულარული სატელევიზიო სერიალის „კოლომბოს“ მთავარი გმირის ეს საყვარელი ფრაზა ტერორიზმის გაშუქებას ეხება, რადგან ის სასარგებლოა ყოველი თავის დაძვრენის და მოტყუების მცდელობის დროს.

შეიძლება ითქვას, რომ მედიას, როგორც 2013 წლის 15 აპრილს ბოსტონის მარათონზე თავდასხმის შემდეგ პროფესორმა და ჟურნალისტმა ჯეფ ჯარვისმა თქვა, უნდა ჰქონდეს პროგრამა სახელწოდებით „რაც ჩვენ არ ვიცით, ის ახალი ამბავია“.[1]

1 http://buzzmachine.com/2013/04/22/and-now-the-news-heres-what-we-dont-know-at-thishour/

ეს ფრაზა New York Times-მა 2016 წლის 12 ივნისს ორლანდოში მომხდარი მკვლელობების და 2016 წლის 14 ივლისს ნიცაში მომხდარი სისხლისღვრის გაშუქებისას გამოიყენა, როდესაც სტატიები შემდეგი სათაურებით გამოაქვეყნა: „სროლა ორლანდოში: რა ვიცით და რა არ ვიცით“ და „სატვირთო მანქანის შეჯრა ნიცაში, საფრანგეთი: რა ვიცით და რა არ ვიცით“.

როგორც კი თავდასხმა ხდება, მედია მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადადის. ის უპირატესობას პირდაპირ ტრანსლირებას ანიჭებს იმ ვითარებაში, როდესაც გაურკვევლობა სუფევს და ამბის შესახებ მხოლოდ ფრაგმენტული ინფორმაცია ვრცელდება, ასევე ისეთ მედია გარემოში, რომელსაც უწყვეტად მოქმედი სოციალური ქსელები სულ უფრო იპყრობს. ყველგან ჭორების, დეზინფორმაციის და ემოციის ხაფანგებია დაგებული. ტვიტერის ანგარიშებით სავარაუდოდ დაკარგული ადამიანების ფოტოები ქვეყნდება, კეთდება განცხადებები არარსებულ გატაცებებზე და ვრცელდება დაუდასტურებელი ცნობები. მედიისთვის თავშეკავება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია, რადგან ასეთი ჭორები და ყალბი ინფორმაცია ტერორიზმის ზეგავლენას აძლიერებს, პოლიციის ყურადღება გადაუდებელი საქმიდან გადააქვს და მოსახლეობაში დაბნეულობას და შიშს აჩენს.

„‘დიდხანს არასდროს მეშლება’ არ არის შესაფერისი მაქსიმა, როდესაც მილიონობით ადამიანი ჭორებისა და ურთიერთგამომრიცხავი განცხადებების ქაოსში სანდო ინფორმაციას ეძებს“.

პირდაპირი ბლოგინგი (ინფორმაციის ონლაინ, რეალურ დროში გამოქვეყნება) გადაჭარბებული რეაქციის მუდმივ საფრთხეს შეიცავს, ტრადიციული მედიის ვებ-გვერდებზეც კი. სარედაქციო გუნდისა და სხვა წყაროების შეგროვილი ინფორმაციის ეს ნაკრები, რეაქციებსა და კომენტარებთან ერთად, ინფორმაციის სიზუსტეს რისკის ქვეშ მუდმივად აყენებს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგი თავს იიმედებს

ან საკუთარ ქმედებას იმით ამართლებს, რომ სწრაფად შეასწორებს ინფორმაციას, თუ ის არასწორი აღმოჩნდება. თუმცა, როგორც Guardian-ის ყოფილმა მკითხველთა რედაქტორმა კრის ელიოტმა აღნიშნა, „'დიდხანს არასდროს მეშლება' არ არის შესაფერისი მაქსიმა, როდესაც მილიონობით ადამიანი ჭორებისა და ურთიერთგამომრიცხავი განცხადებების ქაოსში სანდო ინფორმაციას ეძებს".[2]

აუცილებელია კრიტიკულად მოეკიდოთ მედიის სხვა მოთამაშეებს, საკუთარ თავსა და წინასწარგანწყობებს. მედიის კორიფეები და წამყვანი საინფორმაციო სააგენტოებიც უშვებენ შეცდომებს. თუ ინფორმაციის გადამოწმება ვერ ხერხდება, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ის გადაუმოწმებელია, მიეთითოს მისი წყარო და ამ გზით მოხდეს საზოგადოების გაფრთხილება, რომ ეს ინფორმაცია დადასტურებული არ არის. ეს წესი ასევე ვრცელდება „აღიარებულ სიმართლეზეც", წინასწარ ჩამოყალიბებულ მოსაზრებებსა და ფართოდ გავრცელებულ თეორიებზე, როგორიცაა გამარტივებული თეორია, თითქოს ტერორიზმს დისკრიმინაცია ან სიღარიბე წარმოშობს.[3]

თავის წიგნში „საუბარი ტერორისტებთან" ენ სპეკჰარდს ასეთი მაგალითი მოჰყავს: ტერორისტის ოჯახებთან მისმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პალესტინელი თვითმკვლელი ტერორისტების მშობლები საჯაროდ აცხადებენ, რომ თავიანთი „მოწამე" შვილებით ამაყობენ, კერძო საუბრებში ისინი ხშირად გამოხატავენ საშინელ ბრაზს იმ ორგანიზაციების მიმართ, რომლებმაც ისინი გადაიბირეს და თვითმკვლელობა ჩაადენინეს. „საჯაროდ ისინი ამაყობენ, მაგრამ პირადად განადგურებულები არიან," დაწერა მან.[4]

---

2 http://www.theguardian.com/commentisfree/2015/nov/23/what-we-got-right-and-wrongin-coverage-of-the-paris-attacks

3 http://www.lemonde.fr/les-decodeurs/article/2015/11/25/cinq-idees-recues-sur-l-islam-etle-terrorisme_4817306_4355770.html

4 http://www.smh.com.au/comment/terrorists-the-word-from-inside-their-minds-20130725-2qn6y.html

ყველაფერი უნდა დაზუსტდეს, აიწონ-დაიწონოს და დადასტურდეს. სკეპტიკურ ჟურნალისტიკაში მოარული ფრაზა – „დედა თუ ამბობს, რომ უყვარხარ, აუცილებლად გადაამოწმე“ – არასოდესაა ისე შესაფერისი, როგორც ახლა.

ტერორისტული აქტის დროს მედიის ბუნებრივი რეფლექსია, რაც შეიძლება სწრაფად დაასახელოს დამნაშავე. აქ არის რისკი ნაჩქარევი ბრალდებების, რომლებიც სხვა ტერორისტულ აქტებთან მსგავსებებზე დაყრდნობით გამოითქმის, ოფიციალური ვერსიების ადვილად დაჯერების და წინასწარგანწყობებისაც კი. ხშირად ყოფილა, რომ მედიას დასკვნები არასაკმარის მონაცემებზე დაყრდნობით გამოუტანია და ჩამოუყალიბებია ვერსიები, რომლებიც არასწორი აღმოჩნდა. 2012 წლის მარტში საფრანგეთის ქალაქ მონტობანში უცხოური წარმოშობის ფრანგი სამხედროების მკვლელობის შემდეგ ზოგმა მედიამ ეს დანაშაული უპირატესად ულტრამემარჯვენე ძალებს დაუკავშირა, თუმცა ამ დანაშაულის ჩამდენი მუჰამედ მერაჰი რადიკალური ისლამური ხედვის მიმდევრად აცხადებდა თავს. ანალოგიურად, 1995 წელს აშშ-ის ოკლაჰომა-სიტიში თავდასხმის შემდეგ ბევრმა მედია საშუალებამ უმალ გაუსვა ხაზი არაბულ კავშირს, აღწერდნენ რა „ორ ეჭვმიტანილს, როგორც ახლო აღმოსავლური გარეგნობის მქონე შავთმიან და წვერებიან“ ადამიანად. სინამდვილეში კი, დამნაშავე ულტრამემარჯვენე იდეოლოგიის მიმდევარი თეთრკანიანი ტიმოთი მაკვეი იყო.[5] ზოგმა მედია ორგანიზაციამ არაბული წარმოშობის ამერიკელი „ეჭვმიტანილებიც“ კი დაასახელა ისე, რომ ასეთი ბრალდების სიმძიმის მიუხედავად, მათ შესახებ ინფორმაცია ყურადღებით არ გადაუმოწმებია.

ასეთი შეცდომების შედეგები შეიძლება დამანგრეველი აღმოჩნდეს ამგვარად სტიგმატიზებული ადამიანებისა და შესაბამისი თემებისთვის. ოკლაჰომა-სიტის თავდასხმის მომდევნო დღეებში ამერიკულ-არაბული ანტიდისკრიმინაციული კომიტეტის თავმჯდომარემ ჰამზი

5 http://ajrarchive.org/Article.asp?id=1980

მოგბარიმ მთელი შეერთებული შტატების მასშტაბით „არაბული გარეგნობის“ მქონე ადამიანების შევიწროებისა და დაშინების უამრავი შემთხვევა აღრიცხა. ზოგმა ამერიკულმა მედია საშუალებამ თავი იმართლა იმით, რომ მხოლოდ გამომძიებლების მიერ მოწოდებული ინფორმაცია გამოიყენა.[6] თუმცა, შეცდომის ერთ-ერთი მიზეზი ხელისუფლების გადაჭარბებული პატივისცემაა, თითქოს მან სიმართლე იცოდეს. 2004 წელს ესპანეთში ტერორისტული აქტის დროს მედიამ პირველ რიგში ესპანეთის მთავრობის პოზიცია გაავრცელა, რომელიც ორგანიზაციას ETA („ბასკების სამშობლო და თავისუფლება“) ადანაშაულებდა. ამ ვარაუდს თავისი ლოგიკა ჰქონდა, რადგან ბასკების ეს სეპარატისტული შეიარაღებული ორგანიზაცია იმ დროს აქტიური იყო. თუმცა, ამას არ უნდა დაეჩრდილა სხვა ვარაუდი, რომ ამ აქტის უკან ისლამისტი ექსტრემისტები იდგნენ, რადგან 2003 წელს ესპანეთის მთავრობამ ერაყში შეჭრას მხარი დაუჭირა.

ჟურნალისტები, რომელთა სპეციალიზაცია ტერორიზმის გაშუქებაა, ძირითადად წყაროებად შესაბამის ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებს ეყრდნობიან. გასაგები მიზეზების გამო, ამ წყაროების ვინაობა, უმეტეს შემთხვევაში, ანონიმური უნდა დარჩეს. თუმცა, ისინი იშვიათად არიან ნეიტრალური ან არადაინტერესებული მხარე. ინფორმაცია, რომელსაც ისინი ამჟღავნებენ, შეიძლება იყოს ნახევრად სიმართლე ან სულაც, ტყუილი, პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. თავის წიგნში „ტერორიზმის შეფუთვა“, მერილენდის უნივერსიტეტის პროფესორი სიუზან მოელერი ჟურნალისტიკის წინაშე არსებულ საფრთხეებს ასე აჯამებს: „როგორც საგანგებო ინფორმაციისთვის, ასევე ანალიზისთვის, მედია ზედმეტად ეყრდნობა ოფიციალურ (ან ყოფილ ოფიციალურ) წყაროებს და ბევრს არაფერს აკეთებს, რომ საჯაროდ განაცხადოს ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ისინი ოფიციალურ განცხადებებს ფაქტებად გვაწვდიან და იშვიათად გვთავაზობენ ამ განცხადებების დამოუკიდებელ ანალიზს ან დადასტურებას. ისინი ოფიციალურ პირებს ანონიმურად საუბრის უფლებას ხშირად აძლევენ.“

6 http://ajrarchive.org/Article.asp?id=1980

„მინიშნებების“ და გამოჟონილი ინფორმაციის მიმართ განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო, რადგან ის შესაძლოა ყალბი აღმოჩნდეს. ზოგი მედია საშუალების ან ჟურნალისტისთვის დიდი ცდუნებაა შთაბეჭდილების შექმნა, რომ მას პოლიციის საგამოძიებო გუნდთან ახლო კავშირი აქვს. ამის უარყოფითი მხარე ის არის, რომ ეს მედია საშუალება ან ჟურნალისტი შეიძლება ისეთი სტრატეგიებისა და მანევრირების ინსტრუმენტებად გამოიყენონ, რომლებსაც ის ვერ აკონტროლებს. კონტრტერორიზმის სფერო დაზვერვის სფეროს მოთხოვნებს იცავს და უფრო სიმულაციითა და დეზინფორმაციით ხელმძღვანელობს, ვიდრე საინფორმაციო ეთიკით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია, ჟურნალისტებს ბევრ, მრავალფეროვან წყაროსთან ჰქონდეთ წვდომა, იქნება ეს ინსტიტუტები, უნივერსიტეტები თუ სამოქალაქო საზოგადოება. ამ გზით ისინი შეძლებენ, გადაამოწმონ ყველაფერი, განსაკუთრებით ის ინფორმაცია, რომელიც იმდენად გამაოგნებელი და ექსკლუზიურია, რომ მის გამოქვეყნებაზე უკეთესს ვერც კი ინატრებდი.

სარედაქციო გუნდებმა გარკვეული ზომები უნდა შემოიღონ იმ საფრთხის შესამცირებლად, რომელიც ანონიმურ წყაროებს უკავშირდება: კერძოდ, ჟურნალისტმა უნდა დაუმტკიცოს მთავარ რედაქტორს და აუხსნას საზოგადოებას, რატომ ისურვა წყარომ ანონიმურად დარჩენა. ზოგი მედია ორგანიზაცია მოითხოვს, რომ ჟურნალისტმა მის უშუალო ხელმძღვანელს ანონიმური წყაროს ვინაობა გაუმჟღავნოს.

თავდასხმის შემდეგ გაკეთებული ოფიციალური განცხადებები, სამძიმარი თუ მწუხარებისა და აღშფოთების გამოხატვაც „ფარისევლობის დეტექტორით“ უნდა გადამოწმდეს. სწორედ ასე მოიქცა ლათინოამერიკული ვებ-გვერდი Fusion 2016 წელს ორლანდოში ლგბტ თემზე თავდასხმის შემდეგ, როდესაც აუდიტორიას შეახსენა იმ ანტი-ლგბტ პოლიტიკოსების ადრინდელი დისკრიმინაციული და სტიგმატური

განცხადებები, რომლებიც ახლა მსხვერპლთა მიმართ „თანაგრძნობის“ გამოხატვას ერთმანეთს ასწრებდნენ.[7]

ასეთივე სიფრთხილეა საჭირო ექსპერტების მიმართ. სხვა თემების გაშუქებაზე უფრო მეტად, ტერორიზმის ახსნას და ინტერპრეტირებას ანდობენ არა მედია ორგანიზაციის სარედაქციო გუნდს, არამედ გარე ექსპერტებს, მათთან ინტერვიუებისა თუ საავტორო მოსაზრებების სტატიების ფორმით. ისინი ხშირად ნამდვილად მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდიან, მაგრამ სიფრთხილე მაინც აუცილებელია. მედია უნდა უფრთხოდეს სატელევიზიო ცნობადი სახეების უაპელაციო განცხადებებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ იციან და ესმით ყველაფერი. ექსპერტებმაც შეიძლება დაუშვან შეცდომები, რადგან ისინი იმ თეორიების ტყვეობაში არიან, რომლებიც არსებული რეალობიდან მოწყვეტით არის შემუშავებული. ასევე შესაძლებელია, რომ ექსპერტებმა ისეთი კომენტარები გააკეთონ, რომლებიც პოლიტიკურ დღის წესრიგს წაადგება: მათ პოლიტიკური დღის წესრიგის, იმ ორგანიზაციის, სადაც მუშაობენ ანდა იმ ფონდების, სამინისტროების თუ სადაზვერვო უწყებებისა, რომლებიც მათ აფინანსებენ. მათ შეიძლება გააზვიადონ საფრთხე, რადგან მათი პროფესიული ეკონომიკური მოდელი ამაზეა დამოკიდებული.

ძალიან ბევრი ინფორმაცია გამოიწვევს ისეთსავე შფოთვას, როგორც ძალიან ცოტა ინფორმაცია, გაშუქების „ტონისა“ და ძალადობის ჩვენების მხრივ.

ამრიგად, უმნიშვნელოვანესია მათი კომპეტენტურობის და დამოუკიდებლობის შემოწმება. მედიამ უნდა დააზუსტოს ამ ექსპერტების კვალიფიკაცია, ინსტიტუტები, რომლებშიც ისინი მუშაობენ (მემარცხენე იდეოლოგიისაა თუ მემარჯვენე, უნივერსიტეტთან არსებულია თუ სამინისტროსთან, და ა.შ.) და მათთვის დასმული კითხვებით გაფანტონ

7 http://fusion.net/story/3122969/Orlando-pulse-massacre-politicians-react-hypocrisy/

ნებისმიერი ბუნდოვანება. ამრიგად, აუცილებელია, რომ მედიამ ექსპერტებს კონტრკითხვები დაუსვას, როგორც ამას სხვა რესპონდენტების, თვითმხილველების ან პოლიტიკოსების შემთხვევაში აკეთებს და არ მოეკიდოს მათ როგორც მეცნიერებს, რომლებმაც სიმართლე იციან, უშეცდომოები და შესაბამისად, შეუდარებლები არიან.[8]

ტერორიზმის გაშუქება ასევე მოითხოვს პროპორციის შეგრძნების შენარჩუნებას. გონიერება უნდა იყოს მთავარი წესი როგორც გაშუქების მოცულობაში – ძალიან ბევრი ინფორმაცია გამოიწვევს ისეთსავე შფოთვას, როგორც ძალიან ცოტა ინფორმაცია, გაშუქების „ტონისა“ და ძალადობის ჩვენების მხრივ. ძალადობის ჩვენება მედიის კლასიკაა, რომელსაც ხელს უწყობს საინფორმაციო პროგრამები, ასევე ბევრი ფილმი, სატელევიზიო სერიალი და ვიდეო თამაში. „სისხლს რეიტინგი მოაქვს“ გავრცელებული გამოთქმაა. მედია, პრაქტიკულად, ავტოპილოტზე გადადის, თითქმის ავტომატურად უწყობს ხელს ტერორისტების ზეგავლენის გაძლიერებას და გაზვიადებასაც კი. მედიამ ეს უნდა იცოდეს და მუდმივად აკონტროლოს, როგორ იყენებს ინფორმაციას, რომ საჭიროების შემთხვევაში, აღიდგინოს თავშეკავების გრძნობა და ბალანსი *(იხილეთ, შიშთან გამკლავება, გვ. 60)*.

მედიამ უნდა ისწავლოს საკუთარი „ტონის“ გაზომვა, რათა არ ასაზრდოოს „ხმაურის მანქანა“, ხელი არ შეუწყოს შფოთვის გავრცელებას ან ბრაზის მატებას და არ წარმოაჩინოს ტერორიზმის ფენომენი ან მისი მონაწილეები უფრო ძლევამოსილად, ვიდრე ის სინამდვილეშია. როგორც არასდროს, საზოგადოება მოელის, რომ მედია მისი საყრდენი იქნება და გადაარჩენს მათ ინფორმაციის მორევში ჩაკარგვისგან.

ტერორისტებს მართლაც ვარსკვლავებად აღიქვამენ, როგორც ამას ზოგჯერ მთავრობის წარმომადგენლები აცხადებენ? ტერმინები, რომ-

8 http://www.slate.fr/story/110375/faux-experts-terrorisme

ლებიც ტერორისტული აქტების ჩამდენების მიმართ გამოიყენება დაგმობისა და უარყოფის ტერმინებია: მედია საუბრობს მკვლელობებზე, ბარბაროსებზე, ურჩხულებზე და მკვლელებზე. თუმცა, ტერორისტების ზოგი აღწერა, შესაძლოა, გაუცნობიერებლად მოწონებას ან აღტაცებას იწვევდეს. როდესაც წინდაუხედავად ვსაუბრობთ ტერორისტული აქტის „ორგანიზატორზე“ ანდა „კარგად დაგეგმილ“ თავდასხმებზე, ხომ არ შეიცავს ეს მკვლელების განდიდების და მათ განსაკუთრებულ ადამიანებად წარმოსახვის საფრთხეს, იკითხა აშშ-ის ეროვნულმა საზოგადოებრივმა რადიომ[9] (*იხილეთ, სიტყვები, გვ. 84*).

1970-იან წლებში ტერორისტულ აქტებში მონაწილე „ტურა კარლოსის“ სახელით ცნობილი ვენესუელელი ილიჩ რამირეს სანჩესის, ოსამა ბინ ლადენის, ანდერს ბერინგ ბრეივიკის და აბუ მუსაბ ალზარქავის ზოგი დახასიათება ზოგჯერ ასეთი მომხიბლაობის ზღვარზე გადის.[10]

როდესაც ტელევიზიები განმეორებით აჩვენებდნენ პარიზის 2015 წლის 13 ნოემბრის ტერაქტების ერთ-ერთი მონაწილის ადრინდელ ვიდეოს, რომელშიც ის თავს ისლამური სახელმწიფოს მსხვერპლთა გვამებით იწონებდა, გაუცნობიერებლად ხომ არ აძლიერებდნენ ისინი ტერორიზმის ამორალურ ხიბლს?[11] ტერორიზმის შესახებ ანგარიშებისა და წიგნების სათაურებიც ამ „სახიფათო გზაზე“ დადგომის მუდმივ რისკს გამოხატავს. მედია ამტკიცებს, რომ აღშფოთებულია მკვლელების არაადამიანურობით, მაშინ, როცა იყენებს მას საზოგადოების ცნობისმოყვარეობის გასაღვივებლად ანდა საზოგადოების „ბოროტებისადმი ინტერესის“ დასაკმაყოფილებლად. ტერორისტთა ერთ-ერთი მიზანია, დაანახოს საზოგადოებას თავისი ძალა. როდესაც მედია აზვიადებს ტერორისტული დაჯგუფებების სტრატეგიულ აზროვნებას ანდა

9 http://www.wnyc.org/story/breaking-news-consumers-handbook-terrorism-edition/
10 http://www.wnyc.org/story/breaking-news-consumers-handbook-terrorism-edition/
11 http://www.francetvinfo.fr/faits-divers/terrorisme/attaques-du-13-novembre-a-paris/quiest-abdelhamid-abaaoud-le-cerveau-presume-des-attentats-de-paris_1178553.html

რაიმე მოსაზრებით, მაგალითად, პოლიციის ზომების მხარდასაჭერად ან შეიარაღებული ინტერვენციის გასამართლებლად, ხაზს უსვამს მათ ტაქტიკურ უნარებს, ანდა სენსაციურობის გამო აზვიადებს საფრთხის სიმძიმეს, ის ნამდვილად ხდება ჟანგბადის მიმწოდებელი, რაზეც მარგარეტ თეტჩერი საუბრობდა. ტერორიზმის ყველაზე ხმამაღლა დამგმობი ჟურნალისტები, ექსპერტები თუ მსაჯულები ზოგჯერ ისინი არიან, ვინც ტერორიზმის ძალას მედიით აძლიერებს .

ასევე დიდი ცდუნება, და ერთი შეხედვით, არც ისეთი დასაძრახი საქციელია იმ ადამიანების ქებით ცამდე აყვანა, ვინც ტერორიზმთან ბრძოლას განასახიერებს – უსაფრთხოების სამსახურების ან სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლების. „კარგი ბიჭების“ ტელეპოპულარულ ადამიანებად ქცევა ზოგჯერ მათ წმინდანის შარავანდედით მოსავს, მაგრამ აქ დგება კრიტიკული დისტანციის დაკავების რეალური საფრთხე, რაც უმნიშვნელოვანესია ჟურნალისტიკაში.

3.2 პატივისცემაზე დამყარებული ეთიკა

ტერორიზმის გაშუქება პატივისცემაზე დამყარებულ ეთიკას მოითხოვს. დაზარალებულები მედია გაშუქების ეპიცენტრში არიან. ჟურნალისტები ჩქარობენ დაზარალებულებს გადაუღონ ფოტოები და გაესაუბრონ მათ.

ეს ინფორმირების მოვალეობის შემადგენელია, მაგრამ საჭიროა მისი მკაცრი რეგულირება, რათა უზრუნველყოფილი იქნეს დაზარალებულების, მათი მეგობრების და ოჯახის წევრების მიმართ პატივისცემა, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანთა უმრავლესობამ, ვინც დაზარალებული ან თვითმხილველი, არ იცის, როგორ მუშაობს მედია.

ძალიან ხშირად ჟურნალისტთა მთელი არმია მისდევს ტრავმირებულ ადამიანებს, გასაქანს არ აძლევს მათ, კითხვებს აყრის და არ-

ჩევს მათ მათი სავარაუდო როლის მიხედვით ტანჯვის თეატრალიზებულ შოუში. ძალიან ხშირად ჟურნალისტები მოურიდებლად იღებენ დაჭრილებს და გარდაცვლილებს და ძალიან ახლოს მიდიან მათთან, როგორც ეს 1988 წელს შოტლანდიის ქალაქ ლოკერბიზე თავდასხმის შემთხვევაში მოხდა, როდესაც ჟურნალისტებმა დაღუპულ ადამიანებს ზეწრები გადააძრეს და ფოტოები გადაუღეს.[12] ძალიან ხშირად ისინი არღვევენ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას. რა აუცილებელი იყო 2001 წლის ნიუ-იორკის თავდასხმების მსხვერპლებსა და საგანგებო დახმარების სამსახურებს შორის საუბრების განმეორებით გაშვება? რაფაელ კოენ-ალმაგორმა, ჰაიფის უნივერსიტეტის დემოკრატიული კვლევების ცენტრის დამფუძნებელმა და ყოფილმა დირექტორმა, შენიშნა: „მათ ბოროტად გამოიყენეს იმ ადამიანთა უბედურება, ვინც თვითმფრინავის შეჯახებით დანგრეულ მსოფლიო სავაჭრო ცენტრში ხაფანგში იყო მომწყვდეული და მალე დაიღუპებოდა, განმეორებით აჩვენებდნენ რა იმ ხალხის ემოციურ ტანჯვას, ვინც ცდილობდა გამკლავებოდა გაუსაძლის კოშმარს, უნდობლობას, შიშსა და ტერორს. იმ სენსაციურმა მაუწყებლებმა უკეთესი რეიტინგებისთვის რბოლაში მსხვერპლთა მიმართ ძალიან მცირე მგრძნობელობა გამოიჩინეს.“[13]

რა არის ის ძირითადი წესები, რომლებიც ჟურნალისტებმა უნდა დაიცვან, რომ საზოგადოების ინფორმირების მოვალეობაც შეასრულონ და მსხვერპლთა ღირსებას და უფლებებსაც სცენ პატივი? ისინი უნდა მოიქცნენ ადგილობრივი კონტექსტის შესაბამისად. მაგალითად, საომარ მდგომარეობაში მყოფ ქვეყნებში, ინფორმაციის გავრცელების აუცილებლობამ, განსაკუთრებით დაზარალებულთა ოჯახებისთვის, შეიძლება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, სიკვდილის პატივისცემაც კი გადასწონოს. ერაყში, 2015 წელს კარადის უბანში მანქანაში დამონტაჟებული ბომბის აფეთქების შემდეგ,

12 Joan Deppa, The Media and Disasters: Pan Am 103, David Fulton Publishers, London, 1993.

13 http://www.cjc-online.ca/index.php/journal/article/view/1579

სულ ცოტა ერთმა სატელევიზიო არხმა გაავრცელა გარდაცვლილთა და დაჭრილთა სია, რომელიც მათ ადგილობრივმა საავადმყოფომ მიაწოდა.[14]

დარტ ცენტრმა ძალადობის მსხვერპლ ან თვითმხილველ ბავშვებთან ინტერვიუს აღებასთან დაკავშირებით კონკრეტული რეკომენდაციები გამოაქვეყნა (*იხილეთ ასევე „ბავშვების გამოსახულება," გვ. 104*). ამ რეკომენდაციებში ხაზგასმულია მშობლის ან მეურვისგან ინფორმირებული თანხმობის მიღების აუცილებლობა, კითხვების სიფრთხილით დასმა, განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენა ბავშვის ღირსებისა და ფსიქოლოგიური მდგომარეობის მიმართ.[15]

თუმცა, ეს პატივისცემაზე დამყარებული ეთიკა სიმართლის დამალვის მიზეზი არ უნდა გახდეს. 1988 წელს შოტლანდიაში ლოკერბიზე თავდასხმის დროს, მსხვერპლის ოჯახის ნათესავი აღშფოთებას გამოთქვამდა ზოგიერთი ჟურნალისტის თავხედური და უხეში ქცევის თაობაზე, რომელიც მტირალ ან ტკივილისგან გულწასულ ადამიანებს იღებდა. მოგვიანებით მათ აღიარეს: „ამ ემოციების აღბეჭდვა ძალიან მნიშვნელოვანია, მიუხედავად იმისა, რომ ეს არ სიამოვნებთ იმ ადამიანებს, ვინც პირად ცხოვრებას იცავს. ასეთი წუთების დროს ჩვენ აღარა ვართ კერძო ინდივიდები და ჩვენი ეგო სხვების სასიკეთოდ უნდა დავივიწყოთ." ზოგმა ეს შესაძლოა უგრძნობელ მოსაზრებად ჩათვალოს, მაგრამ ის ეთიკას ეხება, რომელმაც ინფორმირების ვალდებულებას ხელი არ უნდა შეუშალოს.

14 http://www.aljazeera.com/news/2015/05/150509151030459.html
15 http://dartcenter.org/content/interviewing-children-guide-for-journalists

ინფორმაციის დაბალანსება ჰუმანურობით

ჟურნალისტიკის და ტრავმის დარტ ცენტრმა, ორგანიზაციამ, რომლის სპეციალიზაციაა ძალადობის გაშუქებასთან დაკავშირებული საკითხები, გამოაქვეყნა სახელმძღვანელო მითითებები, რომლებიც ინფორმაციისა და ჰუმანურობის პრინციპებს აერთიანებს. ცენტრმა ასევე მოუწოდა მედიას, არ დაივიწყოს, რომ დაზარალებულებსაც აქვთ უფლებები, მათ შორის ინტერვიუებსა თუ ფოტოებზე „ინფორმირებული თანხმობის" მიცემის ან უარყოფის უფლება.

ქვემოთ ჩამოთვლილია ძირითადი პრინციპები:

1. **ითხოვეთ თანხმობა დაზარალებულისგან.** დაზარალებულებს აქვთ უფლება, უარი გითხრან ინტერვიუს მოცემაზე ან ფოტოს გადაღებაზე.
2. **შეაფასეთ** იმ ადამიანთა **შოკის ხარისხი**, ვისგანაც ინტერვიუს იღებთ: შეიძლება, მათ არა აქვთ უნარი, მოგცენ „ინფორმირებული თანხმობა" და თავი მანიპულაციის მსხვერპლად იგრძნონ.
3. **ნუ დაამძიმებთ დაზარალებულის შოკურ მდგომარეობას.** სიფრთხილით შეარჩიეთ კითხვები და თავაზიანად დასვით ისინი. ფოტოგრაფებმა და ოპერატორებმა განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ, რომ არ დაარღვიონ დაზარალებულთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. ნუ დასვამთ სულელურ კითხვებს, როგორიცაა „როგორ გრძნობთ თავს?" – შოკის ერთ-ერთი პირველი სიმპტომი გრძნობებისგან დაცლაა.
4. ზოგ ქვეყანაში **განსაკუთრებული სიფრთხილით მოეკიდეთ ადგილობრივი კულტურის თავისებურებებს**, განსაკუთრებით ქალებისგან ინტერვიუს აღების დროს.
5. თუ დაზარალებული უარს ამბობს, მოგიყვეთ, რა მოხდა, **არ სცადოთ მისი ფულის შეთავაზებით დაყოლიება**. ამის ნაცვლად, ინფორმაციის მისაღებად ინტერვიუ ჰუმანიტარული ორგანიზაციების ხელმძღვანელებისგან აიღეთ.
6. იფიქრეთ, რა **ზეგავლენას მოახდენს დაღუპულთა ფოტოები** და გადარჩენილთა მონათხრობი მათ ოჯახებზე.

წყარო: http://dartcenter.org/content/working-with-victims-and-survivors

3.3 მსხვერპლი: უფრო მეტი, ვიდრე სახელები

2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტების შემდეგ, New York Times-მა დაღუპულთა პორტრეტები და ბიოგრაფიები გამოაქვეყნა. ეს „აბსტრაქციის გარღვევის" დრო იყო. „წინა მასობრივი მკვლელობები ძალიან მშრალად გაშუქდა," განაცხადა New York Times-ის ადგილობრივი ამბების რედაქტორმა კრისტინ კეიმ. „მითითებული იყო

დაღუპულთა დაბადების თარიღი, სად სწავლობდნენ... ეს არ იყო შთამბეჭდავი."

„და საჭირო იყო შთაბეჭდილების მოხდენა და არა ნეკროლოგის ტიპის ინფორმაცია, რათა დაღუპულები მკითხველებს რეალურ ადამიანებად აღექვათ," დაამატა ჟურნალისტმა როი ჰარისმა.[16]

ეს მიდგომა აირჩია ფრანგულმა გაზეთმა Liberation-მა პარიზში 2015 წლის 13 ნოემბრის თავდასხმების შემდეგ და Le Soir-მა ბრიუსელში 2016 წლის 22 მარტის თავდასხმების შემდეგ. მთავარი აზრი პიროვნების სახის ჩვენებაა, მისი იმ მისწრაფების, ჰობის თუ საქველმოქმედო საქმიანობის ჩვენებით, რაც მის ცხოვრებას მნიშვნელობას ანიჭებს.

„და რა მოხდება, თუ ფოკუსირდები ერთ ქალზე, რომელიც გატაცებულია მებაღეობით, ერთ კაცზე, რომელსაც თავისი ქალიშვილი ციგურებით სრიალის გაკვეთილებზე დაჰყავს, ანდა ის სიგარას ეწევა?" იკითხა კრისტინ კეიმ. ქვეცნობიერად, ეს ტექნიკა ასევე ყველას ათანაბრებს, ადამიანებს, რომლებიც განსაცდელის ან სიკვდილს წინაშე დგანან.

3.4 სიტყვები

პირველ თავში აღინიშნა, რომ ტერმინები „ტერორისტი" და „ტერორიზმი" თითქმის ყოველთვის საკამათოა. წამყვანი საინფორმაციო სააგენტოები, მედია ორგანიზაციები და გაზეთები ამ სიტყვებს იშვიათად იყენებენ და უფრო ხშირად უპირატესობას კონკრეტულ ტერმინებს ანიჭებენ, როგორებიცაა „ამფეთქებლები" და „თავდამსხმელები", რაც ხელისუფლებებისა თუ საზოგადოების დიდ უკმაყოფილებას იწვევს, რადგან მათ „მკვლელებისა" და „ბარბაროსების" ღიად დაგმობა სურთ.[17]

16 Roy Harris, Pulitzer's Gold: A Century of Public Service Journalism, Columbia University Press, New York, 2016, p. 47

17 http://www.aljazeera.com/programmes/listeningpost/2013/05/201352512137941940.html

მედიისთვის, ისევე, როგორც გაეროსთვის, გამოწვევას წარმოადგენს კონკრეტული აქტის ან მოძალადე ორგანიზაციის დასახასიათებლად „ყველაზე ობიექტური“ და ყველაზე ნაკლებად ტენდენციური ტერმინის მოძებნა. რით უნდა განისაზღვროს ჯგუფი – თავისი ქმედებებისა თუ იდეოლოგიის, საშუალებებისა თუ მიზნების მიხედვით? ისტორიულად, ყველაზე მარტივი გზაა ტერორისტული თავდასხმა უწოდო მშვიდობიან მოქალაქეებზე ნებისმიერ თავდასხმას ანდა სახელმწიფოს წარმომადგენლების (პოლიციელების, მოსამართლეების, სამხედრო მოსამსახურეების და სხვა) წინააღმდეგ ძალადობრივ ქმედებას. ასე უწოდებდნენ იტალიაში თავდასხმებს, რომლებსაც „წითელი ბრიგადები“ ან ულტრამემარჯვენეები „ტყვიის წლების“ სახელით ცნობილი ორი ათწლეულის განმავლობაში – 1960-ანი წლების დასასრულიდან 1980-იანი წლების ბოლომდე სჩადიოდნენ. ან თავდასხმები, რომლებსაც სჩადიოდა „პირდაპირი მოქმედება“ (Action Directe – AD) საფრანგეთში, „წითელი არმიის ფრაქცია“ Rote (Armee Fraktion – RAF) დასავლეთ გერმანიაში, ETA ესპანეთში და „ირლანდიის რესპუბლიკური არმია“ (IRA) გაერთიანებულ სამეფოში. 1995 წლის 20 მარტს იაპონიაში, ტოკიოში, „აუმ სინრიკიოს“ სექტის წევრების მიერ სარინის გაზით განხორციელებული თავდასხმებიც ტერორისტულ აქტებად იწოდებოდა.

„აპოკალიფსური ენა ის ენაა, რაზეც ფუნდამენტალიზმი ყვავის“.

თუმცა, განსხვავებული საკითხია 1970-იანი და 1980-იანი წლების ლათინურამერიკული პარტიზანული მოძრაობები. ამის მაგალითია ურუგვაის „ტუპამაროს – ნაციონალური განმანთავისუფლებელი მოძრაობა“, რომელიც ხელისუფლებამ როგორც ტერორისტული მოძრაობა მაშინ დაგმო, როდესაც მისი წევრები საკუთარ თავს დიქტატორული ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ პროგრესულ შეიარაღებულ სახალხო დაჯგუფებად განიხილავდნენ. როგორ უნდა მოვიხსენიოთ პოლიტიკური დაჯგუფებები, რომლებიც ტერორისტულ აქტებს დიქტატურის ან ოკუპაციის პირობებში მიმარ-

თავენ, ანუ აქტებს, რომელთა სამიზნე მშვიდობიანი მოქალაქეები არიან?

სარედაქციო გუნდები წლებია თავს იმტვრევენ სიტყვა „ტერორისტის“ გამოცანის ამოხსნაზე. მართალია, ტერორისტული ძალადობა ერთხმად არის დაგმობილი, მაგრამ ეს ეთიკური პოზიცია ტერმინოლოგიური დილემის გადაჭრის გზა არ არის. „ზოგ სიტყვებს ემოციური რეზონანსი აქვს, ანდა მათი განმარტებები ძალიან საკამათოა“, წერია Reuters-ის სახელმძღვანელოს „ემოციური სიტყვების“ ნაწილში.

რა შეიძლება გაკეთდეს? Guardian-ის ყოფილ რედაქტორს ჩარლზ პრესტვიჩ სკოტს ეკუთვნის ცნობილი ფრაზა: „ფაქტები წმინდაა, მაგრამ კომენტარი თავისუფალი“, თუმცა, იდეალურ შემთხვევაში, კომენტარი მხოლოდ მაშინაა ყურადსაღები, როდესაც ის დადგენილ ფაქტებს ემყარება. მოსაზრებებსა და სარედაქციო სტატიებში ტერმინების „ტერორიზმი“ და „ტერორისტი“ თავისუფლად გამოყენება დასაშვებია, თუ ორგანიზაციები სასტიკ, განურჩეველ ქმედებებს მიმართავენ. თუმცა, საინფორმაციო პროგრამებში მეტი თავშეკავებაა საჭირო და უპირატესობა ქმედების აღწერას უნდა მიენიჭოს და არა მის „შეფასებას“ ემოციის თუ საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენის ან ხელისუფლების ზეწოლის პირობებში.

ქვემოთ მოცემულია ამ ტერმინების გამოყენების ორი მთავარი კრიტერიუმი:

• **გამოიყენეთ სიტყვები შესატყვისად**. საერთაშორისო სცენაზე, სადაც კომბინირებული პროპაგანდისტული კამპანიები ჭარბობს, მუდმივად არსებობს ცდუნება, რადიკალური პროტესტები „ტერორისტულ“ აქტებად შეფასდეს.

• **გააკონტროლეთ სიტყვები**. ის ტერმინი, რომელსაც სხვები იყენებენ (ხელისუფლება, ამბოხებულები, სხვები), მედიამ კეთილსინდისი-

სიტყვები დიდწილად მხარეებს შორის გაკეთებულ არჩევანს აჩვენებს – ერთნი საუბრობენ „მკვლელებზე“, მეორენი კი „წამებულებზე“, „შეჭრაზე“ ან „დაპყრობაზე“, „შეტევაზე“ ან „ანგარიშსწორებაზე“.

ერად, ბრჭყალებში ჩასმით ან წყაროს მითითებით უნდა გამოიყენოს, მაგრამ რომელიმე ჯგუფის დეფინიციის ან ქმედების აღწერის პრივილეგია სხვას არ უნდა დაუთმოს – იქნება ეს შეიარაღებული ჯგუფი, სამთავრობო უწყება თუ „პოლიტიკური ასოციაცია“. ჟურნალისტს აქვს ვალდებულება, შეინარჩუნოს ავტონომიურობა სიმართლის მსახურებაში. ის არ უნდა იყოს მხოლოდ იმ ინტერპრეტაციების გამტარი ან მაცნე, რაც მიმდინარე მოვლენების სხვა მოთამაშეებს ეკუთვნით, რომლებიც, სინამდვილეში, მიკერძოებულები არიან. ჟურნალისტმა „ნეიტრალურობა“ და „ობიექტურობა“ უნდა შესძინოს განცხადებებს, განსაკუთრებით, ინტერვიუებში გამოთქმულ კომენტარებს, იმ ფაქტების, ციფრების და მონაცემების მიწოდების გზით, რომლებიც შესაძლებლობას აძლევს საზოგადოებას, გამოყენებული სიტყვები რაციონალურად შეაფასოს. მაგალითად, „ტერორიზმის შეფუთვის“[18] ავტორი სიუზან მოელერი გვთავაზობს სამ კრიტერიუმს, რომელსაც ის ქმედების ტერორიზმად შეფასებისთვის იყენებს: მშვიდობიანი მოქალაქეების განზრახ სამიზნედ შერჩევა; დასახული მიზანი, მსხვერპლის გარდა, საზოგადოებრივ აზრზე შეძლებისდაგვარად ძლიერი ზემოქმედების მოხდენა; და ისეთი ფსიქოლოგიური ზეგავლენის მოხდენის განზრახვა, რომელიც მიყენებულ ფიზიკურ ზიანს აღემატება (*იხილეთ, რა არის ტერორიზმი? გვ. 25*).

მოელერი, რომელიც აშშ-ის მერილენდის უნივერსიტეტის მკვლევარია, საერთაშორისო არენაზე მედიის როლს სწავლობს. ის აფრთხილებდა მედიას, თავი შეეკავებინა ტერორიზმზე ძირითადად მორალუ-

18 Susan D. Moeller, Packaging Terrorism: Co-opting the news for politics and profit, Wiley-Blackwell, 2007, p. 18.

რი და იდეოლოგიური კატეგორიებით საუბრისგან ისეთი სიტყვების გამოყენებით, როგორებიცაა **„ბოროტების ღერძი“, „ბარბაროსობა“** ან **„სიმდაბლე“**. „როდესაც ტერორისტებზე საუბრობენ, როგორც მონოლითურ მტერზე და არა ინდივიდუალურ აქტორებზე, რომლებიც კონკრეტული პოლიტიკური მიზნების მიღწევას ცდილობენ, როდესაც ტერორისტებს ახასიათებენ როგორც ტვინგამორეცხილ რელიგიურ ფანატიკოსებს და არა რაციონალურ პოლიტიკურ აქტორებს, ტერორიზმი ამოუხსნელი ჩანს“, წერდა მოელერი.[19] ემოციური მიდგომა, რეალურად, ართულებს ამ ფენომენის რაციონალურ შესწავლას, რაც არაეფექტიანი ზომების მიღების საფრთხეს ქმნის. მეტიც, როგორც ბრიტანელმა მეცნიერმა ჟაკლინ როუზმა აღნიშნა, „აპოკალიფსური ენა ის ენაა, რაზეც ფუნდამენტალიზმი ყვავის“.

„ტერორიზმის“ გარდა კამათს ბევრი სხვა სიტყვაც იწვევს, რადგან სიტყვები დიდწილად მხარეებს შორის გაკეთებულ არჩევანს აჩვენებს – ერთნი საუბრობენ **„მკვლელებზე“**, მეორენი კი **„წამებულებზე“**, **„შეჭრაზე“** ან **„დაპყრობაზე“, „შეტევაზე“** ან **„ანგარიშსწორებაზე“**. ამ „თანმდევ ენას,“[20] რომელიც ტერორიზმის და მასზე რეაგირების არჩეული სტრატეგიის შესახებ ნებისმიერ დისკუსიაში გვესმის, მუდმივად იყენებენ მოწინააღმდეგე მხარეები, რათა ჟურნალისტებს მიმდინარე მოვლენების თავიანთი მიკერძოებული ხედვა მოახვიონ თავს და დააშინონ ის ჟურნალისტები, რომლებიც „არასწორ სიტყვებს“ იყენებენ. თუმცა, მედიამ სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს, როდესაც ტერორისტებისა თუ ხელისუფლების მიერ შედგენილ ფრაზებს იყენებს. ეს კოდური ფრაზებია, რადგან **„რევოლუციური გადასახადი“** სხვა არაფერია, თუ არა გამოძალვა; **„წერტილოვანი დარტყმები“** გულისხმობს იმ გავლენის უარყოფას, რაც დაბომბვამ მშვიდობიან მოქალაქეებზე მოახდინა; **„ჩაციებით დაკითხვის მეთოდები“** კი წამების სინონიმია. მედიამ ასევე განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა

19 Susan D. Moeller, op. cit., p. 22.

20 Collateral Language: A User's Guide to America's New War, New York University Press, 2002.

გამოიყენოს ისეთი დატვირთვის მქონე სიტყვები, როგორიცაა **„ფუნ-დამენტალიზმი“** და **„გენოციდი“** და კატეგორიულ განცხადებებთან შედარებით უპირატესობა მკაცრ და ზუსტ ახსნას მიანიჭოს.

სხვა წინააღმდეგობა უკავშირდება აბუ ბაქრ ალ-ბაღდადის მიერ სირიასა და ერაყში შექმნილი მოძრაობის **„ისლამური სახელმწი-ფოს“** დასახელებას, რაც სემანტიკური ბრძოლის არსს გამოხატავდა. მაგალითად, საფრანგეთი მოითხოვდა, გამოეყენებინათ მხოლოდ ტერმინი **„დაეში“**, რაც „ერაყისა და ლევანტეს ისლამური სახელმ-წიფოს“ (*Dawlat islamiya fi ‘iraq wa sham*) არაბული აკრონიმია.[21] საფ-რანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორან ფაბიუსმა განაცხა-და: „ის ტერორისტული დაჯგუფება, რომელზეც ვსაუბრობთ, არ არის სახელმწიფო; უნდა რომ იყოს, მაგრამ არ არის და ამ დაჯგუფების სახელმწიფოდ მოხსენიება მის დახმარებას ნიშნავს. ასევე გირჩევთ, არ გამოიყენოთ ფრაზა ‘ისლამური სახელმწიფო’, რადგან ის ბუნდო-ვანს ხდის განსხვავებას ‘ისლამს’, ‘ისლამიზმს’ და ‘მუსლიმს’ შორის.“ ჟურნალისტმა ამჟად ალ მუნიფმა საუდის არაბეთის გაზეთში *Riyadh* რამდენიმე სხვა არაბულენოვანი მედიასაშუალების იდენტური მო-საზრება გამოხატა, როდესაც „სემანტიკური პროპაგანდა“ დაგმო.[22] Al-Arabiya-სთვის მიცემულ ინტერვიუში ეგვიპტის დიდმა მუფტმაც ასევე აღნიშნა, რომ ეს დაჯგუფება „არ არის სახელმწიფო, არამედ [.....] ტერორისტების“ დაჯგუფებაა და მათ „არაფერი აქვთ საერთო ისლამთან“. მან სთხოვა მედიას, არ გამოიყენოს დაჯგუფების სრული დასახელება არაბულ ენაზე, არამედ მოიხსენიოს ის როგორც „ტე-რორისტული ორგანიზაცია დაეში“.

ზოგის აზრით, აქ საქმე მხოლოდ იმას კი არ ეხება, განისაზღვროს ორგანიზაცია „ტერორისტულად“ თუ არა, არამედ ამ ორგანიზაციის-თვის უფლების წართმევას, დაირქვას სახელი, რადგან სახელი დაჯ-

21 http://www.metronews.fr/info/Iraq-et-syrie-ne-dites-plus-etat-islamique-dites-daech/mnio!U1u1LnHQJYy2k/

22 http://www.alriyadh.com/1055386

გუფების პროპაგანდაში მნიშვნელოვანი ელემენტია. ამ პოზიციას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ზემოხსენებული ორგანიზაცია სასტიკად სჯის მათ, ვინც მას „არასწორი სახელით“ მოიხსენიებს, რაც აჩვენებს სიტყვებისა და აკრონიმების ამ ომის დიდ მნიშვნელობას.

რა არის მართებული პრაქტიკა? ტერორიზმში მონაწილე ყველა მოთამაშეს კარგად ესმის სიტყვების მნიშვნელობა, იმდენად კარგად, რომ ხელისუფლებებმა კონტრგზავნილების სტრატეგიები შეიმუშავეს. ამის მაგალითია დოკუმენტი, რომელიც აშშ-ის შინაგანი უსაფრთხოების დეპარტამენტმა გამოაქვეყნა, „სიტყვები, რომლებიც მოქმედებს, სიტყვები, რომლებიც არ მოქმედებს: კონტრტერორისტული კომუნიკაციის გზამკვლევი“.[23] გაერო 2015 წლის 19 დეკემბრის რეზოლუციასა და სანქციების სიაში იყენებს აკრონიმს ISIL (ისილი – „ერაყის და ლევანტეს ისლამური სახელმწიფო“), მაგრამ ამატებს ფრაზას – „ასევე ცნობილი დაეშის სახელით“ .

მედიას აქვს უფლება, გამოიყენოს ის ტერმინი, რომელიც სურს, გამოხატვის თავისუფლების და საკუთარი სარედაქციო ხაზის შესაბამისად; მაგრამ ჟურნალისტური თვალსაზრისით უფრო ლოგიკური არ არის ორგანიზაციის იმ სახელით მოხსენიება, რომელიც მან დაირქვა? ჟურნალისტი და ყოფილი მძევალი ნიკოლას ჰენინი თავის წიგნში „ჯიჰადის აკადემია“ წერს: „ვფიქრობ, მე არ უნდა გამოვიყენო რაიმე სხვა სახელი, გარდა იმისა, რომელსაც ის თავად იყენებს; მირჩევნია, ფოკუსირება მისი ქმედებების და იდეოლოგიის კრიტიკაზე მოვახდინო, ვიდრე ის ანათემას გადავცე.“[24]

საინფორმაციო სააგენტო Associated Press-მა (AP) შუალედური ვარიანტი აირჩია და „ისლამური სახელმწიფოს დაჯგუფებას“ იყენებს, „თავიდან რომ აიცილოს ისეთი ფრაზა, რომელიც შთაბეჭდილებას

23 http://www.investigativeproject.org/document/127-words-that-work-and-words-that-donta-guide-for

24 Fayard, Paris, 2015, p. 9.

ქმნის, თითქოს ისინი საერთაშორისოდ აღიარებული სახელმწიფოსთვის იბრძვიან“.[25] სააგენტო Agence France-Presse-ი (AFP) იყენებს ფრაზებს „ისლამური სახელმწიფოს ორგანიზაცია“, „ისლამური სახელმწიფოს დაჯგუფება“, ანდა „აისის (IS) ჯიჰადისტები“.[26] სხვები უპირატესობას ანიჭებენ ფრაზას „ისლამური სახელმწიფოს სახელით ცნობილი დაჯგუფება“. ზოგი კი ამ საკითხს იმით არიდებს თავს, რომ იყენებს აკრონიმს „აისი“ (IS) ისე, როგორც, გამოიყენება, მაგალითად, აკრონიმები ETA და FARC ამ ორგანიზაციების სრული დასახელების დაწერის ვალდებულების გარეშე.

იგივე კითხვები შეიძლება დაისვას ტერმინთან **„ჯიჰადისტი“** დაკავშირებით. ეს სიტყვა სულ უფრო ხშირად გამოიყენება „ისლამისტი ტერორისტის“ გამოყენების თავიდან ასაცილებლად, რაც, ზოგის აზრით, მთლიანად ისლამის სტიგმატიზების საფრთხეს შეიცავს და არა მხოლოდ იმ ადამიანების, ვინც აცხადებს, რომ ომს ისლამის სახელით აწარმოებს. თუმცა, ხომ არ ასხამს ეს ტერორისტების წისქვილზე წყალს? ზოგს მიაჩნია, რომ ეს ასეა. „რაც შეეხება ჯიჰადს, ამ ტერმინის გამოყენება მაშინაც კი, როდესაც სწორად გამოიყენება [...], სტრატეგიულად მცდარია, რადგან ის განადიდებს ტერორიზმს, ანიჭებს ტერორისტებს რელიგიურ ავტორიტეტს, რომელიც მათ არა აქვთ“, ნათქვამია აშშ-ის შინაგანი უსაფრთხოების დეპარტამენტის მემორანდუმში.[27]

ვაშინგტონის კვლევითი ორგანიზაციის სტიმსონ ცენტრის მკვლევარმა ელი კირშნერმა აღნიშნა, რომ „ტერორისტები ბოროტად იყენებენ სიტყვა ჯიჰადს, რათა არასწორი შთაბეჭდილება შექმნან, თითქოს ყურანის ტექსტი მათ ძალადობრივ დანაშაულებს ამართლებს“. მისი აზრით, „ჯიჰადის ისეთ ვიწრო გაგებაზე კონცენტრირებით, რომელ-

25 https://blog.ap.org/announcements/now-we-say-the-islamic-state-group-instead-of-isil

26 http://bigbrowser.blog.lemonde.fr/2015/06/30/comment-designer-letat-islamique/

27 Terrorism and the Press: an uneasy relationship.

საც ტერორისტები იყენებენ, ამერიკული მედია ამერიკელთა ცნობიერებაში ტერორიზმსა და ისლამს შორის კავშირს უნებლიედ აძლიერებს და ამერიკის საზოგადოებაში ისლამის ნეგატიურ აღქმას უწყობს ხელს“.[28]

Al Jazeera-ს სარედაქციო სტილის გზამკვლევი კრძალავს ამ ტერმინის გამოყენებას: „თავისი ზუსტი მნიშვნელობით, ჯიჰადი შინაგან სულიერ ბრძოლას ნიშნავს და არა წმინდა ომს. ტრადიციულად, ის უარყოფითი ტერმინი არ არის. ჯიჰადი ასევე ნიშნავს ისლამის დასაცავად ბრძოლას გამოწვევებისგან, რომელიც მის წინაშეა“.[29] ტერმინი კიდევ უფრო ცხარე კამათს იწვევს, როდესაც ნეოკონსერვატორული და ულტრამემარჯვენე ჯგუფები მას ჯიჰადის საწინააღმდეგოდ იყენებენ და ტერორიზმის კრიტიკის საფარქვეშ ისლამის საწინააღმდეგო უფრო ზოგად კამპანიას ეწევიან.

„თავისი ზუსტი მნიშვნელობით, ჯიჰადი შინაგან სულიერ ბრძოლას ნიშნავს და არა წმინდა ომს. ტრადიციულად, ის უარყოფითი ტერმინი არ არის. ჯიჰადი ასევე ნიშნავს ისლამის დასაცავად ბრძოლას გამოწვევებისგან, რომელიც მის წინაშეა“.

ანალოგიურად, უნდა ვსაუბრობდეთ თუ არა ტერორიზმის წინააღმდეგ **„ომზე“**? 2001 წლის 11 სექტემბრის თავდასხმების შემდეგ, ბუშის ადმინისტრაციამ „ტერორიზმის წინააღმდეგ ომი“ ოფიციალურად გამოაცხადა. პარიზის 2015 წლის 13 ნოემბრის თავდასხმების შემდეგ, საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა „ტერორიზმის წინააღმდეგ ომის“ შესახებ ისაუბრა. ორივე შემთხვევაში კომენტატორებმა ეს გამონათქვამი ეჭვქვეშ დააყენეს, კამათი დაიწყეს, უბრალოდ, კამათისთვის,

28 http://www.stimson.org/spotlight/losing-the-meaning-of-jihad-terrorism-and-the-us-media/

29 http://www.poynter.org/2015/al-jazeera-memo-illustrates-the-importance-of-wordchoice/315683/

ან უფრო რაციონალურ შემთხვევაში, ტერმინის შეუფერებლობის დემონსტრირებისთვის. როგორც ინგლისის და უელსის გენერალურმა პროკურორმა 2001-2007 წლებში, პიტერ გოლდსმითმა, თქვა, „თუ საუბრობთ ამ ხალხზე, როგორც 'ტერორიზმთან ომში' ჩაბმულ ერთ-ერთ მხარეზე, მაშინ დგება საშიშროება, რომ ამით არა მარტო მათი მოტივი გაკეთილშობილდეს, არამედ ისინი მოიაზრებოდნენ ჯარისკაცებად და არა კრიმინალებად".

აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამაც ამ ტერმინის გამოყენებას ეწინააღმდეგებოდა; 2009 წელს ის გამოვიდა რეკომენდაციით, „ომის" ნაცვლად ტერორიზმის წინააღმდეგ „ბრძოლა" გამოეყენებინათ.[30] პარიზის 2015 წლის 13 ნოემბრის თავდასხმების შემდეგ გამოქვეყნებულ მონათხრობში Agence France-Presse-ის კორესპონდენტი დომინიკ ფაჟეი განმარტავს, რატომ არ უნდა გამოვიყენოთ „ომი" ტერორისტულ აქტებთან დაკავშირებით: „ბოლო დღეების განმავლობაში ბევრი ადამიანი საუბრობს 'საომარ სცენებზე' ან 'საომარ სიტუაციაზე' ანდა 'სამხედრო მედიცინაზე'. მაგრამ მეტი სიცხადის შემოტანაა საჭირო. პარასკევს, 13 ნოემბერს, პარიზში ვიხილეთ ტერორისტული აქტების სერია, უგუნური სისხლისღვრა, ყველაზე საშინელი შეტევა, რაც საფრანგეთის დედაქალაქს მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ უნახავს. თუმცა, ეს არ არის ომი. ომი, ისეთი, როგორიც გამიშუქებია ლიბანში, ჩადში და სულ ახლახან აღმოსავლეთ უკრაინაში, ნიშნავს იცხოვრო სიკვდილის ყოველდღიური შიშით, იცხოვრო ნასესხები დროით, ვერსად და ვერასდროს გრძნობდე თავს უსაფრთხოდ. ომი არის, როდესაც ხედავ, როგორ ცელავს შენს ირგვლივ ხალხს ტყვიები ან ბომბები, რომლებიც მთელ ქალაქებს წვიმასავით თავს ეცემა. ომი ნიშნავს გვამებით მოფენილ ქუჩებს, რადგან მათ გასატანად ხალხს გარეთ გამოსვლის ეშინია. ომი ნიშნავს მდგომარეობას, როდესაც შენი სიცოცხლე, ნებისმიერ მომენტში, ცალკეული სნაიპერების ან შეშლილების ხელშია, რომლებიც უკონტროლოდ

30 http://www.theguardian.com/world/2009/mar/25/obama-war-terror-overseas-contingency-operations

დაქრიან მსოფლიოს კონფლიქტურ ზონებში. ომი ნიშნავს მდგომარეობას, როდესაც არა გაქვს იმედი, რომ პოლიცია შენს უსაფრთხოებას დაიცავს, როდესაც გზებზე ათასობით ლტოლვილს ხედავ. 'სამხედრო მედიცინა' ნიშნავს ვითარებას, როდესაც გიწევს [კიდურის] სასწრაფოდ ამპუტირება, რომელსაც, ნორმალურ ვითარებაში, გადაარჩენდი."

სიტყვებზე დაფიქრება

მედია კვლევების პოინტერის ინსტიტუტის მკვლევარმა როი პიტერ კლარკმა (სანკტ პეტერბურგი, აშშ) ყველა ეს დილემა კითხვების სახით მოკლედ ჩამოაყალიბა:

1. რა არის საკამათო სიტყვის ან ფრაზის **პირდაპირი მნიშვნელობა**?
2. აქვს თუ არა სიტყვას ან ფრაზას რაიმე **თანმდევი მნიშვნელობა**, რაც დადებით ან უარყოფით შეფერილობას აძლევს მას?
3. რამდენად შეესატყვისება ეს სიტყვა იმას, **რაც სინამდვილეში ხდება**?
4. რომელი ჯგუფი (რომელსაც ზოგჯერ **„დისკურსიულ თემს"** უწოდებენ) ანიჭებს ერთ გამონათქვამს უპირატესობას მეორესთან შედარებით და რატომ?
5. არის **სიტყვა ან ფრაზა „ქვეტექსტიანი"**? რამდენად შორს არის ის ნეიტრალურისგან?
6. ეს სიტყვა ან ფრაზა **მეხმარება, დავინახო** თუ **ხელს მიშლის**, რომ **დავინახო**?

წყარო: http://www.poynter.org/2015/al-jazeera-memo-illustrates-the-importance-of-word-choice/315683/

რა მიდგომა უნდა იქნეს არჩეული? კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, სარედაქციო სტატიების ავტორებს უფლება აქვთ, აირჩიონ „ომი" უწოდონ ტერორიზმთან ბრძოლას თუ არა და მოიწონონ ქვეყნის საკომუნიკაციო სტრატეგია თუ არა. თუმცა ჟურნალისტებმა მეტი მიუკერძოებლობა უნდა დაიცვან და მიუთითონ ზემოაღნიშნული ფრაზის წყარო ან ბრჭყალებში ჩასვან ის, რითიც მიანიშნებენ, რომ ეს ფაქტის ინტერპრეტაციაა და არა საყოველთაოდ მიღებული ფაქტი.

მნიშვნელოვანია მოხდეს ტერმინის დეკოდირება, განსაკუთრებით საერთაშორისო სამართლის გათვალისწინებით, ასევე მითითება,

ეს არ არის ომი. ომი, ისეთი, როგორიც გამიშუქებია ლიბანში, ჩადში და სულ ახლახან აღმოსავლეთ უკრაინაში, ნიშნავს იცხოვრო სიკვდილის ყოველდღიური შიშით, იცხოვრო ნასესხები დროით, ვერსად და ვერასდროს გრძნობდე თავს უსაფრთხოდ. ომი არის, როდესაც ხედავ, როგორ ცელავს შენს ირგვლივ ხალხს ტყვიები ან ბომბები, რომლებიც მთელ ქალაქებს წვიმასავით თავს ეცემა.

არის თუ არა ეს პროპაგანდასა და „იდეათა ჭიდილზე“ ფოკუსირებული პოლიტიკის შემადგენელი. ჟურნალისტის როლი გულისხმობს ყველა ოფიციალური თუ არაოფიციალური განცხადებებისგან კრიტიკულ დისტანცირებას და მოითხოვს საზოგადოებისთვის იმ სიტყვების მნიშვნელობის ახსნას, რომლებიც ამ პოლიტიკას უკავშირდება და ამხელს.

3.5 ციფრები

თავდასხმების წლიური რაოდენობა, მსხვერპლთა ტიპოლოგია, კონტრტერორისტული ქმედებების შეფასება, ტერორისტთა პროცენტული წილი მოსახლეობაში, თავდასხმების პროპორციული წილი ჩამდენების იდეოლოგიის ან რელიგიური კუთვნილების მიხედვით და ასე შემდეგ. ტერორიზმის კვლევა სავსეა ციფრებით.

საფუძვლიანადაც, რადგან ციფრები ტერორიზმის გაანალიზებაში გვეხმარება. მაგალითად, რატომ არიან ტერორისტული აქტების ჩამდენთა დიდი უმრავლესობა კაცები? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას კონტექსტის მნიშვნელოვანი ასპექტები და რადიკალიზაციის მოტივები ვლინდება.

თუმცა, სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო, რადგან ამ ციფრების შეგროვება ხშირად იმ მიზნებზეა დამოკიდებული, რისთვისაც ისინი

ვრცელდება. ციფრები ტერორიზმის გააზრების ჩარჩოს ქმნის და მნიშვნელოვნად განაპირობებს სახელმწიფოების პოლიტიკას და მედიის სარედაქციო პოზიციას. ციფრებს შესაბამისი შედეგები მოჰყვება. ტერორიზმთან დაუნდობელი ბრძოლის მომხრეები თავდასხმების სტატისტიკას განგაშის ასატეხად იყენებენ, ისინი კი, ვინც თავისუფლების შელახვას ან „ცივილიზაციათა შეჯახებას“ უფრთხის, აუცილებლად შეეცდება სურათის შერბილებას. ამიტომ, აუცილებელია გადამოწმდეს ყველა სტატისტიკური მონაცემი, ასევე მეთოდოლოგია, რომლითაც ეს მონაცემები შეგროვდა. აუცილებლად ასევე მონაცემების შეგროვების ადგილის, დროის მონაკვეთის, მიზნობრიობისა და იმის მითითება, თუ ვინ გაავრცელა ისინი.

ციფრები უსაზღვროდ მაცდური რამაა. წიგნის „სექსი, ნარკოტიკები და მოკლულთა რაოდენობა: ციფრების პოლიტიკა გლობალურ დანაშაულსა და კონფლიქტში“ ავტორები და თანაავტორები პიტერ ანდრეასი და კელი მ. გრინჰილი, წერენ: „სწორედ იმიტომ, რომ ციფრები მეცნიერებასთან არის გათანაბრებული, ისინი ძალიან მაცდურ და მძლავრ პოლიტიკურ იარაღს წარმოადგენს. [...] მედია და ფართო საზოგადოებაც, ძალიან ხშირად, უაპელაციოდ იღებს და გაუაზრებლად იმეორებს ამ მტკიცებებს, ნაცვლად იმისა, რომ დაეჭვდეს და გარკვევა სცადოს“.[31] ავტორების თქმით, „არსებობს რამდენიმე მარტივი კითხვა, რომელიც ყოველთვის შეიძლება დაისვას და საჭიროა, რომ დაისვას, როდესაც საქმე კონფლიქტთან დაკავშირებულ სტატისტიკას ეხება“. ეს კითხვებია: ვინ მოიპოვა სტატისტიკა? რატომ? როგორ? ვისთვის? ავტორებს მიაჩნიათ, რომ კითხვები ციფრებთან დაკავშირებით განსაკუთრებით მკაცრი უნდა იყოს, როდესაც ამ ციფრებით ისეთი საქმიანობა ფასდება, რომელიც გასაიდუმლოებული, ფარული და კანონსაწინააღმდეგოა. აღნიშნულ წიგნში ერთი განსაკუთრებით ყურადსაღები თავია, რომელიც ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლას ეხება და აღწერს დამუშავებული ციფრების განსაკუთრებულ არასაიმედობას.

31 Sex, Drugs, and Body Counts. The Politics of Numbers in Global Crime and Conflict, p.264.

ზემოაღნიშნული საფრთხეების მიუხედავად, უდავოა, რომ სათანადო სიფრთხილით შეკრებილი და დამუშავებული მონაცემები ნამდვილად სერიოზული საინფორმაციო სამუშაოს ჩასატარებლად სასარგებლო რესურსია და ერთგვარი „დეტოქსია“ მედიისთვის, ეხმარება რა მას, გაარჩიოს ტყუილი სიმართლისგან, გამოავლინოს გავრცელებული ჭორები და მითები და თავიდან ააცილოს საზოგადოების ჯგუფების სტიგმატიზება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არ მოხდეს ციფრების საკუთარი წინასწარგანწყობების მიხედვით შერჩევა: სწორი ციფრის იზოლირებულად აღება ინფორმაციის დამახინჯების ერთ-ერთი მეთოდია. არც საფრთხის ევოლუციის საჩვენებლად დროის კონკრეტული მონაკვეთის – მაგალითად, ბოლო სამი წელი თუ ბოლო 50 წელი – შერჩევაა ნეიტრალური მიდგომა. ასეთი შერჩევით შესაძლებელია ტერორიზმის მასშტაბის და მნიშვნელობის როგორც გაზვიადება, ასევე შემცირება.

გარდა ამისა, ციფრები ყველაფერს არ ასახავს. სტატისტიკურად მცირე ზომისა თუ რაოდენობის თავდასხმებს გაცილებით დიდი პოლიტიკური და სოციალური ზეგავლენის მოხდენა შეუძლია. როგორც პოლიტიკურმა მეცნიერმა არნო ბლინმა აღნიშნა, „ტერორიზმს მისი ფსიქოლოგიური და ემოციური ასპექტი განსაზღვრავს, ხოლო ფაქტების და მათი ზეგავლენის აღქმა ნედლ მონაცემებზე ბევრად მეტია.“ ამ მოსაზრების საილუსტრაციოდ, მან აღნიშნა, რომ „პატარა ზომის ბომბის ჩამოვარდნას ბუნგალოზე კორსიკაში, საფრანგეთი, ისეთი ემოციური ზეგავლენა არ ექნებოდა, როგორც ჩარლი ებდოს სისხლისღვრას ჰქონდა.“[32]

მედია ასევე არ უნდა აჰყვეს კვლევების სწრაფად გამოქვეყნებისა და მათი ზედმეტად ნდობის ცდუნებას, რაც ხშირად „ნულოვანი ხარისხის“ ჟურნალისტიკას ნიშნავს. გაუფილტრავი კვლევები სენსაციური და გამარტივებული სათაურებისთვის თუ გამოდგება. მედია, ასევე,

32 http://www.atlantico.fr/decryptage/et-origine-terroristes-commettant-plus-attaques-dansmondeest-alain-blin-1958758.html

საკმაოდ ხშირად კვლევას სრულად არ კითხულობს და უბრალოდ მის მოკლე შემაჯამებელ ნაწილს იმეორებს. ვინ დაუკვეთა კვლევა? როდის ჩატარდა? რამდენად წარმომადგენლობითი იყო შერჩევა? უსაფრთხოების და თავისუფლების როგორ პირობებში ჩატარდა? რა კითხვები დაისვა? ზოგი კვლევითი ორგანიზაცია ამ საქმეს მეტი პასუხისმგებლობით ეკიდება, ვიდრე სხვები, მაგრამ კრიტიკული დისტანციის დაცვა ყველა შემთხვევაში აუცილებელია, მაშინაც კი, როდესაც კვლევის დამკვეთი ავტორიტეტული სამთავრობო ან არასამთავრობო ორგანიზაციაა.[33]

3.6 გამოსახულება

გამოსახულება ტერორისტული აქტების უმთავრესი ელემენტია. წარსულში თვითმფრინავების გატაცების, მძევლების აყვანის და მანქანაში დამონტაჟებული ბომბით თავდასხმების შემთხვევებში ეს არა ერთხელ დადასტურდა, მიუხედავად იმისა, რომ ტერორისტებს გამოსახულების ჩაწერა ან გავრცელება ათვისებული არ ჰქონიათ.

დღეს მით უმეტეს ასეა, როდესაც ტერორისტულ დაჯგუფებებს საკუთარი მედია ორგანიზაციები აქვთ, როგორებიცაა Inspire (ალ-ქაიდა) თუ Dabiq (ისლამური სახელმწიფო), ჰყავთ ტექნიკური გუნდები და აქვთ სოციალური ქსელები საკუთარი გზავნილების გასავრცელებლად ან სასტიკი ქმედებების დასაგეგმად. Agence France-Presse-ის თქმით, დღეს თვითმხილველებს შეუძლიათ სმარტფონების გამოყენებით თავდასხმები პირდაპირ სოციალური ქსელებით გადასცენ და „უნებლიე რეპორტიორები“ გახდნენ.[34]

როგორც Agence France-Presse-ის საერთაშორისო ამბების დირექტორმა მიშელ ლერიდონმა თქვა, ცოდნა იმისა, როგორ „დაიცვა ბალანსი საზოგადოების ინფორმირების ვალდებულებასა და [...] დაზა-

33 http://journalistsresource.org/tip-sheets/research/statistics-for-journalists
34 https://correspondent.afp.com/involuntary-reporters

რალებულთა ღირსებაზე ზრუნვას შორის, რომლებსაც ექსტრემისტები სატრაბახოდ აჩვენებენ, ასევე, როგორ არ იქცე სიძულვილის, უკიდურესი სისასტიკის პროპაგანდის გამტარებელ ინსტრუმენტად" უაღრესად კრიტიკულ საკითხად იქცა.[35]

ამ კამათმა განსაკუთრებული სიმწვავე ნიცაში 2016 წლის 14 ივლისის და სენტ-ეტიენ-დიუ-რუვრეში 2016 წლის 26 ივლისის თავდასხმების შემდეგ შეიძინა. ფრანგულმა გაზეთმა Le Monde-მა, რომელიც ტერორისტების მიერ გავრცელებული ფოტოებისა და ვიდეოკლიპების გამოქვეყნებაზე უარს ამბობდა, გადაწყვიტა ამ წესის მასობრივი მკვლელების ფოტოებზეც გავრცელება, რათა თავიდან აერიდებინა ტერორისტების „სიკვდილის შემდგომი განდიდება", როგორც აღმასრულებელმა რედაქტორმა ჟერომ ფენოლიომ განაცხადა.

ეს გადაწყვეტილება სხვა მედია ორგანიზაციებმაც გაიზიარეს, ზოგმა მათგანმა კი დამნაშავეთა სახელების ხსენებაზე საერთოდ უარი თქვა. თუმცა, ეს გადაწყვეტილება კამათის საგანი გახდა. France Télévisions-ის საინფორმაციო სამსახურის დირექტორმა, მიშელ ფილდმა იკითხა: „ანონიმური თავდასხმები, სახეებისა და სახელების გარეშე? ამაზე უკეთ არაფერი შეუწყობს ხელს შეთქმულების თეორიების გავრცელებას ან საზოგადოების მღელვარების გამძაფრებას, რომელიც უკვე ისედაც ადანაშაულებს მედიას, რომ ის ყველაფერს არ ამბობს და სიმართლის დამალვა სურს".

ეს არ არის ახალი დილემა, მაგრამ მან სხვა განზომილება ინტერნეტის და სოციალური ქსელების გავრცელების შემდეგ შეიძინა. არა მარტო პროპაგანდისტები და ტერორისტული ორგანიზაციები მოქმედებენ სრულიად განუკითხავად, არამედ ვების მომხმარებლებიც, რომლებსაც ჟურნალისტური ეთიკის საბაზისო წესები ნაკლებად აღელვებთ. როგორც Columbia Journalism Review-ს სტატიაში ეწერა,

35 http://blogs.afp.com/makingof/?post/couvrir-l-etat-islamique-afp

„ტრადიციული მედია აღარ არის ერთადერთი არბიტრი, რომ გადაწყვიტოს, რა უნდა აჩვენოს ან რა არა“.[36]

განდიდება შეიძლება შემოგვეჩვიოს და თვითკმარიც კი გახდეს, თავდაპირველად „ჯიჰადოსფეროში“ (*იხილეთ „სიტყვები“, გვ. 84*). კაკაფონია და გაურკვევლობა ჭარბობს. „ზუსტად არავინ იცის, სად გადის ზღვარი საინფორმაციო ღირებულების მქონე ამბავსა და სახიფათო ან ზედმეტად შემაშფოთებელ ამბავს შორის,“ აღნიშნული იყო Columbia Journalism Review-ს სტატიაში.[37]

მაგალითად, რამდენად სწორი იყო იმ ადამიანების ჩვენება, რომლებიც 2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ-იორკის საერთაშორისო სავაჭრო ცენტრიდან ცვიოდნენ? მძევლების თუნდაც მოკლე ვიდეოკლიპების ან ფოტოების გამოქვეყნება, რომლებზეც ჩანდა, როგორ კვეთდნენ მათ თავებს? პარიზის რესტორნის სათვალთვალო კამერის ჩანაწერის გავრცელება, სადაც ჩანს, როგორ აიფეთქა თავი ტერორისტმა 2015 წლის 13 ნოემბერს?[38]

ცხარე კამათი გამოიწვია იმ კადრების გავრცელებამ, სადაც ჩანდა პოლიციელის მკვლელობა „ჩარლი ებდოზე“ ერთ-ერთი თავდამსხმელის მიერ 2015 წლის 7 იანვარს პარიზში, ასევე „უესტგეიტ მოლში“ 2013 წლის სექტემბრის თავდასხმის დროს ნაირობიში დაცვის შეუიარაღებელი წევრის მკვლელობა.

ზოგადად უნდა მოხდეს თუ არა მსხვერპლთა გვამების ჩვენება? ამ კითხვებზე პასუხებს ხშირად კანონი იძლევა. როდესაც 1998 წლის თებერვალში კორსიკის (საფრანგეთი) პრეფექტი კლოდ ერინიაკი მოკლეს, საფრანგეთის მართლმსაჯულების სისტემამ ის მედია ორგა-

36 http://www.cjr.org/behind_the_news/to_publish_or_not_foley_video.php
37 http://www.cjr.org/behind_the_news/to_publish_or_not_foley_video.php
38 http://www.rtl.be/info/monde/france/m6-revele-la-video-de-l-explosion-de-brahim-abdeslam-a-paris-de-nombreux-telespectateurs-sous-le-choc-813044.aspx

ნიზაციები დაგმო, რომლებმაც ტროტუარზე დაგდებული მისი გვამის ფოტო გამოაქვეყნეს. საფრანგეთში მსხვერპლთა ამსახველი ფოტოების გამოქვეყნება 15,000 ევროს ოდენობის ჯარიმით ისჯება.[39]

ამრიგად, გამოწვევა უმთავრესად ეთიკური ხასიათისაა. მედია ორგანიზაციების არჩევანი დამოკიდებული იქნება მათი სენსაციურობის და პროფესიონალიზმის დონეზე, ასევე მათ პოლიტიკურ ხაზზე და მცდელობაზე, დამალონ თუ განადიდონ სისასტიკე.

ვითარება განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით. 2016 მარტს ტუნისის ქალაქ ბენ გარდენში მომხდარი თავდასხმის შემდეგ არაბულენოვანი ონლაინ პლატფორმა Sasa News ამტკიცებდა, რომ ტუნისის მედია მსხვერპლთა და ტერორისტთა გვამების ფოტოებს ინტენსიურად ავრცელებდა. „წამებასთან ბრძოლის ტუნისის ასოციაციის“ პრეზიდენტმა რადია ნასრაუმ მედიის ასეთი ქცევა მკაცრად გააკრიტიკა და განაცხადა, რომ პატივისცემით უნდა მოვეპყრათ არა მარტო გარდაცვლილთა ღირსებას, არამედ დაპატიმრებული ადამიანების ღირსებასაც მათ წინააღმდეგ ბრალდებების სიმწირის გამო.[40]

ამრიგად, გამოწვევა უმთავრესად ეთიკური ხასიათისაა. მედია ორგანიზაციების არჩევანი დამოკიდებული იქნება მათი სენსაციურობის და პროფესიონალიზმის დონეზე, ასევე მათ პოლიტიკურ ხაზზე და მცდელობაზე, დამალონ თუ განადიდონ სისასტიკე. დოკუმენტურ ფილმში, „კონტროლის ოთახი“ (2004), რომელიც მედიის და განსაკუთრებით, Al Jazeera-ს მიერ 2003 წელს ერაყში შეჭრის გაშუქებას აღწერს, ეგვიპტელი წარმოშობის ამერიკელი პროდიუსერი ჯეჰან ნუჯამი ამბობს, რომ ყატარის არხმა გადაწყვიტა ომი გაუფილტრავად, მძიმე, სისხლიანი გამოსახულებების წაუშლელად ეჩვენებინა.

39 http://www.liberation.fr/france/2016/07/15/nice-apres-l-attaque-rumeurs-et-videoschoquantes-sur-les-reseaux-sociaux_1466284

40 http://www.sasapost.com/media_coverage_between_paris_and_tunis-attacks/

ამის საპირისპიროდ, ამერიკულმა არხებმა ძირითადად „სუფთა ომი“ აჩვენეს, „წერტილოვანი“ დარტყმებით, რომლებმაც მხოლოდ „თანმდევი ზიანი“ გამოიწვია.[41] BBC-ის ცნობილმა რეპორტიორმა პოლ ვუდმა განაცხადა, რომ „გემოვნების და თავაზიანობის“ წესები წარმატებით „არბილებს ან ალამაზებს, ანუ ცენზურას უქვემდებარებს, მოვლენის სისასტიკეს“.

როგორ გაიკვლიოს მედიამ გზა ასეთ პრაქტიკასა და სტანდარტებს შორის? როგორ იმოქმედოს, რომ ტერორისტთა წისქვილზე არ დაასხას წყალი, როდესაც ამ ეთიკურ და პოლიტიკურ მოსაზრებებს სიმართლის დამალვის გასამართლებლად არ იყენებს? ზოგიერთი მედია ორგანიზაცია ფოტოების „ადაპტირებას“ ახდენს, გარკვეული ელემენტების დაფარვის ან ამოჭრის გზით, მაგრამ ეს პრაქტიკა მიუღებელია, თუ მიზანი ისეთი ელემენტების შენიღბვაა, რაც რეალობას „ამახინჯებს“ და განსაკუთრებით, პოლიტიკურ ინტერპრეტაციას ემსახურება. თუმცა, ეს პრაქტიკა გამართლებულია, თუ მიზანი იმ ელემენტების შენიღბვა და ამოჭრაა, რომლებმაც შეიძლება საზოგადოება შოკში ჩააგდოს, მსხვერპლთა ღირსება შელახოს ან მათი მეგობრების და ოჯახების სასოწარკვეთა გამოიწვიოს.

ტერორისტული დაჯგუფებების მიერ მძევალთა თავების მოკვეთამ ამ დისკუსიასთან დაკავშირებით სარედაქციო გუნდების მიდგომები გამოავლინა. Agence France-Presse-მა თავის მოკვეთის ამსახველი ვიდეოების გავრცელებისგან თავი შეიკავა. სააგენტოს საერთაშორისო ამბების დირექტორმა მიშელ ლერიდონმა დაწერა: „ჩვენ ამ ვიდეოებიდან მხოლოდ რამდენიმე უძრავი კადრი გავავრცელეთ და უზრუნველვყავით, რომ ისინი ყველაზე ნაკლებ დამამცირებელი ყოფილიყო მსხვერპლთათვის. [...] ასევე ვცადეთ, მოგვეძებნა და გამოგვექვეყნებინა ამ ულმობელი დასჯამდე გადაღებული მსხვერპლთა ფოტოები, რათა სიკვდილის შემდეგ აღგვედგინა მათი ღირსება“.[42] Reuters-მა

41 https://www.youtube.com/watch?v=f3rM05cgaXQ

42 http://blogs.afp.com/makingof/?post/couvrir-l-etat-islamique-afp

ვიდეოდან უძრავი კადრები ტვიტერის ანგარიშზე გამოაქვეყნა, ხოლო ვებ-გვერდზე დამონტაჟებული ვიდეო ატვირთა, რომელიც თავის მოკვეთის და მის შემდგომ კადრებს არ მოიცავდა. რა კრიტერიუმით იმოქმედა Reuters-მა? ეს გადაწყვეტილება Reuters-მა საკუთარი „ჟურნალისტური სახელმძღვანელოს“ ერთ-ერთ წესის შესაბამისად მიიღო: „აუცილებელია თუ არა მასალა, ასახული ან აღწერილი რეალობის გასაგებად“. სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, აქვს თუ არა მასალას საინფორმაციო ღირებულება და ემსახურება თუ არა ის საჯარო ინტერესს.

New York Times-მა ბეჭდური გამოცემის შიდა გვერდზე ისლამური სახელმწიფოს ვიდეოს ერთ-ერთი კადრის საშუალო ზომის შავ-თეთრი ფოტო გამოაქვეყნა. გაზეთის სარედაქციო გუნდმა ვებ-გვერდზე არც ვიდეო დადო და არც მისი ბმული მიუთითა. გაზეთის აღმასრულებელმა რედაქტორმა დინ ბაკემ განაცხადა: „ჩემი აზრით, თავის მოკვეთის ჩვენებას არავითარი ჟურნალისტური ღირებულება არა აქვს.“ თუმცა Times-ის ეთიკის რედაქტორმა მარგარეტ სალივანმა ეს ფრთხილი გადაწყვეტილებაც კი გააკრიტიკა და თქვა, რომ „უკეთესი იქნებოდა, იმ საძულველი ვიდეოდან საერთოდ არაფერი არ გამოეყენებინათ.“[43]

Guardian-ს მკაფიო წესები აქვს: „არ გამოიყენოთ ისეთი ვიდეო და თავი შეიკავეთ ისეთი ფოტოების გამოყენებისგან, რომლებიც დამნაშავეთა განდიდებას ახდენს – ანუ, მძევლებით ან იარაღით პოზიორობენ. შეზღუდულად გამოიყენეთ აუდიო მასალა. გამოიყენეთ მხოლოდ მძევლის (მძევლების) მოჭრილი კადრები [...]. იდეალურ შემთხვევაში მთავარი გამოსახულება სხვა ვითარებაში გადაღებული მძევლის (მძევლების) ფოტო უნდა იყოს.“[44]

და ბოლოს, თუ ტელევიზიები გადაწყვეტენ, პოტენციურად შოკისმომგვრელი ვიდეომასალის ტრანსლირებას, მათ ამის შესახებ მაყურებლები უნდა გააფრთხილონ და მათ, სხვა არხზე გადართვა ან თავის მიბრუნება აცადონ.

43 http://publiceditor.blogs.nytimes.com/2014/09/03/should-the-times-have-observed-acomplete-blackout-on-isis-video-images/

44 http://www.imediaethics.org/guardians-3-guidelines-for-reporting-on-isis-murder-videos/

ბავშვების გამოსახულება

ბავშვების გამოსახულებების გამოქვეყნებაზე, ჩვეულებრივ, მკაცრი საკანონმდებლო და ეთიკური სტანდარტები ვრცელდება, განსაკუთრებით, როდესაც ფოტოებზე დაშავებული, ტრავმირებული ან დაღუპული ბავშვებია აღბეჭდილი. ზოგიერთი ქვეყანა ბავშვების სახეების დაფარვას ითხოვს.

მედია რეგულარულად აქვეყნებს მსხვერპლი ბავშვების ფოტოებს, რადგან სჯერა, რომ ისინი იმ რეალობას ასახავენ, რომელსაც თვალი არ უნდა მოვარიდოთ. ამის ერთ-ერთი მაგალითია ფოტო, რომელზეც ასახულია 2013 წელს სირიაში, ღუტას თავდასხმის შედეგად დაღუპული ბავშვების ერთ რიგად დაწყობილი გვამები დაუფარავი სახეებით; ასევე, ფოტო, რომელზეც ჩანს 2015 წლის 2 სექტემბერს დაღუპული სირიელი ლტოლვილის, მცირეწლოვანი ალან კიურდის გვამი თურქეთის სანაპიროზე. მაშინ, როდესაც ამ ფოტოზე საყოველთაო რეაგირებით გაოცებულმა ზოგმა არაბულენოვანმა მედია საშუალებამ ყურადღების ადამიანურობისა და დანაშაულის საყოველთაო განცდაზე ფოკუსირება გადაწყვიტა, ევროპაში ამ ფოტოს გამოქვეყნებას მედიასა და საზოგადოებაში ცხარე კამათი მოჰყვა. ფრანგულმა გაზეთმა Ouest-France -მა განაცხადა, რომ ამ ფოტოს აქვეყნებდა იმიტომ, რომ თვალი აეხილა და სინდისი გაეღვიძებინა, მაგრამ ბევრი მკითხველი ამბობდა, რომ შოკირებული იყო.[45]

ბავშვების გამოსახულებების გამოქვეყნებაზე, ჩვეულებრივ, მკაცრი საკანონმდებლო და ეთიკური სტანდარტები ვრცელდება, განსაკუთრებით, როდესაც ფოტოებზე დაშავებული, ტრავმირებული ან დაღუპული ბავშვებია აღბეჭდილი. ზოგიერთი ქვეყანა ბავშვების სახეების დაფარვას ითხოვს.

45 http://www.odi.media/wp-content/uploads/2015/09/Billet-du-Mediateur-du-Monde-du-3-septembre.pdf

არსებობს თუ არა რაიმე სხვა ალტერნატივა? „მკვდარი ბავშვის ფოტოს ნაცვლად ისეთი ფოტოს გამოქვეყნება, რომელზეც, მაგალითად, სისხლით მოთხვრილი ბავშვის ტანსაცმელია ასახული, იმავე გზავნილს გადმოსცემს, მაგრამ ნაკლებად შოკისმომგვრელია“, თქვა გერმანელმა ჟურნალისტმა სიმონ ბალზერტმა.[46] თუმცა, თავის არიდების ამ პოლიტიკას გარკვეული შეზღუდვა აქვს. „ჟურნალისტური ეთიკის ბელგიის საბჭომ“ აღნიშნა, რომ ფოტოები შეიძლება მნიშვნელოვან საინფორმაციო შინაარსს მოიცავდეს, რასაც მათ პოტენციურად შოკისმომგვრელ ხასიათთან შედარებით უპირატესობა ენიჭება და მათი გამოქვეყნება გამართლებულია. საბჭოს მიაჩნია, რომ საშინელება ასეთი სცენების არსებობაშია და არა მათი ჩვენების ფაქტში.

მედია ასევე უნდა დაფიქრდეს ბავშვების იმ ფოტოების გამოქვეყნებაზე, რომლებიც კატასტროფამდეა გადაღებული და ახლობლებისგან მოიპოვა ან სოციალური ქსელებიდან აიღო. იურიდიულ საკითხებზე მეტად აქ მთავარი ინფორმირების საჭიროებასა და პატივისცემის ეთიკას შორის სწორი არჩევანის გაკეთებაა.

„მოქალაქე“ ჟურნალისტების ფოტო და ვიდეომასალა

მედია სულ უფრო ხშირად იყენებს მკვლელობის ადგილზე თუ ბრძოლის ხაზზე მყოფი თვითმხილველების ფოტოებს.[47]

თავდასხმის მომდევნო წუთებში თვითმხილველების მიერ გადაღებული ფოტოები სოციალურ ქსელებში ჩნდება. ძალიან ხშირად, ჟურნალისტები ჩქარობენ ამ ფოტოების ავტორებთან დაკავშირებას, რათა მათგან ფოტოების გამოქვეყნების ნებართვა აიღონ. ზოგჯერ ეს ძალიან უარყოფით რეაქციას იწვევს და „სვავივით“ ქცევად განიხილება, განსაკუთრებით, როდესაც თვითმხილველებს, მათ მიერ განც-

46 http://onmedia.dw-akademie.com/english/?p=9779
47 http://eyewitnessmediahub.com/uploads/browser/files/Final%20Press%20Study%20-%20eyewitness%20media%20hub.pdf

დილი დიდი სტრესის მიუხედავად, ასეთი თხოვნებით მოსვენებას არ აძლევენ.[48]

Agence France-Presse-ს ასეთ „უნებლიე რეპორტიორებთან" დაკავშირებით მკაფიო პროცედურა აქვს შემუშავებული: „პირველ რიგში, ვეკითხებით, უსაფრთხოდ არის თუ არა ეს ადამიანი. შემდეგ, ვეკითხებით მისი გადაღებულია თუ არა ინტერნეტით გავრცელებული ფოტო [...] და შემდეგ ვეკითხებით, შეგვიძლია თუ არა, გამოვიყენოთ ეს ფოტო. ზოგიერთი მედია ორგანიზაცია ასე არ იქცევა და აქვეყნებს, რასაც ინტერნეტში პოულობს," წერდნენ Agence France-Presse-ის სოციალური მედიის განყოფილების ხელმძღვანელები რემი ბანეტი და გრეგუარ ლემარშანდი 2016 წლის 25 მარტის ბრიუსელის თავდასხმების შემდეგ.[49]

თვითმხილველები, როგორც წესი, მედია ორგანიზაციებისგან, რომლებიც მათი ფოტოების გამოქვეყნების ნებართვას ითხოვენ, ფინანსურ კომპენსაციას არ ელიან. Agence France-Presse-მა აღნიშნა, რომ „ასეთი რამ იშვიათობაა. ბრიუსელის თავდასხმის შემდეგ ეს არცერთს არ მოუთხოვია". თუმცა, ზოგი მედია ორგანიზაცია ასეთი „ამბის თვითმხილველებს" ექსკლუზიური ფოტოებისთვის თანხას სთავაზობს ხოლმე, ასეთი საქციელის აშკარა არაეთიკურობის მიუხედავად. დაუდასტურებელი ინფორმაციით, ბრიტანულმა ტაბლოიდმა 50,000 ევრო გადაიხადა პარიზის ერთ-ერთ რესტორანში გადაღებული ვიდეოსთვის, რომელზეც თავდასხმა 2015 წლის 13 ნოემბერს განხორციელდა.[50]

ასეთი გარიგება ძალიან მკაცრ კრიტერიუმს უნდა ეფუძნებიდეს, საჯარო ინტერესის დაკმაყოფილებას ემსახურებოდეს და მართლ-

48 http://www.bbc.co.uk/blogs/academy/entries/dba0657a-fb54-4289-a0ad-6e33292ae7e0]

49 https://correspondent.afp.com/involuntary-reporters

50 http://www.theguardian.com/media/2015/nov/24/daily-mail-cctv-video-paris-attack

მსაჯულების აღსრულებას არ აფერხებდეს. მეტიც, მედიამ არ უნდა შესთავაზოს თანხა იმ ვიდეოებისთვის, რომლებიც თავდამსხმელების მიერ არის გადაღებული. ზოგ ქვეყანაში ასეთი გარიგება სისხლის სამართლის დანაშაულია, რადგან ტერორიზმის დაფინანსებად ითვლება და პატიმრობით ისჯება.

„მოქალაქე“ ჟურნალისტების მიერ გადაღებული ფოტო და ვიდეოგამოსახულების გამოყენება მკაცრად უნდა რეგულირდებოდეს. ჯერ ერთი, ამ პრაქტიკამ შეიძლება რიგით მოქალაქეებს უბიძგოს, რისკის ქვეშ დააყენონ საკუთარი უსაფრთხოება იმისთვის, რომ მათი ფოტოები წამყვან მედიაში მოხვდეს, მაგრამ ასევე შეიძლება ჟურნალისტური ეთიკის ფუნდამენტური წესები შელახოს, განსაკუთრებით მსხვერპლთა პატივისცემასთან დაკავშირებით. გამოსახულების გამოყენების თხოვნას მედიამ მკაფიო გაფრთხილებაც უნდა დაურთოს, რათა თავიდან იქნეს აცილებული ასეთი რისკები.

განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო ასევე ფოტოების შერჩევის დროს, რადგან ინფორმაციით მანიპულირების მიზნით ეს ფოტოები შესაძლოა კორექტირებული, გაყალბებული ან დამონტაჟებული იყოს. გამოსახულებების წყაროები ნებისმიერ ფასად უნდა დადგინდეს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოციალურ ქსელებში გავრცელებულ ფოტოებს ანდა იმ მოყვარულთა თუ მებრძოლთა მიერ გამოგზავნილ ფოტოებს, რომლებსაც სარედაქციო გუნდი არ იცნობს.[51]

შემუშავებულია ფოტოების ავთენტურობის შემოწმების ინსტრუმენტები, როგორებიცაა Eyewitness Media Hub-ის პროექტი Reveal („გამოავლინე“)[52] და First Draft News-ის რესურსები.[53]

51 http://observers.france24.com/fr/20151106-comment-verifier-images-reseaux-sociaux
52 https://www.journalism.co.uk/news/how-the-reveal-project-aims-to-help-journalists-verifyeyewitness-media/s2/a572616/
53 https://firstdraftnews.com/resource/test-your-verification-skills-with-our-observationchallenge/

ეს ინსტრუმენტები ემყარება ადგილის, თარიღის და გამოყენებული ტექნიკის დეტალურ ანალიზს, შეუსაბამობების დაგდგენის ან მანიპულაციების გამოვლენის მიზნით. Google-საც აქვს „გამოსახულების უკუძიების“ ინსტრუმენტი, რომელიც მომხმარებლებს შესაძლებლობას აძლევს, მოიძიონ ყველა გვერდი, სადაც ეს ფოტო გამოქვეყნებულა.

ასეთივე სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო იმ სააგენტოების მიერ გამოქვეყნებული ფოტოების მიმართ, რომლებიც ტერორისტული ორგანიზაციის მიერ სრულად კონტროლირებად ზონებში შემთხვევით თანამშრომლებს ქირაობენ. ამის მაგალითია რაქასა და მოსულში გადაღებული ფოტოები იმ ჟურნალისტების მიერ, რომლებიც ფარულად მუშაობენ ან თავიანთ სამუშაოს ისლამური სახელმწიფოს დაჯგუფების ცენზორებს აჩვენებენ. ასეთ ფოტოებს მკაფიო მინაწერი უნდა ჰქონდეს, რათა მოხდეს საზოგადოების გაფრთხილება.

3.7 განზოგადება

ტერორისტული აქტები ხშირად ხელს უწყობს იმ წინასწარგანწყობების გამოვლენას, რომლებიც მედიასა და ზოგადად, საზოგადოებაშია ფესვგამდგარი. ეს წინასწარგანწყობები განაპირობებს იმ ჯორების შეუზღუდავად გავრცელებას, რომლებიც კონკრეტული თემების წევრებს დანაშაულის თანამზრახველობაში სდებენ ბრალს.

ასეთი ინფორმაციის გადაუმოწმებლად გამოქვეყნება ქმნის განზოგადების რისკს, ანუ იწვევს მთელი იმ რელიგიური, ეთნიკური, ეროვნული თუ პოლიტიკური ჯგუფის სტიგმატიზებას ან კრიმინალიზებასაც კი, რომელთა მიმდევრებადაც ტერორისტები თავს აცხადებენ. 2014 წელს გამოქვეყნებულ კვლევაში „ტოლერანტობა და ტერორი“ „კე-

მედიამ სამართლიანად უნდა ასახოს იმ თემთა წარმომადგენლების და წევრების რეაქციები, რომლებსაც ეჭვმიტანილად მიიჩნევენ და სახალხო შურისძიებით ემუქრებიან.

ნიის მედიის საბჭომ“ აღნიშნა, რომ კენიელმა ჟურნალისტებმა გარკვეულწილად შეუწყვეს ხელი მოსაზრების გავრცელებას, რომ სომალელი წარმომავლობის ადამიანები პოტენციური ტერორისტები იყვნენ.

განზოგადება ყველასთვის დამახასიათებელი ცდუნებაა. „ისლამისტი“ ტერორისტები მუდმივად იგივდებიან რეგიონებთან, სადაც ისლამი დომინირებს, მიუხედავად იქ არსებული განსხვავებული მრწამსისა და პრაქტიკისა; ასევე მთელ მუსლიმ მოსახლეობასთან. თუმცა, არავის მოსდის თავში აზრად „დასავლურ ცივილიზაციასთან“ გააიგივოს ექსტრემისტი, რომელიც თეთრკანიანთა უპირატესობის იდეას ემხრობა, როგორიცაა, მაგალითად, ულტრამემარჯვენე ნორვეგიელი ტერორისტი ანდერს ბერინგ ბრეივიკი. ასეთი შეუსაბამობა იწვევს მედიის მიკერძოებაში დადანაშაულებას. ამან უბიძგა Russia Today-ის არაბულენოვან მაუწყებლობას ეთქვა, „ჩვენ არასდროს გვინახავს, ტელევიზიით ეკითხათ რომელიმე ულტრამემარჯვენე საკითხების ექსპერტისთვის, როგორ ვებრძოლოთ ექსტრემიზმის ამ სახეობას და როგორ შევაჩეროთ ის მომავალში“.

მედიამ სამართლიანად უნდა ასახოს იმ თემთა წარმომადგენლებისა და წევრების რეაქციები, რომლებსაც ეჭვმიტანილად მიიჩნევენ და სახალხო შურისძიებით ემუქრებიან. ეს მათთვის სათანადო სივრცის და დროის დათმობას გულისხმობს, ახალი ამბის „სქოლიოში“ მათი მოხსენიების ნაცვლად. თუმცა, ჟურნალისტური ეთიკის სახელით განზოგადებასთან ბრძოლის ეს სურვილი ასევე გულისხმობს ისეთი განცხადებების გადმოცემას, რომლებიც, თითქოს, ამართლებს თავ-

დასხმებს. ასეთ შემთხვევაში, აუცილებელია, გადამოწმდეს ტერორისტული დაჯგუფებების თითქოსდა მხარდამჭერი განცხადებები ან ქცევები, მათი კონტექსტი და კონკრეტულ თემში იმ ადამიანთა რაოდენობა, ვინც ისინი გამოხატა.

განზოგადებისგან თავის დაცვის ერთ-ერთი გზა საზოგადოების გაშუქებაა მთელი მისი მრავალფეროვნებით და სირთულით და არა მხოლოდ მაშინ, როდესაც თავდასხმების მსგავსი შოკისმომგვრელი ან დრამატული მოვლენები ხდება. სხვადასხვა თემთან რეგულარული კონტაქტის გზით მიღებული ცოდნა ეხმარება მედიას, აჩვენოს საზოგადოების მრავალფეროვანი კომპონენტების უფრო წარმომადგენლობითი სურათი და არ დაადანაშაულოს მთელი თემი მისი მხოლოდ რამდენიმე წევრის მიერ ჩადენილი ქმედებისთვის.

ზოგი სახელმწიფო განზოგადებას ახდენს, როდესაც იმ ადამიანებს, ვინც მშვიდობიანად იცავს საკუთარ იდეალებს, მაგალითად, კულტურული უფლებების ან ტერიტორიული ავტონომიის პატივისცემას, ტერორისტებად მიიჩნევს, ვინაიდან არსებობენ შეიარაღებული დაჯგუფებები, რომლებიც ამავე იდეალებისთვის იბრძვიან. გამოყოფის ან ავტონომიის ინტელექტუალური და პოლიტიკური ხასიათის მოთხოვნა, რომელიც გარანტირებულია გამოხატვის თავისუფლებით, არ უნდა აგვერიოს ტერორისტული აქტების გამართლებაში, რომელთაც ძალადობრივი, სეპარატისტული ორგანიზაციები სჩადიან.

უნდა ვაღიაროთ, რომ ზოგჯერ ძნელია, მკაფიო ზღვარი გაავლო ტერორისტულ დაჯგუფებებსა და იმ სხვა ადამიანებსა თუ ჯგუფებს შორის, რომლებიც ზოგ მათ იდეალს ინტელექტუალური თუ პოლიტიკური ფორმებით იზიარებენ, განსაკუთრებით, იმის გათვალისწინებით,

რომ ზოგი მოძრაობა და პოლიტიკური პარტია შეიარაღებული დაჯ-გუფებების იურიდიულ თუ ნახევრადიურიდიულ „ფასადს“ წარმოად-გენს. თუმცა, გავიმეორებთ, რომ ჟურნალისტები ფრთხილად უნდა იყვნენ და ავტომატურად არ უნდა დაეთანხმონ ხელისუფლების თუ საზოგადოებაში გავრცელებულ შეხედულებას. ჟურნალისტებმა უნდა მოიძიონ და დაადასტურონ ინფორმაცია იმ ჯგუფების შესახებ, რომ-ლებიც თითქოსდა უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებების ფასადს წარმოადგენენ ან მათი სატელიტები არიან.

3.8 სიძულვილის ენა

ერთ-ერთი გამოწვევა, რომლის წინაშეც მედია დგას, უდავოდ სი-ძულვილის ენისა და სიძულვილით მოტივირებული ქმედებების გა-შუქებაა, რომლებიც თავდასხმების შემდეგ მთელი ძალით იფეთქებს ხოლმე. მედია ამას ვერ დამალავს, რადგან ამით მსგავსს ქმედებებს ვერ შეაჩერებს.

ამ ფორმის ცენზურა კონტრპროდუქტიულია და გარდა ამისა, სიჩუმე დიდხანს ვერ შეაჩერებს სოციალური ქსელების ზეწოლას. პირიქით, მედია უნდა დაეხმაროს საზოგადოებას, გაერკვეს მიმდინარე დისკუ-სიებში. გარდა ამისა, მედიის როლია ამ დისკუსიების გაანალიზება, შეფასება და დეკონსტრუქცია. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფორუმებს და „მკითხველთა წერილებს“, რადგან ძალიან ხშირად ისინი რასიზმისა და წინასწარგანწყობის ყველაზე უხეშ ფორ-მებს შეიცავენ. მედია ორგანიზაციებმა საკუთარი პრინციპებისა და ღირებულებების, ჟურნალისტური ეთიკისა და საერთაშორისო კა-ნონმდებლობის საფუძველზე მოდერაციის სისტემები უნდა შექმნან, რათა თავიდან აიცილონ გამოხატვის თავისუფლებისა და მოსაზრე-ბათა მრავალფეროვნების საბაბით დისკრიმინაციისა და ძალადობის წახალისება.

„გამოხატვის შეზღუდვასთან შედარებით, უპირატესობა, ზოგადად, კონტრარგუმენტირებას ენიჭება. და ნებისმიერი რეაგირება, რომელიც ზღუდავს გამოხატვის თავისუფლებას, დიდი სიფრთხილით უნდა შეფასდეს, რათა ის მხოლოდ გამონაკლისი შემთხვევა იყოს და ლეგიტიმური ჯანსაღი დებატი არ შეიზღუდოს“.

თუმცა, სიძულვილის ენასთან ბრძოლის მოწოდებები მედიამ კრიტიკულად უნდა შეაფასოს. გავიმეორებთ, რომ სიტყვები საკამათოა და საერთაშორისო თანამეგობრობა კვლავ ვერ თანხმდება, რა შეიძლება რეალურად ჩაითვალოს სიძულვილის ენად და რა მის კონტრზომად. მეტიც, ავტორიტარულ რეჟიმებსა და დემოკრატიულ ქვეყნებშიც კი, სადაც პრესა კარგად ორგანიზებული ჯგუფების კამპანიების სამიზნეა, სიძულვილის ენის გავრცელების ბრალდება შეიძლება გამოყენებული იქნეს ლეგიტიმური იდეების გამოხატვაზე ცენზურის დასაწესებლად. UNESCO-ს ანგარიშში ინტერნეტში სიძულვილის ენის გამოყენების შესახებ აღნიშნულია: „გამოხატვის შეზღუდვასთან შედარებით, უპირატესობა, ზოგადად, კონტრარგუმენტირებას ენიჭება. და ნებისმიერი რეაგირება, რომელიც ზღუდავს გამოხატვის თავისუფლებას, დიდი სიფრთხილით უნდა შეფასდეს, რათა ის მხოლოდ გამონაკლისი შემთხვევა იყოს და ლეგიტიმური ჯანსაღი დებატი არ შეიზღუდოს“.[54]

3.9 ჭორები

ტერორისტულ აქტებს გარდაუვლად მოჰყვება ჭორები, განსაკუთრებით, როდესაც ინფორმაციის მიღება გართულებულია, საზოგადო-

54 http://unesdoc.unesco.org/images/0023/002332/233231e.pdf

ებას შიში აფორიაქებს, ხოლო მედიას შეზღუდულ დროსა და კონკურენციასთან გამკლავება უწევს.

ასეთ დროს კიდევ უფრო იზრდება ცდუნება, გაავრცელო ყალბი ამბები და სპეკულაციები, როდესაც ისინი თანხვედრაშია არსებულ წინასწარგანწყობებსა თუ სტერეოტიპებთან. პარიზის 2015 წლის 13 ნოემბრის თავდასხმების შემდეგ Le Monde-მა აღნიშნა, რომ ინფორმირება ჭორების გაბათილებასაც გულისხმობს,[55] რადგან ჭორების ზეგავლენა, რის გავრცელებასაც სოციალური ქსელები კიდევ უფრო უწყობს ხელს, შეიძლება კატასტროფული აღმოჩნდეს. ჭორებით შეიძლება გაღრმავდეს შიში და დაითესოს პანიკა, მოხდეს თემების სტიგმატიზება, ცილი დასწამონ ინდივიდებს და არასწორად ასახონ რეალობა.

მედია ორგანიზაციებმა უნდა შექმნან მონიტორინგის გუნდები, რომელთა საქმეც ჭორების გამოვლენა და გაბათილება იქნება.[56] მათ ასევე უნდა უზრუნველყონ, რომ სარედაქციო გუნდებმა განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინონ დაუდასტურებელი ინფორმაციის რეტრანსლირების და განსაკუთრებით, მისი ტვიტერით გამეორების დროს. როდესაც პრესტიჟული მედია ორგანიზაცია ტვიტერით გავრცელებულ რაიმე ინფორმაციას იმეორებს, საზოგადოებას ეს ინფორმაცია დადასტურებული ჰგონია. „სათანადო სიზუსტე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სისწრაფე," წერია BBC-ის სარედაქციო პრინციპებში.

ჭორებთან ბრძოლა შეთქმულების თეორიებსაც ეხება, რომლებიც სერიოზული თავდასხმების შემდეგ ჩნდება ხოლმე.[57] ფანტაზიორები

55 http://www.lemonde.fr/les-decodeurs/article/2015/11/20/informer-c-est-aussi-dementirles-rumeurs_4813894_4355770.html

56 https://medium.com/1st-draft/a-crash-course-in-verification-and-misinformation-from-theboston-marathon-bombing-5f599e6c4476

57 http://www.conspiracywatch.info/Theories-du-complot-pour-bien-commencer_a1.html

თეორიებს აგებენ ინფორმაციის ფრაგმენტების, ფოტოებში „შემაშ-ფოთებელი დეტალების“ აღმოჩენის, განცხადებების მანიპულირე-ბის ანდა „საეჭვო დამთხვევების“ გამოაშკარავების მეშვეობით. ამ თეორიების დაუსრულებლად გამეორება და სოციალურ ქსელებში ფართოდ გავრცელება საინფორმაციო ნაკადის დაბინძურებას უწ-ყობს ხელს. მედიამ მათი დეკონსტრუქციის ამოცანა უნდა იტვირთოს, რადგან შეთქმულების თეორიები ახალ ამბებსა და საზოგადოებას შორის არა მარტო კედელს ქმნის, არამედ განზოგადებას და სტიგმა-ტიზაციას უწყობს ხელს.

ხალხი აპროტესტებს ტერორიზმს
მილანში, იტალია,
2015 წლის ნოემბერი.

© EUGENIO MARONGIU / SHUTTERSTOCK, INC.

4

მთავარი საკითხები

- → გაუწიეთ გადაუდებელი დახმარება დაზარალებულებს
- → დაიცავით საკუთარი უსაფრთხოება
- → არ შეუშალოთ ხელი სამაშველო სამსახურებს
- → შეთანხმდით მკაფიო წესებზე პირდაპირ ტრანსლირებასთან, ფოტოების, სოციალური მედიის გამოყენებასა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით
- → დაუშვით, რომ ტერორისტულ დაჯგუფებებს ხელი მიუწვდებათ თქვენს მიერ ტრანსლირებულ ინფორმაციაზე
- → არ აიღოთ ინტერვიუ ტერორისტებისგან ან მძევლებისგან http://www.lemonde.fr/actualite-medias/article/2015/11/23/les-medias-belges-enmode-
- → არ აღწეროთ უსაფრთხოების ძალების ტაქტიკა ან სტრატეგია

© CITIZENSIDE / YANN BOHAC

თავი 4
თავდასხმის გაშუქება

4.1 თავდაპირველი გაუგებრობა

ჟურნალისტები ხშირად „პირველი მაშველები“ არიან, ანუ იმ ადამიანთა შორის არიან, ვინც პირველი მიდის თავდასხმის ადგილას. ასეთ საგანგებო ვითარებაში ისინი სერიოზული ეთიკური და პროფესიული გამოწვევების წინაშე დგებიან.

როგორ უნდა მოიქცნენ თავიდან: როგორც ჟურნალისტები თუ როგორც მაშველები? დაზარალებულებს უნდა დაეხმარონ თუ დატანჯული ადამიანების ფოტოების გადაღება იჩქარონ?

Agence France-Presse-ის „სარედაქციო სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკაში“ წერია: „მართალია, ჩვენ ადგილზე იმისთვის ვართ, რომ მოვლენები გავაშუქოთ, მაგრამ ადამიანურობა არ უნდა დავივიწყოთ. [...] საერთო კონსენსუსია, რომ ჟურნალისტს აქვს ვალდებულება, დაეხმაროს უდანაშაულო ადამიანს, რომლის სიცოცხლეც საფრთხეშია, ასევე ნებისმიერ სხვას, ვისი დახმარებაც ჟურნალისტს შეუძლია.“

დარტ ცენტრი შემდეგ რჩევას იძლევა: „გაათვითცნობიერეთ, რომ როდესაც დაზარალებულებს მიუახლოვდებით, ისინი შესაძლოა შოკში იყვნენ ან მძიმედ იყვნენ დაშავებულნი. მშვიდად გააცანით თავი და ჰკითხეთ, სამედიცინო დახმარება ხომ არ სჭირდებათ. თუ სჭირდებათ, დაუყოვნებლივ მოიძიეთ სამედიცინო დახმარება“.[1] წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა პაკისტანში ტრენინგებიც კი ჩაუტარა ჟურნალისტებს პირველადი დახმარების უნარებში (სისხლდენის შეჩერება, გულის მასაჟი და სხვა), რათა მათ შეძლონ დახმარების გაწევა, როდესაც თავდასხმის ადგილზე პირველები აღმოჩნდებიან.[2]

მედია ორგანიზაციამ შემთხვევის ადგილზე რეპორტიორების უსაფრთხოებაზეც უნდა იზრუნოს *(იხილეთ, „ჟურნალისტების უსაფრთხოება“, გვ. 147)*. ტერორისტული აქტების ჩამდენები შესაძლოა ისევ შემთხვევის ადგილზე იყვნენ, შესაძლოა „მეორადი“ თავდასხმაც იყოს დაგეგმილი, შესაძლოა დაზიანებული კედლები ჩამოიშალოს და ა.შ. მედიამ უნდა მოამზადოს თავისი ჟურნალისტები ამ ტიპის ხიფათისთვის და უზრუნველყოს ისინი სათანადო აღჭურვილობით. 2015 წლის 5 აპრილს, კენიელმა ჟურნალისტმა მუჰამედ ოსმანმა Sahan Journal-ის ვებ-გვერდზე აღნიშნა, რომ ჟურნალისტები, რომლებიც ნაირობიში 2013 წლის სექტემბერში „უესგეიტის მოლზე“ თავდასხმის გასაშუქებლად გაგზავნეს, „არ იყვნენ აღჭურვილნი დამცავი საშუალებებით, რაც სერიოზული შეცდომა იყო, რომელიც შეიძლება ფატალურად დასრულებულიყო.“[3]

კენიელი ექსპერტი ჯონ გაჩის თქმით კი, ბევრი მათგანი „ისე ჩქარობდა, რომ თავს საფრთხეში იგდებდა; საკუთარ ბედს სცდიდა, რომ გამორჩეული ადგილი დაეკავებინა და ყურადღების ცენტრში მოხვედ-

1 http://dartcenter.org/content/first-responders
2 https://www.icrc.org/eng/resources/documents/news-release/2010/pakistannews-270710.htm
3 http://sahanjournal.com/garissaattack-kenyan-media-covers-terrorist-attacks/#.WF6RN_kr-LIX

რილიყო. გაუმართლათ, რომ არცერთი ჟურნალისტი არ დაშავდა – სასწაულებრივად გადარჩნენ“.[4]

„დარტ ცენტრმა“ გამოაქვეყნა უმნიშვნელოვანესი რეკომენდაციების მთელი სერია იმ პროცედურების შესახებ, რომლებიც არა მარტო ჟურნალისტების უსაფრთხოების დასაცავად უნდა შესრულდეს, არამედ მათი ინფორმირებისთვის, როგორ მოიქცნენ გადაუდებელი დახმარების სამსახურებისა და დაზარალებულების შემთხვევაში.[5] ჟურნალისტებმა მაშველების მუშაობას მათსა და დაზარალებულებს შორის ყოფნით, მძიმე ტექნიკური აპარატურის განთავსებით ან საკომუნიკაციო არხების მონოპოლიზებით ხელი არ უნდა შეუშალონ.

თავდასხმის პირველივე წუთებიდან ჟურნალისტებმა რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაავრცელონ შეძლებისდაგვარად ზუსტი ინფორმაცია, რათა უზრუნველყონ მოქალაქეთა უსაფრთხოება, სამაშველო სამსახურების ეფექტიანობა და მოვლენის კოლექტიური გააზრება. თუმცა, რთულია, გაუგებრობაში არ მოყვე.

2015 წლის პარიზის თავდასხმებთან დაკავშირებით Agence France-Presse-ის ფოტოგრაფი დომინიკ ფაჟე წერდა: „რედაქტორმა მითხრა, რომ სროლა იყო [პარიზის] მე-10 რაიონში. იმ წუთას სხვა არაფერი ვიცოდით. [...] ხალხი ყველა მიმართულებით გარბოდა, მაგრამ არ ვიცოდით, რატომ. [...] მოულოდნელად, პოლიციამ გამვლელთა ჯგუფთან ერთად ერთ-ერთ რესტორანში შემაგდო“.[6]

4.2 მზადება

იმპროვიზაცია ერთ-ერთი სერიოზული რისკია და მედიას ნაწილობრივ შეუძლია მისი პრევენცია, თუ თავდასხმებამდე დაადგენს სათა-

4 https://issuu.com/mediacouncilkenya/docs/media_observer_magazine_october-dec [p.21]
5 http://dartcenter.org/content/first-responders
6 http://blogs.afp.com/makingof/?post/Guerre-et-guerre

ნადო პროცედურებს. ეს პროცედურები უნდა შემუშავდეს იმ ქაოსის გათვალისწინებით, რასაც ტერორისტული აქტების მოულოდნელობა და სისასტიკე იწვევს.

2014 წლის 16 ივლისს ტუნისში მომხდარი თავდასხმის შემდეგ, ფრანგი წარმოშობის ტუნისელმა ჟურნალისტმა ლილია ბლეზმა ისაუბრა წინდაუხედავ სისწრაფეზე, ინფორმაციის სიმწირეზე, არასწორ ციფრებზე, რეაგირების ნაკლებობაზე, ასევე მოუმზადებლობაზე, დღის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში სათანადოდ გაშუქებულიყო ეს საგანგებო მოვლენა. მან აღნიშნა, რომ ხელისუფლების მხრიდან კომუნიკაციის ნაკლებობისა და ინფორმაციის დაუმუშავებლობის პირობებში ზოგიერთი მედია ორგანიზაცია ამ მოვლენებით დათრგუნული ჩანდა.[7]

როგორ შეიძლება, რომ გუნდი, რომელშიც ყველა სხვადასხვა მიმართულებაზე მუშაობს, მაგალითად, საშინაო პოლიტიკა, საგარეო პოლიტიკა, სამოქალაქო საზოგადოება თუ სხვა, ერთად შეკრა? როგორ უნდა გაიგზავნოს რეპორტიორები შემთხვევის ადგილზე? როგორ უნდა შექმნას მედიამ ინფორმაციის შიდა გადამოწმებისა და მოდერაციის სისტემა, რომ ჭორები და ექსტრაპოლაცია რაც შეიძლება მაქსიმალურად აირიდოს? რის ექსპერტებს უნდა დაუკავშირდნენ ისინი? ასეთი მობილიზების იმპროვიზირება შეუძლებელია. ამისთვის საჭიროა როლებისა და დავალებების განსაზღვრა, კონკრეტული სარედაქციო და ეთიკის წესების ფორმულირება, ზუსტი ინსტრუქციების შემუშავება და სარეზერვო გეგმის შედგენა. ამაზე ნაკლების ქონა არაფრის ქონას ნიშნავს. სახელმძღვანელოში, რომელიც დებორა პოტერმა და შერი რიკიარდიმ 2017 წელს გამოაქვეყნეს, „ჟურნალისტიკის საერთაშორისო ცენტრმა“ ჩამოთვალა კრიზისულ მოვლენამდე გადასადგმელი ნაბიჯები, რომლებიც რეაგირებისთვის მზადყოფნას ნებისმიერ დროს უზრუნველყოფენ;[8] ეს მედიას საგზაო რუკად გამოადგება.

7 https://inkyfada.com/2014/07/media-terrorisme-tunisie-deontologie/
8 http://www.icfj.org/sites/default/files/Disaster_Crisis.pdf

აუცილებელია საიმედო უსაფრთხოების და სამაშველო სამსახურებთან კონტაქტების ქონა. 2013 წელს აშშ-ში ბოსტონის მარათონის თავდასხმის დროს ერთ-ერთი ყველაზე სანდო წყარო ადგილობრივი გაზეთი Boston Globe იყო, რადგან მას ადრევე ჰქონდა კონტაქტები დამყარებული მთავარ სამსახურებთან, ხოლო მისმა ჟურნალისტებმა ამ სამსახურების ძლიერი და სუსტი მხარეები იცოდნენ. მედიას განსაზღვრული უნდა ჰქონდეს მიმდინარე მოვლენების დამუშავების წესიც. ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია ძირითადი ეთიკური საკითხებისთვის მკაფიო წესების განსაზღვრა (ფოტოების გამოყენებაზე, ინტერვიუს აღების წესზე, უსაფრთხოების სამსახურის ოპერაციების გაუმჟღავნებლობაზე, და სხვა). სარედაქციო გუნდის თითოეულმა წევრმა უნდა იცოდეს ეს წესები, რომ ნებისმიერ დროს მედია საშუალების სარედაქციო ხაზის შესაბამისად მოქმედება შეძლოს. შეცდომების რისკი იზრდება, როდესაც თავდასხმის პირველ წუთებში სარედაქციო გუნდი სრული შემადგენლობით არ არის, ვინაიდან საღამოს საათებია, დასვენების ან ოფიციალური დღესასწაულის დღეებია ანდა სტაჟიორების ან დროებითი პერსონალის იმედად არიან. წესების სახელმძღვანელოს წაკითხვა უმნიშვნელოვანესია.

საგანგებო ვითარებებიც „გაშინაურებული“ უნდა იყოს რეპორტიორების გაგზავნის, სარედაქციო გუნდში სუბორდინაციის დაცვის და პირდაპირ ტრანსლირების ზუსტი პროცედურების დაგეგმვის გზით. მნიშვნელოვანია, რომ საინფორმაციო სამსახურის გამოცდილმა დირექტორმა გადაწყვიტოს, რა ინფორმაცია გადაიცეს და რა არა და როგორი ფორმით. Slate-ის ჟურნალისტს ჯერემი სტალს სოციალური მედიის მართვასთან დაკავშირებული ქცევის წესების მაგალითი მოჰყავს: „პირველ რიგში, მედია ორგანიზაციებმა ტვიტერის ავტომატური სიახლეთა ზოლი უნდა გამორთონ, რომ შეცდომით რაიმე მსუბუქი და/ან საკითხთან დაუკავშირებელი ინფორმაციის გაგზავნა არ მოხდეს [...], არ გადასცეთ სპეკულაციები. [...] არ შეარცხვინოთ ადამიანები ტვიტერზე სპეკულაციების გავრცელებისთვის. საგანგებო ამბის ბუნებიდან გამომდინარე, ფაქტობრივი შეცდომები დაშვებული

იქნება და მათ ყველა დაუშვებს [...] თუ სანდო და დადასტურებულ ინ-ფორმაციას ეძებთ, არ ენდოთ იმ ადამიანებს, ვინც პოლიციის რადი-ოკავშირის მეშვეობით რაღაცა მოისმინა, რადგან ეს რადიოკავშირი საქვეყნოდ ცნობილი არასაიმედო წყაროა".[9]

4.3 პირდაპირი ტრანსლირება

თავდასხმების დროს მედია ძალიან ხშირად შემთხვევის ადგილიდან პირდაპირ ერთვება; ეს პრაქტიკა ინფორმაციის მიღების გადაუდე-ბელ საჭიროებას აკმაყოფილებს, მაგრამ ამავე დროს, ხელს უწყობს საგანგებო მოვლენების გაშუქებისთვის დამახასიათებელ დრამატი-ზაციას, განსაკუთრებით აუდიო-ვიზუალურ მედიაში.

ზოგ ქვეყანაში ხელისუფლება თავდასხმის ადგილიდან პირდაპირ ტრანსლირებაზე ემბარგოს ან აკრძალვას აწესებს. ოფიციალური მიზეზი ადამიანთა სიცოცხლის დაცვა და პოლიციის ოპერაცი-ების ხელშეწყობაა, მაგრამ ზო-გი ხელისუფლება ამას კომუნი-კაციის და ნარატივის „ჩარჩოს" გასაკონტროლებლად იყენებს. 2015 წელს ინდოეთის მთავრო-ბამ პროგრამის კოდექსს დაა-მატა მუხლი, რომლითაც „უსაფ-რთხოების ძალების ანტიტერო-რისტული ოპერაციების პირდა-პირი გაშუქება"[10] იკრძალება.

მკაცრი წესები აუცილებელია: არ შეუქმნათ საფრთხე ხალხს, არ შეუშალოთ ხელი სამაშველო და უსაფრთხოების ოპერაციებს, არ მიაწოდოთ ტერორისტებს უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია.

ინდოეთის მაუწყებელთა კავშირმა, საინფორმაციო მაუწყებლების ასოციაციამ (NBA), ეთიკის კოდექსში შესწორება მას შემდეგ შეიტა-

9 http://www.slate.com/articles/technology/technology/2013/04/boston_marathon_bombing_all_the_mistakes_journalists_make_during_a_crisis.html

10 http://timesofindia.indiatimes.com/india/Centre-bans-live-coverage-of-anti-terror-operations/articleshow/46670046.cms

ნეს, რაც მუმბაიში 2008 წლის თავდასხმის შემდეგ მედია გააკრიტიკეს.[11]

მიუხედავად ამისა, ბოლო წლებში ბევრი ტერორისტული აქტი შემთხვევის ადგილიდან გაშუქდა და პირდაპირ გადაიცა არა მარტო მედიით, არამედ სოციალური ქსელებითაც. 2014 წლის თებერვალში, კენიის თავდაცვის ძალების ხელმძღვანელმა იულიუს კარანგიმ ჟურნალისტთა გუნდის თანდასწრებით გამოთქვა სინანული, რომ 2013 წელს ნაირობიში „უესტგეითის მოლზე" თავდასხმის დროს მედია ამ მოვლენას პირდაპირ გადასცემდა, რითიც თავდამსხმელებს მისცა შესაძლებლობა, „თვალი ედევნებინათ იმ აქტივობებისთვის, რომლებსაც უსაფრთხოების სამთავრობო ძალები გეგმავდნენ".[12] მკაცრი წესები აუცილებელია: არ შეუქმნათ საფრთხე ხალხს, არ შეუშალოთ ხელი სამაშველო და უსაფრთხოების ოპერაციებს, არ მიაწოდოთ ტერორისტებს უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია.

ოპერაციის ჩატარების დროს, რომელიც სატირულ ჟურნალ Charlie Hebdo-ზე თავდასხმის შემდეგ, 2015 წლის 9 ნოემბერს დაიწყო, რამდენიმე აუდიოვიზუალურმა მედია საშუალებამ გადასცა ადგილობრივი პოლიტიკოსის განცხადება, რომლის თანახმადაც, ერთი ადამიანი იმ სტამბაში იმალებოდა, რომელსაც მასობრივი მკვლელობის ჩამდენებმა შეაფარეს თავი.[13] იმავე დღეს, ანალოგიური შეცდომა დაუშვა ერთ-ერთმა ფრანგულმა ტელეარხმა განცხადების გავრცელებით, თითქოს ვიღაც პარიზის HyperCacher-ის იმ მაღაზიის სამაცივრე საცავში იმალებოდა, სადაც ადამიანები კვლავ მძევლად ჰყავდათ აყვანილი. მიუხედავად იმისა, რომ 2015 წლის იანვარის ამ თავდასხმების დროს ტერორისტები ისევ იმალებოდნენ, ზოგმა ტელეარხმა ასევე გადასცა ინფორმაცია და გამოსახულება, რომელზეც

11 http://nbanewdelhi.com/pdf/final/NBA_code-of-ethics_english.pdf
12 http://www.coastweek.com/3706-latest-news-kenya-forum-reviews-role-of-media-amid-increasing-militant-attacks.htm
13 https://www.theguardian.com/world/2015/jan/09/charlie-hebdo-attack-suspects-gunman-killed-dammartin-en-goele-port-de-vincennes-paris

უსაფრთხოების ძალების განლაგება, მათ შორის ზოგიერთი მათგანის ზუსტი პოზიცია და გამოყენებული სტრატეგია ჩანდა. ამ ინციდენტების შესასწავლად გამოძიებები დაიწყო და ისინი საფრანგეთის მარეგულირებელმა – უმაღლესმა აუდიოვიზუალურმა საბჭომ (Conseil supérieur de l'audiovisuel – CSA) დაგმო.

ანალოგიურად, 2016 წლის 18 მარტს ბრიუსელში ერთ-ერთმა ტელეარხმა, უსაფრთხოების ძალების მოსვლამდე მოძრავი სატელევიზიო სადგური იმ სახლის გვერდით განათავსა, სადაც 2015 წლის ნოემბრის თავდასხმის ერთ-ერთი მონაწილე იმალებოდა. განრისხებულმა პოლიციის უფროსმა განაცხადა, რომ მისი პერსონალის და საზოგადოების უსაფრთხოება რეიტინგების საკურთხეველზე მსხვერპლად მიიტანეს.[14]

საზოგადოების ინფორმირება კიდევ უფრო რთულდება, როდესაც შემთხვევის ადგილს რიგითი მოქალაქეები, მეზობლები და გამვლელები იღებენ და გადაღებულ ვიდეოებს თუ ინფორმაციას დაუბრკოლებლად, სოციალურ ქსელებში აქვეყნებენ, რითიც ჟურნალისტურ წესებს უგულებელყოფენ და ტრადიციულ მედიას სერიოზული ეთიკური დილემების წინაშე აყენებენ. მედია ვერ უგულებელყოფს ამ საინფორმაციო ნაკადებს, მაგრამ კრიტიკულად უნდა მოეკიდოს მათ. „ახალი ამბების მოყვარულების" უხეში შეცდომები არ ათავისუფლებს პროფესიონალებს სიფრთხილის პრინციპებისგან, რაც მათ უნდა დაიცვან.

რა შეიძლება გაკეთდეს? 2015 წლის 22 ნოემბერს, უსაფრთხოების ძალების „შეთავაზების საფუძველზე" ბელგიურმა მედიამ ოპერაციის დროს, რომელიც პარიზის 13 ნოემბრის თავდასხმებში მონაწილე ადამიანების დასაკავებლად ბრიუსელისა და შარლერუას შე-

14 http://www.lemonde.fr/attaques-a-paris/article/2016/03/21/arrestation-de-salah-abdeslam-la-police-belge-condamne-le-comportement-de-certains-medias_4886784_4809495.html

მოგარენში ჩატარდა, „სრული სიჩუმე“ დაიცვა (ანუ, ინფორმაცია არ გაავრცელა). ბრიუსელის გაზეთის Le Soir-ის მთავარმა რედაქტორმა ქრისტოფ ბერტიმ თქვა, რომ მას ორჯერ დაურეკეს თხოვნით, არ დაესახელებინა იმ უბნების ზუსტი მისამართები, სადაც ოპერაციები ტარდებოდა. სარედაქციო პერსონალმა მიიჩნია, რომ იმ ქუჩის სახელისა და სახლის ნომრის გაუმჟღავნებლობა, სადაც საპოლიციო ძალები იმუშავებდნენ, დეზინფორმაციად არ ჩაითვლებოდა.[15]

ანალოგიურად უხეში შეცდომების თავიდან ასაცილებლად გარკვეული ზომები მიიღეს ტელეარხებმაც. ბელგიის ფრანგულენოვანი საზოგადოებრივი მაუწყებლის Radio Télévision Belge Francophone-ის საინფორმაციო სამსახურის დირექტორმა ჟან-პიერ ჟაკმინმა განმარტა, რომ ქუჩაში გადაღებისას ოპერატორი ახლო კადრით აჩვენებს მხოლოდ ჟურნალისტის სახეს, რათა პოლიციის ძალების ადგილმდებარეობის და ტაქტიკის რაიმე დეტალი არ გამჟღავნდეს. თუმცა, ასეთი შეზღუდვა დროებითი უნდა იყოს როგორც ქრისტოფერ ბერტისთვის, ასევე ჟან-პიერ ჟაკმინისთვის და ეს შეზღუდვა საზოგადოებას მკაფიოდ უნდა განემარტოს. ქრისტოფერ ბერტის თქმით, მისი გუნდი აგრძელებდა მუშაობასა და ვითარების შესწავლას და მეორე დღისთვის მან 20-გვერდიანი მასალა მოამზადა.

სხვა შემთხვევებში, მედია იყენებდა რამდენიმეწუთიან შეყოვნებას შემთხვევის ადგილიდან რეპორტაჟსა და მისი ეთერით ტრანსლირებას შორის, რათა დროის ამ მონაკვეთში გამოცდილ რედაქტორებს მასალა ენახათ და გადაეწყვიტათ, რისი ტრანსლირება შეიძლებოდა და რას სჭირდებოდა შენიღბვა. ასე მოიქცნენ ბრიტანული ტელეარხები BBC და ITN 1980 წლის 5 მაისს, როდესაც ლონდონში ირანის საელჩოში მძევლები აიყვანეს. ამ ტელეარხებმა პირდაპირი ტრანსლაცია მხოლოდ მას შემდეგ ჩართეს, რაც სპეციალურმა ძალებმა მძევლები გადაარჩინეს.

15 http://www.lemonde.fr/actualite-medias/article/2015/11/23/les-medias-belges-enmode-chaton-pendant-l-intervention-de-la-police_4815820_3236.html

როგორ მოვიქცეთ მძევლების აყვანის ვითარებაში?

როგორ უნდა გააშუქოს მედიამ მძევლების აყვანის ვითარება ისე, რომ ის იყოს „სრულყოფილი“, „არ იყოს თვალშისაცემი“ და „არ აძლიერებდეს ემოციებს“, როგორც ამას აშშ-ის არეულობებსა და ტერორიზმთან ბრძოლის ოპერატიული დაჯგუფება[1] გვირჩევს. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე წესი, რომელიც პოინტერის ინსტიტუტის (აშშ) მკვლევარის ბობ სტილის მოსაზრებებს ემყარება და მძევლად აყვანის ადრინდელი შემთხვევების გამოცდილებას ითვალისწინებს:

1. **ყოველთვის დაუშვით, რომ გამტაცებლებს აქვთ შესაძლებლობა, უყურონ თქვენს რეპორტაჟებს.** შესაბამისად, თავი შეიკავეთ ისეთი ინფორმაციის გადაცემისგან, რომლითაც შეიძლება გამჟღავნდეს საპოლიციო ძალების ტაქტიკა, მაგალითად არ აჩვენოთ ვიდეოკადრები, სადაც ჩანს პოლიციელების პოზიციები, დიაგრამები, რომლებზეც გათავისუფლების ოპერაციის სავარაუდო სცენარებია ასახული ანდა პოლიციელებს შორის კომუნიკაციის ტექსტები.
2. **თავი შეიკავეთ მძევლების შესახებ ისეთი დეტალების გამჟღავნებისგან, რომლებმაც შეიძლება მათ კიდევ უფრო მეტი საფრთხე შეუქმნათ.** 2014 წელს, რედაქციის შეცდომის გამო, New York Times-ში გამოქვეყნდა სტატია, რომელიც ისლამური სახელმწიფოს დაჯგუფების მძევლის სტივენ სოტლოფის სიკვდილის მერე უნდა გამოექვეყნებინათ და რომელშიც ეწერა, რომ ის ებრაელი იყო. ეს სტატია საიტიდან „27 წუთის შემდეგ აიღეს“, როდესაც გაზეთი მიხვდა, რომ შეცდომა დაუშვა.[2]
3. **ნუ დაიწყებთ ტერორისტის (ტერორისტების) ფსიქოლოგიურ მახასიათებლებზე ან პოლიტიკურ შეხედულებებზე თეორიების აგებას:** ერთი არასწორი სიტყვა და სიტუაცია შეიძლება გაუარესდეს. ასეთივე სიფრთხილეა საჭირო გამტაცებლების მოთხოვნების გაანალიზებისას.
4. **ნუ დაიწყებთ ტერორისტთა გეგმების, ხელისუფლების რეაგირების ან მძევალთა მდგომარეობის შესახებ სპეკულირებას.** ასეთმა სპეკულაციებმა შეიძლება ხელისუფლებას კრიზისის მართვაში ხელი შეუშალოს.
5. **მკაფიოდ განუმარტეთ საზოგადოებას, რომ უსაფრთხოების მოსაზრებებით გარკვეული ინფორმაციის გავრცელებისგან თავს იკავებთ.** დაფიქრდით, ხომ არ არის საჭირო ამავე მიზეზით თავი შეიკავოთ დანაშაულის ადგილიდან პირდაპირი ტრანსლირებისგან.
6. **არ სცადოთ ტერორისტული დაჯგუფებისგან ინტერვიუს აღება.** აშშ-ის ტელეარხი CBS თავის ჟურნალისტებს მხოლოდ „გარდაუვალი აუცილებლობის“ შემთხვევაში რთავს ნებას ტერორისტისგან პირდაპირ ეთერში ინტერვიუ აიღოს, რადგან არხს არ სურს, ტერორისტების ხაფანგში გაებას და მათ პირდაპირ და გაუფილტრავად დაუთმოს ასპარეზი. გარდა ამისა, ჟურნალისტები,

---

1 United States Department of Justice, National Advisory Committee on Criminal Justice Standards and Goals, Disorders and Terrorism (Washington, DC: US Government Printing Office, 1976).

2 http://www.bbc.com/news/magazine-29120308

ზოგადად, არ არიან მომზადებულნი ისეთი სპეციფიკური ინტერვიუს აღებაში, რომელშიც ბევრი რამ დევს სასწორზე და ერთმა არასწორად ფორმულირებულმა კითხვამ ანდა არასწორად შერჩეულმა სიტყვამ შესაძლოა მძევლების სიცოცხლეს საფრთხე შეუქმნას. რაფაელ კოენ-ალმაგორის აზრით, „ასეთ პირობებში ინტერვიუს აღება სანატრელი საჩუქარია კონკრეტული ტერორისტული აქტისთვის და მან შეიძლება კრიზისის მოგვარებას ხელი შეუშალოს". გარდა ამისა, ინტერვიუს ტელეფონით აღება მოიცავს სატელეფონო ხაზის დაკავების რისკს, რაც მომლაპარაკებლებს საქმეს ურთულებს. 2015 წლის იანვარში საფრანგეთში სადღეღამისო სატელევიზიო არხმა ტერორისტებისგან ინტერვიუები აიღო, მაგრამ ისინი ეთერში მხოლოდ მძევლების გათავისუფლების შემდეგ აჩვენა.

7. **არ აიღოთ ინტერვიუ მძევლებისგან.** Agence France-Presses-ის მიშელ ლერიდონი აღნიშნავს, რომ მედიამ „შიშის ქვეშ გაკეთებული განცხადებები" არ უნდა გაავრცელოს.

8. **სიფრთხილით გამოიყენეთ ტექნიკური აპარატურა.** როგორ წესი, პოლიცია დანაშაულის ადგილს ბარიერებით ღობავს; თუმცა, მედიამ ბრძანებებისა და ინსტრუქციების გარეშეც უნდა იცოდეს, რომ განათებამ და კამერებმა ღამე შეიძლება შეფერხება გამოიწვიოს. პრესის ვერტმფრენები ან დრონები გამტაცებლებმა შეიძლება ოპერაციის დაწყებად აღიქვან, მათმა ხმაურმა შესაძლოა გამტაცებლებსა და მომლაპარაკებლებს შორის კომუნიკაცია გაართულოს ანდა უსაფრთხოების ძალების აღჭურვილობა მწყობრიდან გამოიყვანოს.

9. **არ გამართოთ მოლაპარაკებები ტერორისტებთან ან მათ „წარმომადგენლებთან" მედიისთვის რაიმე პრივილეგიის მიცემის შესაძლებლობაზე.** 1985 წლის ივნისში ბეირუთში TWA 847 რეისის გატაცების დროს საინფორმაციო პროგრამის ამერიკელი წამყვანები მძევლებთან გასაუბრების შესაძლებლობას მუდმივად განიხილავდნენ და ამ მიზნით შუამავლებთან მოლაპარაკებებსაც კი აწარმოებდნენ.

10. **არ შეასრულოთ შუამავლის როლი.** ჟურნალისტებს ზოგჯერ სძლევთ ცდუნება, ტერორისტულ ოპერაციებში შუამავლის როლი შეასრულონ, როგორც ეს 2002 წლის ოქტომბერში მოხდა, როდესაც ცნობილი რუსი ჟურნალისტი ანა პოლიტკოვსკაია (რომელსაც 2007 წლის იუნესკოს/გილერმო კანოს სახელობის პრესის თავისუფლების პრიზი სიკვდილის შემდეგ მიენიჭა) ჩეჩენ ტერორისტებს მოსკოვის „დუბროვკის" თეატრში მძევლების აყვანის დროს შეხვდა. მის ნაამბობს ამ შეხვედრის შესახებ მოკლე და მრავლისმეტყველი სათაური ჰქონდა: „ვცადე და არ გამომივიდა".

11. **დაუყოვნებლივ აცნობეთ ხელისუფლებას**, თუ ტერორისტი (ტერორისტები) თქვენს ოფისს დაუკავშირდებიან.

12. **დაფიქრდით ინფორმაციის ღირებულებაზე, სანამ მძევლების ახლობლებისგან ინტერვიუს აიღებთ**, განსაკუთრებით პირდაპირ ეთერში. ემოციებმა და რესპონდენტის მიმართ გამოყენებულმა ზოგმა „კოდურმა" ფრაზამ შესაძლოა იმ სიტუაციის დესტაბილიზაცია გამოიწვიოს, რომელშიც ადამიანები ისედაც ნერვული აშლილობის ზღვარზე არიან.

არაფერს ახლოთ ხელი თავდასხმის ადგილზე. ყველაფერი ადგილზე უნდა დარჩეს, როგორც დანაშაულის ჩადენისას იყო,[16] რათა გამომძიებლებს თავიანთი საქმის გაკეთება არ გაურთულდეთ.[17] ჟურნალისტებმა ადგილი არ უნდა შეუცვალონ საგნებს, გვამებს, სხვა., მაშინაც კი, როდესაც ეს ვიდეოგადაღებას უმარტივებთ ანდა ფოტოს კუთხეს აუმჯობესებს. ასეთმა ქმედებამ შეიძლება მთელ გამოძიება რისკის ქვეშ დააყენოს და ეს კანონით დასჯადი ქმედებაა. აშშ-ში, 2015 წლის 4 დეკემბერს სან-ბერნარდინოში მომხდარი მკვლელობის შემდეგ, ჟურნალისტებმა დამნაშავეთა მიერ დაქირავებულ ბინაში შესვლა და იქ არსებული სურათის პირდაპირი ეთერით ჩვენება შეძლეს. მათ ჰქონდათ ბინის მეპატრონის და გამოძიების ფედერალური ბიუროს ნებართვა, მაგრამ ამან საშინელი ქაოსი გამოიწვია და სერიოზული ეთიკური კითხვები წარმოშვა. ზოგი ჟურნალისტი პირად ფოტოებს აჩვენებდა, სხვები უჯრებსაც კი ჩხრეკდნენ. მართალია, გამოძიების ფედერალურ ბიუროს დანაშაულის ამ ადგილის შესწავლა დასრულებული ჰქონდა, მაგრამ მედიას მტკიცებულებების განადგურების საფრთხეზე უნდა ეფიქრა. Columbia Journalism Review-მ შემდეგი კომენტარი გააკეთა: „პირდაპირი ტრანსლირება, როდესაც მონტაჟის დამცავი ფილტრის გარეშე მუშაობ, ჟურნალისტისგან განსჯას და რამდენიმე წამში გადაწყვეტილების მიღებას მოითხოვს რაიმე მამხილებლის დანახვასა და მილიონობით მაყურებლისთვის მის გაზიარებას შორის. პარასკევს, იმ ზედახორაში, რომელიც ორი დაღუპული სავარაუდო მკვლელის ბინაში მედიამ მოაწყო, ასეთი განსჯის დეფიციტი თვალშისაცემი იყო."[18]

16 https://www.unodc.org/documents/scientific/STNAR39.F.Ebook.pdf
17 http://www.mediacrimevictimguide.com/special.html
18 http://www.cjr.org/hit_or_miss/post_1.php

ხალხი სანთლებს ანთებს და პატივს
მიაგებს 2015 წლის ნოემბრის
ტერორისტულ აქტებში დაღუპულებს.
პარიზი, საფრანგეთი.

© FREDERIC LEGRAND – COMEO / SHUTTERSTOCK, INC.

5

მთავარი საკითხები

- → ეწვიეთ ტერორისტთა უბნებს ისე, რომ არ გახდეთ მანიპულირების მსხვერპლი
- → აიღეთ ინტერვიუ ტერორისტული დაჯგუფებებისგან ისე, რომ იარაღად არ გამოგიყენონ
- → გაავრცელეთ ინფორმაცია გამოძიებების შესახებ ისე, რომ ზიანი არ მიაყენოთ გამოძიებას
- → გააშუქეთ სასამართლო პროცესები განდიდების ან დემონიზების გარეშე

© SERGEY KOHL / SHUTTERSTOCK, INC.

თავი 5

ტერორისტულ დაჯგუფებებთან ინტერაქცია

5.1 ტერორისტული დაჯგუფებების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე შესვლა

კლასიკური პარტიზანული ბრძოლების მიმდინარეობის დროს, მედია რეგულარულად შედიოდა იმ ორგანიზაციების კონტროლირებად ტერიტორიებზე, რომლებსაც ხელისუფლება როგორც ტერორისტებს ებრძოდა. ავტორმა და პოლიტიკის მკვლევარმა ჟერარ ჩალიანდმა ასეთ ტერიტორიებზე შესვლა მის ერთ-ერთ სპეციალიზაციად გაიხადა. მისი რეპორტაჟები „პეშმერგას“ (ერაყის ქურთისტანის ავტონომიური რეგიონის განკარგულებაში მყოფი სამხედრო დაჯგუფება) და „გვინეისა და მწვანე კონცხის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აფრიკული პარტიის“ შესახებ დღემდე პარტიზანული ომის რეპორტაჟების კლასიკად მიიჩნევა.

ზოგიერთი ასეთი შესვლა ჟურნალისტიკის „უდიდეს მიღწევად“ ითვლება, როგორიც იყო, მაგალითად, ფიდელ კასტროს ამბოხის დროს, 1950-იან წლებში New York Times-ის საგანგებო ელჩის ჰერბერტ მეთიუს ჩასვლა კუბის სიერა მაესტრაში. კიდევე ერთი მაგალითია 1960-

იან წლებში ურუგვაელი ჟურნალისტის ედუარდო გალეანოს ყოფნა გვატემალის პარტიზანებს შორის.

უკიდურესი სისასტიკით გამორჩეული დაჯგუფებების გაძლიერების შემდეგ, როგორიც იყო 1980-იან წლებში „ნათელი გზა“ პერუში ან 1990-იან წლებში „შეიარაღებული ისლამური დაჯგუფება“ (GIA) ალჟირში, ეს „მეამბოხე ტურიზმი“ პრაქტიკულად შეწყდა და ზოგი ჟურნალისტი ახლა ეჭვსაც კი გამოთქვამს ასეთი თავგადასავლების შესაბამისობასა და კეთილსინდისიერებაზე.

თუ მედია ორგანიზაცია ამ რისკზე წავა და გადაწყვეტს, ტერორისტულ დაჯგუფებას „მიწვევაზე“ მოელაპარაკოს, მან უნდა განმარტოს ის პირობები, რომლებშიც რეპორტაჟი მომზადდა; შეზღუდვები, რომლებიც დაწესებული იყო, ჩარჩო, რომელიც შეირჩა გამოკითხული ადამიანების წარმოსაჩენად; მუდმივი თვალთვალი, გადაღებული მასალის შემოწმება მებრძოლების მიერ და ასე შემდეგ.

დისკუსია ამ საკითხზე 2014 წლის ზაფხულში, Vice News-ის მიერ მომზადებული დოკუმენტური ფილმის „ისლამური სახელმწიფოს“ ჩვენების შემდეგ განახლდა.[1] გამოცდილმა ომის კორესპონდენტმა მედიან დაირიემ სამი კვირა ისლამური სახელმწიფოს დაჯგუფების ძალებს შორის სირიაში გაატარა. კოალიციის ბომბების გარდა, მისი უსაფრთხოება სხვა რისკების ქვეშაც იდგა: რამდენად აიტანდა ისლამური სახელმწიფოს დაჯგუფება ჟურნალისტს ამერიკული მედია ორგანიზაციიდან? როგორ აირიდებდა მოწინააღმდეგე დაჯგუფებების ან უსაფრთხოების ძალების მიერ დაჭერას, რომლებიც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ ასეთ გაშუქებას? გარდა ამისა, დაირიე დაეშის ძალიან მკაცრ წესებს უნდა დამორჩილებოდა, რადგან ეს დაჯგუფება

1 https://news.vice.com/video/the-islamic-state-full-length

დაინტერესებული იყო საკუთარ იმიჯისა და გზავნილის გაკონტროლებით. ხომ არ იქცა Vice News-ი იმ ტერორისტული ორგანიზაციის პროპაგანდისტად, რომელიც ცდილობს, გადაიბიროს უცხოელი მებრძოლები და წარმოაჩინოს სახელმწიფოს მსგავსი ძალაუფლება სირიისა და ერაყის ვრცელ ტერიტორიებზე? Foreign Policy-ს სებასტიან მეიერმა აღნიშნა: „დოკუმენტური ფილმი შთამბეჭდავია. ხედავ კაცებსა და მოზრდილ ბავშვებს, რომლებიც ჯიჰადისადმი სწრაფვაზე საუბრობენ, ცხენზე ამხედრებულ ნიღბიან კაცებს, რომლებიც ქალაქის ქუჩებში პატრულირებენ – რთულია, თვალი მოსწყვიტო ამ სურათს. სხვა საკითხია, რამდენად აღწერს ის რეალურ ცხოვრებას ხალიფატის ქვეშ“.[2]

ერაყსა და სირიაში ისლამური სახელმწიფოს დაჯგუფების შესახებ კიდევ ერთი „ავტორიზებული რეპორტაჟის“ გაანალიზებისას, რომელიც გერმანელმა ჟურნალისტმა იურგენ ტოდენჰოფერმა 2014 წლის ოქტომბერში მოამზადა, პარიზის პოლიტიკურ მეცნიერებათა პრესტიჟული უნივერსიტეტის Sciences Po-ს პროფესორ ჟან-პიერ ფილიუს ცოტა დააკლდა, რეპორტაჟის ავტორისთვის „სასარგებლო იდიოტი“ ეწოდებინა, რომელიც ტერორისტულ პროპაგანდას გადმოსცემდა.[3] თუმცა, გერმანელი ჟურნალისტი ამბობდა, რომ ყველა ომის გაშუქებისას, ის ცდილობდა კონფლიქტის ორივე მხარეს გასაუბრებოდა და ეს რეპორტაჟი გამონაკლისი არ უნდა ყოფილიყო.[4]

აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა გამჭვირვალობას ენიჭება. მედია უნდა დაფიქრდეს იმაზე, თუ როგორ გამოიყენებს რეპორტაჟს ტერორისტული დაჯგუფება. ტონი კრიტიკული ან ნეგატიურიც რომ იყოს, მებრძოლები შეძლებენ ამოკრიფონ რამდენიმე ისეთი ფრაზა ან კადრი,

2 http://foreignpolicy.com/2014/08/09/how-to-take-a-picture-of-a-severed-head/

3 http://www.sudouest.fr/2015/01/02/moyen-orient-daesh-sur-le-front-des-medias-1781707-5166.php

4 http://www.independent.co.uk/news/world/middle-east/inside-isis-the-first-western-journalist-ever-given-access-to-the-islamic-state-has-just-returned-9938438.html

რომელიც მათთვის ხელსაყრელი იქნება და საკუთარი მედიითა და სოციალური ქსელებით გაავრცელებენ. ტერორისტულ დაჯგუფებას ასევე შეუძლია მის კონტროლქვეშ მყოფი მოსახლეობის საჩვენებლად „მოწვეული ან ავტორიზებული საერთაშორისო ჟურნალისტის“ სტუმრობა გაითამაშოს და ეს საერთაშორისო არენაზე როგორც ამ დაჯგუფების მნიშვნელობის და ძალაუფლების აღიარებად წარმოაჩინოს. თუ მედია ორგანიზაცია ამ რისკზე წავა და გადაწყვეტს, ტერორისტულ დაჯგუფებას „მიწვევაზე“ მოელაპარაკოს, მან უნდა განმარტოს ის პირობები, რომლებშიც რეპორტაჟი მომზადდა; შეზღუდვები, რომლებიც დაწესებული იყო, ჩარჩო, რომელიც შეირჩა გამოკითხული ადამიანების წარმოსაჩენად; მუდმივი თვალთვალი, გადაღებული მასალის შემოწმება მებრძოლების მიერ და ასე შემდეგ. მედიამ ასევე თავი უნდა შეიკავოს ჰოლივუდური დეკორაციების მოწყობისგან და ამ გზით ტერორისტული დაჯგუფების განდიდებისგან. სიფხიზლემ და სიმტკიცემ თვალშისაცემი წარმოდგენის დადგმის ცდუნებას უნდა აჯობოს. სხვა შემთხვევაში, როგორც აიდენ უაიტმა „ეთიკური ჟურნალისტიკის ქსელიდან“ აღნიშნა, მედია რისკავს, გახდეს ექსტრემისტების უნებლიე დამცველი პროპაგანდის ომში. არც რეპორტაჟების „ამან ეს თქვა, იმან ეს თქვა“ სცენარამდე დაყვანაა სწორი არჩევანი. შესაძლოა რეპორტაჟი დაუმუშავებელი იყოს, მაგრამ ის შესაბამის კონტექსტში უნდა გადმოიცეს. ის უნდა აიხსნას, ხოლო განცხადებები, რომლებიც ყალბი ან საეჭვოა, შესწორდეს ან ასეთად შეფასდეს.

უფრო სერიოზული საკითხია, როდესაც ჟურნალისტები შეიარაღებულ ძალებს ოპერაციებზე მიჰყვებიან. „როგორ უნდა მოიქცეთ, როდესაც ტერორისტები დაგეგმილი შეტევის გადაღებას გთავაზობენ?“ იკითხა ერთმა დიპლომატმა ჟურნალისტებთან დისკუსიის დროს. თვითონ ეს იდეა შეიძლება არასწორი ჩანდეს, მაგრამ ის მიუღებელი არ არის. დეილ ვან ატას თქმით,[5] 1970-იან წლებში ერთი გერმანელი ფოტოგრაფი ჰამბურგის ერთ-ერთ შენობაზე მემარცხენე ტერორის-

5 Harvard International Review, Autumn 1998, p. 69.

ტული ორგანიზაციის „წითელი არმიის ფრაქციის“ თავდასხმას ესწრებოდა. ანდა, როგორ უნდა შევაფასოთ რეპორტაჟი, რომელიც ბრიტანული არხის ჟურნალისტმა თალიბანის კონტროლირებად ტერიტორიაზე 2010 წელს მოამზადა, როდესაც თალიბ მებრძოლებს მიზანში ავღანეთში განთავსებულ ბრიტანული შეიარაღებული ძალები ჰყავდათ ამოღებული? რა იურიდიული და ეთიკური შედეგები მოჰყვება რეპორტაჟებს, რომლებშიც „მეორე მხარეა“ ნაჩვენები, მოწინააღმდეგე ბანაკში?

5.2 მათი პრესრელიზების გამოქვეყნება

1995 წლის 19 სექტემბერს, „უნაბომბერის“ სახელით ცნობილმა ამერიკელმა ტერორისტმა Washington Post-სა და New York Times-ს თავისი მანიფესტი გამოაქვეყნებინა, რადგან გამოქვეყნების სანაცვლოდ ის ძალადობრივი ქმედებების შეწყვეტის პირობას დებდა.[6]

გარიგებას გამოძიების ფედერალური ბიუროც დათანხმდა, რომელიც ამ ადამიანის წლების განმავლობაში დევნით სასოწარკვეთილი იყო. თუმცა, ამ გარიგებაზე აზრი მედიასა და ჟურნალისტებს შორის გაიყო.[7]

მაგალითად, „მედიისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ცენტრის“ დირექტორმა რობერტ ლიხტერმა განაცხადა: „როდესაც დარწმუნებული ხარ, რომ ადამიანების სიცოცხლის გადარჩენა შეგიძლია, უნდა გამოაქვეყნო“. მეორე მხრივ, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორმა ევერეტ ფ. დენისმა განაცხადა, რომ „მედია საზოგადოებრივი უსაფრთხოების და პოლიციის საქმეში არ უნდა ერთვებოდეს“. ორივე გაზეთი „უნაბომბერის“ სასარგებლოდ მოქმედებასა და სახიფათო პრეცედენტის დაშვებაში სხვებმაც დაადანაშაულეს.

6 http://www.washingtonpost.com/wp-srv/national/longterm/unabomber/manifesto.text.htm

7 http://www.poynter.org/2002/the-post-the-times-and-the-unabomber/2142/

სოციალური ქსელების შექმნასთან ერთად საკუთარი გზავნილების გასავრცელებლად ტერორისტულ დაჯგუფებებს მედიასთან დაკავშირების საჭიროება აღარ უდგათ. თუმცა, ხელისუფლებისთვის კვლავ კატეგორიულად მიუღებელია მედიით ტერორისტთა ინტერვიუების ან პრესრელიზების გამოქვეყნება. 1988 წელს ბრიტანეთის მთავრობამ ბრიტანულ ტელეარხებს აუკრძალა, ეთერი დაეთმოთ „ირლანდიის რესპუბლიკური არმიის“, მისი იურიდიული სახის, პოლიტიკური პარტიის „შინ ფეინის“ და პროტესტანტთა გასამხედროებული ორგანიზაციების ლიდერებისა და წევრებისთვის. მედიამ ამ აკრძალვას გვერდი იმით აუარა, რომ წამყვანებსა და კომიკოსებს მამხილებელი განცხადებების წაკითხვა მიანდო. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტების შემდეგ, ბუშის ადმინისტრაციამ ყატარის არხი Al Jazeera მის მკითხველებსა და მაყურებლებს შორის ანტიამერიკული განწყობების გაღვივებასა და ტერორისტებისთვის ეთერის დათმობაში დაადანაშაულა, როდესაც ამ არხმა ბინ ლადენის ვიდეო გზავნილები გაავრცელა.

როგორ უნდა მოეკიდოს მედია ასეთ გზავნილებს, იმის გათვალისწინებით, რომ მათი მიზანი რეალური ზეგავლენის მოხდენაა და გათვლილია აქტივისტების რეკრუტირებაზე, შიშის გაღვივებაზე ან სამიზნე ქვეყანაში პოლიტიკური რეზონანსის გამოწვევაზე? ბევრი ექსპერტის აზრით, იმ ფაქტმა, რომ ბინ ლადენმა ეს ვიდეოჩანაწერი 2004 წლის ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნების წინა დღეს გაავრცელა, პრეზიდენტ ბუშის კამპანია გააძლიერა, რომელიც უსაფრთხოებაზე იყო ფოკუსირებული და მისი დემოკრატი კონკურენტი ჯონ კერი დააზიანა.

ასეთ ვიდეოებს ზოგჯერ აქვს საინფორმაციო ღირებულება, მაგრამ ინფორმირების ვალდებულება გულისხმობს მათ მკაცრად გაშიფვრას, რათა მედია მანიპულირების საგანი არ აღმოჩნდეს ან მას ხელშეწყობა არ დაბრალდეს. არაბულენოვანი გაზეთის Al-Quds-ის თქმით, დაეშის მიერ გავრცელებულ ვიდეოებსა და მედიაკამპანიებს აქვთ პოტენცია, ათასობით დასავლელი ახალგაზრდა აცდუნონ, რათა ისინი ერაყსა და სირიაში ბრძოლას შეუერთდნენ.[8] მედია არ უნდა შემოიფარგლოს

8 http://www.alquds.co.uk/?p=254548

საკომუნიკაციო არხის მომსახურების გაწევით როგორც და როდესაც ეს ტერორისტულ დაჯგუფებას მოესურვება. მათ უნდა შეარჩიონ ის ვიდეოკლიპები, რომლებსაც რეალურად აქვთ ინფორმაციული ღირებულება, ამოჭრან იქიდან პროპაგანდა, განმარტონ კონტექსტი და მოიძიონ სამიზნე ხელისუფლების მოსაზრება.

ასეთივე სიფრთხილეა საჭირო მძევლების ვიდეოებთან დაკავშირებით, რომლებსაც აიძულებენ, მიმართონ მთავრობებს. მაგალითად, 2006 წლის იანვარში Al Jazeera-მ გადასცა ვიდეო, რომელშიც ასახული იყო ერაყში მძევლად აყვანილი Christian Science Monitor-ის (აშშ) დამოუკიდებელი ჟურნალისტი ჯილ კეროლი. თუმცა, ტელეარხმა მკაცრი წესები დაიცვა: ჩაახშო ხმა, ამოჭრა კადრი, რომელშიც ჟურნალისტს საფეთქელთან რევოლვერი ჰქონდა მიბჯენილი და ამოჭრა ის განცხადებები, რომლებშიც ჟურნალისტი აშშ-ის მთავრობას აკრიტიკებდა. Al Jazeera-ს კიდევ ერთი პრინციპია, დაუკავშირდეს მძევლის ქვეყნის საელჩოს და ვიდეო მხოლოდ მას შემდეგ გაავრცელოს, რაც მძევლის ოჯახი იქნება გაფრთხილებული.[9]

Agence France-Presse მძევლებს ტყვეობის დროს უბრალოდ არ აჩვენებს.[10]

5.3 ტერორისტებისგან ინტერვიუს აღება

ტერორისტებისგან ინტერვიუს აღება შოკს ჰგვრის საზოგადოებას, რომელიც ასეთი საქციელს, ხშირად, მიუღებელად მიიჩნევს; ინტერვიუ ხელისუფლების მტრულ რეაქციასაც იწვევს, რომელიც მზად არის დაგმოს მედია ხელშეწყობისთვის.

ბრიჯიტ ნაკოსმა ეს ვითარება ასე შეაჯამა: „არა აქვს მნიშვნელობა, ინტერვიუერი გმობს ამ ტერორისტს თუ გულშემატკივრობს. თავად იმ

9 http://www.nbcnews.com/id/10948626/ns/world_news-terrorism/t/al-qaida-tapes-oftencome-through-al-jazeera/

10 https://www.afp.com/sites/default/files/paragraphrich/201604/12_avril_2016_charte_deontologique.pdf

ფაქტს, რომ რესპექტაბელური მედია საშუალების წარმომადგენელი ინტერვიუს იღებს ტერორისტისგან, როგორც 'ადამიანისგან, ვისი მოსაზრებაც საჯარო დისკუსიაში ყურადღებას იმსახურებს', ეს ადამიანი, ფაქტობრივად, ლეგიტიმური პოლიტიკოსის დონემდე აჰყავს."[11]

International News Reporting-ის თანარედაქტორი ჯონ ოუენი წერდა: „ეს კამათი ძირითადად ეხებოდა საკითხს, უნდა მოიპოვონ თუ არა ჟურნალისტებმა იმ ადამიანების შეხედულებები, რომლებიც 'შენი ქვეყნის' დაუძინებელი მტრები არიან, მათ შორის იმ ადამიანების შეხედულებები, ვინც ტერორიზმში მონაწილეობს და იმ დაჯგუფების წარმომადგენელია, რომელსაც ტერორისტულ დაჯგუფებას უწოდებენ. ბრიტანეთში ბევრმა ჟურნალისტმა და მაყურებელმა დაგმო BBC და მისი კორესპონდენტი დეივიდ ლოინი იმის გამო, რომ მან თავის რეპორტაჟში, რომელიც სამხრეთ ავღანეთში თალიბანის ერთ-ერთი ბაზიდან მოამზადა, თალიბანის მოსაზრებებიც გადმოსცა. ლოინმა დიდი რისკი გასწია თალიბებთან მისაღწევად იმ დროს, როდესაც ბრიტანელ ჯარისკაცებზე თავდასხმები ძლიერდებოდა."

სხვების აზრით, ინტერვიუს აღება მედიის მიერ ინფორმირებისა და ანალიზის ვალდებულების შესრულებაში უმნიშვნელოვანესია. ინტერვიუ შეიძლება არსებითი იყოს ტერორისტული აქტების გააზრების, ტერორისტთა მოტივაციის გაანალიზებისა და შესაბამისად, პრევენციის პოლიტიკის შემუშავებისთვის. „ჟურნალისტის მოვალეობა ტერორისტებთან შეხვედრაა და არა ხელისუფლების წინააღმდეგ ამბოხება", აღნიშნა ს.ა. აიარმა Times of India-ში 2014 წლის ივლისში.[12] ტერორისტებისგან ინტერვიუების აღება ისეთი სპეციალისტის მიერ, როგორიც არის, მაგალითად, ფსიქოლოგიის პროფესორი და სამაგიდო წიგნის „ტერორისტებთან გასაუბრება" ავტორი ენ სპეკჰარდი[13] განსაკუთრებით ინფორმაციული და თვალისამხელია, მიუხედავად იმისა, რომ ზოგი მათში ბოროტების ტრივიალიზაციისა და ბარბაროსობის ჰუმანიზაციის მზარდ რისკს ხედავს.

11 Brigitte Nacos, Media and Terrorism, p. 66.

12 http://blogs.timesofindia.indiatimes.com/Swaminomics/meeting-terrorists-is-a-journalistsduty-not-sedition/

13 http://www.annespeckhard.com/talking-to-terrorists.html

თუმცა, მედიამ მთელი რიგი პირობები უნდა დააკმაყოფილოს. ტერორისტული და კონტრტერორისტული ოპერაციის დროს ინტერვიუების აღება განსაკუთრებით სარისკოა, მით უფრო, როდესაც ისინი პირდაპირ გადაიცემა. აქ რისკი ის არის, რომ ამ ინტერვიუებმა შეიძლება სარგებელი მოუტანოს ტერორისტების ტაქტიკას და გააძლიეროს გამტაცებელთა პოზიცია მოლაპარაკების ან უსაფრთხოების ძალებთან დაპირისპირების დროს. CBS News-ის ყოფილ დირექტორს დაუმონტაჟებელი ინტერვიუების პირდაპირი ტრანსლირება მიუღებლად მიაჩნია. მედია ორგანიზაციათა უმეტესობის ქცევის კოდექსები ასეთ ინიციატივებს კრძალავს.

უფრო ადვილია არაპირდაპირი ინტერვიუების დაგეგმვა, მაგრამ აქაც სერიოზული გამოწვევებია, რომელთაგან ერთ-ერთი უსაფრთხოებაა. Wall Street Journal-ის ჟურნალისტის დენიელ პერლის შემთხვევა შეგვახსენებს, თუ რამხელა საფრთხეს შეიცავს ეს. ის 2002 წელს პაკისტანში ალ-ქაიდას წევრებისგან ინტერვიუს აღებას ცდილობდა, როდესაც კარაჩიში გაიტაცეს და ბრუტალურად მოკლეს. ასეთი ინტერვიუები ჟურნალისტური კეთილსინდისიერების გამოცდაცაა: ამ დროს არსებობს რეალური რისკი, რომ მედია, თუ ის ვერ შეძლებს ინტერვიუზე კონტროლის შენარჩუნებასა და პროცესის სწორად წარმართვას, ტერორიზმის „დიდ თამაშში“ პაიკად იქცეს. თავად ინტერვიუს კონტექსტმა – ტერორისტთა თავშესაფარში ტერორისტთა უსაფრთხოების ძალების იმედად ყოფნამ, შეიძლება რეპორტიორს უფრო გაუბედავი, ნაკლებად „აგრესიული“ კითხვების დასმისკენ უბიძგოს იმის შიშით, რომ რესპონდენტების გაუთვალისწინებელი, ძალადობრივი რეაქცია არ გამოიწვიოს.

ისეთ პირებთან კონტაქტის დამყარება, ვისაც კრიმინალური დანაშაულები აქვს ჩადენილი, იურიდიულ კითხვასაც წარმოშობს: აქვთ კი უფლება ჟურნალისტებს, დაამყარონ კონტაქტი ტერორისტებთან უსაფრთხოების სამსახურების გაუფრთხილებლად, რომელთა მისიაც მათი დაჭერა და გასამართლებაა? უნდა გაეფრთხილებინათ მსახიობებს შონ პენსა და კეიტ დელ კასტილოს ხელისუფლება იმ მოლაპა-

რაკების შესახებ, რომელსაც აწარმოებდნენ ძებნაში მყოფი „ნარკოტერორისტის“, „ელ ჩაპო“ გუზმანისგან ჟურნალისთვის Rolling Stone ინტერვიუს ასაღებად? ჟურნალისტთა უმეტესობა, ალბათ, იტყოდა, რომ პოლიციის ინფორმატორობა მედიის საქმე არ არის, მაგრამ ეს პროცედურა უდავოდ სერიოზულ ეთიკურ კითხვებს აჩენს.

1986 წელს, როდესაც სატელევიზიო არხმა NBC-მ (აშშ) გადმოსცა ინტერვიუ აბულ აბასთან, რომელიც საკრუიზო ლაინერზე Achille Lauro ტერორისტული თავდასხმის ორგანიზატორად იყო მიჩნეული, აშშ-ის ოფიციალურმა პირებმა ხელშეწყობის ეს ფორმა დაგმეს და საყვედური გამოთქვეს, რომ ტელეარხმა ინტერვიუს ჩაწერის ადგილი არ გაამხილა.[14] ეს მოსაზრება სხვა მედიამაც გაიზიარა. Sarasota Herald-Tribune-ის (აშშ) სარედაქციო სტატიების ავტორმა იმედი გამოთქვა, რომ თუ NBC-ს ტერორისტებისგან ინტერვიუეს აღების შესაძლებლობა ისევ მიეცემოდა, ისინი ინტერვიუერს ბადეში გაბმულს გააგზავნიდნენ (ტერორისტების დასაჭერად).

14 http://articles.chicagotribune.com/1986-05-07/news/8602020000_1_abul-abbas-achille-lauro-terrorists

ავიღოთ თუ არ ავიღოთ ინტერვიუ?

საბოლოო ჯამში, არჩევანი თითოეული მედია საშუალების სარედაქციო პოლიტიკასა და ჟურნალისტური დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის იდეაზეა დამოკიდებული, მაგრამ არსებობს რამდენიმე საბაზისო წესი, რომელზეც მედიის უდიდესი ნაწილი შეთანხმებულია:

1. **მუდმივად შეინარჩუნე კონტროლი ჟურნალისტურ მისიაზე** და უარი თქვი ნებისმიერ შეზღუდვაზე, რომლის დაწესებაც ტერორისტულ დაჯგუფებას სურს.
2. **უპირატესობა მიანიჭე დოკუმენტური ან „საავტორო სტატიის“ ფორმატს ტრადიციული კითხვა-პასუხის ინტერვიუსთან შედარებით**, რომელიც ნაკლებ სივრცეს ტოვებს კონტექსტის გაცნობის, სირთულის ახსნის ან რესპონდენტების განცხადებების შესწორებებისთვის.
3. **მკაფიოდ და გამჭვირვალედ აუხსენით საზოგადოებას ის მიზეზები**, რის გამოც მოითხოვე ინტერვიუ და ის პირობები, რომლებშიც ინტერვიუ ჩატარდა.
4. **შეასწორე ყალბი ან არასწორი განცხადებები, რომლებიც შესაძლოა გააკეთონ** რესპონდენტებმა და შესაძლებლობა მიეცი სხვა მოთამაშეებს (ხელისუფლება, დაზარალებულები, სხვა), გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები.

თუმცა, ჟურნალისტური ეთიკის კოლუმბიელი პროფესორი ხავიერ დარიო რესტრეპო მხარს უჭერს ჟურნალისტების უფლებას, ჩაატარონ ასეთი ინტერვიუები იმ ხალხთან, რომლებსაც ხელისუფლება დამნაშავეებად მიიჩნევს. მან თქვა: „ჟურნალისტის ერთ-ერთი მოვალეობა არის რეალობის შეძლებისდაგვარად სრულად ასახვა. ძებნილის მოსაზრება იმ რეალობის ნაწილია, რომლის ცოდნის უფლება მოქალაქეებს აქვთ, რათა გაიაზრონ ეს ფენომენი და შეაფასონ უსაფრთხოების პოლიტიკა და მექანიზმები. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტმა იცის, სად შედგა ინტერვიუ, მან არ უნდა გაუმჟღავნოს ეს ინფორმაცია ხელისუფლებას, რადგან შედეგად, სხვა წყაროების ნდობას დაკარგავს, რაც იმოქმედებს მოქალაქეთა უფლებაზე, მიიღონ ხარისხიანი ინფორმაცია.“ რა თქმა უნდა, აღნიშნა მან, „სრულიად სხვა საკითხია, როდესაც ჟურნალისტის არაკომპეტენტურობის ან უპასუხისმგებლობის გამო, ინტერვიუ ტერორიზმის განდიდებად იქცევა“, მაგრამ „თუ ხელისუფლების მოვალეობა დამნაშავეთა მოძებნა და დაპატიმრებაა, ჟურნალისტის მოვალეობა მოქალაქეების ინფორმირების უზრუნველყოფაა და ეს ორი მოვალეობა ერთმანეთს ხელს არ უნდა უშლიდეს“.[15]

5.4 მიმდინარე გამოძიების გაშუქება

მედია არ უნდა იქნეს დადანაშაულებული ისეთი ინფორმაციის გამოქვეყნებისთვის, რომლითაც შესაძლოა სამართალდამცავთა გამოძიებას შეექმნას საფრთხე. მაგალითად, უნდა გადმოსცეს თუ არა მედიამ ის ფაქტი, რომ პოლიციამ ტერორისტების მიერ გამოყენებულ ავტომობილთან დაკავშირებით ახალ კვალს მიაგნო, როდესაც არ იცის, რომ ასეთი დეტალის გამჟღავნება გაფრთხილება იქნება ტერორისტებისთვის ან საფრთხეს შეუქმნის ძიებას?

ნიუ-იორკის ერთ-ერთმა გაზეთმა ასეთი შეცდომა 1993 წელს მსოფლიო სავაჭრო ცენტრში თავდასხმის შემდეგ დაუშვა, რის გამოც პოლიცია იძულებული გახდა, ნაადრევად დაეკავებინა ეჭვმიტანილი, რომელსაც ის სხვა დამნაშავეებზე გასასვლელად უთვალთვალებდა. 2016 წლის 18 მარტს, ბელგიის პოლიციამ ფრანგული ყოველკვირეე-

15 http://www.fnpi.org/consultorio-etico/consultorio/?tx_wecdiscussion[single]=31581

ული გაზეთი „უპასუხისმგებლო“ ქმედებაში მას შემდეგ დაადანაშაულა, რაც მან გაავრცელა ინფორმაცია, რომ 13 ნოემბრის თავდასხმებში მონაწილე ერთ-ერთი ძებნილი ტერორისტის დნმ-ი ბრიუსელის ერთ-ერთ ბინაში იქნა ნაპოვნი.[16]

მედია უნდა დაუკავშირდეს უსაფრთხოების სამსახურს, რათა დარწმუნდეს, რომ ასეთი ინფორმაციის გადაცემა დამნაშავეთა ძებნაზე უარყოფითად არ იმოქმედებს. და თუ სერიოზული განხილვის შემდეგ მედია ორგანიზაციამ მაინც გადაწყვიტა, არ შეასრულოს პოლიციის რეკომენდაცია სიფრთხილის გამოჩენის თაობაზე? BBC-ის ყოფილი მთავარი რედაქტორი ჯონ უილსონი წერდა, რომ „ჟურნალისტები ადვილად არ თანხმდებიან სიჩუმის პერიოდის დაცვაზე. მათ არ მოსწონთ ხელისუფლებასთან შეხმატკბილება [...] [...]. რედაქტორთა უმრავლესობას სიჩუმის პერიოდის დაცვა გამართლებულად მიაჩნია, თუ ეს იშვიათად ხდება და არ არის ხელისუფლების მიერ გარედან თავს მოხვეული და იმ შემთხვევაში, თუ მედია ნამდვილად დარწმუნდება მის აუცილებლობაში და თუ იმ მოვლენის დასრულების შემდეგ, რის გამოც ის დაწესდა, მედია საზოგადოების ნდობის შენარჩუნების ჟესტს შეასრულებს – საჯაროდ აღიარებს, რომ სიჩუმის პერიოდი დაიცვა“.[17]

5.5 ტერორიზმის საქმეზე სასამართლო პროცესის გაშუქება

საერთო გლოვასა და სამართლიანობის დამყარების პროცესში სასამართლო პროცესები საკვანძო ეტაპია, როგორც ტერორზე დემოკრატიული რეაგირების ერთ-ერთი არსებითი ელემენტი. ისინი ასევე ხელს უწყობს ტერორისტული აქტების და ზოგადად, ტერორიზმის შესახებ ინფორმირებასა და განათლებას.

თუმცა, ასეთი სასამართლო პროცესების გაშუქება მედიის როლის შესახებ ბევრ კითხვას აჩენს. ხომ არ იქცევა მედია ტერორისტების

16 http://tempsreel.nouvelobs.com/attentats-terroristes-a-paris/20160318.OBS6708/attentats-de-paris-l-empreinte-de-salah-abdeslam-retrouvee-dans-l-appartement-perquisitionne.html; http://www.lesoir.be/1157328/article/actualite/france/2016-03-21/l-obs-se-defend-davoir-failli-faire-echouer-l-arrestation-d-abdeslam

17 Understanding Journalism: A Guide to Issues, p. 143.

მეგაფონად, უმწვავებს განცდებს გადარჩენილებს, მოუშუშებელ ჭრილობას განუახლებს დაღუპულთა მეგობრებსა და ოჯახის წევრებს ანდა მტრობას და შურისძიებას აღვივებს მართლმსაჯულების სისტემის მიმართ, რომელიც მკვლელებს „საკმაოდ ბევრ უფლებას“ აძლევს?

ეს დილემა განსაკუთრებით მწვავეა იმ ქვეყნებში, სადაც სასამართლო სხდომების პირდაპირი ტრანსლირება ნებადართულია, რაც შესაძლებლობას აძლევს ბრალდებულებს, ღიად მიმართონ საზოგადოებას, გაამართლონ თავიანთი ქმედებები და გააგრძელონ პროპაგანდის გავრცელება თავიანთი მიზნის სასარგებლოდ. ასე მოხდა ანდერს ბერინგ ბრეივიკის სასამართლო პროცესზე, რომელზეც 2011 წელს ოსლოში და კუნძულ უტოიაზე ტერორისტული აქტების შედეგად დაღუპული 77 ადამიანის საქმე განიხილებოდა.[18] ხელისუფლებამ პროცესიდან გამოსახულების გავრცელება შეზღუდა, მაგრამ ინფორმაციის ტვიტერით გავრცელება დაუშვა. როგორ უნდა მიეცათ ჟურნალისტებს ბრალდებულისთვის სიტყვა, როცა მხოლოდ 140 სიმბოლოთი იყვნენ შებოჭილები, იმ რისკის გათვალისწინებით, რაც ამ განცხადებების გადაუმოწმებლად ან კონტექსტის გარეშე გამოქვეყნებას უკავშირდება? ზოგმა ჟურნალისტმა საკუთარ თავს შეზღუდვა დაუწესა და თავის მიმდევრებს ამ რისკის შესახებ მუდმივად აფრთხილებდა; თუმცა, მაგრამ ყველა აცნობიერებდა, რომ სიტუაცია სახიფათო იყო და ნებისმიერ მომენტში შეიძლებოდა, შეცდომა დაეშვა.

გარდა ამისა, სასამართლო პროცესები მხოლოდ სასამართლო დარბაზებში არ მიმდინარეობს; ისინი გარეთაც ეწყობა, საჯარო მოედნებზე, სადაც მომხრეთა ან დაზარალებულთა ჯგუფები საკუთარი მოსაზრებების გამოსახატავად იკრიბებიან; სოციალურ ქსელებში, სადაც გზავნილების უწყვეტი ნაკადი ვრცელდება და რომლის სათანადო მონიტორინგი და შემოწმება უნდა მოხდეს. ამ დროს მთავარია, არ მოხდეს სასამართლო პროცესების სპექტაკლად ქცევა და ტერორისტებს საკუთარი ქმედებების „მედიატიზაციის“ (მედიის ზეგავლენა პოლიტი-

18 https://www.journalism.co.uk/news-features/reporting-the-anders-breivik-trial/s5/a548869

კურ პროცესებსა და დისკურსზე, ასევე საზოგადოებაზე) კიდევ ერთი შესაძლებლობა არ მიეცეთ. მედია ასევე უნდა აცნობიერებდეს, რომ ხელისუფლებას შეუძლია შებღალოს მართლმსაჯულების პროცესის კეთილსინდისიერება საკუთარი სპექტაკლის მოწყობით, რათა ქულები ჩაიწეროს, განსაკუთრებით, საზოგადოებრივი აზრის კუთხით.

მედიის, როგორც მართლმსაჯულების პროცესში ავტონომიური მოთამაშის, მთავარი მოვალეობა უფრო მოსამართლის მოვალეობასთან დგას ახლო: დაადგინოს და დააზუსტოს ფაქტები, შეამოწმოს, კანონიერია თუ არა პროცედურა და დაცულია თუ არა ძირითადი უფლებები, გამოავლინოს ტერორისტების, ადვოკატების ან სახელმწიფოს მანიპულაციები და ასე შემდეგ.

მედია შეიძლება ამ მიზანსცენის ერთ-ერთ მსახიობად იქცეს გაშუქების საკუთარი მეთოდებით, ფორმატითა და ტონით, ასევე, სარედაქციო და პოლიტიკური არჩევანის გაკეთებით, მაგალითად, დამსჯელი მართლმსაჯულებისთვის უპირატესობის მინიჭების ან პირიქით, მშვიდობიანი და თანასწორი მართლმსაჯულების მნიშვნელობის ხაზგასმის გზით. თუმცა, მედიის, როგორც მართლმსაჯულების პროცესში ავტონომიური მოთამაშის, მთავარი მოვალეობა უფრო მოსამართლის მოვალეობასთან დგას ახლო: დაადგინოს და დააზუსტოს ფაქტები, შეამოწმოს, კანონიერია თუ არა პროცედურა და დაცულია თუ არა ძირითადი უფლებები, გამოავლინოს ტერორისტების, ადვოკატების ან სახელმწიფოს მანიპულაციები და ასე შემდეგ. პრესა, როგორც სახელმწიფო ინსტიტუტების მეთვალყურე, კანონის უზენაესობის გარანტორი და მორალური ორიენტირია იმ საზოგადოებისთვის, რომელსაც, ზოგჯერ, გამარტივებული სამართალწარმოება ხიბლავს, სასამართლო პროცესს იმ ფუნდამენტური ღირებულებების დაცვის პერსპექტივიდან აშუქებს, რომლებსაც ტერორისტები ებრძვიან და

არღვევენ; იმ პერსპექტივიდან, „რომელშიც ვერდიქტი საზოგადოებას დემოკრატიულ საზოგადოებაში კანონის უზენაესობის მნიშვნელობას ასწავლის, კოლექტიურ მეხსიერებას ქმნის და სახელმწიფოსა და ხალხის მომავალი ქცევის სტანდარტებს აწესებს“, როგორც ეს ჰოლანდიელმა იურისტმა ბეატრის დე გრააფმა თქვა.[19]

ეს სასამართლო პროცესები ასევე მნიშვნელოვანი მომენტია დაზარალებულთათვის. დე გრააფმა დაწერა: „ტერორიზმის სასამართლო პროცესი ის ტრიბუნაა, საიდანაც დაზარალებულებს შეუძლიათ თავიანთი ხმა ყველას გააგონონ და სადაც მათი ბედი ტერორისტული დანაშაულის შედეგად ცენტრალურ ადგილს იკავებს“. მან დასძინა: „ასეთი სასამართლო პროცესები ტერორისტების ნარატივების გამოსავლენად და დასაგმობად ძლიერ პლატფორმას უზრუნველყოფს, იმ შიშთან, ტკივილსა და განადგურებასთან დაპირისპირებით, რაც ტერორისტებმა დაზარალებულებს მიაყენეს“.

და ბოლოს, მედიამ მართლმსაჯულებას ხელი არ უნდა შეუშალოს და ადვოკატებს არ მისცეს საბაბი განაცხადონ, რომ მათი დაცვის ქვეშ მყოფ ბრალდებულებს მედიამ სასამართლო უკვე მოუწყო და შესაბამისად, მათი სამართლიანი სასამართლოს უფლება შელახა. თუმცა, ამ ბრალდების დადასტურება სასამართლოში რთულია. თავის 2015 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებაში საქმეზე „აბდულა ალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ „უარყოფითი მედია გაშუქება არ მოქმედებს სასამართლო პროცესის შედეგზე, რომელიც ტერორისტული აქტის დაგეგმვაში ეჭვმიტანილის წინააღმდეგ მიმდინარეობს“.

თუმცა გაეროს ტერორიზმთან ბრძოლის განხორციელების სამუშაო ჯგუფის (CTITF) მიერ მომზადებულ ანგარიშში აღნიშნულია: „მართალია, გამოხატვის თავისუფლება მუდამ მხარდაჭერილი უნდა იყოს, მაგრამ მედია გაშუქება არ უნდა იყოს ისეთი წამქეზებლური, რომ ბრალდებულის უდანაშაულობის პრეზუმფციაზე ნეგატიურად იმოქმედოს“.[20]

19 http://www.icct.nl/download/file/ICCT-de-Graaf-EM-Paper-Terrorism-Trials-as-Theatre.pdf

20 http://www.ohchr.org/EN/newyork/Documents/FairTrial.pdf

6

მთავარი საკითხები

- → უზრუნველყავით ჟურნალისტებისა და რედაქტორების უსაფრთხოება
- → დაიცავით წყაროები თვალთვალისა და კომპიუტერში უკანონო შეღწევისგან
- → მოემზადეთ ჟურნალისტთა გატაცების საფრთხისთვის
- → განსაზღვრეთ პოლიტიკა, რომელსაც გატაცების შემთხვევაში გამოიყენებთ (საჯაროობა, მოლაპარაკებები, გამოსასყიდი)
- → დახმარება აღმოუჩინეთ ჟურნალისტებს, რომლებსაც პოსტტრავმატული სტრესული აშლილობა აწუხებთ

© STRINGER / ANADOLU AGENCY

თავი 6
ჟურნალისტების უსაფრთხოება

6.1 მზარდი რისკები

გატაცება, სიკვდილით დასჯა, დაშინება თუ კომპიუტერში უკანონო შეღწევა: ტერორიზმი ჟურნალისტებისთვის პირდაპირ და მზარდ საფრთხეს წარმოადგენს. ეს ევოლუცია ძალადობისა და კონფლიქტის ისტორიაში გარდატეხის მაჩვენებელია.[1]

ის ჯგუფები, რომლებიც კლასიკური გაგებით პარტიზანები არიან, მაგრამ ხელისუფლება, ხშირად, ტერორისტებად მოიხსენიებს, ჩვეულებრივ, მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე ჟურნალისტების შესვლას მიესალმებიან, რათა თავიანთი ორგანიზაციების შესაძლებლობის თუ სახალხო მხარდაჭერის ჩვენებით ავტორიტეტი გაიძლიერონ. ასე იყო „ცივი ომის“ დროს, როდესაც შეიარაღებული მეამბოხე ორგანიზაციები არსებობდნენ, მაგალითად, ლათინურ ამერიკაში „ნიკარაგუას სანდინისტების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტი“ და აფრიკაში „ერიტრეის განთავისუფლების სახალხო ფრონტი“.

1 http://edition.cnn.com/2011/OPINION/09/08/simon.press.freedom.911/

თუმცა 1970-იანი წლების მიწურულს, ეს პარადიგმა თანდათან შეიცვალა. ისეთი ორგანიზაციები, როგორებიცაა „წითელი ქმერები“ კამბოჯაში, „წითელი ბრიგადები“ იტალიაში, „ნათელი გზა“ პერუში და „შეიარაღებული ისლამური დაჯგუფება“ ალჟირში, თავს ესხმოდნენ ჟურნალისტებს, რადგან იმ ხელისუფლებების დამხმარეებად მიაჩნდათ, რომლებსაც ებრძოდნენ, და შესაბამისად, მათ მტრებად აღიქვამდნენ.

ალჟირში 1993-1997 წლებში ალჟირში 100-ზე მეტი ჟურნალისტი და მედიის წარმომადგენელი მოკლეს. ლიბანის სამოქალაქო ომის დროს (1975-1990) უცხოელი ჟურნალისტების გატაცება ჩვეული მოვლენა იყო. ზოგი მათგანი, მაგალითად, ამერიკელი ტერი ანდერსონი ან ფრანგი ჟან-პოლ კაუფმანი, მძევლად რამდენიმე წელი იყო. ჟურნალისტებს ევროპაშიც კლავდნენ. მაგალითად, 2000 წელს ესპანეთში ETA-მ El Mundo-ს ჟურნალისტი ხოსე ლუის ლოპეს დე ლაკალი მოკლა.[2]

დღეს ჟურნალისტების მიმართ ტერორისტთა მტრული დამოკიდებულება ნორმად იქცა. ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტის თანახმად, 2015 წელს დაღუპულ ჟურნალისტთა 40% იმ დაჯგუფებებმა მოკლეს, რომლებიც თავს რადიკალური ისლამის მიმდევრებად აცხადებენ. ისინი საერთაშორისო პრესის კორესპონდენტებს პოტენციურ მძევლებად ან მსხვერპლად შესაწირ ბატკნებად განიხილავენ, რომელთა სიკვდილით დასჯის დრამატიზებას ტერორისტული პროპაგანდის მიზნებისთვის ახდენენ. ასე მოხდა ჯეიმს ფოლის, სტივენ სოტლოფის (აშშ) და კენჯი გოტოს (იაპონია) შემთხვევებში, რომლებსაც დაეშმა თავები მოკვეთა.

დაუნდობლად ნადირობენ ადგილობრივ ჟურნალისტებზეც, როგორიც არის, მაგალითად, სირიელი ჟურნალისტების ჯგუფი „რაკა ჩუმად კვდება“ (RBSS), რომლის წევრები თვითგამოცხადებული ხალიფატის შუაგულში მუშაობენ, და მათ თურქეთშიც კი აგნებენ, სადაც თავშე-

2 http://www.eltiempo.com/archivo/documento/MAM-1265933

საფარი აქვთ. მივლენილ რეპორტიორებს ზოგჯერ ხელისუფლებაც აშინებს, რადგან არ სურს, რომ რეპორტიორები შეიარაღებულ დაჯგუფებებს დაუკავშირდნენ და მათი პროპაგანდა გაავრცელონ ანდა იმიტომ, რომ ხელისუფლების ანტიტერორისტული ქმედებები საერთაშორისო სამართლის სტანდარტებს არღვევს.

უნდა გარისკონ კი ამ პირობებში ჟურნალისტებმა ასეთ წითელ ზონებში, ან BBC-ის საერთაშორისო ამბების ყოფილი დირექტორის რიჩარდ სემბრუკის თქმით, „არაცივილიზებულ ადგილებში“ შესვლა? ეს კითხვა თითქმის აღარ დაისმის. საერთაშორისო მედია ორგანიზაციების უმეტესობამ გადაწყვიტა, აღარ გააგზავნოს ჟურნალისტები უკიდურესად საშიშ ზონებში, რომლებსაც ისლამური სახელმწიფოს დაჯგუფებები, ნარკოკარტელები თუ უგანდაში „წინააღმდეგობის საღვთო არმია“ აკონტროლებენ. თუ ასეა, მაშინ უნდა მიიღონ თუ არა მედია ორგანიზაციებმა იმ დამოუკიდებელი ჟურნალისტების სტატიები და ვიდეოები, რომლებიც ასეთ ადგილებში მაინც მიდიან? ზოგიერთი მედია ამაზე უარს აცხადებს, რადგან მიაჩნია, რომ ხელი არ უნდა შეუწყოს იმ ჟურნალისტების გაუმართლებელ რისკზე წასვლას, რომლებსაც სურთ ჩამოტანილი ფოტოთი ან სტატიით სახელი დაიმკვიდრონ ან იმედი აქვთ, რომ ადგილს სარედაქციო გუნდში დაიმკვიდრებენ.

ზოგ ჟურნალისტს არჩევანი არა აქვს, რადგან იმ რეგიონებში მუშაობს, სადაც ტერორისტები მოქმედებენ: საჰელის ზონაში, პაკისტანის ტრაიბალურ ზონებში ან მექსიკის ტამაულიპასის და ვერაკრუსის შტატებში. ისინი ცდილობენ, უსაფრთხოების აუცილებელი წესები დაიცვან, მაგრამ მაინც უკიდურესად დაუცველები არიან. 2015 წლის ნოემბერში, პაკისტანის მედია ორგანიზაციების დირექტორებმა ჟურნალისტთა უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად სახელმძღვანელო პრინციპები შეიმუშავეს.[3]

3 http://ijnet.org/en/blog/pakistani-media-leaders-compile-list-safety-recommendationsjournalists

ორგანიზაციათა უმეტესობას, რომლებიც ჟურნალისტთა დაცვის საკითხებზე მუშაობენ, გამოქვეყნებული აქვს სახელმძღვანელოები რეპორტიორების უსაფრთხოების შესახებ. ზოგი მედია ორგანიზაცია უსაფრთხოების პირობების მკაცრ შეფასებასაც ატარებს და სახიფათო მისიების წინ ჟურნალისტებს ტრენინგებზე აგზავნის. ამ ტრენინგებს, ჩვეულებრივ, სპეციალური ძალების ყოფილი წევრები ატარებენ. თუმცა, „ნულოვანი რისკის“ სცენარი არ არსებობს.

სიფრთხილის ასეთი ზომები სარედაქციო გუნდების დაცვასაც ეხება. ზოგიერთი მედია ორგანიზაცია ტერორისტული აქტების უშუალო სამიზნე ყოფილა. 1989 წლის 2 სექტემბერს, კოლუმბიური გაზეთის El Espectador-ს შენობა მანქანაში დამონტაჟებული ბომბის სამიზნე გახდა. სარედაქციო გუნდებს შენობაში დამონტაჟებული ბომბების შესახებ აფრთხილებენ კიდეც, რის გამოც ისინი იძულებული არიან, გარეთ გამოვიდნენ. „მედია ორგანიზაციებს ყოველთვის უნდა ჰქონდეთ საგანგებო ვითარებაში მოქმედების დამხმარე გეგმა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მოვლენების უწყვეტი გაშუქება“,[4] აღნიშნა რიჩარდ პემბრუკმა.

4 http://magazine.journalismfestival.com/journalism-dos-and-donts-in-terror-situations/

იუნესკოს საქმიანობა ჟურნალისტთა უსაფრთხოების მხარდასაჭერად

ჟურნალისტთა უსაფრთხოების ხელშეწყობა და ჟურნალისტებზე თავდამსხმელთა დაუსჯელობასთან ბრძოლა, იუნესკოს საქმიანობის ცენტრალური ელემენტია, რათა მხარი დაუჭიროს პრესის თავისუფლებას ყველა მედია პლატფორმაზე.

2008 წლის შემდეგ, „კომუნიკაციის განვითარების საერთაშორისო პროგრამის“ ფარგლებში, გენერალური დირექტორი ჟურნალისტთა უსაფრთხოებისა და დაუსჯელობის საფრთხის შესახებ ანგარიშს წელიწადში ორჯერ წარადგენს. ასევე, იუნესკოს ინიციატივით შეიქმნა, „გაეროს სამოქმედო გეგმა ჟურნალისტთა უსაფრთხოებისა და დაუსჯელობის საკითხზე“, რომელიც გაეროს აღმასრულებელმა საბჭომ 2013 წლის 12 აპრილს დაამტკიცა. ეს გეგმა აყალიბებს გაეროს და მისი პარტნიორების (ეროვნული მთავრობები, ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, პრესის ინსტიტუტები და აკადემიური სფერო) სამოქმედო ჩარჩოს.

2013 წლის აპრილში, იუნესკოს აღმასრულებელი საბჭოს 191-ე სესიაზე „ ჟურნალისტთა უსაფრთხოებისა და დაუსჯელობის საკითხზე იუნესკოს სამოქმედო გეგმა“ დამტკიცდა; ეს გეგმა ავსებს იმ სამუშაოს, რომელიც უკვე მიმდინარეობს გაეროს სამოქმედო გეგმის შესაბამისად, და საგანგებო ყურადღებას აქცევს სამხრეთი-სამხრეთის თანამშრომლობას. სამუშაო გეგმა ასევე ემხრობა უფრო მჭიდრო თანამშრომლობას ადამიანის უფლებათა სპეციალური პროცედურების განყოფილებასთან, მათ შორის გაეროს სპეციალურ მომხსენებელთან გამოხატვის თავისუფლების დაცვის საკითხებზე და გაეროს სპეციალურ მომხსენებელთან სასამართლოს გარეშე სიკვდილით დასჯის საკითხებზე, ასევე რეგიონულ მომხსენებლებთან, როგორებიცაა სპეციალური მომხსენებელი გამოხატვის თავისუფლების და ინფორმაციის წვდომის საკითხებზე აფრიკაში, სპეციალური მომხსენებელი გამოხატვის თავისუფლების საკითხებზე ამერიკული ქვეყნების ორგანიზაციაში და ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) წარმომადგენელი მედიის თავისუფლების საკითხებში.

იუნესკოს ყოველწლიური „მსოფლიო პრესის თავისუფლების პრიზი“ იუნესკოს ვალდებულებას სიმბოლური გამოხატულებაა და პატივს მიაგებს კოლუმბიური გაზეთის El Espectador-ის დირექტორის გილერმო კანოს ხსოვნას, რომელიც ნარკოტერორისტებმა ბოგოტაში 1986 წელს მოკლეს.

დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებ-გვერდს:
http://en.unesco.org/themes/safety-journalists

6.2 წყაროების დაცვა და თვალთვალი

წყაროების კონფიდენციალობა ჟურნალისტური პრაქტიკის ერთ-ერთი საფუძველია. ტერორიზმის გაშუქებაში ეს აუცილებლად შესასრულებელი მოთხოვნაა.

ეს საკითხი თვითმხილველის და რესპონდენტის მხოლოდ შურისძიებისგან დაცვას არ ეხება, არამედ ასევე მათ დაცვას აგენტების, პოლიციელების, კერძო ფირმების, დეტექტივების, კრიმინალებისა თუ სხვათა შემაწუხებელი თვალთვალისგან, რომლებიც ჟურნალისტებს დასდევენ, მათ ტელეფონებს უსმენენ ან ინტერნეტის გამოყენებით უთვალთვალებენ.

ეს დაცვა ნაწილობრივ დამოკიდებულია კანონებზე, რომლებსაც ცალკეული ქვეყნები იღებენ. გამოხატვის თავისუფლების საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის რეკომენდაციები და ანგარიშე-

ბი, ევროპის საბჭოს რეზოლუციები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული სასამართლოს გადაწყვეტილებები ძალიან ღირებულ სახელმძღვანელო პრინციპებს გვთავაზობენ, რომლებშიც განსაზღვრულია კონფიდენციალობის უფლება.

თუმცა, იმ კამათმა, რომელიც 2013 წელს აშშ-ის მამხილებლის ედუარდ სნოუდენის მიერ მასობრივი თვალთვალის გამოაშკარავებას მოჰყვა, სიფრთხილის ხარისხი ყველგან გააძლიერა, ისეთ ქვეყნებშიც კი, სადაც პირადი ცხოვრება კანონით არის დაცული. მედია ახლა მეტი ყურადღებით ეკიდება საკუთარი კომუნიკაციის დაცულობის საკითხს.

ძალიან მნიშვნელოვანია შესაბამისი ტექნოლოგიების დანერგვა, ჟურნალისტების ციფრულ უსაფრთხოებასა და კომუნიკაციის კოდირებაში მომზადება, ასევე წყაროებთან დაკავშირების დროს და მათი განცხადებების საჯაროდ გამოყენებისას მკაცრი პროცედურების დაცვა.

ძალიან მნიშვნელოვანია შესაბამისი ტექნოლოგიების დანერგვა, ჟურნალისტების ციფრულ უსაფრთხოებასა და კომუნიკაციის კოდირებაში მომზადება, ასევე წყაროებთან დაკავშირების დროს და მათი განცხადებების საჯაროდ გამოყენებისას მკაცრი პროცედურების დაცვა. თუმცა, ამ სფეროში კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ გამოყენების თუ სისწრაფის მიზეზებით, შექმნილი უსაფრთხოების ზომები შესაძლოა ძალიან მალე მოძველდეს და წყაროების დაცვის სისტემებში ხვრელები გააჩინოს, რასაც მზაკვრული განზრახვის მქონე აგენტები ბოროტად გამოიყენებენ.

წყაროების კონფიდენციალობის დაცვა ჟურნალისტებისგან განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენას მოითხოვს, რათა არ მოხდეს მათი კონტაქტების ამოცნობა. ადამიანის სახის გაბუნდოვანება თუ

ხმის შეცვლა, ხშირად, ნაწილობრივი დაცვის მეთოდებია, რადგან კონკრეტული ადამიანის ამოცნობა მისი ტანსაცმლის, ბინის, ჟესტების, საუბრის ტემპის ან აქცენტის მიხედვით რთული არ არის მისი მეზობლების, თანამშრომლებისა ანდა უსაფრთხოების აგენტებისთვის. განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, რადგან დაუფიქრებლობის შედეგები შეიძლება დამანგრეველი აღმოჩნდეს. ჟურნალისტები წითელ ზონებში ისევ პერსონალური კომპიუტერებით ან მობილური ტელეფონებით დადიან, რომლებშიც შენახული აქვთ ისეთი კონფიდენციალური მასალები ან ინფორმაცია, რაც მათ ან მათ წყაროებს საფრთხეს უქმნის.

6.3 ჟურნალისტის გატაცების შემთხვევაში

გატაცება ერთ-ერთი უდიდესი საფრთხეა იმ ჟურნალისტებისთვის, ვინც ტერორიზმს აშუქებს, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ „გატაცებისა და გამოსყიდვის ინდუსტრია“, როგორც მას პროფესიონალები უწოდებენ, დანაშაულის ტრადიციულ ფორმებს სულ უფრო მეტად ერწყმის: ჯგუფები მძევლებს ჰყიდიან; კორუმპირებული შუამავლები მოლაპარაკებებში ჩართვას ცდილობენ; თამაშის წესები მოვლენების განვითარების შესაბამისად იცვლება.

მძევლად აყვანის არაპროგნოზირებადი და თვითნებური ხასიათის მიუხედავად, სასარგებლოა რამდენიმე საბაზისო წესის ცოდნა. როგორ უნდა მიუდგეთ გამტაცებლებს და როგორ უნდა მიხვდეთ, რა გააღიზიანებს მათ ყველაზე მეტად? ყოფილი მძევლების მონათხრობები, წიგნები, მაგალითად, ნობელის პრემიის ლაურეატის გაბრიელ გარსია მარკესის „გატაცების ისტორია“, ასევე „უსაფრთხოების გზამკვლევი ჟურნალისტებისთვის“, რომელიც იუნესკომ და „რეპორტიორებმა საზღვრებს გარეშე“ შეადგინეს, ღირებული რესურსებია, თუმცა არასრულყოფილი.[5]

მედია ორგანიზაციებმაც უნდა შეიმუშაონ პროცედურები მათი სარედაქციო გუნდის წევრის გატაცების შემთხვევისთვის. კერძოდ, მათ

5 https://rsf.org/sites/default/files/guide_journaliste_rsf_2015_en_0.pdf

უნდა განსაზღვრონ, გაახმაურებენ ამ შემთხვევას, თუ არა. ამ საკითხზე ექსპერტებს და ყოფილ მძევლებს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ; არჩევანის გაკეთებას კი ართულებს ის, რომ მედიას არც მონოპოლია აქვს გადაწყვეტილების მიღებაზე და არც სიტუაციის გაკონტროლება შეუძლია. ბევრი არაპროგნოზირებადი მოთამაშის და ტერორისტული ჯგუფების მიერ ცრუ ინფორმაციის გავრცელების საფრთხის გათვალისწინებით, მედიამ ასევე უნდა გაითვალისწინოს ხელისუფლების პოლიტიკა. აშშ-სა და გაერთიანებულ სამეფოს უკომპრომისო პოზიცია უკავიათ და უარს ამბობენ, გადაიხადონ გამოსასყიდი მძევლების გათავისუფლების სანაცვლოდ; ევროპის ქვეყნები მოლაპარაკებას ანიჭებენ უპირატესობას, რასაც, ხშირად, რეგიონული ხელისუფლებების მეშვეობით მართავენ, რათა გარიგებები ფარული დარჩეს. მოლაპარაკებები იშვიათი სირთულით გამოირჩევა, ვინაიდან ის მოიცავს მოთამაშეთა მთელ სპექტრს – ტერორისტულ ჯგუფებს, უსაფრთხოების სამსახურებს, მედიას, მძევლების მეგობრებსა და ოჯახის წევრებს, ყველა ჯურის ვაჭრუკანას, და ასევე გეოპოლიტიკურ ინტერესებს, რომ აღარაფერი ვთქვათ, ადგილობრივი პოლიტიკის მრავალფეროვან ინტერესებზე. შესაბამისად, მოლაპარაკებებს სულ უფრო ხშირად მართავენ და წარმართავენ უსაფრთხოების სპეციალიზებული კომპანიები, რომლებიც, ჩვეულებრივ, მოლაპარაკებების გასაიდუმლოების მომხრე არიან. მათ მიაჩნიათ, რომ ამბის გაუხმაურებლობა შესაძლებლობას იძლევა, გამოსასყიდის ოდენობა შედარებით მცირე იყოს და გამტაცებლებთან ურთიერთობა არ გართულდეს. თუმცა, საპირისპიროს ფიქრობენ ყოფილი მძევლები და მიაჩნიათ, რომ გათავისუფლებას ისინი აქტიურ საინფორმაციო კამპანიებს უნდა უმადლოდნენ.

დილემა ჩნდება ჟურნალისტური ეთიკის კუთხით: ვალდებულნი არიან თუ არა სხვა მედია ორგანიზაციების სარედაქციო გუნდები, არ დაარღვიონ სიჩუმე იმ მედიასთან მიმართებით, რომლის ჟურნალისტიც გაიტაცეს? უნდა შეასრულონ თუ არა ხელისუფლების მითითებები ან გაითვალისწინონ მძევალთა ოჯახების სურვილები ინფორმირების ჟურნალისტური მოვალეობის უგულებელყოფის ფასად? რამდენიმე ასეთი შემთხვევის დროს, კერძოდ, როდესაც ავღანეთში New York Times-ის დეივიდ როუდი გაიტაცეს, რომელიც 2008 წლის ნოემბრიდან 2009 წლის ივნისამდე იყო მძევალი, კოლეგის გატაცების საიდუმლოდ

შენახვა მთელმა პროფესიამ შეძლო. ეს უდავოდ ის გზაა, რომელიც ბევრმა მედიამ აირჩია, რადგან ჟურნალისტური ეთიკა „ადამიანურობის კრიტერიუმს“ აწესებს, რომელიც ადამიანის სიცოცხლის დაცვას საინფორმაციო იერარქიის ყველაზე მაღალ საფეხურზე აყენებს.

თუმცა, სხვების აზრით, უპირატესობა ინფორმირებას უნდა მიენიჭოს, ხოლო სიჩუმე მედიას საფრთხესაც კი უქმნის, განსაკუთრებით დამოუკიდებელ ჟურნალისტებს, რადგან ინფორმაციის ნაკლებობის გამო მედია ორგანიზაციამ შესაძლოა სათანადოდ ვერ შეაფასოს რისკები, რაც ჟურნალისტების გარკვეულ ადგილებში მივლინებას თან ახლავს.

საინფორმაციო პორტალის Daily Beast-ის (აშშ) ჟურნალისტის ჯეიმი დეტმერის აზრით, პროპაგანდისტულ ომში სიჩუმე ტერორისტულ დაჯგუფებებს მხოლოდ უპირატესობას ანიჭებს, რადგან შესაძლებლობას უტოვებს მათ, ნებისმიერი დრამა განავითარონ. მართალია, მედიის სიჩუმე გამართლებულია გაუჩინარების მომდევნო დღეებში, მაგრამ ამ სიჩუმემ შესაძლოა შეანელოს ზეწოლა ხელისუფლებაზე, რომელიც იმ ქვეყნების მთავრობების მობილიზებისთვისაა საჭირო, სადაც გამტაცებლები მოქმედებენ.[6]

6.4 ტერორიზმი და ტრავმა

„ტერორლენდის“ შუაგულში თავდასხმის ან შეიარაღებული კონფლიქტის გაშუქება ემოციურ ზემოქმედებას ახდენს ჟურნალისტებზე, რომლებიც ამ მოვლენას აშუქებენ.

ჯერ ერთი, ეს გამოიხატება შფოთვით, უძილობით, გაღიზიანებითა და ფიზიკური პრობლემებით, როგორიცაა დაღლილობის შეგრძნება ან ხშირი თავის ტკივილი. უფრო სერიოზული შედეგია პოსტტრავმატული სტრესული აშლილობა, რომელმაც შეიძლება უბედურების, შიშის და სასოწარკვეთის ისეთი განცდა გამოიწვიოს, რომელიც ადამიანს შრომისუუნაროს ხდის. დღეისათვის ძალიან ცოტა მედია ორგანიზაციას აქვს შემუშავებული სათანადო პროცედურები იმ თანამშრომელთა დასაცავად, რომლებიც უკიდურესად სტრესულ სიტუაციებში მუშაობენ. 2014

6 http://www.thedailybeast.com/articles/2014/09/02/the-media-blackout-on-hostages-helps-isis.html

წლის თებერვალში კენიის მედიის საბჭომ მიერ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ ანგარიშში, რომელიც 2013 წლის სექტემბერში ნაირობის „უესტგეიტის მოლში“ თავდასხმის გაშუქება ეხებოდა, აღინიშნა, რომ „ზოგიერთი რეპორტიორი ტრავმატიზებული და შოკირებული იყო, მაგრამ ამ ინციდენტის შემდეგ მათ არავითარი კონსულტაცია არ გაწევიათ“.[7]

იმ ჟურნალისტების ტრავმატიზების რისკიც არსებობს, ვინც შემთხვევის ადგილზე არ ყოფილა, მაგრამ თავის მოკვეთის ამსახველი მასალა ნახა ან მსხვერპლთა ჩვენებები მოისმინა ანდა წამების კადრები ნახა, რათა მათი სიზუსტე დაედგინა და მიეღო გადაწყვეტილება, გადაეცა ეს მასალა თუ არა. სწორედ ამ მოვლენას ეწოდა „ციფრული ფრონტის წინა ხაზი“ Eyewitness Media Hub-ის მიერ 2015 წლის მიწურულს გამოქვეყნებულ კვლევაში; ეს ფენომენი ჯეკი სპინერმა Columbia Journalism Review-დან განმარტა, როგორც „ადგილი, სადაც ჟურნალისტებმა შეიძლება ტრავმა მუდმივად განიცადონ, მაშინაც კი, თუ მათ ჯავშანჟილეტი არასდროს ჩაუცვამთ“. სპინერმა დასძინა, რომ „იმ კორესპონდენტების მსგავსად, ვინც საზარელი მოვლენების თვითმხილველია, სოციალური მედიის ის რეპორტიორები და რედაქტორებიც, ვინც ასეთ მასალას საკუთარ კომპიუტერში ნახულობს, შეიძლება მარტოობას გრძნობდნენ, იტანჯებოდნენ კოშმარებით ან წარსულის გაელვებებით, რაც პოსტტრავმატული სტრესული აშლილობის ტიპურ სიმპტომებს წარმოადგენს“.[8] აღნიშნული კვლევის თანახმად, გამოკითხული ჟურნალისტების 40% აღიარებს, რომ ვიდეოჩანაწერების ყურება მათ პირად ცხოვრებაზე ნეგატიურად მოქმედებს.

ჟურნალისტიკის სკოლები და მედია ორგანიზაციები, ჩვეულებრივ, ირიბი ტრავმატიზმისთვის არ ემზადებიან. ასეთი უგულებელყოფის დაშვება აღარ შეიძლება. ჟურნალისტიკის და ტრავმის დარტ ცენტრმა (კოლუმბიის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის სკოლა) პრაქტიკული რეკომენდაცია გასცა, რომლის თანახმადაც, სარედაქციო გუნდების მიერ პოსტტრავმატული სტრესული აშლილობის პრევენციისთვის მიღებული ზომების მსგავსად, იმ ადამიანებმა, ვისაც სოციალურ ქსელებ-

7 http://www.mediacouncil.or.ke/en/mck/index.php/news/101-media-council-tables-findings-on-westgate-coverage

8 http://www.cjr.org/first_person/social_media_reporters_and_vicarious_trauma.php

ში ძალადობრივი მასალის ყურება ევალება, მკაცრად უნდა დაიცვან დისციპლინა და ზუსტად შეასრულონ სახელმძღვანელო პრინციპები, რათა ასეთი მასალით ტრავმის მიღების რისკები მინიმუმამდე შეამცირონ. მათ შეიძლება შეამცირონ ნახვების რაოდენობა, ვიდეოს გაანალიზებისას გამოსახულების გარკვეული ფრაგმენტები დაფარონ, ეკრანის განათებას დაუწიონ ან ხშირი შესვენებებით იმუშაონ.[9]

როგორც ჰარვარდის უნივერსიტეტის ნიმანის ფონდის ყოფილი კურატორი ბილ კოვაჩი „დარტ ცენტრის“ სახელმძღვანელოს „ტრაგედიები და ჟურნალისტები“ შესავალში წერს, მთავარი გამოწვევაა „ყველას დაგვეხმაროთ, უფრო სიღრმისეულად და შემოქმედებითად ვიფიქროთ, როგორ გავუმკლავდეთ დამანგრეველი შიშის და გაურკვევლობის ნარჩენებს ისეთი ჟურნალისტიკის შექმნის დროს, რომელიც ეფექტიანად ახდენს ინფორმირებას“.[10]

9 https://dartcenter.org/blog/2016/11/storyful-releases-podcast-confronting-vicarioustrauma
10 Hight, J., & Smyth, Fr., Tragedies and Journalists: A Guide for More Effective Coverage, Dart Center, 2003.

ალეპოში ინტენსიური სროლების დროს ფეხში დაჭრილი კორესპონდენტი სნაიპერის კორიდორით გარბის. სირია, 2012 წელი.

© JAMES LAWLER DUGGAN / AFP

7

მთავარი საკითხები

- → თავდაპირველი გადაუდებელი ღონისძიების შემდეგ, შეაფასეთ ყველა დაინტერესებული მხარის ქმედებები (ხელისუფლება, გადაუდებელი დახმარების სამსახურები, პოლიტიკოსები, სხვა)
- → ობიექტურად შეაფასეთ თქვენი გაშუქება თავდასხმამდე, თავდასხმის დროს და თავდასხმის შემდეგ

© ODD ANDERSON / AFP

თავი 7

როცა სიმშვიდე ისევ დაისადგურებს: განვლილის გაანალიზება

7.1 ფუნდამენტური კითხვები შოკის გადავლის შემდეგ

თავდასხმის შოკი ისეთია, რომ ძნელია მაშინვე დასვა გარკვეული სახის კითხვები, რადგან საზოგადოება მათ მოსასმენად მზად არ არის. როგორც ადრე აღინიშნა, საკითხები, რომელთა განხილვა უადგილოა თავდასხმის მომდევნო წუთებში, მაგალითად, უფრო ფართო გლობალური კონტექსტი და შესაძლო მიზეზები, განსჯის მნიშვნელოვანი თემები ხდება მომდევნო დღეებში.

ანალოგიურად, როდესაც უსაფრთხოების ძალები მედიას სთხოვენ, რეაგირების კადრები ან მიმდინარე გამოძიების ელემენტები არ გაავრცელოს, ძნელია შეეწინააღმდეგო მათ, რადგან საზოგადოებამ შესაძლოა ვერ გაიგოს, რატომ არ ემორჩილება მედია ასეთ შეზღუდვებს. თუმცა, საგანგებო მდგომარეობა რომ დასრულდება, ჟურნალისტების უფლება და მოვალეობაა, გააანალიზონ სიტუაცია და განსაკუთრებით, დასვან კითხვები ხელისუფლების, სამოქალაქო საზოგადოების და პოლიტიკოსების პასუხისმგებლობებსა და ქმედებებზე.

ეს კითხვები, რა თქმა უნდა, სახელმწიფო სამსახურების და ინსტიტუტების ეფექტიანობას ეხება. შესაძლებელი იყო თუ არა თავდასხმის თავიდან აცილება? იმუშავეს თუ არა სათანადოდ დაზვერვის სამსახურებმა? მიღებული იყო თუ არა უსაფრთხოების ადეკვატური ზომები? იყვნენ თუ არა რეაგირებისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურები მზად და სათანადოდ გაწვრთნილნი? იყო თუ არა საავადმყოფოების შესაძლებლობები საკმარისი დახმარების უზრუნველსაყოფად? ხდებოდა თუ არა ეჭვმიტანილთა და დაზარალებულთა სიების განახლება და გავრცელება რეალურ დროში?

თუმცა, უფრო მეტია პოლიტიკური ხასიათის კითხვა. ხომ არ წაუყრუა ხელისუფლებამ რადიკალიზაციის საგანგაშო ნიშნებს? ხომ არ ისარგებლა ხელისუფლებამ იმ ემოციით, რომელიც მძევალთა აყვანამ გამოიწვია, იმისთვის, რომ საჯარო თავისუფლებები შეეზღუდა და საზოგადოებაზე საკუთარი პრეროგატივა გაეძლიერებინა? საკმარისი ყურადღება გამოიჩინა თუ არა ხელისუფლებამ იმ თემების წუხილების მიმართ, რომელთა წარმომადგენლებადაც ტერორისტები თავს აცხადებენ?

ყველა ეს კითხვა ინფორმირების, განმარტების და მეთვალყურეობის მოვალეობის ნაწილია, რომელიც მედიას აკისრია. 2005 წლის ივლისში ლონდონის თავდასხმის შემდეგ ბრუკ ბარნეტმა და ემი რეინოლდსმა აღნიშნეს, რომ ბრიტანული პრესა, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოვლენა მის ქვეყანაში მოხდა, ძალიან კრიტიკული იყო. ჟურნალისტებმა ეჭვქვეშ დააყენეს მთელი მეტროს დაკეტვის საჭიროება, გააკრიტიკეს სამაშველო ჯგუფების რეაგირების ტემპი და კითხვები დასვეს ერაყის ომში ბრიტანეთის მონაწილეობის თაობაზე.[1]

ბელგიაში 2016 წლის 22 მარტის თავდასხმის შემდეგ, მედია, რომელმაც პარლამენტის საგამოძიებო კომისიის დასკვნაც გამოაქვეყნა, ტერორიზმში ეჭვმიტანილებზე პოლიციის მონიტორინგის, უსაფრთხო-

1 Terrorism and the Press. An Uneasy Relationship, p. 127.

ების ძალებს შორის კოორდინირების და გადაუდებელი დახმარების სამსახურებს შორის თანამშრომლობისა და რეაგირების ნაკლოვანებებით დაინტერესდა.

მოგვიანებით, როდესაც თავდასხმების შოკი მინელდება და სხვა თემები დაიპყრობს საინფორმაციო სივრცეს, მედია ამ საკითხს უნდა მიუბრუნდეს და მხოლოდ წლისთავების აღმნიშვნელი და მსხვერპლთა მოსაგონარი მასალების მომზადებით არ შემოიფარგლოს. მედიამ განსაკუთრებით უნდა უზრუნველყოს, რომ დაზარალებულები, რომლებიც პირველ წუთებში მედია გაშუქების ცენტრში არიან, დავიწყებას არ მიეცნენ. მედიამ უნდა უზრუნველყოს მათი ამბის და ისეთი თემების გაშუქება, როგორებიცაა მათთვის კომპენსაციის გადახდა, მათი გლოვა, ფიზიკური და ფსიქოლოგიური გამოჯანმრთელება და საზოგადოებაში რეინტეგრაცია. მედია შესაძლოა თავდასხმის უფრო შორსმიმავალი ეფექტითაც დაინტერესდეს, როგორც ამაზე ჰელენ რომანო და ადოლი დეი წიგნში Après l'Orage („ქარიშხლის შემდეგ") მიუთითებენ, სადაც ტერორისტული თავდასხმების ზეგავლენას, განსაკუთრებით, ბავშვებზე, თავდასხმიდან რამდენიმე თვის შემდეგ აღწერენ.

მთავარია, გაგრძელდეს იმ თემების გაშუქება, რომლებზეც დამოკიდებულია რეაგირება მომავალ თავდასხმებზე, „რადგან სხვა თავდასხმებიც იქნება". ჟურნალისტებმა განსაკუთრებით უნდა გადაამოწმონ, რეალურად ხდება თუ არა უსაფრთხოების ან გადაუდებელი დახმარების ღონისძიებების რეფორმირება და რამდენად ეფექტიანია პრევენციის და „დერადიკალიზაციის" სტრატეგიები.

ეს პროცედურა განსაკუთრებით საგამოძიებო ჟურნალისტიკას ეხება, თუმცა ასევე უდავოდ უნდა დანერგონ სხვა ინსტიტუტებმაც და არა მარტო მედიამ. სამედიცინო ასოციაციებს, ადამიანის უფლებადამცველებს, პოლიციის პროფესიულ კავშირებს ან ოფიციალური ზედამხედველობის სამსახურებს, რომლებსაც იმ ორგანიზაციების მონიტორინგი ევალებათ, ვინც თავდასხმებზე რეაგირებაში მონა-

წილეობენ, შეუძლიათ ამ ძალისხმევაში წვლილი შეიტანონ. თუმცა, მედიის საქმეა, შეამოწმოს, რომ სიტუაცია ეფექტიანად იმართება და ხელისუფლება და სხვა ინსტიტუტები თავ-თავიანთ პროცედურებსა და პასუხისმგებლობებს ასრულებენ.

7.2 მედიის კრიტიკული ანალიზი

ტერორიზმი ჟურნალისტიკას გამოცდას უწყობს, იმ ძალადობით, თანმდევი შედეგებითა და დისკუსიით, რასაც ის იწვევს. მედია ორგანიზაციები საკუთარ პრაქტიკაზე უნდა დაფიქრდნენ და განვლილი სამუშაო გააანალიზონ.

პირველ რიგში მედია ორგანიზაციები უნდა დაინტერესდნენ ასეთი მოვლენების დროს მზადყოფნით, რეაქტიულობით, კოორდინაციითა და თანამშრომლობით. ხარვეზების აღმოჩენისას, ტრენინგი უნდა ჩაუტარონ რეპორტიორებს და „იერარქიულ სტრუქტურას“ სარედაქციო გუნდიდან მენეჯმენტამდე.

უნდა შეფასდეს რეპორტაჟების დროს გამოყენებული აპარატურის ვარგისიანობა და ფუნქციონირება (კამერის ტიპი, უსადენო ინტერნეტის ხელმისაწვდომობა და სხვა).

მედია ორგანიზაციები ასევე უნდა დაფიქრდნენ გაშუქების პრიორიტეტებზე და გააანალიზონ, საკმარისად დაფარეს თუ არა ის საკითხები, რომლებიც თავდასხმებმა გამოავლინა. 2001 წლის 31 იანვარს, თავის ანგარიშში, ჰარტ-რადმენის კომისია აშშ-ს ხელისუფლებას აფრთხილებდა, რომ ის არ იყო მზად ტერორისტული საფრთხესთან საბრძოლველად. მიუხედავად ავტორიტეტული ადამიანებით დაკომპლექტებული კომისიის სერიოზული გაფრთხილებისა, რომ „დიდი ალბათობით, ამერიკელები საკუთარ მიწაზე დაიღუპებიან და სავარაუდოდ, დიდი რაოდენობით“, ეს ანგარიში მხოლოდ რამდენიმე მედია საშუალებამ გააშუქა.

თავდასხმების შემდეგ Washington Post-ის ჟურნალისტმა რიჩარდ კოენმა დაწერა, რომ მედიამ „ვერ შეასრულა თავისი საქმე, მოემზადებინა ამერიკელი ხალხი იმისათვის, რაც 11 სექტემბერს მოხდა“. „ჩვენ, და მე ვგულისხმობ ჩვენს უმეტესობას, გვეძინა“, დასძინა მან.[2]

„მაგალითად, დეტალურად რატომ არ გამოიძია არცერთმა ჟურნალისტმა ის გაუმართავად ფუნქციონირებადი უწყებები, რომლებიც ანგარიშში იყო ნახსენები?“ იკითხა სიუზან პატერნომ American Journalism Review-ში. „თუ ავტორიტეტულმა უწყებებმა და საჯარო პირებმა ტერორისტული თავდასხმის შესახებ გააფრთხილეს, როგორ მოხდა, რომ მხოლოდ რამდენიმე მედია ორგანიზაციამ შეისწავლა ეს მოსაზრება სიღრმისეულად?“[3]

ზეწოლა რომ შემცირდება, საჭიროა, ასევე, დაისვა კითხვა, საკმარისად სერიოზულად მოეკიდნენ თუ არა „მიზანს“, რის მიღწევასაც ტერორისტები ცდილობდნენ, სანამ თავდასხმა მოხდებოდა და შესაძლებელი იქნებოდა თუ არა ძალადობის თავიდან აცილება, მეტი ყურადღება რომ დაეთმოთ მოთხოვნების, სოციალური გარიყვის და ზეგავლენის სტრატეგიებისთვის ზოგიერთ თემში, მათ შორის, უმცირესობებში.

მედიამ საკუთარი საქმიანობა ეთიკური წესების კუთხითაც უნდა განიხილოს. უნდა დაადგინოს, ხომ არ იყო გაშუქება არაპროპორციული, ხომ არ აღვივებდა სახალხო ვუაიერიზმს ან ახდენდა მსხვერპლთა ინსტრუმენტალიზაციას, ხომ არ იყო ზედმეტად პასიური და რეაგირების ძალებს ემორჩილებოდა, ხომ არ ემსახურებოდა ტერორისტებს მეგაფონად. ამ თემებზე დებატების გამართვაში უმნიშვნელოვანესი როლის შესრულება ჟურნალისტიკის სკოლებსა და ასოციაციებს, ასევე ეთიკის საბჭოებს შეუძლიათ; ეს ხელს შეუწყობს ტერორიზმის

2 Susan Paterno, “Ignoring the Warning”, American Journalism Review, Novembre 2001.

3 Susan Paterno, “Ignoring the Warning”, op. cit.

შესახებ ინფორმირების ისეთი კულტურის ჩამოყალიბებას, რომელიც თავისუფლებასა და პასუხისმგებლობას მოიცავს.

ტერორიზმი ერთ-ერთი მთავარი საცდელი მოედანია, წერდა ჩარლი ბეკეტი თავის ანგარიშში „გრძნობების გაღვივება.“[4] „ტერორიზმის გაშუქების გაუმჯობესება მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ძალადობრივი ექსტრემიზმი მნიშვნელოვანი საკითხია და მსოფლიოში არსებული უფრო დიდი პრობლემის სიმპტომებზე მიუთითებს. ტერორის უფრო გონივრული, ინფორმირებული და სოციალურად პასუხისმგებლიანი გაშუქება უბრალოდ მორალური მოწოდება არ არის. ეს არის შანსი აჩვენო, რომ ჟურნალისტიკა თანამედროვე საზოგადოების სასიცოცხლო ნაწილად რჩება.“

4 http://www.cjr.org/tow_center_reports/coverage_terrorism_social_media.php

ათასობით ადამიანი ტერორისტული
დაჯგუფების „ბოკო ჰარამის“ წინააღმდეგ
პროტესტის გამოსახატად კამერუნის
დედაქალაქ იაუნდეში 2015 წელს შეიკრიბა.

© ANNE MIREILLE NZOUANKEU / ANADOLU AGENCY

ფოკუსი: კულტურული მემკვიდრეობის განადგურება

ტექსტი მოგვაწოდა იუნესკომ

ახლო აღმოსავლეთში, განსაკუთრებით, ერაყში, სირიასა და იემენში მიმდინარე კონფლიქტებმა მედიის ფართო ყურადღება არა მარტო მრავალრიცხოვანი მსხვერპლის და ლტოლვილთა კრიზისის გამო მიიპყრო, არამედ ამ ქვეყნებში კულტურულ მემკვიდრეობასა და კულტურულ მრავალფეროვნებაზე გამანადგურებელი ზემოქმედების გამოც.

კულტურული მემკვიდრეობა და პლურალიზმი სისტემატური და წინასწარ ჩაფიქრებული თავდასხმების უშუალო სამიზნეებად იქცნენ, რაც ხშირად იდეოლოგიური მოტივით არის განპირობებული. გარდა ამისა, ვინაიდან ფრონტის წინა ხაზი ქალაქებზე გადის, კულტურული მემკვიდრეობის დაზიანება ბრძოლის თანმდევი შედეგია. მაგალითად, სირიაში კულტურული მემკვიდრეობა, მათ შორის იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, როგორებიცაა ალეპოს ციტადელი და დამასკოს ძველი უბანი ბრძოლების დროს სერიოზულად დაზიანდა. კულტურულ მემკვიდრეობას ასევე დიდ ზიანს აყენებს მოროდიორობა და კულტურული ფასეულობებით უკანონო ვაჭრობა, რითიც არა მარტო ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები, არამედ ტერორისტული ორგანიზაციებიც ფინანსდება.

მედიის მიერ კულტურული მემკვიდრეობის განადგურების გაშუქება

უდავოა, რომ ტერორიზმთან ზემოაღნიშნული კავშირი, ასევე ტერორისტების მიერ კულტურული მემკვიდრეობის განადგურების საკითხის პროპაგანდისთვის გამოყენება მედიის ყურადღებას ყველაზე

მეტად იპყრობს. მართლაც, 2014 წლის თებერვლიდან მოყოლებული, როდესაც ერაყსა და სირიაში კულტურული მემკვიდრეობის განადგურების შემთხვევებმა იმატა, საერთაშორისო მედიის მიერ იუნესკოს მოხსენიებამ იმ ახალ ამბებსა და საქმიანობაში, რომლებიც კონკრეტულად ტერორიზმს ეხებოდა, პიკს მიაღწია: კულტურის ნიმუშების განადგურება ერაყის მოსულის მუზუმში (2015 წლის 27 თებერვალი); ნიმრუდის არქეოლოგიური ძეგლის განადგურება (2015 წლის 5 მარტი); მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, პალმირას დაპყრობა ISIL/დაეშის მიერ (2015 წლის 20 მაისი); და ბაალშამინის ტაძრის განადგურება პალმირაში (2015 წლის 23 აგვისტო). თუმცა, ISIL/დაეშის ძალებისგან პალმირას გათავისუფლების და იქ იუნესკოს მიერ შეფასების სწრაფი მისიის გაგზავნის გაშუქებას შეუდარებლად ნაკლები დრო დაეთმო.

მედია გაშუქების გაუმჯობესება

ტერორისტების მიერ კულტურული მემკვიდრეობის შეგნებულად განადგურების შესახებ რეპორტაჟებს მოჰყვა დისკუსია იმის თაობაზე, ხომ არ ხდებოდა ამ რეპორტაჟებით ტერორისტების პროპაგანდა. მართლაც, ვინაიდან აღნიშნული ტერიტორიების უდიდესი ნაწილი მიუწვდომელია, მეინსტრიმული მედია თავდასხმების საჩვენებლად ძირითადად ექსტრემისტული ჯგუფების მიერ გავრცელებულ პროპაგანდისტულ ვიდეოებს იყენებს. სხვა პროპაგანდისტული მასალის მსგავსად, როგორიც ტყვეების თავების მოკვეთის ვიდეოებია, ამ ტიპის გამოსახულების გამოყენება ტერორისტების წვდომას აფართოებს და იმ ყურადღებას უზრუნველყოფს, რის გამოც ისინი სასტიკი ქმედებების ჩადენისას ცდილობენ. ამიტომ, სრულიად სამართლიანია კითხვების დასმა და მსჯელობა, თუ რამდენად ეთიკურია მეინსტრიმულ მედიაში პროპაგანდისტული მასალის გამოყენება. მეტიც, შესაძლებელია ალტერნატიული ვიზუალური მასალის, როგორიც სატელიტური გამოსახულებებია, უფრო ინტენსიურად გამოყენება.

კიდევ ერთი გზა, რითაც მედიას შეუძლია გაშუქება გააუმჯობესოს, არის მეტად ფოკუსირება დაზიანებული კულტურული მონუმენტების, ადგილებისა და არამატერიალური ტრადიციების კულტურათაშორის და ხშირად, უნივერსალურ განზომილებებზე, რაც, განსაკუთრებით ისეთ რეგიონებში, როგორიც ახლო აღმოსავლეთია, საუკუნეების განმავლობაში ბევრი სხვადასხვა კულტურის ურთიერთქმედებას, ასევე უძველესი ტრადიციების უწყვეტობას და მდგრადობას ასახავს. ეს ხაზს უსვამს იმ ძირეულ უნივერსალობას, რაც ყველა ხალხის კულტურულ მემკვიდრეობას ახასიათებს და, თავის მხრივ, ჯგუფებსა და ინდივიდებს შორის პატივისცემას და ურთიერთგაგებას იწვევს.

ძირითადი ინფორმაცია ჟურნალისტებისთვის

რაც შეეხება ტერორისტული ორგანიზაციების მიერ კულტურული მემკვიდრეობის განზრახ განადგურებას, ჟურნალისტებმა ყურადღება უფრო ამ ქმედების ადამიანურ განზომილებაზე უნდა გაამახვილონ, ვიდრე განადგურების ჩვენებაზე. მართლაც, კულტურა და მემკვიდრეობა, როგორც იდენტობის გამოხატულება, მეხსიერების და ტრადიციული ცოდნის საგანძური, თემის/ერის იდენტობის და სოციალური კაპიტალის უმთავრესი კომპონენტებია. კულტურას უდიდესი მნიშვნელობა აქვს თემების და ინდივიდების ცხოვრებაში, ხოლო მისი უწყვეტობა გამძლეობის გამომუშავებისთვის მძლავრი იარაღია, რადგან ის მდგრადი აღდგენის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს. აღნიშნულ მიზეზთა გამო, კულტურული მემკვიდრეობის განადგურება, რომელსაც ხშირად თან სდევს ინდივიდების დევნა მათი კულტურული, ეთნიკური თუ რელიგიური ნიშნით, რასაც შედეგად „კულტურული წმენდა“ მოაქვს, არის ადამიანის უფლებების დარღვევა, მათ შორის კულტურული ცხოვრებისა და იდენტობის უფლების, განათლების, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების.

კიდევ ერთი ასპექტი ეთიკური და ფილოსოფიური განზომილებებია, რომლებიც დაკავშირებულია აღდგენის და რეკონსტრუქციის შემოთავაზებულ პროექტებთან, მათ შორის დაზიანებულის ან დაკარგულის ავთენტურობის შენარჩუნებისა და აღდგენის გამოწვევებთან, ასევე საჭიროებასთან, უზრუნველყოფილი იქნეს დაზარალებული თემების სრულფასოვანი მონაწილეობა იმ გადაწყვეტილებების მიღებაში, რომლებიც მათ კულტურულ ცხოვრებას ეხება. და ბოლოს, მედია უნდა იცნობდეს საბაზისო საერთაშორისო იურიდიულ ინსტრუმენტებსა და საერთაშორისო ჰუმანიტარული კანონის იმ დებულებებს, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტების დროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვას ეხება, მათ შორის იუნესკოს სხვადასხვა კონვენციას, როგორებიცაა 1954 წლის ჰააგის კონვენცია და მისი ორი პროტოკოლი (1954 და 1999 წლების), 1970 წლის კონვენცია, ასევე, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს წესდება.

ძირითადი წყაროები

იუნესკო უზრუნველყოფს გადამოწმებულ და დადასტურებულ ინფორმაციას კულტურულ ფასეულობათა განადგურებასა და ამ ფასეულობებით უკანონო ვაჭრობის შესახებ. შესაბამისად, ის ამ საკითხზე ინფორმაციის უმთავრესი წყაროა. გარდა ამისა, ფაქტობრივი ინფორმაციის მოწოდება ან ინფორმაციის დადასტურება შესაბამისი ქვეყნების კომპეტენტურ სამთავრობო უწყებებს (როგორიცაა სირიის სიძველეთა და მუზეუმების გენერალური დირექტორატი) შეუძლიათ. სანდო ინფორმაციის მოწოდება კონკრეტულ ინიციატივებთან დაკავშირებით (მაგალითად, ICOMOS, ICOM, IFLA ან აშშ-ში მოქმედი ASOR Project სირიის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ) ავტორიტეტულ საერთაშორისო ინსტიტუტებს და ეროვნულ კვლევით პროექტებსაც შეუძლიათ.

იხილეთ დამატებითი ინფორმაცია ვებ-გვერდზე:
http://www.unesco.org/themes/culture-at-risk

ფოკუსი: კულტურული ფასეულობებით უკანონო ვაჭრობა

ტექსტი მოგვაწოდა იუნესკომ

მედია სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობს კულტურულ ფასეულობათა ქურდობისა და კონტრაბანდის თემას, რაც ტერორისტული დაჯგუფებების დაფინანსების ერთ-ერთ სერიოზულ წყაროს წარმოადგენს. იუნესკო გაეროს წამყვანი სააგენტოა, რომელიც 1970 წლის კონვენციის „კულტურულ ფასეულობათა უკანონო იმპორტის, ექსპორტის და მათზე საკუთრების უფლების გადაცემის აკრძალვისა და აღკვეთის ზომების შესახებ“ განხორციელებაზეა პასუხისმგებელი. ეს კონვენცია 131 ქვეყნის მიერ არის რატიფიცირებული.

განახლებული ფოკუსი კულტურულ ფასეულობებზე

ახლო აღმოსავლეთის ბოლოდროინდელმა მოვლენებმა უკანონო ვაჭრობის მიმართ ინტერესი განაახლა. მედია მოპარული ან უკანონოდ გატანილი ნივთების, უკანონო გათხრების, გაყალბებული ნივთების აღმოჩენის, მძარცველების დასჯის და სხვა მსგავს შემთხვევებს აშუქებს.

ამ გაშუქების მოცულობა განსაკუთრებით ერაყსა და სირიიდან კულტურული ფასეულობების გატანასა და მიღებული თანხებით ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებით გაიზარდა. უამრავ რეპორტაჟშია აღნიშნული, რომ იარაღით საერთაშორისო ვაჭრობასა და ნარკოტიკებით ვაჭრობასთან ერთად, კულტურული ფასეულობებით უკანონო ვაჭრობა ერთ-ერთი ყველაზე მოგებიანი ბიზნესია ტერორისტული დაჯგუფებებისთვის. ISIL/დაეშის დაჯგუფების შემთხვევაში, კულტურული ფასეულობებით უკანონო ვაჭრობა დაფინანსების მნიშვნელოვანი წყაროა. ეს დაჯგუფება არტეფაქტებს განიხილავს როგორც ბუნებრივ რესურსებს, რომლებიც უნდა მოიპოვო და მისგან

მოგება მიიღო, რისთვისაც ნებართვები გაიცემა და გათხრებზე 20%-მდე გადასახადი წესდება.

საკითხის შესაბამის კონტექსტში მოთავსება

მნიშვნელოვანია გავიაზროთ, რომ კულტურული ფასეულობებით უკანონო ვაჭრობა მსოფლიო მასშტაბის ფენომენია. ჯერ არტეფაქტები კონტრაბანდულად გააქვთ, შემდეგ მათი წარმომავლობის ყალბი დოკუმენტაციით გათეთრება ხდება, ჩვეულებრივ, ლეგიტიმური საერთაშორისო კავშირების მქონე დილერების მეშვეობით; ბოლოს ამ ნივთებს მყიდველებს დასავლეთში, სპარსეთის ყურესა და აზიაში ლეგალური არხებით სთავაზობენ. ეს პრობლემა ინტერნეტის გავრცელებასთან ერთად კიდევ უფრო გაღრმავდა.

გარდა ამისა, მართალია ISIL/დაეში რეგიონის კულტურულ ფასეულობათა კონტრაბანდაში ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა, მაგრამ ის არც პირველი და არც ერთადერთი დაჯგუფებაა, რომელიც ფინანსურ მოგებას ამ უკანონო ვაჭრობით ნახულობს. მაგალითად, სირიაში კონფლიქტის დაწყების შემდეგ კულტურული ფასეულობებით სხვადასხვა ჯგუფი ვაჭრობდა, რათა იარაღი შეეძინათ ანდა უბრალოდ, დაფინანსებისთვის ალტერნატიული წყარო ჰქონოდათ.

ერაყში არქეოლოგიური ძეგლების ძარცვა ამჟამინდელ კონფლიქტამდეც ხდებოდა. კულტურული ძეგლების ძარცვა გავრცელებული პრაქტიკა იყო როგორც პირველი სპარსეთი ყურის ომის, ასევე 2003 წლის შეჭრის შემდეგ. უნდა განიმარტოს, რომ არქეოლოგიური ძეგლების ძარცვის პრაქტიკა ISIL/დაეშის „გამოგონება“ არ არის, მაგრამ ამ დაჯგუფებას ნამდვილად უკავშირდება კულტურულ ფასეულობათა ძარცვის შემთხვევებისა და მოცულობის მატება და ამ ფასეულობების კონტრაბანდის და არალეგალური ვაჭრობის მასშტაბის ისეთი გაფართოება, რომ ამ საკითხმა მედიის მეტი ყურადღება მიიპყრო.

კონფლიქტების დროს, ასეთი ვაჭრობა მარტივდება, რადგან საზღვრები ნაკლებად არის დაცული, ხოლო სერიოზული საფრთხის შემცველ ტერიტორიებს შესაბამისი ხელისუფლება ვერ აკონტროლებს. ახლო აღმოსავლეთში არტეფაქტები, ჩვეულებრივ, ფარულად წარმოებული გათხრებიდან გააქვთ, რაც ხელს უშლის ხელისუფლებას, მათი რეალური ღირებულება დაადგინოს. მედიის რეპორტაჟებში არალეგალური ბაზრის ღირებულებაზე არასწორი ციფრები მუდმივად სახელდება. ერთ-ერთ რეპორტაჟში, მაგალითად, ამტკიცებდნენ, რომ კულტურული ფასეულობებით ვაჭრობის გზით ISIL/დაეში ასობით მილიონ დოლარს შოულობს, მეტს ვიდრე არტეფაქტებით ლეგალური გლობალური ვაჭრობა.

სინამდვილეში, შეუძლებელია კულტურული ფასეულობებით არალეგალური ვაჭრობის ციფრებში გამოხატვა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ბევრი მოპარული არტეფაქტი, დიდი ალბათობით, ჯერ ბაზარზე გატანილი არ არის, ასევე იმიტომ, რომ ჩვენ წარმოდგენა არა გვაქვს, რამდენი ასეთი ნივთი იყიდა კერძო მფლობელებმა. კერძო ხასიათის გარიგებების დაანგარიშება და ამის დამადასტურებელი მტკიცებულების მოპოვება ყოველთვის რთულია.

საკითხის გაშუქება

მედიის მიერ კულტურული ფასეულობებით არალეგალური ვაჭრობის გაშუქების არსებული პრობლემები იმ უფრო დიდი პრობლემების მსგავსია, რაზეც ამ სახელმძღვანელოშია საუბარი. ეს განსაკუთრებით ასეა, როდესაც საქმე ინფორმაციის სიზუსტეს ეხება, ხოლო გადაუმოწმებელი ინფორმაცია და გაზვიადებული ციფრები ფართოდ ვრცელდება. ამიტომ, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ მედია პლატფორმებმა გადაამოწმონ საკუთარი ინფორმაცია და არ დაეყრდნონ უცნობი წყაროების მიერ მომზადებულ რეპორტაჟებს. კულტურული ფასეულობებით უკანონო ვაჭრობის შესახებ ინფორმაციის მოწოდება ანდა არსებული ინფორმაციის დადასტურება

უშუალოდ იუნესკოს ან მისი პარტნიორების მიერ უნდა ხდებოდეს, როგორებიცაა ინტერპოლი, გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო (UNODC), კერძო სამართლის სტანდარტიზაციის საერთაშორისო ინსტიტუტი (UNIDROIT) ანდა მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია (WCO).

კულტურულ ფასეულობებზე რეპორტაჟის მომზადებისას გონივრული იქნება თავდაპირველად განმარტოთ მათი მნიშვნელობა საზოგადოებებისთვის და აჩვენოთ, როგორ უკავშირდება კულტურული ფასეულობები მომავალ თაობებს და რატომ უნდა იქნეს ისინი დაცული და შემონახული.

ჟურნალისტებმა თავი უნდა აარიდონ ბაზრის ზომის შეფასებას, რადგან ეს ინფორმაცია არ არის ცნობილი. მეტიც, ფინანსური ასპექტების ნაცვლად, ჟურნალისტებმა ყურადღება კულტურული ფასეულობების სიმბოლურ და ისტორიულ ღირებულებაზე უნდა გაამახვილონ. გარდა ამისა, მეტი რეპორტაჟი უნდა მომზადდეს იმ წვლილზე, რაც საერთაშორისო თანამეგობრობამ ასეთი ვაჭრობის დაგმობასა და შეზღუდვაში უკვე შეიტანა, მაგალითად, გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომელიც სირიასა და ერაყიდან გამოტანილი კულტურული ფასეულობებით ნებისმიერი სახის ვაჭრობას კრძალავს. 2199 რეზოლუციაში გამოხატულია შეშფოთება, რომ „ისისი“ და სხვები „შემოსავალს კულტურული მემკვიდრეობის საგნების პირდაპირი ან ირიბი ძარცვისა და კონტრაბანდისგან (...) იმისთვის იღებენ, რომ რეკრუტირების ძალისხმევა და თავდასხმების ორგანიზებისა და განხორციელებისთვის საოპერაციო შესაძლებლობები გააძლიერონ“. ამაზე რეაგირების მიზნით, იუნესკო, თავის პარტნიორებთან კოორდინირებით, ზემოაღნიშნულ რეზოლუციებს ახორციელებს და წევრ ქვეყნებს ამ რეზოლუციების ეროვნულ კანონმდებლობაში ეფექტიანი ინტეგრირების გზების მოძიებაში ეხმარება.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდზე:
http://www.unesco.org/themes/culture-at-risk

სასარგებლო რესურსები

მთავრობათაშორისი ინსტიტუტები

გაეროს სპეციალური მომხსენებელი ადამიანის უფლებების დაცვისა და კონტრტერორიზმის საკითხებზე
http://www.un.org/victimsofterrorism/en/special-rapporteur-promotion-and-protection-human-rights-while-countering-terrorism-specific-work

გაეროს სპეციალური მომხსენებელი გამოხატვის თავისუფლების ხელშეწყობისა და დაცვის საკითხებზე
http://www.ohchr.org/EN/Issues/FreedomOpinion/Pages/OpinionIndex.aspx

ტერორიზმთან ბრძოლის განხორციელების სამუშაო ჯგუფი
(CTITF, ანგარიშვალდებული გენერალური მდივნის წინაშე)
http://www.un.org/en/terrorism/ctitf/index.shtml *შედგება 36 ორგანიზაციისგან, როგორებიცაა იუნესკო ან მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია, რომლებიც თავიანთი კონკრეტული ინსტიტუციური მანდატების შესაბამისად რეაგირებენ* (http://www.un.org/en/terrorism/ctitf/entities.shtml).

გაეროს უშიშროების საბჭოს ტერორიზმთან ბრძოლის კომიტეტი (1373 კომიტეტი)
ტერორიზმთან ბრძოლის კომიტეტის აღმასრულებელი დირექტორატი – CTED, რომელიც 1535 რეზოლუციით შექმნა (2004 წელს).
http://www.un.org/en/sc/ctc/rights.html; http://www.un.org/en/sc/ctc/resources/

გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო
(ტერორიზმის პრევენციის სამსახური)
https://www.unodc.org/

ფინანსური ღონისძიებების შემუშავების ჯგუფი (FATF)
http://www.fatf-gafi.org/
აღსანიშნავია მის მიერ გამოქვეყნებული საუკეთესო პრაქტიკის გზამკვლევი სახელმწიფოებისთვის ტერორისტული დაჯგუფებების დაფინანსების წყაროებთან ბრძოლაში.
http://www.fatf-gafi.org/publications/fatfrecommendations/documents/bpp-finsanctions-tf-r6.html

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციები

http://www.un.org/fr/terrorism/instruments.shtml https://treaties.un.org/Pages/DB.aspx?path=DB/studies/page2_fr.xml&clang=_fr dont:

მაგალითები

კონვენცია საერთაშორისოდ დაცული პირების წინააღმდეგ დანაშაულის აღკვეთისა და დასჯის შესახებ (1973)
http://www.un.org/en/documents/view_doc.asp?symbol=A/RES/3166%28XXVIII%29

საერთაშორისო კონვენცია მძევლების აყვანის წინააღმდეგ (1979)
http://legal.un.org/avl/ha/icath/icath.html

საერთაშორისო კონვენცია ტერორისტული დაბომბვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ (1997)
http://www.un.org/law/cod/terroris.htm

საერთაშორისო კონვენცია ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ (1999)
http://www.un.org/law/cod/finterr.htm

საერთაშორისო კონვენცია ბირთვული ტერორიზმის აქტების აღკვეთის შესახებ
https://treaties.un.org/doc/db/terrorism/english-18-15.pdf

გაეროს გლობალური ანტიტერორისტული სტრატეგია
(გენერალური მდივნის ანგარიში, 2014)
http://www.un.org/fr/ga/search/view_doc.asp?symbol=A/68/841

ერთობლივი დეკლარაცია გამოხატვის თავისუფლების დაცვისა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან ბრძოლის შესახებ (2016)
http://www.ohchr.org/EN/NewsEvents/Pages/DisplayNews.aspx?NewsID=19915&LangI D=E

ძირითადი ლიტერატურა ტერორიზმისა და მედიის საკითხებზე

Barnett, Brooke, and Reynolds, Amy, *Terrorism and The Press. An Uneasy Relationship*, Peter Lang, 2009, 208 pages.

Beckett, Charlie, *Fanning the Flames: Reporting on Terror in a Networked World*, Tow Center for Digital Journalism/Democracy Fund Voice, September 22, 2016
http://www.cjr.org/tow_center_reports/coverage_terrorism_social_media.php

Cottle, Simon, Sambrook, Richard and Mosdell, Nick, *Reporting Dangerously: Journalists Killings, Intimidation and Security*, Palgrave Macmillan, 2016, 224 pages.

Garcin-Marrou, Isabelle, *Terrorisme, Médias et Démocratie*, Presse universitaire de Lyon, 2001, 148 pages.

Hight, J., & Smyth, Fr., *Tragedies & Journalists: A Guide for More Effective Coverage*, Dart Center, 2003.

Lloyd, John, *Journalism in an Age of Terror*, Reuters Institute for the Study of Journalism / I.B. Tauris, London, 2017, 242 pages.

Marthoz, Jean-Paul, *Journalisme international*, De Boeck Université, 2008 and 2012, 279 pages.

Moeller, Susan, *Packaging Terrorism*, Wiley-Blackwell, 2009, 240 pages.

Nacos, Brigitte L., *Terrorism & the Media*, Columbia University Press, 1994, 214 pages.

NATO Centre of Excellence: *The Media: the Terrorists' Battlefield*, Ankara, 2007, 172 pages.

ONUDC, *L'usage d'Internet dans des buts terroristes*, Vienna, 2012, 142 pages.

Owen, J., Purdey, H., *International News Reporting. Frontlines and Deadlines*, Wiley-Blackwell, London, 2009, 280 pages.

Pippa Norris, Montagne Kern, Mario Just (Ed.), *Framing Terrorism: The News Media, the Government, and the Public*, Routledge, New York, 2003, 329 pages.

Reporters sans frontières / UNESCO, *Guide pratique de la sécurité des journalistes*, http://unesdoc.unesco.org/images/0024/002439/243987f.pdf

Seib, Philip, *Beyond The Front Lines: How the News Media Cover a World Shaped by War*, Palgrave Macmillan, 2004, 185 pages.

Simon, Joel, *The New Censorship: Inside the Global Battle for Media Freedom*, Columbia Journalism Review Books, 2014, 236 pages.

Wieviorka, Michel et Wolton, *Dominique, Terrorisme à la une*, Gallimard, Paris, 1987, 259 pages.